

114
1944/2


საქართველოს
ხელმოწერა

მნათობი

6

თბილისი
1944



მნათობი

სრულიად-საქართველოს საშჩითთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელთუნთ და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ქურნალი

წალიწალი მარცხდაცით

~~120028~~
40/3

6



19

036060
სახელწიგნაბი



საკრედიტო კვლევა:

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
გაგაბაძე გიორგი
კალაძე კარლო
გაგაბაძე ალიო (პ/გ. რედაქტორი)
გოგაბაძე ილიო
ტაბიძე ვალანტინე
ქიქოძე ლეო
შენგელია დავით.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/X-44 წ. ნაბეჭდ ფორმითა რაოდენობა 10 ფ.
შეკვ. № 1716, შშ 00368, ტრაჟი 5350.

საბეჭდოების შედგენითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ყორღის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: შინაბლიზ № 13, მუეჩაღლია ქვეშირი, ტელეფ. 3 — 04 — 64.

ნიკოლოზ ბრეჯიანიძე

ქედუხედნი¹⁾

— თქვენ უთხარით მეფეს, რომ ციხეს სიმაგრისათვის საძირკველში ცოცხალი ადამიანის ჩატანება სჭირდება?

— დიახ, ბატონიშვილო!

— სადღან გამოიგონე მაინც ეს საშინელება? — ცხარობდა ედიშერი.

— ეს ძველის ძველი ჩვეულებაა, ბატონო! ან არ ვიგონებ. ვუკვირდება და ვფიქრობ, ძველი კაცებისაგან გამოიგონია ასე.

— მე არ მსმენია...

კოტა სიჩუმის შემდეგ:

— ... ეს უგუნურება და სილულულეა!

— ნუ იტყვი, ბატონო, ეგრე — ხალხი ბრძენია...

— თუნდა ეგრე იყოს. ეხლა უნდა გადაეარჩინოთ კაცი.

— თუ კი შეიძლება და ციხის აშენებას არ დასდევთ, არც თქვენ და არც ერთი ქრისტიანი, — ქვეყანა თქვენია და მე როგორ უნდა შევიშალოთ ხელი?

— შენ იტყვი, რომ შეცდი.

— როგორ შეცდი?

— რომ თქმულება ასეთი არ გაგიგონია.

ნალეკარმა წვერზე ხელი ჩამოისვა და დინჯად უთხრა:

— არა, ბატონო, სიცრუე ბავშვობიდან არ მიოქვამს, ვერც ეხლა ვიტყვი, მაპატიე.

— ერთი კაცი არ ღირს ერთ სიცრუედ?

— სიცრუეს ჯერ არვინ გადაურჩენია, ბევრი რომ დაეღუბოს, ეს კი ხშირია.

— მაშ მოკვდეს და ისიც ასე საშინლად?

— თუ მისი სურვილია, მოკვდეს. ერთი დღით ადრე, თავის ნებით, თუ ორი დღით გვიან ბუნების კანონით, არ არის, ბატონო, დიდი განსხვავება და უზედურება. ოღონდ მეტი ტკივილი ზორცისა და მეტი არაფერი — ამისთვის არ ღირს სიცრუის კორიანტელის ადენა.

— მაშ დღეობაზე რად ყვიროდი, უშველეთ ბიჭს, არ გაატანოთ მომზღუარებსო?

— იმიტომ, რომ ძალით მიჰყავდათ?

ედიშერმა განცვიტრებით შეხედა ნალეკარს.

— და ნებით რომელმ გიფი ჩაიკირავს თავს?

¹⁾ იხ. „მნათობი“ № 4 — 5.

— ეს უკვე მე არ ვიცი. როდესაც თავის ნებით უნდა იყოს კაცი ჩაიკირული და არა ძალით.

— მოიცა, მოიცა, შენი სიტყვებით იქნებ ისარგებლოს და მსხვერპლი იყოს კარისკაცებს მოახდინოს, ვიდრე შენ ვითქვამს. ზუსტად მითხარი, როგორ უთხარი შეფს.

— შე, ბატონო, არ მინახავს შეფი, კარის კაცს კი მოვასხენე: ძველი კაცებისაგან გამიგონია, რომ თუ ციხე ურყევი გინდათ იქნოს, მის საძირკველში უნდა ჩაიკიროს ისეთი ჯანსაღი, მოწიფული კაცი, რომელსაც გამოსაცვლელი პერანგიც არ ჰქონდეს და თავის ნებით მივიდეს და ჩასაქირავად ჩადგეს-თქო.

— შენი ნათქვამი სხვაა, ვიდრე შეფისთვის მოუხსენებიათ, მაგრამ ან სად იშოვი ასეთ კაცს, ან და თუ იშოვი, მის ცოდვაში როგორ ჩადგა ფეხი? თუ უარი ვთქვი მშენებლობაზე, რისხვა მეფისა... რათ ამტყველი ასეთ საშინელ რჩევას?

— მკითხეს და მოვასხენე, ისე როგორც სნეულებს ვწამლობ, როგორც მინახავს, გამიგონია და ვიცი.

— მტერი ხარ შემოჩენილი, თუ პოროტი სული? რა გინდა? რა გსურს? საიდან მოსულხარ?

— მტერი, ბატონო? მტერი მაშინაც არ გყოფილვარ, როცა სააბრაგოდ, დასარბევად კახეთსა და ქართლს თავს ევსმოდო. გვიჩირდა და მოვდიოდით, სხვა საღსარი არ გვქონდა. მტერი! რა შემტერებოდა, კუჭი გვეწოდა. სიმშლიმა გამოგვადგო.

ნალექარმა ხანჯლის ქარქაშიდან წვეტიანი პატარა დანა ამოიღო და ჩხირს დაუწყო თლა.

აღღვებული, ჩაფიქრებული ეღიშებოდა მიდი-მოდოდა ოთახში, ფიქრობდა მომავალ მსხვერპლზე და საკუთარი თავის მდგომარეობა კიდევ უფრო ხლართავდა და ბურუსით ჰფენდა მის პირებს.

— მართალია, მე ლეკი ვარ. მეტად დარიბები ვიყავით. აბრაგად დავდიოდი საქართველოში, ხუთი ვაჯი მყავდა მოწიფული. ჩემი ხელობა მომზებრდა. ბიჭებიც დავითანხმე და შინ ვმუშაობდით, როგორც კი მოეახერხებდით. ბოლოს დერეფიშად მიხდოდა წასვლა. ყველაზე უმცროსი ამ დროს წამოიხარდა. იმანაც მოინდომა სახელი მოეხვეჭა, ვაჟკაცებში ჩარიცხულიყო და სათარეშად ხადმე წასულიყო. დაფუშალე, არ დაიშალა. ვიფიქრე, ამ ბიჭს არაფერი მოეწიოს-თქო, ცოლიც შემომიხინდა, პატარაა, უწინამძღვრე, არ დაგველუპოსო. ვიფიქრე, მალე დერეფიშად მივდივარ, სამუდამოდ ვტოვებ ყველას და უკანასკნელად ხათრს არ ვაგვუტებ ამ ჩემ ჭირსა და ლხინში ერთგულ, უსიტყვო, მორჩილ მეუღლეს და უხიფათოდ დავეტოვებ შეილებს-თქო. ვაგვყვი.

ხუთი ვიყავით — მე და ოთხი ჩემი ვაჯიშვილი. სოფელში შესვლა ვერ ვაუბედეთ, ხანჯალი ყველას გვეკიდა, მაგრამ ცხენი საძირ გვეყავდა, თოფი ერთი გვქონდა და დამბახა ორი. ჩავსაფრდით. ცხენები ტყის სიღრმეში დავამით. ჩვენ კი გზის პირად ბუჩქებს ამოვეფარეთ. დიდხანს ვიცალეთ. გალატაკებული იყო ქვეყანა. მიმოსვლაც შემცირებული. ერთი დავარდნილი ძროხა ჩაგვივარდა ხელში. დავამით, ნეშოთი ვაგვამეთ, — ირგვლივ ნახანა-ნათესი აღარ იყო.

მეორე დღეს დაეინახე ახალგაზრდა ბიჭი. მხრებზე კომბალი გავდო, ზედ

ხელემა დაეწყო, მოდიინებდა და ჩქარის ნაბიჯით მოდიოდა. ჩიხა გომი-
ლი ჰქონდა, წელზე ვრძელი ხანჯალი ეკიდა.

არ მიამა რალა.

ქაღალბა

გომილი

ბიჭებმა მითხრეს, გადავბტეთ, დავიჭიროთ და წავიყვანოთო. მე ეუბრჩიე:
ფრთხილად ესროლეთ ფეხებში და მერე დაიჭირეთ თქო. მაგრამ არ დამი-
ჯერეს, ერთ კაცზე ტყვია რად გვინდა, სირცხვილიაო. მეც დავეთანხმე და
უშვროსს ბიჭს ეუთხარი: „აი დამბაჩა, როცა ყველანი ერთად მივევარდებით,
შენ დამბაჩა, ეგერ რომ მტერის ვროვია, იმას დაახალე, მტვერი ავარდება,
ჩვენ დავსტყვივლებთ, მგზავრს შეეშინდება და შეგვკოტოთ-თქო“. ერთმა ბიჭმა
თოკი გაიჩრა წელში. დავტყვივლეთ, გადავბტით, დამბაჩაც გავარდა და მტვე-
რი დააყენა... მეტი არა ვიცი რა. როცა გამოვერკვიე, თავზე ის მგზავრი მად-
გა დახოჭილი და ჩემივე მათარით წყალს მაწოდებდა. ოთხი ჩემი ვაჟი უსუ-
ლოდ იჯდო. მე თავში ძლიერ დაჭრილი ვიყავი. მანუევემა იმ ბიჭმა, ერთი
საყვედრიც არ უთქვამს. შვითხა, ეხლა რა ვინდა, საით წავიყვანოვო. რა
საბოლოო პირი მაქვს, შენი ტყვე ვარ და რაც ვინდა, ის მიყავით-თქო, —
გუბასუბე. ჯერ ის ბიჭები დასაფლავა, მთელი დღე თხრიდა საფლავს, ხანჯ-
ლით მეტი ვერ მოახერხა. შემდეგ იარაღი ააცალა ბიჭებს და ტანთსაცმე-
ლითა და წაღებით ჩაუშვა მიწაში. გაიგე, — წამოიყვირა ნაღვეკარმა, —
ისიც კი მისაბრა, თუ შეგიძლია თქვენებურად უყუროთ ამ ბიჭებს მი-
წაო! განვეციფრდი და ვადვირიე. ვკითხე, შენ იცი ვინა ვართ და როსთვის
დაგესხით თავსა-თქო? ვიცო, დიმილით მისასუბა, მაგრამ ეხლა რა გიყო,
ესენი მკედრები არიან და, შენ დაჭრილი, ხომ ეერ შეგკამათო. ვაყვაცს ასე-
დაც წაუვა საქმე და ისედაცო. თუ გინდა შენ წავიყვან, თუ გინდა საზღვარ-
ზე მიგაცილებ და მერე შენ იცი და შენმა ქვეყანამო, არა-თქო — უთხარი.
შენ მისასულელი პირი აღარ მაქვს, საბარბიელოც აღარაფერი დამჩენია,
შენ ბატონი ბრძანდებოდე, მე ყმად მივლუე, თუ რაშივე გამოგადგები-თქო.
ჩაფიჭრდა და მითხრა: მე, ძმაო, ჩემი თავის რჩენა მიჭირს, ისეც, აქ ბატონია
ქალი, დიდი ღვთისნიერი ვინმე, მივიყვან და შენ იცი და იმანო. ერთ ცხენ-
ზე მე შემსევა, ცხენის მუცელს ქვეშ ფეხები გამოჩრა, — დასუსტებული ვიყა-
ვი, — წელი კი ბაწრით უნაგაის კოტებზე მიამა, ერთ ცხენზე უდღეური
ჩემი, შვილების იარაღი შედგა, თვითონ მესამე ცხენზე შეჯდა და გამოგს-
წიეთ. მოვედით თქვენი ბების სასახლეში. იმ ბიჭმა თურმე, — თამაზ ჯიშ-
ყარიანი ჰქვიოდა, — ერთი ცხენი და ჩენი იარაღი კი წაიღო, თორემ სხვა
ორი შეკაზმული ცხენი და ჩემი იარაღი დასტოვა და წავიდა. მას მერმე
დავჩრჩ ბებია თქვენთან. რალა გიამბო. მოგესხენებათ, ნეტარსხენებულთიმ
კუთხის მასწავლებელიც იყო, მკურნალიც, მესაიდუმლეცა და მსაჯულიც.
მომარჩინა, ჯერ კურძელობა მომანდეს, მაგრამ ქალბატონის ვაჟიშვილები
სოფლად არ ბრძანდებოდენ, კურძეალს საქმე არაფერი ჰქონდა, და მე
უფრო მკურნალად ვიყავ. ქალბატონთან, ვიდრე კურძეალად. და აი ეს მი-
ლეთი ხალხი რომ მოდიოდა სასახლეში, ქალბატონი რომ მგზავნიდა სა-
ქართველოს ყოველის მხრით, ვისწავლე წერა-კითხვაც, წამლობაც, სამარ-
თლიანი განსჯაც, რა მექნა? ღვინის სმა არ მიყვარდა, მტერ-მოყვარე აღ-
რა მყავდა, მწუხარება ძილს მიფრთხობდა და დამამშვიდებლად მქონდა ნა-
ნახის აწონ-გაზომვა და ფიჭრი.

როცა მამათქვენი სოფლად ვადმოსახლდა და თვით მონდლობა სკოლისა და
ქსენონის მოწყობა, მე თქვენთან ვადმომგზავნა ბებია თქვენმა, თქვენ ბატა-

რა ბრძანდებოდათ. მაშინ, —ოჯახი, სკოლა, ქსენონი მე მეზარა... ქალბატონმა ერთხელ კიდევ მიბრძანა: „მე რომ არ ვიქნები, თუ დედას ვეხმარები“. მე ვგრე არ ვაგვადნიერებულვარ, მაგრამ რაც შემძლია, მე ქვეყანას არ დაუშოვავ არც გულს და არც სულს. მას შერე იმ ბიქს აღარ შევხვედრივარ, ან რად უნდოდა რომ შევხვედროდი, — დასაჯბლოვებლად მე არაფერი მაქვს — მე დერვიში ვარ სულით და გულით და ისე რჩევა და მკურნალობა სჭირდებოდა თუ არა, არ გამიგია. ათიოდე წლის წინად მხოლოდ თარეში დასხმია მათ სოფელს, ისიც მოუკლავთ და მისი დედაც. ისიც გაგიგე, შვილი დარჩენია თუ რომე პატარა და ეხლა კარგი ვაქაცვი დამდგარაო.

— და შერე რად არ წაბვალ და არ დააჯერებ თქვენებს რომ ეს თარეში და თავდასხმები ჩვენც გვლუბავს და მათაც.

— ქადაგი, ბატონიშვილო, რას ვააწყობს იქ, სადაც შიმშილი ჰკვივის. თანაც იქ უსათუოდ მე ქრისტიანად მთვლიან, ისე როგორც აქ, სანამ ვისმე არ დავკორდები, ლეკს მეძახის.

— ჩვენ ისევ აღადგენთ იმ ქსენონსაცა და იმ სკოლასაც, ნუ გეშინია, ჩემო მოხუცო.

— დიღია, ბატონიშვილო, მოთხოვნილება.

— ეხლა კი დამეზარე ამ საჭეში.

— მე დამაყენე შენს მაგიერ. მეფე, ადვილად შესაძლოა, დამეთანხმოს.

— შეიძლება, შეიძლება... არა მეფე უსათუოდ დათანხმდება — სახელი ისეთი გაქვს... მაგრამ რას მოვიგებთ?

— თქვენ ყოველგვარ პასუხისმგებლობიდან განთავისუფლდებით.

— ის საწყალი, ვინც უნდა ჩაიკიროს?

— სამეფონი და ქვეყნები ეცემიან, ზღვები ზრებიან და მთები ირღვევიან — ერთი კაციც თავს შესწირავს — ბედია მისი, ჩვენ რას ვუზამთ?!



„ერთბერანგიანის“ მაძიებელთ უკვე მოერათ ნაწევარი ქვეყანა. ბევრი ენახათ ერთბერანგიანიც, სრულიად უბერანგოც, მაგრამ ბირობას რომ შეჭმერებოდა. ისეთი არავინ იყო. ზოგი სიღარიბისაგან საპყარად გამზდარიყო, მათხოვრობდა, სიცოცხლეს მაინც დიდად აფასებდა და მსხვერპლად თავის შეწირვის წინადადებაზე უკმეხად უპასუხებდა: „მე რა მომცა ამ ქვეყანამ, რომ მის სანაცვლოდ ცოცხლად თავი დავიმარხოვ“. ზოგი მეტიჩრობით ამბობდა: „დავიმარხები ცოცხლად, თუ ჩემი სახელობის მონასტერს ააშენებთო“. უფრო ხშირად კი ამბობდნენ: „ვისაც ეს ქვეყანა ანებებდეს, ვინც ოქროვერცხლში სცურავს, მან გამოიმეტოს თავი, სამაგიერო მიუზლოს მეფეს და ქვეყანასო“.

საბლთუხუცესი თავის გამარჯვებას ზეიმობდა და ნალეკარსა და ედიშერს შებრალებით ეუბნებოდა:

„აბა ასეთი გმირი, ქვეყნისთვის ზვარაკად თავის გამწირველი და ისიც „ერთბერანგიანი“ ვის გაუგონია?! დიმიტრი თავდადებული, დავით და კონსტანტინე, შალვა და ბიძინა, ჩვენს შორის ვთქვით, გულაბდილად, — თუ მართალია, რომ ეწამენ, — მეფენი იყვნენ და მთავრები და მათაც უკანასკნელ წამამდე მცირე იმედი მაინც რჩებოდათ, განსაცდელს გადავრჩებითო. ასე

შიშველად კი თავის ჩაქირვა, ზღაპარში თუ არა. სინამდვილეში მე არ მსმენია. ეტყობა, მოგვიხდებია ვისიმე არჩევა და ძალით ჩაქირვა, ასეთი ერთობა, ოსტატი იქნება უი, თუ ის პატარა გოგონა, ჯამბაზს რომ თან მსვლდნენ!

ედიშერი ხმას არ იღებდა, და რაც დრო გადიოდა, მით უფრო სასოწარ-კეთილი და ჩაფიჭრებული თან სდევდა სხვებს.

მხოლოდ ნალექარი არ ცხრებოდა და ერთ მხარეში რომ ვერ პოულობდნენ, მეორეში მიაჩქარებდა თანამგზავრთ:

— არ შეიძლება საქართველო ისე გადაგვარებულიყოს, ღარიბთა შორისაც სიკვდილამდე თავდადებული ვაეკაცები არ ჰყავდესო, მხოლოდ ჩვენ არ ვიცით ძებნა, ვერც ვეუბნებით ნამდვილ სიტყვას, არ გვეძრის მათი პასუხი, არ გვიჯერებენ, ჩვენი არ სწამთ, თორემ ვინც შეგვხვდა, ალბათ მათ შორისაც იყო ისეთი, ვისაც ეგრე უბერხულად ვეძებდითო.

მღვერად გაქრამ და ტაკიმასხარასთან კიდილმა დიდად შეუღახა ზურაბს ტანთსაცმელი. ჭუდი და ცალი ქალამანი დაკარგოდა, ჩოხა კალთაზე გახეოდა, პერანგის სახელოები განთავისუფლებული ქალის კრილოზის შესახვევად თვით მოეხია.

აქაც დედამ უშველა. ჩოხის განახევი ისე ამოუხვია, მობეგვა და გაგლისა ტახის ეშვით, რომ ნაქერიც აღარ ემჩნერდა. ქალამნად ლოგინზე გაფენილი დათვის ძველი ტყავი მისცა, გამოქერიო; პერანგი, შეიღის ნამალევედ, საჭუთარი კაბის ამონაჭრებით შეაკეთა.

ებლა სალომე შეკეთებულ პერანგს უკვე მესამეჯერ რეცხდა. წილზევით ტიტველი ზურაბი ნაჯახს ლესდა. როცა ეზოში ჩამოსძახეს „მასპინძლო, გამოგვხედო“, ზურაბს ეგონა, ჩემდა დასაქერად მოდიანო და ხანჯალს დასტაცა ზელი, მაგრამ მაშინვე კუთხეში მიდგა, როცა დამამშვიდებელი სიტყვები, — „სამტროდ არ მოვდივართ“, გაიგონა.

კარი სალომემ გააღო.

— ის ბიჭი რად შემალეხა? უდროო დროა, ვიცი, მაგრამ ნაპატიეთ.

— თქვენ გვაპატიეთ, პერანგს ურეცხდი და რცხენია.

— მეორეს ვერ ჩაიკვამს?

დედაკაცი შეუყოყმანდა და არაფერი უპასუხა.

— ეს თედო ჯიშკარიანის ოჯახია, სომ?

— დიახ, ბატონო. — უპასუხა სალომემ.

— თქვენ ხომ გაგიგონიათ თედომ რომ ლეკები დახოცა და ერთი ტყვედ გამოიყვანა.

— სხვებისაგან ცოტა რამ, ბატონო, — განსვენებულს არ უყვარდა ლაპარაკი.

— მე ის ლეკი ვარ, — უთხრა ქალს და გულში გაიფიქრა, — რაღა მაინც და მაინც, ვინც მე გადამარჩინა, მისი შვილი ჩემის სიტყვით უნდა შეეწიროს მსხვერპლად. იქნებ ამით ეუბდი მაღლს? — საუკუნო მაღლობა და სახელი ბეღება წილად. გამოოცნობო, მიმიძებ წინ!

— მეფემ გამოგვეზავნა, ქვეყნის მოსაღვლეად, და ჩეც აქ შემოვიარე, მენება განსვენებულის ოჯახი...

სალომეს ტანმა რაღაც უფრინო, მოსულმა მიმოიხედა და ტანზე ჩამოჯდა.

— უი, თვალი კი დამეცო, დაჯდომაც ვერ შეგთავაზებინებო...
 — არაფერია, დაო, აქ ახლოს კარავს გვიმზადებენ... დიდებულებიც არიან... შენ, შვილო, რისი მოხელე ხარ? ვბედავ წერაქვა და წალკატო გოგდა...

— ქვის მთლელი ვარ... მაგრამ რა ქვის მთლელი, როცა იაჩალი არ მივარგა და გაკეთებაც კი არსად შეიძლება.

— რატომ?

— დამიცვდა იაჩალი, მოფლადება სჭირდება და ფოლადი ვერ ვიშოვე.

— ფოლადს შე გიშოვნე, შვილო, ოღონდ დიდი გზას მოვლა დაგჭირდება. მობი ედიშერ აბჯანდაძის სასახლეში და მოვცემ.

— დიდი ხელის ვაწყობა კი იქნება, მაგრამ როგორ შეგაწყობოთ? ფოლადი ვერ შევირია ახლა!

— ამით მაინც გადაეუბდი მამაშენს.

— რათ მობოძანებულხაროთ ამ ჩვენ მიყრუებულ მხარეში? — ვერ მოითმინა სალომემ და შეეკითხა.

— შეფემ დავგავალა ციხის აშენება, საჭიროა ერთი კაცი, რომელიც თავის თავს ჩაიკირავს საძირკველში.

— უი, — შეჰკვივლა ქალმა, — ვინ იხამს მაგას, ვინ გამოიმეტებს თავს?!

— იქნება ვინმე, უსათუოდ. თუ ომში მიდიან და წამებას იტანენ ათასებო, ერთი და ორი ასეთ მსხვერპლსაც ვაიღებს, რომ ქვეყანას უშველოს...

— მერე ქვეყანას რით უნდა არგოს ვისიმე საძირკველში ჩაიკირებო?

— მაგას არგებს, ხალხს ასე სწამს, ძველ კაცებს ოდესღაც ასე უთათბირნიათ.

— ეს წყველი ციხეც რაღად გვინდა, თუ შიგ ჩაიკირებით? — დაბნეულად დაიწყო სალომემ.

— აი, დაო, რომ მუდამ თარეშია, — თქვენი ქმარი შე მომერია, მაგრამ შემდეგ მაინც ომში დაიღება. ხალხი ვერ მიდი-მოდის, ვერც ყიდულობს, ვერც ჰყიდის, არ იცვია და არ ახურავს — ყველა ეს შიშინაობის ბრალია... ციხე ავაზაკთა და მეგობრეთა, შემოსეულ მტერთა და მოღალატეთა ასალავნავად არის საჭირო... ტყუილა ხომ არ უშენებიათ ჩვენს ძველებს ყოველ კუთხეში ციხე და სამაგრე... და ამ ციხეებს ყველას თამარისა და დავითის სახელი აქვს, როცა ვერც მტერი გვეჯაბნიდა და ვერც ავაზაკი ქაჩანობდა.

— დამშვიდდება კი ქვეყანა ციხეები რომ აშენდეს? — შეეკითხა ზურაბი.

— მარტო ციხის აშენება არ კმარა ქვეყნის დასამშვიდებლად... მაგრამ თავშესაფარი ციხე თუ არ გვექნება, არ შეიძლება მყუდრო, მშვიდი მუშაობა.

— და კაცის ჩაიკირვა აუცილებელია? — ისევ შეეკითხა ზურაბი.

— აი ორჯერ ააშენეს და ჩამოიჭტა...

— რომ ჩაეკიროს ვინმე, კედლები აღარ ჩამოიჭტება?

— ძველებს, შვილო, ვერ უთქვამთ და მეც ძველების მჯერა.

— კაცი რომ ჩაეკიროს და კედლები მაინც ჩამოინგრეს? — უცბად შეეკითხა სალომე თავის შვილს. შვილმა ნალეკარს შეხედა, თითქოს ეკუნებოდა, ამაზე რას იტყვიო.

— რამდენჯერ მოხდება, რომ ომში კაცი თავს გაიმეტებს ამხანაგის ვადა-

სარჩენად, მაგრამ ვერ გადაარჩენს და თითონაც დაიღუპება. ოღონდ, ხალხის რწმენა, ასე, მცდარი არ იქნება.



ნალეკარი ადგა.

— შვიდობით ბრძანდებოდეთ. მიხარის, რომ ღირსეულ ვაჟაკს ღირსეული ოჯახი დარჩენია.

ზურაბი გაჰყვია, ღამეში გზას ნელა იკვლევდენ. უცერად ზურაბი შეჩერდა და ნალეკარს მიმართა:

— მამა ჩემი ჩაეკირებოდა?

ნალეკარიც შეჩერდა და კარგა ხნის დუმისის შემდეგ უპასუხა:

— შგონი კია... იმდენად კეთილშობილი იყო და თავდადებული... იმ ომშიაც ხომ ბავშვის გადაარჩენას შეეკლა თავი.



ღამე დედა-შვილს არ სძინებიათ. დედას რაღაც აწუხებდა; თანაც ეშინოდა, არ უნდოდა აზრი დალაგებოდა და მწუხარების საგანი გამოერკვია. ბორჯავა და ისე, თითქოს უმიზეზოდ.

ზურაბი კი ფიქრობდა ერთს და იმავეს. ხან უკანასკნელი თარეშის დროს დაჭრილი პატარა გოგო მოაგონებოდა, ხან დაჭრილი ჯამბაზი და ტაკი-მასხარა, ხან მამა და ხან საყოველთაო გაქორცვა, შიში და უიმედობა.

— თუ ყველაღერს მოელება ბოლო, თუ ქვეყანა დამშვიდდება და ეს აწიოკება, ტყვევანა და კელა მოისაობა, რა იქნება თავი რომ გავწირო?

მეორე დღეს ისე ადრე, რომ ქანცამოღებული დედა ჯერ კიდევ იწვა ძვალდაზუტული, ზურაბი ნალეკართან მივიდა; ნალეკარი კარავს გარეთ მარტო მოწყობილიყო და ზურაბი ცალკე, საიდუმლოდ ეთათბირა მას:

— მეფე რომ ჩვენსავე ხალხს აბატობრებს, ჩვენი მტრის „ხელმწიფის ფერბთა მტერის“ ეძახის თავს. არ გვზოგავს... თუ მასვე ექნება ციხე, უფრო არ გაზვიადდება და უფრო არ დაგვიზარავს?

— დროებით... ვარეშე მტრის მაინც მოვიშორებთ... მეფეს ჩვენვე გავუწვრდებით. დამშვიდებული ქვეყანა გასწორდება წელში, მოიცემს ძალას და მეფესაც თავის ადგილს უჩვენებს.

— კარგი, ბატონო, თუ ქვეყანას...

— კაცი შენ ყოფილხარ, შვილო, და ქუდი შენ გხურებია, — მიძახა ნალეკარმა.

მოგვიანებით, ნალეკარმა დიდებულებთან შეიყვანა ზურაბი და დედამისი სალომე, რომელსაც მოერბინა და ეხლა გონებადაკარგული, გამოლენჩებული დასდევდა შვილს და ეუბნებოდა:

— რას შეეხა, შვილო?

— მეფე არ დავაკლებს წყალობას. — შენიშნა დინჯად სახლოთხუცესმა.

— რა შეე ქველ შინდა ზურაბის დამკარგავს ან მეფე და ან მისი წყალობა! — ჩაიფურჩუნა დედამ.

— ქვეყანა არ დაივიწყებს შენს ამაგს — სასოწარკვეთილად უთბრა ედი-შერმა, რომ რაზე ეთქვა და თვითონვე არ მოეწონა ნათქვამი.

სოფელმა მაშინვე გაიგო, რაც ხდებოდა ჯიშკარიანების ქონში; დიდ-კაცების კარებს მოაწყდა ცნობისმოყვარე ხალხი და მიესია ზურაბის ეზოს. ავადმყოფნიც ჯი ადგნენ და მოაშურეს.

— უი, თვალი კი დაჰიდგეს!

— რას შევბა, რამ ვაღარაია?

ბებერი დედაკაცი დაფუსფუსებდა და ხალხს ეუბნებოდა.

— ნუ დალეწით ღობე, ნუ მომიჯგვეთ ბოტანი, ნუ აალადეთ თვალი.

— რათ უნდა ბოსტანი ჩაქირულს?

— ეს ღმერთმა იცას, იგი უშველან.

— თვითონ თავს იკლავს, ლა ღმერთი რას გაუკეთებს?

სოფლიდან ცაიძენ, წინ ბავშვები უბოღ მირბოდნენ და უკან ახედებოდნენ, მგზავრებს ქალებიც მისდევდნენ; მათ უკან ნაჯახიანი მამაკაცები მიჰყვებოდნენ, ბოლოს გადაყრუებული ბებრებიც მიჩანჩალებდნენ ყავარჯენს დაყრდნობათ.

მგზავრებს წინ უსწრებდა ხმა: „ჩასაკირავი კაცი მოჰყავთო“. ზოგი ამბობდა, შეკრულიო, ზოგი ფიქრობდა, ოქროს ტანტზე დაუსვამთ და რა შეებით ეზიდებიანო.

— ეს მშვენიერი ბიჭი რომ ჩამოიჩინეული მიგყავთ, ცოდო არ არის? — ჩაილაპარაკა ვიღაც ქალმა და თვალი გააყოლა.

— მართლა, ჩაგვეცმია რამე, მეფეს როგორ მიეუყვანოთ ასე ძონძებში გახვეული?

— არჩეული ღარიბი უნდა იყოსო...

— სანამ თავს შესწირავს, ერთი ლაღად გავლა მაინც ეადირსოთ!

ჭიშკარზე მდგომი ქალი შეეკარა სახლში და სიძისათვის ნაქსოვი, ნაქარგი აბრეშუმის წინდები მიაწოდა.

მეორე ქალმა მას შიბაძა და პაჭაქები გამოუძებნა.

— ასეთ წინდა-პაჭაქებს კარგი წულა-მესტიც უნდაო! — წამოიძახა ვიღაც ბიჭმა, თვითონ გაიხადა და მისცა.

— კაცი ეს ყოფილა და ქული ამას უნდა ეხუროს... შენ რათ გინდა, შეგლახა! — ქალმა ქმარს გადაადრო ბოხობი და ზურაბს დაახურა.

და ასე შემოსეს და შეამკეს სამსხვერპლოდ მიმავალი ბიჭი ტანით, ფეხით.

— ვაიმე, რამდენი რამ მიაქვთ, გამდიდრდა კაცი, რათ უნდა ამდენი? — წამოიძახა იქვე ხალხში გარეულმა, თავისი მუღმივი კოლოფით ზურგზე, — შალომა ციციაშვილმა.

— შენ არაფერს მიაართმევ?

— საწყალ ებრაელს რა აქვს, რომ მიაართვას? — კითხვითვე უპასუხა შალომამ.

— შენთვის ყველაზე უფრო საჭიროა ციხე და უშიშრობა, თორემ ამ შენს საწერილმანოს მოთარეშენიც კარგათ გამოიყენებენ და შენ და შენს შვილს სტამბოლში ამოგაყოფინებენ თავს.

— ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს! შენ თუ მშვიდათ იცხოვრებ, მე ვერ ვიცხოვრებ მშვიდათ?

მობაასემ ხელი ჩაიწია.

შალომამ კოლოფი გაიხსნა, დადგა, დიდხანს ეძება, ხან ერთი ამოიღო,

ხაა ზორე, შემდეგ ცხვირსახოცი ვაშალა, რომელზედაც წრუწუნაა კლთხე მოედრღნა, დაეწია ზურაბს და ხელში ჩაუდგა.

— სიმწრის ოფლი მოიწმინდე — წმინდა ტილოა...

სოფელ კაენოვარში ღამე უნდა გაეთიათ, ბანაჯი ვაიზარდა. ხალხი ბობოჭრობდა.

— ეპ, შვილო, ვაჟი არ მალირსა ღმერთმა და შენზე უკეთესს ვის მივცემ, — და ვილაც მოხუცმა ლეკური ჩამოკიდა, — შენთან დაიმარხოს, ალალია!

ახალგაზრდა ქალმა ცხენი მიართვა:

— იარე სახელოვნად!

გზა აღარ სჩანდა და ლელვასავით მიგორავდა თვალუწვდენელი ზალხის გროვა.

სოფელ ნასილაეში თავმა კაცმა დაუყვირა სოფელს, ხელცარიელი ნუ წამოხვალთ, ბარემ სილაც წამოიღეთო.

ზურაბი ვედარ მიჰყვებოდა კარის კაცებს, — ისინი ზალხმა გათიშა და ამაღად გაჰხადა.

სოფელ საკირალში ედიშერს მთელი მოსახლეობა შემოესია.

— კირი ხომ საჭირო იქნება? — შეეკითხა სოფელი.

— დიახ!

— როდის იქნება ჩაკირვა? — დაეკითხა ქალიშვილი.

— მალე.

— ბარემ იცოცხლერ, სანამ არ მოთავდება ციხე.

— მართალი ხართ, ასე მოვიქცევით.

— მამ კირს გამოეწვავთ.

— კარგს იზამთ.

და ზალხმა თავის ოსტატებს მიანდო დაეწყოთ კარის წვა.



ბალავერი ამოყვანილი იყო. კედელს ორის მხრიდან აშენებდნენ და ეხლანაწილები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ.

დადგა წამი!

— აბა, ზურაბ, მობრძანდი! — მიმართა ზუროთმოძღვარმა.

ბიჭი შეკრთა, დედას ხელსა და მკლავებზე ერთხელ კიდევ გადუსვა ხელი და ნაძალადევის ნაბიჯით, აჯაბაჯა მივიდა, ბალავერზე შედგა, შემობრუნდა, დაუგა და გულზე დაიკრიფა ხელები.

— შენის ნებით მიდიხარ ხომ, ჩასაკირაეად? — შეეკითხა ბერს.

— ჩემის ნებით, — ყრუდ, მაგრამ გარკვევით უპასუხა ბიჭმა.

— ვაი უბედურ დედა-შენს! — სთქვა ვილაც ქალმა.

— შეკრთა, — გადუფუქუნა ახალგაზრდამ ამბანაგს.

— შეკრთები, — უპასუხა მეორემ, — კოჭის თამაში კი არ არის!

დედაც წამოდგა და კედელს მიეყრდნო ხელებით.

კალატოზები ცდალობდნენ სასწრაფოდ აიწყოთ ქვა, გადაესვით დულა-

ბი, მაგრამ ქაფმა უნებურად ვრიდებოდა ადამიანს შეხებოდა, ისტატიებს სიმარდე აკლდებოდათ, ზედ-მეტად ფაცურობდნენ.

— ღმერთო ჩემო, რა ამბავა?!
 არქონენული
 გიგანტიური

— არის კი ღმერთი?! თუ ღმერთი იყოს, ამდენ საცოდობას როგორ უყურებს გულხელდაკრეფილი?! მოუშვას ერთი ცეცხლის წვიმა და კუბრის ნიაღვარი!

— ვიღაც დამშეული ყოფილა და განაწამებ სიცოცხლეს, სიკვდილი არჩია — უღარდელად შენიშნა ვიღაც დიდებულმა კარის კაცთა წრეში.

— არა, ბატონო, თუ სიკვდილი ნდომებოდეს, უფრო ემტყვივნეულო საშუალებას მიმართავდა. ზოგიერთი ენოსავეთ მუდამ თავისკენ შიითლის, რააც სამშობლო უხვად აწვდის, და ერთხელაც არ იკეთხავა, თუ რითა არგოს ქვეყანას. ზოგიერთისათვის კი, როგორც ამ ყმაწვილისთვის, სამშობლო არაფერს იმეტებს, მაგრამ თავს სწირავენ შაინც. ამიტომაც არის ყველაზე უანგარო და მამასადასუე, ყველაზე უფრო თაყვანსაცემი მღაბიოთა და ღარიბთა სიყვარული სამშობლოსადმი, — მკვახედ უბასუხა ელიშერმა.

— შეილო ზურაბ, სადამდის? — ჩაიკენესა დედამ.

— მუხლამდის, დედა! — უბასუხა ბიჭმა.

სალომე ქვამე ჩამომჯდარიყო, თავი კედელზე მიეკრდნო, არც ტართდა, არც ხმას იღებდა, არც თრთოდა, მაგრამ გადახრილ წელზე ტანისამოსის ნაოჭებში იმდენი ტანჯვა გამოახატებოდა, რომ ედიშერი თვალებს ვერ ამორებდა; მთელი სხეულით თრთოდა, სახე გაუფითრდა, გამშრალი უბეებიდან გადმოსული თვალებით სურათის ყოველ მოძრაობას იკრებდა.

— შეილო ზურაბ, სადამდის? — კადევ, თითქოს თავისთვის, წარმოსთქვა დედამ.

— მკერდამდის, დედი! — დახშული ხმით უბასუხა ზურაბმა.

— ასეთი არც ციხე მინდა და არც ტახტი! — წამოცდა ვიღაც მანდილოსანს.

— ამის ყურებას, მე წამიყვანონ ტყვედ, არა სჯობია?! — წამოიძახა მოურიდებლად ვიღაც ბიჭმა.

მოხუცები თავს აქვენდნენ, ქალები თვალს ხრიდნენ. უკანასკნელ წამში დაიკენები მოემზადნენ სულთათნას საგალობლად.

— შეილო ზურაბ, სადამდის? — ძლივს ჩაიკენესა დედამ.

— ვაჰე დედა პერ... — სიტყვა არ გაეთაყვებია ზურაბს, რომ მოიხმა გამყინავი ხმის მთელის ძალით ყვირილი:

— გაჩერდიო ხალხო! რას შვებით, რამ გადაგრიოთ?

კალაჯოები გაშეშდნენ, დედა შემობრუნდა და გაქვავდა. სინამდვილე დაწვა სულიერსა და უსულოს.

დიდი ხუროთმოძღვარი, რომელიც ამ არეულობის დროს ჯამბაზსა და ღარაჯებს ამოეყვანათ, საპატიმროს კოშკიდან ყვიროდა:

— ვინც თქვენთვის თავს სდებს, მის ჰქოლავთ? ძველს თქმულსა ან რად ჰქონდა, უძველია, გამოცეცადა, — არის თუ არა ქვეყნიისათვის უხადველად უბული, თორემ ნამდვილი ჩაჯირვია ვის სჭირდება? ეს გადართმის სხამს ვიწყა კიდევ ხალხმა, როგორც ველური, და ახლა გინდათ ისევ აღადგინოთ? ხომ დამტკიცდა, რომ კიდევ არის თავგანწირული ხალხი... მისმა მაგალითმა თქვენც აღფრთოვანათ, შეხედეთ, როგორ აღიმართა ციხე... ზურაბის თავდადებამდე განა ასე გულმოდგინეთ მუშაობდით?!

— ვინ ბედავს ამას? დაიჭირეთ! დაქარით მაგას — ბრძანა შეფემ, მაგრამ მისი ხმა ახლა ჩაახშო ნალეკარის მშვიდმა სიტყვებმა:

— ეს შე ვთქვი, რომ კედელში ჩაეტანებინათ კაცი. ახლა ამეხსნა თვალი. თუ ქვეყანას ჰყავს ერთი უარაო, რომელიც თავის-თავს შესწირავს — იმ ქვეყნის ციხეც ურყევია და ხალხიც უძლევი. ამა კალატოზებო, ხალხო, სწრაფად გავინათვისუფლოთ...

ახლა მართლაც ცეცხლი მოიკიდა ხელზე ყველამ: ქალებმა, კალატოზებმა, დიდებმა და ბავშვებმა — გადაყარეს ქეები, აფხიკეს კირ-ღუღაბი და ქანცვაპოლუელი, ფერწასული და მძიმედ მსუნთქავი ზურაბი ზე ასწიეს.

დედა გაშტერებული იძახდა მხოლოდ:

— რა მოხდა, ვის აქორწინებენ?! გამიშვიო, მეც უნდა დავესწრო!

არც მისი ეპოდა ერს.

წუფის მცველები დაიძრნენ, ხალხს შუბები მიუღერეს, და მაშინ კი ვიღამაც დაიძახა:

— პირიქით დაქარით მაგათ.

— ცოცხლებს მარხავენ ეგ ურჯულონი! — დაუმოწმა მეორემ.

— არ გვანდა შეფე!

— ბენედიქტე ხუროთმოძღვარმა განაგოს.

— ზურაბი იყოს წინამძღოლი.

— ეღიშერმა მოჰკიდოს საქმეს ხელი.

ვიღამაც ქვა ისროლა, ქვეს ისარი მოჰყვა; ისრას დანახვაზე ხალხი მიაწვა ჯარს გულ-მეგრდით; საღდაც კომბალი გამოჩნდა, იქ წალკატმა გაიპრიალა.

შეფემ და სეფე-წულეებმა სასახლეა მიიშლრეს, ამაღამაც იბრუნა ბირა.

აქ დაიკვნესა დაჭრილმა; იქ აქეღდა ქალი: „შვილი მომიკლესო“. ვიღაც ბეჭერმა ნაჯახი მიაწოდა ზურაბს და თითქოს უბრძანა:

— დაიქო, შენ ხარ წინამძღოლი, დაქარაი, ვინც წინ დაგიდგეს, თვით მოუს.

სასახლის ფანჯრიდან გადმოდგა ეღიშერა და დაიძახა:

— უძლეველო ერთ, შენ ხარ ურყევი ციხე! მიფე გაიქცა, ჯარისა და კარისკაცთაგანაც შიტოვებულნი... იყოს ღრობით გამგებლად ბენედიქტე ხუროთმოძღვარა; შენი ღვიძლი შვილი მშვიდი და თამამი, თავდადებული და თავმდაბალი, მცოდნე და შემეგრძნობი, მტკიცე და სამართლიანი.

— გაგვიძლევს, გაგვიძლევს!



ერქუნი

ნიკოლოზ მუხრანძე

ეხლა ციხის მხოლოდ მცირე ნაწილებიღა დარჩენილნი, ხალხს შარსს
სჯერა, რომ მხოლოდ მათ ძირში აქვს თავდასაცველი.

ხალხი ფიტულობს: მართალია, იშვიათად, მაგრამ უკუნეთ ღამეში ზოგ-
ჯერ მოისმის სიმთა ქღერა და იგია ხმა იმ უცნაური ჩანვისათ.

მთვარიან ღამეში, თუ ვინმე მიაჩერდება მანგრევის სამრეკლოს გუმბაჯს,
ყოველთვის დაინახავს თმანუქუქა ბიჭს, რომელიც თოჯზე მიცოცავს, რომ
ზარის ენა დაარზიოსო.

და თავის თავს ხალხი ეხლაც ეძახის უძღვეს და თავის ციხეს— ურყევს.
მოდო და გადააჯერე!

1941 — 1944 წ.

(დასასრული)

ალიო მასაზვილი

გრიგალი

ნასტომი მზისკენ

ჯადოქარად აფრენილი, ბედთან შეურთვალე,
მზისკენ, უკვდავ სიციცხლისკენ მიმაქროლებს გრიგალი.

იგი ზღვიდან ამოვარდა — მზისკენ ცეცხლის ნასტომით,
იგი მიწის გულისთქმაა — ოხვრად ამონახლოში.

იგი ჩემი სუნთქვა არის, ელვარება სულისა,
ზღვა-ფიქრების მღელვარება, საზღვარს გადასულისა.

უგზო-უკვლოდ გიყურ ღტოლვას ვეღარ გადავაჯერე, —
მიპქრის, ელვის აღვირსა სწყვეტს, გრიგალს ვეღარ ვაჩერებ.

ხან დაღმართში დაეშვება, — აჟა, ყალყზე აღდება,
ხან მთას გრგვინვით გადაუელის, ხან ზღვას გადაახტება.

ძირს, უსაზღვრო უფსკრულებში, დგას ღრუბლების უკენი,
იქ ბუნების სიმღერაა ჩანჩქერების გუგუნი.

გზაზე, ჯგუფად მიშავალი, მცენარენი მხედებიან,
თვალს ფოთლებით იჩრდილებენ, დინჯად მესაღმებთან.

მიპქრის, არსად აღარ დგება, არ იღლება წყურვილით,
მიმაქროლებს მაღლა-მაღლა, მეც ვიზრდები სურვილით.

და შევსცქერი შშობლიურ ცას, მესმის ყივილ-ხივილი,
უფრო შილოს, უფრო ნათლად მოსჩანს ქვეყნის ღიმილი.

ტერფს რომ ვადებ ცისარტყელს მწვევს ფერების ნაკადი,
ზეცის ნათელ გუმბათამდე აღწევს ჩემი ღლაღი.

და გრიგალი მიპქრის, მიპქრის გრავალით და ზარითა,
მიზანს ვეძებ, აღმურვილი ჩანგის მშვილდ-ისარითა.

ცას წედებიან სტრიქონები, შურდულს მისდევს შურდული,
შემდეგ დაბლა ეშვებიან ქრიაშვლით, ეღურტულით.

საზღვარს გავსცდი და გრიგალმაც ელვის კვალი დასტოვა,
უკან მომსდევს და მომძახის ჩემი ახალგაზრდობა.

სად დაემორღოთ — აღარ მახსოვს, მხოლოდ ქექა-ქეხილით,
მახსოვს, წვიმა დაგვეწია, ჩვენც დაემორღოთ წუხილით.



რა შორი გზა გამავლია, სად მოვსულვარ მისანი,
დამივლია დედამიწა, მაინც არ სჩანს მიზანი.

იქნებ ფუჭი ოცნებაა ეს უსაზღვრო ტენება,
ეს უძილო დაღამება, ეს უძილო თენება!

იქნებ მზემიც არ მიმიღოს, ახლოს არ გამიკაროს,
ფრთა სხივებით დამილეწოს, დამწვევს, როგორც იკაროს!

იქნებ ბედმაც მილაღატოს, ხელი მკრას და გამწიროს,
გრივალს მოვსწყუდე ცდომილივით და უფსკრულმა ჩამძიროს.

• იქ სიკვდილმა მაინც მნახოს და ცბიერი თაყვანით
გამიღიშოს, ფრთა შემახოს, დამირწიოს აკვანი.

დამაძინოს, დამაფაროს თაღზისფერი ქაოსი,
არასოდეს არ მეღიბოსო ხილვა სააქაოსი!..

არა! მე რომ სიცოცხლე მსურს, ტკეპანბელი, უკვდავი,
სიკვდილი მძულს, შიღონებს გულს დამე სულთამბუთავი.

შზასკენ მიდის, მხოლოდ შზისკენ გზა გრივალთ ნათელი,
შზის უშრეტი ნაწილია, ალბათ, სულის ნათელი...

ჯადოქარად მოვარდნილი, ბედთან შეურიგალი, —
საგვ შზასკენ, სიცოცხლისკენ მიბჭრის ჩემი გრივალი.

გრიგოლ აბაშიძე

დექსები ნიკნიდან „დროშები“

1. ხილვა არმაზზე

ამ მთაზე შენი ხილვის იმედით
ამომართინა წამით არწივმა,
ცაში ვეკიდე, ვით პანიმელი
და მომარწევდა ოჭროს ქარწვიმა.


შენი ჩვენება, თუ შენი ჩრდილი,
შვის სხივზე უფრო ფრთამალი მსდევდა,
დაეეშვი, დაღლილს მწყუროდა ძილი,
არ მაძინებდა არმაზის სევდა.

გამწირულივით არწივი ჰყვებდა,
მე ვეგდე კლანჭქვეშ მხრებდაბლუჯული,
მიწის ძვრას გაედა ზრიალი კერპთა,
ნიავის ქროლვას ნინოს ჩურჩული.

და რაი რწმინა, როგორც ორა მზე,
შენს რწმენას კიდევ შიათკეცებდა.
იქ, საქართველოს ღმერთთა ოლამზე
ჩემი გულისთქმა შენ დაგეებდა.

ვგრძნობდი ღღონო, ცეცხლის სვეტები
მსხვერპლად შეწირულს, როგორ მედება,
ვიფერფლებოდი შენი ვედრებით,
შენ არ გესმოდა ჩემი ვედრება.

და როცა ცეცხლი დავრჩი მცირედი,
შენს კრპთან მსურდა ლოცვის მოსწრება...
ცაში ვეკიდე ვით პანიმელი
და მიმართუნდა შენზე ოცნება.



აფროდიტე ქართულ პანთეონში



„...მან მოიყვანა ცოლი ზეოქონთა თუ-
ლი ლოლოთეთისა, სახელით სეფელია. და
მან მოიტანა თანა ცერაძი, სახელით აფრო-
დიტოს და აღმართა თავსა მცხეთისასა“.
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

1

ამო და მშვიდი იყო ამინდი,
სახლნი ბაღნარში მომწყვდეულები,
შუქმოდებულნი ქართულ კრამიტით
პყვაოდენ როგორც ბროწეულება.

ხეობას მტკვარი მოსდევდა ზანტად,
არაგვი სწრაფად, როგორც შურდული,
აშლილი ფუტკრის სკასავეთ სჩანდა
მცხეთა გალაგნებ შემოზღულდული.

და აკვირებდა ალბად კიპრიდას
გრგვინვა, ჰეჭა და ქუზილი მეხთა,
როცა არმაზის მაღალ კიბიდან
ქართველთა ღმერთებს პირისპირ შეხვდა.

დაყუდებულებს მთაზე კლდებად,
ენტოთ ცეცხლი და მსხვერპლი ელაგათ,
სპილენძის კაცი იდგა ვეება
და ოქრო ეცვა ჯაჭვის პერანგად.

თვალეზი ზურგით ესხა საოცარს,
მზე დახურვოდა თავზე ზარადად,
ელვის ხმლით ადგა თავზე სალოცავს
და მრისხანებით მნახველს ზარაედა.

მარცხნივ და მარჯვნივ ცეცხლის თავება
ღმერთები იდგენ გაიმ და გაცი,
ძველთა ქართველთა ორი ღვთაება,
ორი ბრწყინვალე ლითონის კაცი.

ბოლავდა ყველგან; ყველა მადლობთან
სამსხვერპლო ყრმათა სისხლდასადენი,
აქ, თვით არმაზი მხესთან სახლობდა,
იქ შედაზენზე იდგა ზადენი.

და ქალღმერთს ფეხქვეშ ემხო მთაბარი,
ყველგან გასცქერდა, როგორც ავგური,
იყო ზმანება, იყო ზღაპარი,
საქართველოში ღმერთთა სადგური...



2

და ეთაყვანენ ალბად კიბრიდას
კერპები, მსგავსნი ლომთა და ვეფხვთა,
როცა არმაზის მაღალ კიბიდან
ქართველთა ღმერთებს პირისპირ შეხვდა.

ბუმბერაზთ გავდენ ღმერთნი იბერთა,
ზუნებაც იყო ბუმბერაზული,
ამოირბინა მწყობრი კიბეთა
და ძირს დაეცა მუხლზე ასული.

ბერძენთა მეფის ნაზი ასული,
ახლა დედოფლად ქართლში ხმობილი,
ახლა ქართულად ნაწნავდაწნული,
ფეხს უკოცნიდა ძირს დამხობილი.

მხურვალე იყო ვით ნალვერდალი,
არმაზის მიწა, — თვით მზის სადგური,
და ბედნიერი იყო ღმერთქალი,
ვით დედოფალი მისი მსახური.

და ბედნიერი იყვნენ ორთავე,
ორნივე მწყემსთაებრ ფეხშიშველები,
ერთი — იბერთა ქვეყნის მოთავით,
ერთიც იბერთა ღმერთის მშვენიებით.

1944 („არმაზის შუადღი“).

ძევახ პიტიახუს

შენ აქ ახლო ხარ, არ ხარ ზღაპარი,
გეძებ, გეძახი, სად ხარ ძევახო!
ჩვენ სიკვდილისთვის ვართ თანაბარნი,
შენს აჩრდილს მინდა ხელი შევეხო.

ნეტავი მოგწვდეს ჩემი ქართული,
ქარივით ახლო გამომირბინო,
გეშვენიოდეს რაში მკერდმოხატული,
წელზე ხმალი და ცერზე მიმინო!

მაგრამ შენ ცხენზე ვეღარ შეჯდები,
ვაგლახ, ვერ ვნახო ქროლვა გიჟურის
თითებ დამდნარი ჰყრია ბეჭდები
და აღარ ისმის ოხვრა მიჯნურის.

სამაჯურთ სცივათ, უნაზეს ხელთა
მაჯების ფეთქვა თუ აგონდებათ,



და ყელსაბამი მტვრად ქცეულ ყელთან
მიმობნეულა ჩაგუნდებად.

მაგრამ ამ ქამარს, ამ ოქროს ბეჭედებს,
იქნებ პატრონის შერჩაოთ ნაკეთები,
ნაკვალევს ეგებ ამოდ ეძებ,
რომ ნახო აღბად ზედ დააკვდები.

იქნებ ძვირფასის ვესმის ძახილი,
ლონცე აღარ გაქვს, რომ დაიგმინო...
თანგს დარჩენია შენი მახვილი,
სხვას შეჩვევია შენი მიმინო!

და არც გულია, არც სიმაგრეა,
წლებს რომ არ წაჰყვეს მტვრად და ნატურად...
შენც ეიდრე მიწამ მტვერში გაგრია,
ჯერ იქნებ ტრფობამ გაგანადგურა.

შენც დაგიწეწა ქარმა აფრები...
მარადისობის შავბნელ წილში,
ჩვენ სიყვარულით ვართ თანაბრები —
მეფე, პოეტი და პიტიახში.

შენთვის არმაზის ბილინგვა იყო

ორი ისარი, თუ ორი ტყვია,
შეგ გულში მოშხედა ისეც ნაღვლიანს,
ერთს სიყვარულის ისარი ჰქვია,
ერთს სიყვარულის შიშს ეძახიან.

ტიალ გულს ერთი სულ შენსკენ სწევდა,
არ გიშორებდა თოფის ნიშნიდან,
ძალას მართმევდა მეორის სევდა,
ფეხის გადმოდგმას შენსკენ მიშლიდა.

შენს აჩრდილს ვერსად ვერ ვიცილებდი,
შენ არც იკოდი ეს საოცრება,
შენ არ გესმოდა ჩემი მცირედიც,
უმარტივესი ჩემი ოცნებაც.

მაინც გელტვოდი სამოთხის ბაღჩას,
გაჩირაღდნებულს სვეტიცხოველბად...
შენთვის არმაზის ბილინგვად დარჩა
ჩემი ლექსი და ჩემი ცხოვრება.

ქვეყანას გასწვდით, თუმცა დიდია...



ქვეყანას გასწვდით, თუმცა დიდია,
ერთ წვეთში ჩასვი, ერთ ნატამალში.
შემოკმედება ბეწვის ხილია,
ახალგაზრდობა — ცეცხლთან თამაში.

თუ ვერ ვაირბენ, ფეხიც არ დაძრა,
ბაგეც არ გახსნა არსად ჩურჩულით,
დაიწვი ცეცხლში, დაეცი ნაცრად,
ოღონდ ნუ გახვალ ფრთაგარუჯული.

ოღონდ სულ გქონდეს ხილვა ნათელი
ქვეყნად რად გინდა შენ სხვა ქონება,
იყავ უბრალო და უდარდელი,
როგორც ნიავის გამოქროლება.

ოღონდ გაფრინდი, სიერცე დიდია,
ვერ გაგარჩევენ ჩიტში, ფრთამალში,
შენ იქ ხარ, სადაც ბეწვის ხილია,
შენ იქ ხარ, სადაც — ცეცხლთან თამაში.

მეტი მუდარა

მე ყვავილების გიგი დამარქვან,
ეს ამისრულონ, ერთი მუდარა:
მე მინდა ტყემლის ჩრდილში დამარხვა,
ტყემლის ყვავილის თეთრი სუდარა.

მე დავეცემი მოვიღებ ლაწანს,
თუ ცეცხლზე დამწვან განმარტოებით —
ატმის ყვავილის კოცონზე დამწვან,
ან გამიჩაღონ ყაყაჩოები.

მაშინ შავ ცხენზე შავი ნაბადით
ამხედრებულო, როგორც იბერი,
მე ზამბახების ფრთების ფართადით
კოსკენ კეანლივით წავალ ცისფერი.

მე ყვავილების გიგი დამარქვან,
ეს ამისრულონ, ერთი მუდარა:
მე მინდა ტყემლის ჩრდილში დამარხვა,
ტყემლის ყვავილის თეთრი სუდარა.

ალექსანდი ბოლსტოი

რუსული ხასიათი

(ივანე სულაბერგის ნაამბობიდან)

რუსული ხასიათი: — პატარა მოთხრობისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი სახელწოდებაა. რას იზამ, — მე მსურს სწორედ რუსულ ხასიათზე გელაპარაკოთ.

რუსული ხასიათი მთლიან და ასწრებ იგი... საგმირო საქმეებზე, ხომ არ გიაშობთ? მაგრამ საგმირო საქმე იმდენია, რომ დაიბნევი — რომელს მისცე უპირატესობა. და აი მიშველა ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელმაც მომიხსრო ამბავი პირადად ცხოვრებიდან. მე არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ ურტყამდა იგი გერმანელებს, თუმცა კი ოქროს ვარსკვლავს ატარებდა და ნახევარი მკვრივი ორდენებით აქვს დაფარული. იგი უბრალო კაცია, წყნარია, ჩვეულებრივი, — კოლმეურნეა სარატოვის ოლქის ვოლგისპირა სოფლიდან. მაგრამ სხვებში გამოარჩევი ძლიერი და თანაზომიერი აგებულებით. თვალი ზედ დაგრჩებოდა, როცა იგი ტანკის კოშკურადან გამოძვრებოდა ხოლმე — ომის ღმერთა! ჯაქმნიდან მიწაზე ჩამოხტება, მუზარადს მოიხდის, ხეჭუჭი ოფლით დასველება, მკვარით გამტრულ სახეს მოიწმენდა და უსათუოდ გაიღივებს გულის სიამით.

ომში აღამიანები, მუდამ რომ საკვდილის ახლოს ტრიალებენ, ეკეთესნი ხდებიან, შორდებათ ყოველგვარი სისულელე, ვით მზისგან დამწვარი, აჭერცილილი კანი, და აღამიანში რჩება ბირთვი. დასაკვირველია, ზოგს იგი უფრო მაგარი აქვს, ზოგს — უფრო სუსტი, მაგრამ ისინიც, ვისაც ჰქვია ბირთვი აქვს, ცდილობენ, ყველას სურს კარგი და ერთგული ამხანაგი იყოს. ხოლო ჩემი მეგობარი, ეგორ ტრემოვი, რომდღაც მტკიცე ხასიათისა იყო, მეტისმეტად სცემდა პატივს და უყვარდა დედა, მარინა პოლიკარპევი ასული და მამა ეგორ ეგორისძე. „მამაჩემი დარბაისელი კაცია, უწინარეს ყოვლისა — იგი პატივის სცემს თავის თავს. — შენაო, მეტყვის, შეილო, მვეყანაზე ბევრს რასმე ნახავ, უცხოეთშიც იწნები, მაგრამ გახსოვდეს: „რუსი გლეხი რეზერვია... რუსის სახელწოდებით ამყობდე...“

ამვე ვოლგისპირა სოფელი საცოლუ ჰყავდა. საცოლეებსა და ცოლებზე ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ, განსაკუთრებით თუ ფრონტზე სიწყნარეა, მყინაენ, მიწურში ცეცხლი ბუტბავს, ღუმელი გუჟუნებს და ხალხიც ნაეხაშვევია. აქ ისეთ რამეს იტყვიან — სულ გინდა უსმინო. დაიწყებენ, მაგალითად: „რა არის სიყვარული?“ ერთი იტყვის: „სიყვარული პატივისცემის ბაზაზე წარმოიშობა...“ მეორე: „სრულიადაც არა, სიყვარულა ჩვეულებაა, აღამიანს უყვარს არა მარტო ცოლი, არამედ დედ-მამაც და ცხოვე-

ლებიც კი... „ფუი ჩერჩეტო, — იტყვის შესამე, — საყვარული ჩხაი, როცა შეიქნით ყველაფერი გიღუღს, როცა კაცი მთვრალივით დაიარება“... და ასე ფილოსოფოსობენ ერთს თუ ორ საათს, სანამ ზემდეგა არ ჩასვლიან და ბოზი ხმით არ გამოარკვევენ საკითხის დედაარსს... ეგორ დრემოვი რაკი, ალბათ, ასეთ ლაპარაკს ერიდებოდა, მხოლოდ გაკვრით ახსენა ჩემთან საცოლე, — ძალიან კარგი ქალიშვილიაო, და თუ კი უთხრა, მოგლოდებოაო, — მოელოდებო, თუნდაც ცალფეხა დაუბრუნდეს...

სამხედრო საგმირო საქმეზედაც არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. „ასეთი საქმეების გახსენება არ შეხალისებიაო“ შეიკუმხნება და თამბაქოს გააბოლღებს. მისა ტანკის საბრძოლო საქმეების შესახებ ჩვენ ეკიბაფი გვიამბობდა ხოლმე, განსაკუთრებით წამყვანი ჩუვილევი აკვირვებდა მსმენელებს.

„...ჰო და, ის იყო გავიშალეთ, ვხედავ, გორაკზე მობობდავს... ვეძახი: „ამხანაგო ლეიტენანტო, ვეფხვი!“ — „წინ, — ჰყვიროს, — მთელი სიჩქარით“ მე ნაძენარში ვინიღებდი — მარჯვნივ, მარცხნივ... ვეფხვი ბრმისაფით აცუცებს ზარბაზნის ღულას, დაარტყა, აგვიცლა... ლეიტენანტმა რომ გვერდში მასცბთ — ბღღვირი აადინა შესამედ რომ დაარტყა, — ვეფხვს ყველა უჭურჭტანდინ კვამლი გასდინდა, — ალი ას მეტრზე ავირდა ჰაერში... ეკიბაფი მათადარიგო სარკმლიდან მოძვრება... ვანკა ლაშინმა ტყვიამტრქევეი იაშუშავა, — ისანი გაგორდნენ და ფეხებს აქნევენ... ჰო და, ჩვენ გზა გაგვეკაფა. ხუთი წუთის შემდეგ სოფელში შევიკვირით. აქ მე პირღამირ გავაფთრდი... ფაშისტებმა ალიაქოთი ასტებეს: „რუსიშე პანცირ“. — და აქეთაქით ვარბიან... ტალახია, ხედავ — ზოგი ჩექმებს სტოეებს და წინდების ამარა ვარბის! ყველანი ფარდულისკენ ვარბიან. ამხანაგი ლეიტენანტი ბრძინებას მიძღვეს: „აბა ერთი ფარდულს დააძვრე“. ზარბაზანი შეეაბრუნეთ, მე კი მთელი სიჩქარით ფარდულს დავეტაკე... ერთიბა, ჯავშანზე აბრავუნდნენ ძელემა, ფიცრები, აფურები, ფაშისტები ვინც კი სხვენზე იყო... მე ერთხელ კიდევ... და გავაუთოე, — დანარჩენებმა — ხელები მალდა და: „პიტლერი კაპუტ“.

ასე ამბობდა ლეიტენანტი ეგორ დრემოვი, სანამ უბედურება არ ეწია. კურსკის ბრძოლის დროს, როდესაც გერმანელები სისხლით აცლებოდნენ და შედრკნენ, მისი ტანკი ბორცვზე, პურის ყანაში — ყუმბარით დაზინდა; ეკიბაფიდან ორა იქვე მოკვდა, მეორე ყუმბარამ ტანკს ცეცხლი გაუჩინა. წამყვანი ჩუვილევი წინა სარკმლიდან რომ გამოხტა ისევე ჯავშანზე ავიდა და მოასწრო ლეიტენანტის, ამოყვანა: ზგი ცნობადაკარგული აყო, კომბინეზონი ეწვოდა. ჩუვილევი ლეიტენანტი განზე გაატანა თუ არა ტანკი ძეითი ძალით აფეთქდა რომ კოშკურა ორმოცდაათ მეტრზე გასტყორცნა. ჩუვილევი ფხვიერ მიწას აყრიდა პეშვით სახეზე, თავზე, ტანსამოსზე, რომ ცეცხლი ჩაქრო. მერმე ზოხვით წაიღო იგი ნაყუმბარალიდან ნაყუმბარალამდე და შესახვევ პუნქტზე მიხყვანა... „რატომ წამოეთარიე იგი მაშინ? — ამბობდა ჩუვილევი. — მესმის გული უცემს“...

ეგორ დრემოვი გადარჩა და მხედველობაც კი არ დაუკარგავს თუმცა სახე ისე ჰქონდა დანახშირებული, რომ ზოგან ძელები უჩანდა. რვა თვეს იწვა პოსპიტალში, ზედღზედ გაუკეთეს პლასტიკური თებრაცია, აღუდგინეს ცხვირიც, ტუჩებიც, უბეებიცა და ყურებიც. რვა თვის შემდეგ, როცა საბევეები შემოხსნეს, მან შეხედა თავის და ახლა არათავს სახეს.

მედიცინის დამ რომ პატარა სარკე მიაწოდა, პირი იბრუნა და ატირდა. მან მაშინვე დაუბრუნა ქალს სარკე.

„უარეცი მოხდება ხოლმე, — სთქვა მან, — ასე შეიძლება“.

მაგრამ მეტი აღარ უთხოვინია სარკე მედიცინის დისათვის, მხოლოდ ხშირად ისევამდა ხელს სახეზე, თითქოს ერევვაო. კომისიამ ვარჯისად სცნო იგი არასამწყობრო სამსახურისათვის. მაშინ იგი გენერალთან მივიდა და უთხრა: „გთხოვთ ნებართვას პოლკში დააბრუნებლად“. „მაგრამ თქვენ ხომ ინვალიდი ხართ“, — მიუგო გენერალმა. „სრულიადაც არა, მე მახინჯი ვარ, მაგრამ ეს საქმეს როდი ავიწყებს, ბრძოლის უნარს სავსებით აღვიდგენ“. (გენერალი რომ ლაპარაკის დროს ცდილობდა არ შეეფხენა მასთვის, ეგორ დრემოვი ეს შეამჩნია და მხოლოდ გაიდრეპა ჩაღურჯებული, ზერელივით პირსწორი ტუჩებით). მან ოცი დღის შევებულება მაიღო სრულიად გაჯანსაღებისათვის და შინ წავიდა დედ-მამასთან. ეს სწორედ ამ წლის მარტში იყო.

სადგურში უნდოდა საზიდარი დაექირავებინა, მაგრამ თვრამეტი ვერსის გავლა ფეხით მოუხდა. გარშემო კვლავ თოვლი იღო, ნესტიანი ამინდი იყო, მიდამო — უდაბური, ცივი ქარი მანარის კალთებს უშლიდა, ხურში ნაღვლიანად უწიოდა. სოფელში უკვე დაბინდებისას მოვიდა. აი ქაც, მაღალი ფარანდა ირხეოდა და ქრიალებდა. აქედან მიექვსე ქდბი მშობლიური იყო, იგი უეცრად შეაღდა, ხელები ჯიბეში ჩაიყო, თავი გადააქნია. აღმცერად გაუხვია სახლისკენ. მუხლამდე თოვლში ჩაფლული, ფანჯარასთან დაიხარა, დედა დაინახა, დაწველ ლამპის ზქრქალ შუქზე იგი ვაშშის სუფრას შლიდა. იგივე შავი თავსატარო ეხურა, წყნარი იყო, აუჩქარებელი, კეთილი. მოხუცებულა, გამხდარი მხრები უჩანს... „ოპ, ეტყობა, ყოველ დღე უნდა მომეწერა ჩემზე თუნდაც ორიოდ — სატყეა...“ სუფრასზე მცირე რამ მოიჯანა, — ფინჯანი რქე, ნატეხი პური, ორი კოვზი, სამარირე, და სუფრასთან შედგა, გულზე დაიჭრიდა გამხდარი ხელები და ჩაფიქრდა... ეგორ დრემოვი რომ ფანჯარაში დედას უცქერდა, მიხვდა, არ შეიძლებოდა მისი შეშინება, არ შეიძლებოდა უეცრად შეეკრთო მისი მოხუცებული გული.

ჰო, კარგი პატარა ქიშკარი შეაღო, ეზოში შევიდა და პარმალში დააკაქუნა. დედა შინიდან გაეხმაურა: „ვინა ხარ?“ უპასუხა — უფროსი ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი გრომოვი“.

გული ისე აღტყერდა, რომ მხრით კარნაგელს მიეყრდნო. არა, დედამ ვერ იცნო მისი ხმა. თვითონაც თითქოს პირველად გაიგონა თავისა ხმა, რომელიც ამდენი ოპერაციის შემდეგ გამოცვლილიყო, — ხრინწიანი, ყრუ, გაურკვეველი.

— მერმე რა გინდა, შეილო? — იკითხა მან.

— მარიამ პოლიკარბეს ასულს მოკითხვა მოვუტანე ვაჟისაგან, უფროსი ლეიტენანტი დრემოვისაგან.

მაშინ კი გააღო კარი, მივარდა, ხელებში სწვდა:

— ცოცხალია, ჩემი ეგორი, ცოცხალია? კარგად არას? შეილო, შინ შემოდი და!

ეგორ დრემოვი შერბზე ჩამოჯდა სუფრასთან, იმ ადგილას, სადაც იჯდა ხოლმე, როცა ფეხებს ჯერ კიდევ ვერ უწვდენდა იატაკს, დედა კი ზემოთა თავზე ხელს დაუსვამდა და ეტყოდა: „ქამე, ჩემო გვრიტო“. მან უამბო ვაჟზე, თავის თავზე, დაწვრილებით, — როგორ ქამს, სვამს, არაფერი არ

აკლია, მეუღამ კარგად არის, მხიარულია, და მოკლედ — ბრძოლებზე, რომლებშიაც იგი მონაწილეობას იღებდა თავის ტანკიანად.

— შენ ეს მითხარ — საშიშია რომ ყოფნა? — აწყვეტინებდა მისი სახეზე და სახეზე შესტყეროდა მიზინდული თვალებით, რომლებიც მას ვერ სე-
დაედნენ.

— დიად, რასაკვირველია, საშიშია, დედილო, მაგრამ ეჩვევი.

მოვიდა მამა, ეგორ ეგორის ძე, რომელიც აგრეთვე გამოცვლილიყო ამ წლების განმავლობაში, — წვერზე თიფქოს ფქვილი შეუყრიათო. სტუმარს უტყუროდა, თანაც ზღვრბლზე გაცეკვილ ქნეტურებს იბერტყავდა, ატქარებლად შემოიხსნა ყელსახვევი, ქურთუკი გაიხადა, სუფრასთან მივიდა, ზელი ჩამოართვა. — აჰ, ნაცნობი იყო, ღართო, სამართლიანი, — მშობლიური ხელი! არაფერი უკითხავს, იმიტომ რომ ისედაც გასაგები იყო, თუ რად არის აქ ორდენებიანი სტუმარი, დაჯდა და ყური დაუგდო, ნახევრად თვალ-
მოხუტულმა.

რამდენადაც მეტ ხანს იჯდა ღრემოვი გამოუცნობი და უამბობდა თავის თავზე და არა თავის თავზე, ამდენადვე შეუძლებელი იყო მისთვის გამოცნაურება. ადგეს და სთქვას: დედაც, მამაც, მიცანით რაღა მე მახინჯი!.. მშობლიურ სუფრაზე იგი კარგადაც გრძნობდა თავს და ნაწყენ-
ნადაც.

— აბა, ქალო, მოდი ვიფხვმოთ, მოიტანე რამე სტუმრისათვის. — ეგორ ეგორისძემ პატარა ძველი კარაღა გააღო, სადაც მარცხენა კუბხეში სათევზო ანკესები ეწყო პანთის კოლოფში, — სწორედ იქ ეწყო, — და იდგა ცხვირმოტეხილი ჩაიდან, — სწორედ იქ იდგა, — კარაღში პურის ნამცეცებისა და ხახვის კანის სუნი სდიოდა. ეგორ ეგორისძემ არყიანი შუშა გამოიღო, სულ ორი ჭიჭისოდენა, ამოიხსრა, მეტს ვერ ვიშოვნოთ, დასხდნენ ვახშმად, როგორც წინა წლებში და მხოლოდ ვახშმას დროს შეამჩნია ლეიტენანტმა ღრემოვმა, რომ დედა განსაკუთრებულად დაეინებოთ მისჩერებია მის კოვზიან ხელს. მას გაეცინა, დედამ აახედა, სახეზე მტკივნეული კრთომა დაეტყო.

იზასეს ამანე, თუ იმაზე, — როგორი გაზაფხული იქნება და გაართმევს თესვას თავს ხალხი, თუ ვერა, იმაზედაც, რომ მოსალოდნელია წელს ზაფხულში ომი გათავდეს.

— რატომ გგონიათ, ეგორ ეგორის ძე, რომ წელს ზაფხულში ომი გათავდება?

— ხალხი გაჯაგრდა, — მიუგო ეგორ ეგორის ძემ, — სიკვდილა გავიარედი ახლა იმას ვეღარ შეაჩერებ, — გერმანელს კაპუტ.

მარიამ პოლიკარბეს ასულმა ჰკითხა:

— თქვენ არ გითქვამთ, როდის მისცემენ მას შეგებულბაა, რომ ჩვენს სანახავად მოვიდეს. სამი წელიწადია, არ მინახავს, ალბათ დიდი გახდა, უღვაში აქვს. ასე ყოველ დღე სიკვდილის ახლოსაა, ალბათ, ხმაც გაუბობდა?..

— აი მოვა, შეიძლება ვერც კი იცნოთ, — მიუგო ლეიტენანტმა.

საწილი გაემზადეს — ღუმელზე, სადაც მას ახსოვდა ყოველი აგური, ყოველი მუშკრუტანა ძელურ კედელში, ყოველი ჩხირი ქერში. სდარდა ტყაბუქის, პურის, იმ მშობლიური მყუდროების სუნი, რომელიც სიკვდილის ქამსაც არ დაგავიწყდება. მარტის ქარი სახურავში წითდა. ტიხრას იქით მამა ხერინავდა. დედა პბროგავდა, გენესოდა, არ ეძინა. ლეიტენანტი

თავდაღმა იწვა, თავი ხელისგულზე ეღო: „ნუთუ მაინც ვერ მიცნო, — ფიქრობდა, — ნუთუ ვერ მიცნო? დედილო, დედილო...“

დილით ცეცხლის ტაკუნმა გააღვიძა, — დედა ფრთხილად უცხვებდა ღუმელთან; გაქიმულ თოკზე ეკიდა ლეიტენანტის გარეცხილი ფეხსახვევები, კართან გაწმენდილი ჩექმები იყო.

— შენ ფეტვის ბლინებს სჭამ? — ჰკითხა მან.

ერთბაშიდ როდი უბასუბა, — ღუმელზე ჩამოვიდა, გამნასტურა წაიცვა, ქამარა შემოირტყა და ფეხშიშველა ჩამოჯდა შერხზე.

— მითხარით, თქვენს სოფელში ცხოვრობს კატია მალიშევა, ანდრია სტეფანესძე მალიშევის ქალიშვილი?

— მან შარშან კურსები დაამთავრა, ჩვენი მასწავლებელია. მისი ნახვა ხომ არ გინდა?

— თქვენმა ვაჟმა მთხოვა, უსათუოდ მოკითხვა გადაეცით.

დედამ მასთან მეზობლის ვოვონა გაგზავნა. ლეიტენანტმა ფეხზე ჩაიკამც კი ვერ მოასწრო, რომ კატია მალიშევამ მოიბრინა. დიდრონი, ცქრილა თვალები უბრწყინავდა, წარბები განცვიფრებით ეშვროდა, ლოყები უღაღლებდა. როდესაც ნაქსოვი თავშალი მოიხადა და განიერ მხრებზე გადაიგდო, — ლეიტენანტმა კიდევ ჩაიკუნესა თავისთვის: „ერთი დამაკოცინა მისი ქერა, თბილი თმებო!“... მხოლოდ ასეთი ჰყავდა წარმოდგენილი თავისი მეგობარი: ნორჩი, ნაზი, მზაარული, კეთილი, — ლამაზი ისე, რომ აი შემოვიდა და მთელი ქოზი ოქროსი გახდა...

— ეგორიასგან მოკითხვა მომიტანეთ? (იგა სინათლისკენ ზურგშეშვეული იდგა და მხოლოდ თავი დაჰხარა, რადგან ლამარჯი არ შეეძლო). მე კი დღედაღამ ველოდები, სწორედ ასე უთხარით...

ახლს მივიდა მასთან. შეხედა და თათქოს გულში მსუბუქად ხელი ჰკრესო, უკუიჭტა, — შეშინდა. მაშინ მან მტკიცედ გადასწყვიტა წასულიყო დღესვე.

დედამ ნადულ რძეში ფეტვის ბლინები დააცხო. იგი კვლავ ლეიტენანტ დრემოვზე ლამარაკობდა, ამჯერად მისი საგმიროს საქმეების შესახებ, — ლამარაკობდა მკაცრად და კატეასთვის არ შეუხედავს, რათა მის საყვარელ სახეზე არ დაენახა თავისი სიმამინჯის ანარეკლი. ეგორ ეგორისძე აფუსფუსდა, რომ კოლმეტრნეობის ცენი ეშოგნა, მაგრამ ლეიტენანტი სადგურზე ჰქეითად წავიდა ისე, როგორც მოვიდა. ძალიან დამწუხრებული იყო ყოველივე იმით, რაც მოხდა, კიდევ შესდგებოდა ხოლმე, სახეში იცემდა და ჩახლჩილი ხმით იმეორებდა: „ახლა რაღა უნდა ვქნა?“

დაბრუნდა თავის პოლკში, რომელიც ღრმა ზურგში იდგა შესავსებად. ბრძოლას ამზანაგები ისეთი გულწრფელი სიხარულით შეხედნენ, რომ გულს ერთბაშიად მოეშვა ის, რაც არც ძილს, არც კამისა და არც სუნთქვის სშეალებას აძლედა. ასე გადასწყვიტა, — დაე დედამ დიდ ხანს ვერ გაიგოს მისი უბედურების ამბავი. რაც შეეხება კატიას, — იგა ამ ეკალს გულში ამოიბრობს.

ორი კვირის შემდეგ დედის წერალი მოვიდა:

„გამარჯობა სანუკვარო შვალო ჩემო. შეშინია მოგწერო, არც კი ვიცო, რა ვიფიქრო, ჩვენსა შენგან გამოგზავნილი ერთი კაცი იყო, კაცი ძალიან კარგა, მაგრამ უსახური. უნდოდა, ჩვენთან ეცხოვრა ერთ ხანს, მაგრამ ერთბაშიად აიბარჯა და წავიდა. მას შემდეგ, შეილო, მთელი და-

მეები არ შინაეს, — ასე შგონია, რომ ის კაცი შენ იყავი. ეგორ, ეგორის— ამისთვის მაჯერდება, მეუბნება, დედაბერო, მთლად გამოსწავლდი: ჩვენი შეილი რომ ყოფილიყო, განა არ გამოტყუდობდა? უნდა დამალულიყო, თუ-კი ის იყო, — ისეთი სახით, როგორისაც ის ჩვენსა მოსული კაცი იყო, უნდა იამაყო. მაჯერებს ეგორ ეგორინი, დედის გული კი არ იშლისა ის, ჩვენთან, ის იყო... ამ კაცს დუმელზე ეძინა. მე მისი მანარა გარეთ გავიტანე გასაწმენდად, გულში ჩაეიკარ და გტირი, — ია არის, ეს მისია-მეთქი... ჩემო ბიჭო, მომწერე ქრისტეს გულისათვის, გამაგებინე, — რა იყო? ან მართლაც კეუაზე შეეცდი?"

ეგორ დრემოვმა ეს წერილი მე, ივანე სულარევს მიხვეწა და თავის აზრს რომ მო-თხრობდა, თვალები სახელოთი მოიწმინდა. მე ვეუბნები: აი ხასიათები ერთმანეთს შეეჯახნენ! სულელი ხარ, სულელი, მალე მისწერე დედას, პატრება სთხოვე, კეუაზე ნუ შემოი... ძალიან არ ეპრიანება შენა შესაზნებობა! ასეთს იგი კიდევ უფრო შეგაიყვარებს-მეთქი...

მან იმ დღესვე მისწერა წერილი: „ძვირფასო შობილებო, მარიამ პოლიკარაძეს ასულო და ეგორ ეგორის-ძე, მამატიეთ სიბრძევე, თქვენსა მართლაც მე ვიყავი, თქვენი შვალი“.. და ასე და ასე, ოთხ გვერდზე წერილი ზელით, — ოც გვერდზედაც კი დასწერდა — შესაძლებელი რომ ყოფილიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მე და იგი პოლიგოზე ვართ, ჯარისკაცა მოიბრუნეს და ეგორ დრემოვს ეტყვის: „ამხანაგო კაპიტანო, თქვენ გკითხულობენ“... ჯარისკაცს ისეთი გამომეტყველება აქვს, — თუმცა იგი მთელი წესით დგას, — თითქოს კაცი დალევას აპირებსო. სოფლისკენ გავემართეთ, გუაზლოვდებით ამ ქოხს, სადაც მე და დრემოვი ვცხოვრობდით. ვხედავ — იგი თავის ტყავში არ არის, სულ ახველებს... ვფიქრობ: „ტანკისტო, ტანკისტო, ზოლო — ნერვები ყი“, შევდივართ ქოხში, იგი წინ მიდის, და მესმის:

— დედალო, გამარჯობა, მე ვარ... — და ვხედავ პატარა ტანის მოხუცა ქალო გულში ჩაეკრა მას. მიმოვიხედე. აქ თურმე მეორე ქალიც არის. პატროსან სიტყვას ვიძლევი — არიან სადმე კიდევ ლამაზები, მარტო ეს ზომ არ არის ასეთი, მაგრამ პირადად მე არ შინახავს.

დედა მთიშორა, ამ ქალიშვილთან მიდის, — მე უკვე მესმოდა, რომ დევგმირული აგებულებით ეს თმის ღმერთი იყო. — „კატია! — ეუბნება იგი, — კატია, რისთვის მოხვედი? თქვენ იმას შეპირდით მოგელოდებით და არა ამას“...

ლაშხი კატია უბასუხებს, მე კი, თუმცა წინკარში გველ, მაგრამ მესმის: — „ეგორ, მე გადავწყვეტე სამარადისოდ თქვენთან ვიცხოვრო. ერთ-ერთულად შეყვარებით, ძალიან შეყვარებით... ხელს ნუ შკრავთ“...

ღიალ, აი რუსული ხასიათები! თითქოს უბრალოა კაცი, მაგრამ ეწვევა სისტემა უბედურება და აღძვრება მასში უდიდესი ძალა — ადამიანური სილამაზე.

საგვო კლდიაშვილი

ჟანგასმაგორი

მოთხრობა

ნაშუადღევს შინ დავბრუნდი.

ღერეფანში ვხედავ სოფლურ დიდ ქალათს. ქალათი და რითაც სავსეა ის, მოწვეულ შემოდგომის სურნელს აკმევენ. ვყნოსაჲ კოშკს, ვაშლს, ლედვის შემპყნარ თოთოლს... სემირამიდის ბალიდან ჩამოვარდნილა ქალათაჲ ასეთი ამბავი დამხვდა:

— ვილაც ახალგაზრდამ გიკითხა. ისევე შემოივლის.

ვინ უნდა იყოს? ვინ მესტუმრა სოფლიდან?

დაბინდებისას ისიც მოვიდა. ოთახში მორცხვად შემოაბიჯა. რატომღაც მრავალჯერ მოიბოდიშა. გახუნებულ კეპს არ იცის რა უქნას: ჯერ მოიხადა, მერე ისევე დაიხურა. კედლის სარკვეში თავისი ორეული შეეფეთა. უცბად ზურგი უჩვენა და კეპი მოიხადა. სტუმრის ტანსაცმელს შემოჰყვა სოფლის სურნელება, შერეულა მატარებელში შემატებულ გავოლინის სიმყარაღესთან.

დალაგებულ საუბარს დიდხანს ვერ ვიწყებთ. ერთმანეთს მხოლოდ უმნიშვნელო შეკითხვებს ვამღვევთ.

რა საშინლად აკუნებენ ხელები! ყველა თითი საღსრებში დაატკაცუნა. რატომღაც ცერს უფრო ეკიდება. თითქო მოგლეჯას უპირებდეს.

თავში ასეთი აზრი მიტრიალებს:

— ეს ახალგაზრდა, რომელიც საბი წლის წინად მასწავლებელი ვახდა. ქალაქში უსაქმოდ არ ჩამოვიდოდა... და თუ ამ ქალათით ძღვენიც მოიტანა, ცხადია, ჩემგან რაღაც დახმარებას საჭიროებს.

წარმოვიდგინე ყველა ის შესაძლებელი თხოვნა რომელიც მას ეწებოდო: უმაღლეს კურსებზე მოწყობა, სხვა რაიონში გადაყვანა, განათლების კომისიართან მიძღოლა... აქედან ერთ-ერთი იქნება. ამაში დარწმუნებული ვარ.

სოფლის ამბავი გამოგვითხე... ბოლო ხანს წვიმები იყო. ნათესებს ძალიან მოუხდა. კარვ მოსაველს ელიან, მამაკაცები ძალიან აკლიან სოფელს, მაგრამ მათ მაგეორობას ქალები სწევენ. ფრონტიდან დაბრუნდა რამდენიმე დაჭრილი და ძმის კარგი ამბავი ჩამოუტანეს...

უცბად სიჩუმე დგება. ვგრძნობ ახლოდგება წუთი, როცა საიდუმლო უნდა ითქვას.

პალტოს უბიდან მასწავლებელმა ორი სქელი რეგული ამოიღო. მორიღებით შემოხვდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა:

— დიდხანია მინდოდა ეს ნაწერები შენთვის გადმომეცა. აქ ჩემი მოთხოვნებია. თუ დრო გექნეს და პატივს მცემ, წაიკითხე. დიდად ვაძვირებ იქნებ ვარგოდეს. ბევრს არაფერს გთხოვ, — მხოლოდ გავიგე მინდოდა მძლია თუ არა წერა?

ვამხნევ, რომ მღელვარებისაგან ბურანშია და ისე ლაპარაკობს.

შეტი რა ძალაა, — ასეთ კაცს უნდა ვაპატიო, რომ დიდი რვეულების წაკითხვით დასჯას მიპირებს.

— რა ბედნიერებაა თქვენი, მწერლების, ცხოვრება. წარმოდგენილი მაქვს, რა სულიერ კმაყოფილებას განიცდით. მრავალჯერ მინატრია დამენახა, თუ როგორი ხარო შთაგონების წუთებში. ასე მგონია, ამ დროს თქვენი სახე უჩვეულო ნათელით არის შემკული...

— არაფერი მაგისი მსგავსია! — ვაწვეტიანებ სიტყვას, — მერწმუნე, ძალიან ხშირად ის, ვინც არ სწერს, გაცილებით უფრო შთაგონებული და სულით მძლია!

ვეტყოდი ამას სხვას? ცხადია, არა. მაგრამ შემეძლო განა მაძლავინწობა ამ პატიოსან კაცთან, რომელიც ქვესკნელში უფრო ადვილად ჩაძვრებოდა, ვიდრე გამხვდლა ავტობობას, და მწერალი უწმინდეს ქურუმად წარმოედგინა? მე რომ ბოლომდე გულწრფელი ვყოფილიყავ, ფეხებში უნდა ჩავვარდნოდი ამ საკვირველ ადამიანს და მეტკვა მადლობა, რომ ასეთი წმინდა გულის პატრონი იყო.

— დარწმუნებული ვარ, შენი მოთხოვნები კარგი იქნება! — ვეუბნები გულწრფელად. მე მჯერა ეს. როგორ შეიძლება კაცს შეუბღალავი გული ჰქონდეს და მისმა ნაწერმა არ ივარგოს.

რვეული გამოვართვი.

ვფხრცლავ.

სუფთად და დიდი სიფრთხილით გადაუწერია. ასე მუშაობდნენ ოდესღაც პერგამენტზე დამწერნი.

გკითხვლობ გვერდს. მასწავლებელი თავდაზრილი ზის და ისევ ცერს ეპილება. ცოცხაში არ გამხვიოს ამ მამაცბონებულმა, — ნამდვილად მოიგლეჯს, თუ კითხვა არ შეგწყვიტე.

— ამაღამე წაგიკითხავ. ხელ ვველაფერს გეტყვი!

— ამაღამ მე სოფელში ვბრუნდები. მიმელიან, ვერ დავცდი. გუშინ ჩამოვედი. გუშინ ვერ გავბედე მოსვლა. კარებს ძეგადექი, მაგრამ ისევ გაგბრუნდი. მომერიდა.

დერეფანში გავიდა, მორფათურა და ოთახში კალათი და ხურჯინი შემოიტანა. ხურჯინს პირველად ვხვდავ. აქამდე არ შემინიშნავს.

— თუ არ გეწყინება, ცოტა რაღაც ჩამოვიტანე. სოფლიდან კაცი ხელცარიელი როგორ ჩამოვი!

კალათს აცალიერებს. სამავიეროდ ჩემი მაგიდა დაფარა ხილმა, ხაჭაპურებმა, გამოშვივულმა ინდაურმა. ხურჯინიდან უეცრად ორი დენიანი დოქი ამოაყინჩა.

— მშვენიერი პონორარია ამ რვეულების წაკითხვისათვის! — ვფიქრობ ალტაცებული.

დაცარიულებულ ხურჯინს კალათში ავლებს და წასავლელად ემზადება. ჩვენ გულწრფელად ვეთხოვებით ერთმანეთს.

— იმედი გქონდეს, გულდასმით წავიკითხავ და მალე ყველაფერს/მოგწერ! — ვეუბნები უკანასკნელად.

მასწავლებელი გამხნეებულნი და გახარებულნი მიდის.

მაგიდაზე აურაცხელი სიმდიდრეა. პირვეული გურმანებიც რომ მესტუმრონ, ღირსეულად დაეუხეზები.

— ეინ იყო ის ტიკინა? — მეკითხება ვაკვირებული ცოლი.

— ტიკინა კი არა, კაცური კაცია! — თითქმის გაჯავრებული ვარ მე, — მან მშვენიერი მოთხრობათა კრებული გადმომცა.

— როდის მოასწარი წაკითხვა?

პასუხისთვის არ მეცალა. ჩემი სიტყვების სიმართლეში რომ დავარწმუნო, ამას დიდი დრო უნდა.

ტელეფონთან ვიჩქარი.

— ალლო! ანდრო ხარ! თუ გაქვს ძველი კალენდარი, გადაფურცლე და ნახე: რომელი წმინდანის ბედნიერი დღეა? ვამიგონე, — სოფლიდან ჩამოვიდა ერთი ჩემი მეზობელი წმინდანი, მოახდინა სასწაული და სუფრა ჩემი აავსო ხორაგითა მრავლითა. ამასთანავე ორი ვეებერთელა ღოჭი ქურის ღვინით. რა აზრის ხარ ყველა ამაზე? მეც მშვენიერის! დაუარე ჩვენიანებს. ერთ საათში გელით!

სანამ ცოლი ახარწვინებს, აწვევინებს და მეგობრების მისაღებად ემზადება, მე მოთხრობას ვკითხულობ.

სტრიქონები სოფლის სიწმინდით სუნთქავენ. ყოველი სიტყვა ისე მართალია, უტყუარი და მაცოცხლებელი, ვით წყაროს თვალი, დილის ნამი და კერძას სითბო.

ვკითხულობ და ჩემს თავს ვეუბნები:

— აი მოდის ის, ვისი პირითაც სოფელი ლაპარაკობს, მასთან ერთად ერთი ჰაერით სუნთქავს, მის დაღმინებასთან და სევდასთან შეზრდილი და განუყრელია. ის მოდის და მალე შეგცვლის თქვენ, ჩემო ძველო მეგობრებო. დე, ჯერ გულუბრყვილო იყოს მისი ხერხები და ოსტატობა, მაგრამ, სამაგიეროდ, მას გააჩნია სხვა დიდი საუნჯე, მისი სიმდიდრე აურაცხელია!

ფიქრით გადავდივარ სოფლად, მის პატარა ოთახში. ზის გაქვარტლულ სანათურთან ეს პატიოსანი აღაზიანი და ხატავს სტრიქონებს. ყოველ სიტყვას თავისი გულის ნაწილს აყოლებს. რამხელა გული უნდა გქონეს კაცს, რომ ორას გვერდზე ნაწილებათ ჩამოარიგო და მაინც კიდევ შეგრჩეს!

ვკითხულობ და უწმინდეს ჰაერით ვსუნთქავ. არ ვიცოდო, თუ ამდენი სიკეთე იყო ამ რვეულში...

კარი გაიღო და ხმაურით შემოიჭრენ ანდრო, ლევანი, ვოგი და ბეგო. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი სუფრას შემოვუსხედით.

— ნეტავ ის კაცი მენახა, — ნატრულობს ანდრო, — აუცილებლად გმირად გამოვიყვანდი ჩემს მომავალს პიესაში!

— არაუგრა გამოვივიდოდა, მხოლოდ დროს დაკარგავდი... — ხელი ჩააქნია ლევანმა. — შენ უფრო არამზადების და სიმამინჯის დახატვა გეხერხება.

— აგრე იყოს... — ოღნავ ნაწყენი ეთანხმება ანდრო, — იმით-სომ არაფერი დაშავდება, თუ ფანტასტიურ მწერლის სადღეგრძელოს შევსვამ? — სამოთხიდან მოფრენილ ჩიტს გაუმარჯოს! — სვამს ბევრს წინადადებას ვიძლევი ერთი მოთხრობიდან რამდენიმე გვერდი მაინც წაეკითხო.

— ეგ შეუძლებელია! — ერთხმად მომძახის ყველა — დარჩეს ეს კაცი ჩვენს წარმოდგენაში მიუწვდომელ, შეუღახავ სიწმინდეთ. ჩვენ ისედაც გგრძნობთ მას!

შუალამე დიდიხნის გადასულია.

სუფრა ნაომარ ველს ჰგავს, გაპარტახებულს და გადათელილს.

— გამოიანგარიშე, რამდენ ასეულ გრამს იწონის იმ საოცარ ადამიანის გული? — ყველას სათითაოდ ეკითხება ანდრო.

ანგარიშის თავი აღარავის აქვს.

— ფანტასმაგორი! — გასძახის გოგი. მისი ხმა ბოხი ზარივით გუგუნებს.

კოლაუ ნაღირაძე

ზღვის პირას

პატარა ბავშვის ტერფების კვალი
ნამიან სილას ზღვის პირას აჩნდა...
მე თითქოს წამათ ამეხსნა თვალი,
და ის დღე ვიცოქენ — იდუმალ ძალით
როცა სიცოცხლე პირველად გაჩნდა.

ვიდექი მარტოდ. შორიდან ფრთხილად
მოდგა სიჩუმე და გულში ჩაჯდა.
ვხედავდი პირველ გაჩენის დილას...
და მხოლოდ სილას, ნამიან სილას
პატარა ბავშვის ტერფები აჩნდა.

17. VIII — 44 წ. თბილისი.

ჩემი პარსკვლავი

ერთი ვარსკვლავი მინათებს მუდამ, სხვა ვარსკვლავთ შორის მას ვცნობ და
ვარჩევ,
იგი ღიმილით მიგზავნის სხივებს, შეალერსება, მეტრწვეს და მარჩენს,
ერთი ვარსკვლავი ღამეში თითქოს ესაუბრება უხილავ გამჩენს.

სავარსკვლავეთში თითქოს გაისმის ამ საუბარის ბიტყეები წმინდა...
ჩავერდის კიბის საფეხურებით დიდი სიჩუმე ჩამოდის ციდან.
სმენად ჭკეულა მთელი სამყარო და მეც სიჩუმეს ვუსმინო მინდა,

რადაც დიდი და ღვთაებრივი სავარსკვლავეთის წიაღში ზღვება!
ო, ალბათ ფიქრი და სიყვარული აქ განისვენებს და აქვე ჩნდება, —
შემდეგ გადმოდის სულდგმულის გულში, პპოულობს სატყეას და აღარ
კვდება.

ჩემო ვარსკვლავო, შენს სიმაღლემდე ამოდის სული შენიღილი თბილად,
ჩემო ვარსკვლავო, შენამდე აღწევს კაცთმოყვარების უკვდავი გრძნობა,
შენამდე აღწევს, ჩემო ვარსკვლავო, ჩემე გულისთქმა და ჩემი ტრფობა.

შენამდე აღწევს ფრინველთა ლოცვა, ყვავილთა სუნთქვა, ტყეთა
 ზღვათა და ქართა ჳმუნვა და ოხერა და მთვარის შუქზე ცვათავს
 ბავშვის ბაგეთა ღიმილი ნაზი და დიდი სევდა ადამიანისს..



მხოლოდ შენშია დაღწეტილი საგალობელი სიხარულისა,
 ცისფეროვანი უმანკობა პირველად ნაგრძნობ სიყვარულისა, —
 დაღვიწყარი კუბოს კარამდე ეგ უწმინდესი კრთობა გულისა...

რალაც დიდა და ღვთაებრივი საეარსკველავეთის წიაღში ზღება!
 ეგების ფიქრი და სიყვარული აქ განისვენებს და აქვე ჩნდება,
 შემდეგ იღვრება სულდგმულის გულში, კბოულობს სიტყვას და აღარ
 კვდება?

რალაც დიდი და ღვთაებრივი ადამიანის სულშიაც ზღება!
 აღბათ ეგ არის როცა სიმღერა პირამდე გაესებს და აღარ წყდება,
 თვალში სინაზე რომ გაიღვლებს, როცა ნათელი სახეზე ჩნდება?

ჩემო ვარსკვლავო, მინათე მუღამ, მხოლოდ შენ გიმზერ, მხოლოდ შენ
 გარჩევ.
 მონღალერსე, ჩემო ვარსკვლავო, შენა ღმილია მკურნავს და მარჩენს,
 ჩემო ვარსკვლავო, ჩვენ თითქოს ერთად ვესაუბრებით უხილავ გამჩენს.

აზიკსპასალარი

იგი ზის მარტო და სარკმლიდან გასცქერის სივრცეს,
 შუე ჩამავალი სიონის ჯვარს ჩამოედევნთა,
 მზრაგრძელის ცნობა იგვიანებს — დღეს ბრძოლა მისცეს.
 არის ორმხრივი წინასწართქმა ვარსკვლავთ მრიცხველთა.

ჯერ არ შემწყდარა გუნდრუკთ კმევა და ღაღადისი,
 მცხეთის ტაძარში ჳყონდიდელი ბარაკლას იხდის,
 ამირაზორა ჳცაბერმა მოიხმო დღისით:
 დაჰკითხეს მსტოვარს, მზარში დაჳრილს და ღონემიხილს.

მას, ძველ სპასალარს, მამის სარდალს და მოამაგეს
 იხმობს თამარი რჩევისათვის, ისე ვით მშობელს,
 რომ საბოლოოთ განეჳკრიტა ღაშჳრობის საქმე,
 ვით ომის ოსტატს, გამოწრთობილს და შეუცდომელს.

მან მიხცა რჩევა საიდუმლო და გადამწყვეტი,
 შესცვალა გეზი შეტევაზე გადასულ ჯარისს...
 ის უკვე ხედავს მტრის ურდოებს, ძღვეულს, გაწყვეტილს,
 მაგრამ რათ არ სჳეჳს საზეიმო ზუკი და ზარი?



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

წამოიჭრება და გაივლის, შემდეგ შედგება
მეფე გიორგის ნათავაზებე ოქროს ბარძიმთაჲ,
შუახებს თითებს, ჩაფიქრდება, ოდნავ შეკრთება:
თითქოს სველით და მოგონებით გული დამძიმდა...

ხსოვნაში წუთით გაივლევს შორი ბავშვობა,
დედის თვალები, მუშარადი ბუმბერაზ მამის,
მდინარეთ გაშლა, დიდ ველებზე ნისლის აშრობა
და გრივალები რისხვიანი ყინვიან ღამის.

მოგონდება ბედაურთა ჯოგები ველად,
ვერცხლის ზარნიში წინაპართა ხანჯლების ტარზე,
შვილდის მოზიდვა ბავშვურ მკლავის გამოსაცდელად,
პატარა შუტის დაჯახება პატარა ფარზე.

ეხლა მის სულში სიწყინარეა. უკვე შორს არი
მტრობა და შური ვარდანიძის, თვალთმაქც ორბელის
მუხანათობა და ღალატი. ყველგან ერთგვარი
ყოფილა თურმე კაცის გული დაუნდობელი.

ყველგან ერთგვარი, ერთნაირი, ო, რა რიგ დიდათ
არს შესაბრალო უმადური ადამიანი!
და მხოლოდ ბრძენი ყოველივეს გასცქერის მშვიდათ,
იქნება იგი გლაზაკი თუ მეფე სვიანი.

მან მიადწია მარტოობას... და თმა-ქაღარა,
გაპყურებს ჩუმთ განვლილ მანძილს, განვლილ დიდებას.
მაგრამ მას ზოგჯერ რაით აშფოთებს ბრძოლის ნალარა
და ბრძოლის ტინი მას ცეცხლივით რაით ეკიდება?

მან ზომ ბოლომდე შეასრულა მეომრის ფიცი
და სასთუმალთან დაასვენა თავისი მახვილი
ჯერ იავე მჭრელი და უებრო, ერთგული, მტკიცე,
სამეფო ტახტის განმტკიცების გამომსახველი?

იგი ზბს მარტოდ და მოელის სანატრელ ამბავს
მის ხელზედ აღზრდილ დედოფალის საბედნიეროთ.
ყოველი წუთი გულს აღონებს, ოცნებას ძაბავს —
„იყავ მოწყალე მეფეყო და გულხმიერო!“

მაგრამ მხარგრძელი რაით აყოვნებს? ზომ არ გაეუღღა
მისი განჰყრეტა, გაფიქრება, ტახტისთვის გარჯა?
ეგა უმტყუნა მას გონებამ? მთვარეც აცურდა,
სინთვე მეფობს, მოლოდინი იქცევა ტანჯვათ.



და როს უცრად ატბორებულ საღამოს ბინდებს
 ბუკთა და ზართა გამარჯვების ზმა დამბლას დასცემს, —
 ძველი სარდალი სარკმლის ჩარჩოს თითებს ჩასკიდებს, —
 აიმართება, ფართე ბეჭებს ამაყად ასწევს.

შემდეგ ჩამოხსნის თავის მახვილს. ნაცად ჯაგარდენს
 ხმას გაუსინჯავს ცერის ფრჩხილით და... გაიღიმებს.
 მბრწყინავ ფოლადზე უჩვეულოთ ორ ცრემლს დანადენს
 მთვარე დახედავს და აღმასებრ ააციმციმებს.



ამბროზ ბირსი

კაკიგანი კოღარი

— მაშ თქვენი გვონიათ, პოლკოვნიკო, რომ თქვენი შამაცი კოლტერა დათანხმდება თუნდაც ერთი თავისი ზარბაზანი დადგას აქა? — იკათხა გენერალმა.

როგორც სჩანს, იგი სრული სერიოზულობით არ ეკითხებოდა პოლკოვნიკს. შართლაც, ადგილი, რომლას შესახებ სიტყვა ჩამოვარდა, არც თუ ისე შესაფერი იყო იმისათვის, რომ ჩანაირიც არ უნდა ყოფილიყო პარტიკულარისტი, თუნდაც ყველაზე შამაცი, დათანხმებულიყო ამ ბატარია დაედგა. იქნებ გენერალს სურდა სიტყვა გადაეყრა პოლკოვნიკისათვის, რომ უკანასკნელ ხანს აგი უკვე გადამეტებულ ხოტბას ასამაღლა კაპიტან კოლტერის შამაციობას? — გაიფიქრა პოლკოვნიკმა.

— გენერალო, — აღუღვებით უპასუხა მან, — კოლტერი დათანხმდება თავისი ზარბაზნები იქ დადგას, სადაც თქვენ იხეებთ, ოღონდ კი მათ შესძლონ დაარტყან ჩვენს მოწინააღმდეგეს, — და პოლკოვნიკმა მტრის ხაზის მიმართულებით გაიშვირა ხელი.

— ასეა თუ ისე, ეს ერთად ერთი ადგილია ბატარეისთვის, — მიუგო გენერალმა.

ესლა კი იგი სრული სერიოზულობით ლაპარაკობდა.

ადგილი, რომლის შესახებაც სატყვა ჩამოვარდა, წარმოადგენდა ტაფობს მთის ციცაბო თხემზე; მის გვერდით გზა გადიოდა; დაკლავილი ციცაბო აღმართით გზა თავის უმაღლეს წერტილს აღწევდა და ასეთავე დაკლავილი, მხოლოდ ნაკლებად ციცაბო დაღმართით, მტრისაკენ მიიმართებოდა.

ქედი ჩრდილოელთა ქვეით ჯარს ეჭირა, რომელიც თხემის ვიწრო ზოლის გასწვრივ ჩაწოლილიყო და თითქოს მხოლოდ ჰაერის წნევის წყალობით

ამბროზ ბირსი (1842 — 1914) — ამერიკელი ნოველის უდიდეს ისტატიდ ითვლება. იგი ედგარ პოს ნოველისტური ტრადიციების განმგრძობია. მისი ცხოვრების გადამწყვეტი და შნიშვნელოვანი ეტაპია — მონაწილეობა ჩრდ. ამერიკის სამოჭალაქო ომში (1861 — 1865), რომელიც სწარმოებდა ჩრდილოეთის (სამრეწველო) და სამხრეთის (მონათმფლობელური) შტატებს შორის. ნ. ჩერნიშევსკის სიტყვით ეს ომი „ახალი ემოქის დაწვება იყო შვერტებული შტატების ისტორიაში... გარდატეხა დიად ჩრდილო-ამერიკელ ხალხის ისტორიაში“. სამხრეთის მებატონე-პლანტატორები წინააღმდეგნი იყვნენ ზანგი მონების განთავისუფლებასა და მოიხიბოდნენ თავიანთ შტატების გამოყოფას ჩრდილოეთის შტატებისაკენ (აქედან მათი სახელწოდება — სეცესიონისტები, კონფედერატები). „მთლიანი დიადი დემოკრატიული რესპუბლიკის იდეა“ (მარქსი) დიდ საფრთხეს განიცდიდა, მაგრამ პრეზიდენტ აბრაჰამ ლინკოლის ხელმძღვანელობით ჩრდილოელთა ფედერალურმა არმიამ შესანიშნავ გენერალების გრანტის, შეტლერის და შერმანის მეთაურობით ოთხი წლის

იყო იქ ფეხმოკადებული; ამ ქედზე ერთი მილის მანძილზე მარჯვენა და მარცხნივ, ადგილა ვერ იპოვიდით, რომ ქვემეხის დასადგმელად დაეყენებინათ რაყო. რჩებოდა ერთად ერთი ადგილი—ეს იყო ტაფობი, მაგრამ იქვე უნდა დაეყენებინათ იქნა იყო, რომ მთლიანად ვზას ეჭარა. სამხრეთელების მხრიდან ამ პუნქტს შირძანებლობდა ნახევარ მილის დაშორებით, ნაკადულის ვაღმა, მაღლობზე დადგმული ორი ბატარეა. სამხრეთელების ყველა ზარბაზანი, ვარდა ერთისა, ხეხილის ბალით იყო შენ. ებული. მხოლოდ ერთი ზარბაზანი, — და ეს თითქმის თავხედობას უღრიდა, პლანტატორის დიდებული შენობის წინ იყო დადგმული; პოზიცია, რომელიც ამ ზარბაზანს ეჭარა, ნაკლებ სახიფათო იყო, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფედერალურ ქვეით ჯარს აკრძალული ჰქონდა სროლა. ამრიგად, „კოლტერის ორმო“, როგორც შენდევნი ტაფობს უწოდეს, — ამ მშვენიერ მზიან დღეს არ იზიდავდა არტილერისტებს, როგორც სასურველი პუნქტი ბატარეის დასადგმელად.

ვზაზე ცხენის რამდენიმე ლეში ეგდო. თითქმის ამდენავე ადამიანის გეამი ელაგა იქვე, ლიანდაგის გვერდით და აგრეთვე ცოტა მოშორებითაც, მთის ფერდობზე, ყველანი, ერთის გარდა, კავალერისტები იყვნენ და ჩრდილოელთა ავანგარდს ეკუთვნოდნენ. ის ერთი კი კვარტირმეისტერი იყო. დივიზიის მეთაურა გენერალი და ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი თავიანთ შტაბებში და ესკორტით „ორმოსაკენ“ გაემართნენ მტრის ზარბაზნების სამწერად, რომელნიც მაშინვე კვამლის მაღალ სვეტებში ჩაიმაღლნენ. არაერთარი აზრა არ ჰქონდა ამ ზარბაზნების დიდის ხნობით თვალყურის დევნებას; ისინი წააგავდნენ მელანთევზას, რომელიც კუჭიდან გამოშვებულ შავ სითხის ღრუბელში მიიმალება ხოლმე, როცა მას სდევნიან. ამ ხანმოკლე დათვლიერებას შედეგად მოჰყვა გენერლის და პოლკოვნიკის დიალოგი, რომლითაც ეს მოთხრობა იწყება.

— ეს ერთად ერთი ადგილია — გაიმეორა ფიქრში წასულმა გენერალმა, — საიდანაც შეიძლება დაუშინოთ მათ.

პოლკოვნიკმა სერაოზულად გადახედა გენერალს.

ბაროლის შემდეგ, საბოლოოდ გაიმარჯვა სამხრეთის კონსერვატიულ და რევოლუციურ შტაბებზე. ამას ჰქონდა „უდიდესი მსოფლიო ისტორიული, პრაგმატიული და რევოლუციური მნიშვნელობა“ (ლენინი—„წერილი ჩრდილო-ამერიკა, მეშენს“). საინტერესოა, რომ ამ ომში ამერიკელი მწერლების ტერიტორია ჩრდილოელთა მხარეზე იყო. საკმარისი დავასახელოთ უოლტ უიტმანი, რალფ ემერსონი, ლონგფელო, ტორო, ლოუელი, უიტერი და სხვ. ნოველისტი ო'ბრაიენი დაიღუპა კიდევაც დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვის დროს. ამბროზ ბირსის ამ ომში მონაწილეობის შედეგად მსოფლიო ლიტერატურამ მიიღო ნოველების ერთი კრებული, 1891 და 1894 წლებში გამოცემული. ბირსი პროფესიით ეთრნოლისტი იყო და მექსიკაში ცნობილ ცილახთან კორესპონდენტად ყოფნის დროს დაიღუპა კიდევაც უკვალოდ, 1914 წელს. ბირსის „სამხედრო ნოველა“ ყოველთვის სინამდვილის რეალურ ამბავზეა აგებული. ომის „ვახზრების“ მხრივ იგი ნაწილობრივ ლეეტოლსტოის ტრადიციას აგრძელებს და ნოველის სიტუეტს ანეითარებს გარემოებათა უცნაური და შემთხვევითი ვიადამის სახით. ხაზგასმულ სიმწიღით გვიხატავს ბირსი ომის სასტიკ და საშინელ სურათებს. მისი ნოველის მოლოდინელ და უცნაურ ეპიპტზე აგებული ფიანლები ო'ბრაიენის ფანტაზიისგან განსხვავებით, საესებით ეწინააღმდეგება ამერიკულ ლიტერატურისა და კონის სტანდარტულ „ეპიკენდს“ („უდიდესი დაბოლოება“). ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნოველები „კაპიტანი კოლტერი“, „ორი მეგობარი“ და სხვ.

საგრამ აქ მხოლოდ ერთი ზარბაზნისათვის არის ადგილი, გენერალო, ერთისათვის თორმეტის წინააღმდეგ.

— ევ მართალია, ყოველთვის მხოლოდ ერთისათვის, — სარქველ-გენერალმა სახის ისეთი გამომეტყველებით, რომელიც დიდის გაჭირვებით შეიძლება და ღიმილად მიგეჩნიათ, — მაგრამ სამაგიეროთ თქვენი მამაცი კოლტერი ხომ მთელს ბატარეას უდრის.

ესლა აღარ შეიძლება ირონია არ გეგრძნოთ. პოლკოვნიკი გაბრაზდა, მაგრამ პასუხი ვერ მოიფიქრა. სამხედრო დისციპლინის სული მაინც და მაინც არ იწონებს შეპასუხებას, — კამათს ხომ მით უფრო?

ამ დროს მებუკის თანხლებით გზაზე წელა ამოდიოდა სტილერაის ახალ-გაზრდა ცხენოსანი ოფიცერი. ეს იყო კაპიტანი კოლტერი. იქნებოდა ოცდასამი წლისა. საშუალო ტანის, მაგრამ მტრად მოყვანილი და მოჭნილი, ცხენზე ისე იჯდა, რომ რაღაცით სამოქალაქო კაცს მოგაგონებდათ. სახე მას არაბანალური ტიპისა ჰქონდა: გამზდარი, კეხიანი ცხვირით, ჭროლა თვალებიანი, ქერა პატარა უღვავებით და ღიაფერის გრძელი თმებით. ჩაცმულობაში ნაძალადევი დაუდევრობა ეტყობოდა, კეჭული გვერდზე ეხურა, მუნდირი მხოლოდ ერთ ღილზე ჰქონდა შეკრული, მუნდირის ქვემოდან საკმაოდ სუფთა თეთრი პერანგი უჩანდა, რაც უჩვეულოა სალაშქრო ცხოვრებაში. დაუდევრობა კაპიტანს მხოლოდ ჩაცმულობასა და მანერებზე ეტყობოდა, მისი სახე კი გარემოსადმი მძაფრ ინტერესს გამოხატავდა. მისი ჭროლა თვალები, რომლითაც იგი დროგამოშვებით მკვეთრ მზერას მიაპყრობდა აქეთ-იქით, უმთავრესად ზევითკენ იყვნენ მიმართულნი, — „ორმოს“ გასწვრივ ცის წერტილისკენ. თუმცა ეს მხოლოდ იმ დრომდე გრძელდებოდა, სანამ იგი მწვერვალზე არ ავიდა: აქ კი უკვე ზევით ცქერასაჭირო აღარ იყო.

გაუსწორდა რა დივიზიის და ბრიგადის მეთაურებს, მექანიკურად სამხედრო სალამი მისცა მათ და უკვე გვერდით ჩავლას ამირებდა, როდესაც რაღაც უეცარ ზრახვით აღძრულმა პოლკოვნიკმა ნიშანი მისცა შეჩერებულაყო.

— კაპიტანო კოლტერი, — უთხრა მან, — იმ მწვერვალზე მტერს თორმეტი ზარბაზანი აქვს დადგმული. მე თუ სწორად გავიგე გენერლის ნათქვამი, იგი წინადადებას გაძლევთ ერთი ზარბაზანი დადგათ აქ და მტერს დაუშინოთ.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა; გენერალი ანგარიშითუცემლად გასცქეროდა, რომელიღაც პოლკს, რომელიც მოშორებით, ხშირ ბუჩქნარზე გავლით, წელა და გაჭირვებით აღმართზე აღიოდა; ნაწილ-ნაწილ დაყოფილი, პოლკი დაგლეჯულ, შიწაზე დაფენილ ღრუბელს წააგავდა. კაპიტანი თითქოს ვერ ხედავდა გენერალს, მან დინჯად და გაჭირვებით წარმოსთქვა:

— თქვენ ამბობთ, სერ, რომ იმ მწვერვალზე, პირდაპირ? ზარბაზნები მამააღამე სახლის მახლობლად არიან დადგმულნი?

— როგორ, თქვენ იმ გზით გივლიათ? დიდი სწორედ სახლის მახლობლად.

— მერე ეს... აუცილებელია... რომ დაუშინოთ? კატეგორიული ბრძანება?

ის გაფითრდა, ჩახლეჩილი ხმით დაპარაკობდა. პოლკოვნიკი განცვიფრებული და გაოცებული იყო. მალულად შეხედა გენერალს. გენერლის უბრავე სახე არაფერს არ გამოხატავდა და ბრინჯაოსავით მკაცრი იყო. ერთი

წუთის შემდეგ გენერალი თავის შტაბის და ამაღის თანხლებით წავიდა გაწილებულმა და აღწვთებულმა პოლკოვნიკმა ის აყო განიჭრებულმა ტან კოლტერის დაპატიმრება, რომ უკანასკნელმა რამდენამე სტყუვა: უფრო ზრუნულით თავის მეტყუეს, სამხედრო სალაში მისცა პოლკოვნიკს დაპირდაპირა გზით „ორმოსკენ“ გასწია; მალე მისი სილუეტი, გზის ყველაზე უმაღლეს წერტილზე გამოიხატა; ცხენზე მჯდომი, თვალთან საველე ღურბინდით, მკაფიო და უძრავი, იგი ცის ფონზე ქანდაკებასავით მოსჩანდა.

მეტყუე ქვემო გზით დაეშვა, სულ სხვა მიმართულებით და ხეებს იქით მიიშალა. მალე ტყეში გაისმა მისი ბუკის ხმა და, წარმოუდგენლად ხანმოკლე დროს განმავლობაში, ზარბაზანი და საყუმბარო ყუთი, თითოეული ექვსა ცხენით შებმული, მომსახურე ჯარისკაცთა თანხლებით, რახრახით და ხტუნვით წიხის ფერდობს შეუდგა. ჯარისკაცებმა მტერის კორიანტელში გახვეულ ზარბაზანს ხელი სტაცეს და მთის თხემისკენ, საბედისწერო ადგილისკენ გააქანეს.

კაპიტანის ხელის დაქნევა, მომსახურე პერსონალის რამდენიმე უცნაური და ჩუარი მოძრაობა და, იქნებ, გზის გასწვრივ განლაგებულ ქვეითა ჯარს ბორბლების რახრახის ხმა ჯერ კიდევ ესმოდა, რომ ბორცვისკენ დიდი თეთრი ღრუბელი დაგორდა და გამაყრუებელ ხმის მიცემისთანავე კოლტერის „ორმოში“ საქმე გაჩაღდა.

ჩვენ განზრახვა არა გვაქვს ამ საშინელ ორთა ბრძოლის ყველა წვრილმანების და მთელი მსვლელობის გადმოცემისა, ორთა ბრძოლის, სადაც სხვა და სხვა მომენტები ერთმანეთისაგან მხოლოდ განწირულებას სიძლიერით განსხვავდებოდნენ. თითქმის იმავე მომენტში, როდესაც კოლტერის ზარბაზანმა თავისი გამოწვევა გაგზავნა, პლანტატორის სახლის გარშემო მყოფ ხეებიდან კვამლის თორმეტი სავასუხო ბოლქვი ამოვარდა და პასუხად თორმეტჯერ უფრო ძლიერი უხილი გაისმა. ამ მომენტიდან დაწყებულა ბოლომდე ფედერალური კანონირები თავის უიმედო ბრძოლას გაეარეარებულ ლითონის ატმოსფეროში აწარმოებდნენ. მათი აზრი ელვა იყო, მათი მოქმედება კი სიკვდალს იწვევდა.

პოლკოვნიკს არ სურდა იმ ადამიანთა ცქერა, ვისი შველაც მას არ შეეძლო, მას არ სურდა უსიტიყვო მოწმე ყოფილიყო ხოცვა-ჟლეტისა, რომლის შეჩერება მის ძალას აღემატებოდა. ის ავიდა მწვერვალზე, მეოთხედი მილის მოშორებით, მარცხნივ. თვით „ორმო“ არა ჩანდა, მხოლოდ იქიდან ამოვარდნილი შეაწათელი კვამლის ბოლქვები, მას ცეცწლისმფრქვეველ ვულკანის კრატერს ამსგავსებდა. საველე ღურბინდში პოლკოვნიკი მტრის ზარბაზნებსაც ხედავდა და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, კოლტერის სროლის შედეგსაც თვალყურს ადევნებდა. თუ კი თვითონ კოლტერი ცოცხალი იყო და ჯერ კიდევ ხელმძღვანელობდა სროლას. პოლკოვნიკმა შეატყუო, რომ კოლტერას არტილერიისტები ყურადღებას არ აქცევდნენ იმ ზარბაზნებს, რომელთა ადგილმდებარეობასაც კვამლის ბოლქვები ამტკიცებდნენ. მთელი თავისი ყურადღება მათ ერთ ზარბაზანს მიამყრეს, რომელიც პლანტატორის სახლის პირდაპირ მდებარე კორბზე. დია ადგილას იდგა. წამგამრშვებით ამ თავხედი ქვემეხის თავზე და მის ირგვლივ, ყუმბარები სკდებოდა. დანგრეულ სახურავიდან ამოსული წვრილი ბოლვ მოწმობდა, რომ ზოგიერთი ყუმბარა სახლსაც მოხვდა. მიწაზე გართხმულ ადამიანთა გვამები და დახოცილი ცხენები მკაფიოდ მოსჩანდნენ.

— თუ კი ჩვენი ბიჭები ერთი ზარბაზნით სჩადიან ასეთ სექსეს, როგორღა გაქვლება თითონ თორმეტი ქვემეხის საპასუხო სროლას? არ გეფიქრებია პოლკოვნიკმა ახლო მდგომ აღიუტანტს, — ჩადით და გადაეცით ქვემეხს მეთაურს, რომ მარჯვე სროლას ვულოცავ.

შემდეგ მეორე ოფიცერს მიუბრუნდა და დაუმატა:

— შეამჩნიეთ, როგორ უხალისოდ დაემორჩილა კოლტერი უფროსას განკარგულებას?

— დიაღ, სერ, შევამჩნიე.

— მაშ ასე, ვეთყუა, არც ერთი სიტყვა ამის შესახებ. არა მგონია, რომ გენერალმა ეს მას დანაშაულად ჩაუთვალოს. საინტერესოა, როგორ ახსნის გენერალი თავის საკუთარ საქციელს. რა უნდოდა? უკანდახეულ მტრის არიერგარდს გასართობი გაუჩანოს?

ქვევიდან ახალგაზრდა ოფიცერი ამოვიდა: ის ძლივს ითქვამდა სულს ციცაბო აღმართზე ამოსვლის გამო. სამხედრო სალამის მიცემისთანავე მან სწრაფად წარმოაჩვენა:

— პოლკოვნიკო, მე გამომგზავნა პოლკოვნიკ ხარმონმა, შეგატყობინოთ, რომ მტრის ზარბაზნები ჩვენი პოზიციებიდან თოფის გასროლის მანძილზე დგანან და ბევრი მათგანი შოჩანს ჩვენს მიერ დაკავებულ მაღლობა რამდენიმე პუნქტიდან.

ბრიგადის მეთაურმა გულგრილად შეხედა ოფიცერს.

— ვიცი, — მშვიდით უბასუბა მან.

ახალგაზრდა ოფიცერი, როგორც სჩანს, საბტად დარჩა.

— პოლკოვნიკ ხარმონს უნდოდა ფქვენი ნებართვის მიღება, რომ ჩაატაროს ისინი, — წაიბუტბუტა მან.

— ეგ მეც მინდოდა, — ვინაგრძო იმავე ტონით პოლკოვნიკმა, — გადაეცით ჩემი სალამი პოლკოვნიკ ხარმონს და უთხარით, რომ გენერლის ბრძანება, — არ დაიწყეთ თოფის სროლა, — ძალაში რჩება.

ახალგაზრდა ოფიცერმა სალამი მასცა და წაეიდა. პოლკოვნიკი ქუსლებზე შემოტრიალდა და ისევ მტრის ზარბაზნებისაკენ დაიწყო ცქერა.

— პოლკოვნიკო, — სთქვა აღიუტანტმა, — არ ვიცი, საჭიროა ამის თქმა თუ არა, მხოლოდ აქ რაღაც ამბავი ხდება. იცით თუ არა თქვენ, რომ კაპიტანი კოლტერი სამხრეთის მევიდრია?

— არა! ნუ თუ ეს მართალია?

— მე ვაგვიც, რომ ამ ზავხულს დივიზია, რომელსაც ჩვენი გენერალი მეთაურობდა, რამდენიმე კვირას კაპიტან კოლტერის კარმრდამოს მუშობლად იდგა ბანაკად და...

— ყური დაუგდეთ! — სიტყვა შეაწყვეტინა პოლკოვნიკმა და ხელი ააწია — გესმით ეს?

„ეს“ — ფედერალური არმიის ზარბაზნის დუმალი იყო. და „ეს“ ყველას ესმოდა: შტაბს, ში რიგებს, მთის თხემის იქით განლაგებულ ქვეით ჯარს; ყველას ესმოდა „ეს“ და ცნობისმოყვარეობით კრატერისკენ იყურებოდნენ, საიდანაც უხლა, გზადა იმ იშვიათი კვამლისა, რომელსაც მტრის ყუმბარები აჩენდნენ, კვამლის არც ერთა ნაფლეთიც აღარ ამოდიოდა. შემდეგ

ბუკის ხმა მოისმა, მერე ბორბლების სუსტი რახჩახი; ერთი წუთის შემდეგ ზარბაზნების ვრიალა ვაირობების ძალით განახლდა. კაპიტანი ზარბაზანი ახალით შესცვალეს.

— ამრიგად, — სთქვა ოფიცერმა და შეწყვეტილი ლაპარაკი განაგრძო, — გენერალმა კოლტერის ოჯახობა გაიცნო. და აი აჲ, — ზუსტად არ ვიცი რაში იყო საქმე, — მაგრამ კოლტერის მეუღლეს რაღაც ისტორია დაემართა, იგი სეცესიონისტი იყო, ისე, როგორც მისი ოჯახის ყველა წევრი, გარდა თავათ კოლტერისა. არმიის მთავარ შტაბში საბივარი შევიდა და გენერალი ამ დაეიზიში გადმოიყვანეს. მეტად უცნაურია, რომ შემდეგში კოლტერის ბატარეა ჩვენს დივიზიას მიარიცხეს.

პოლკოვნიკი წამოღგა ქვიდან, რომელზედაც ისინი ასხდნენ. მის თვალში კეთილშობილმა აღშფოთებამ იფეთქა.

— გამიგონეთ, მორისონ, — სთქვა მან და ძირდაბირ სახეში ჩააცქერდა თავის ყბედ შტაბ-ოფიცერს, — თქვენ ეს ისტორია პატიოსანმა კაცმა გაიმბოთ თუ ვინმე ჭორიყანამ?

— თუ ეს აუცილებელი არ არის, ნუ გათქმეინებთ, რა გზით გავიგე ეს ამბავი, — უპასუხა ოღნაჲ შეწითლებულმა ოფიცერმა. მაგრამ შე საკუთარ თავით ვაგებ პასუხს, თუ ძირითადში ეს ყოველივე მართალი არ გამოდგება.

პოლკოვნიკი მოშორებით მდგომ ოფიცერთა პატარა ჯგუფსკენ მიტრიალდა.

— ლეიტენანტო ვილაამს! — იყერა მან.

ერთი ოფიცერთაგანი ჯგუფს მოსწყდა, წინ წამოიწია, სალამი მისცა და წარმოსთქვა:

— ბოდიში, პოლკოვნიკო, მე მეგონა, რომ თქვენ უკვე გაცნობეს: ვილაამსი ქვეით ყუმბარით იქნა მოკლული. რას მიბრძანებთ, სერ?

ლეიტენანტი ვილაამსი სწორედ ის ოფიცერი იყო, რომელსაც წილად ხვდა პატივი. რომ ბრიგადის მეთაურისაგან ბატარეის მეთაურისათვის მარჯვე სრალის გამო მოლოცვა გადაეცა.

— წადით, — სთქვა პოლკოვნიკმა, — და უბრძანეთ დაუყოვნებლივ მოაშორონ ქვეითები. წინ მგც თქვენთან წამოვალ.

იგი თათქმის სირბილით დაეშვა ფერდობზე, „ორმოს“ მხმართულებით. ქვეებზე ხტებოდა, ბარდებში გზას იკვლევდა, ყოველ წუთს შეეძლო კისერი მოეტება; თანამგზავრები უწყსრიგოდ მისდევენენ უკან. მთის ძირში მათ ცხენები უცდიდა. ისინი შესხდნენ და ჩორით გასწიეს, შემდეგ შემოტრიალდნენ და „ორმოს“ მიუახლოდნენ. იქ მათ საშინელი სანახაობა დახვდათ.

ნაპრალო, რომელიც ერთ ზარბაზნისათვის საკმაოდ ფართო იყო, არა ნაკლებ ოთხი ქვეითების ნამტვრევებით იყო წაბერგილი. ოფიცრებმა ნახეს, თუ როგორ დადუმდა უკანასკნელი დაზიანებული ზარბაზანი — ხალხე არ ეყოთ, რომ იგი საჩქაროდ ახალით შეეცვალათ. გზის ორივე მხარეზე ნამსხვრევები ეყარა; ჯარისკაცებო ცდილობდნენ მოესუფთაებინათ ამ ადგილი, სადაც ეხლა მესუფე ზარბაზანი იღვა. ჯარისკაცები ნემდვილ დემონებს ჰგვანდნენ. ყველა წელამდე შიშველი იყო, მათი ჭუჭყიანი კანი, თო-

ფის წამლისაგან გაშავებული და სისხლის ლაქებით იყო დაწინაურებული; ქუდები აღარ ეხურათ. მათი მოძრაობა, როდესაც სარცხით მოქმედებდნენ, გუგუბის მოძრაობას მოგავონებდათ.

დასივებული მხრებით და დასისხლიანებული ხელებით წარამარა ბორბლებს ებლაუჭებოდნენ, როცა ქვემეხი სროლის შემდეგ უკან წავორდებოდა ზოლზე და მას ისევ თავის ადგილას აყენებდნენ. ბრძანება არ ისმოდა: სროლის, ყუმბარის სკდომის, ნამსხვრევთა სტევის და ნაფოტების ფანტის ამ საშინელ ქაოსში ყურთა სმენა აღარ იყო. ოფიცრები, თუ კი იმანი აქ იყვნენ, არაფრით განსხვავდებოდნენ ჯარისკაცებისაგან; სიკვდილამდე ყველა ერთად მუშაობდა. ვაწმენდის შემდეგ ზარბაზნის სტენიდან, გატენის შემდეგ ნიშანზე აყენებდნენ და ისროდნენ. პოლკოვნიკმა თავის სამხედრო პრაქტიკისათვის რაღაც უჩვეულო და ახალი შენიშვნა — რაღაც საშინელი და არაბუნებრივი, ზარბაზნის ყელი სისხლით იყო მოსვრილი! რადგან დიდი ხნის განმავლობაში წყალი არა ჰქონდათ, ღრუბელს მოკლულ ამხანაგთა სისხლის გუბებში ასველებდნენ, მუშაობის დროს არავითარ შეკამათებს არ ჰქონდა ადგილი. ყველასთვის ნათელი იყო დაკისრებული მოვალეობა. როცა ერთი იღუპებოდა, მეორე თითქოს მიწიდან ამოჭრებოდა მოკლულის შესაცვლელად, რათა ჯერის მიხედვით თვითონაც დაღუპულიყო.

ნამსხვრევების გარშემო, მათ ქვეშ და ზევით, — დამტრეულ ზარბაზნებთან ერთად დაღუპული ადამიანები ეყარნენ; უკან კი, ვხის იქით — საშინელი პროცესია მოსწანდა: ხელის ფათურით და მუხლის თაევბზე ზოხვით მოცოცავენდნენ დაჭრილებს, რომელთაც ჯერ კიდევ შეეძლოთ მოძრაობა. პოლკოვნიკს, რომელსაც შეებრაღა ამალის წევრები და მარჯვნივ გაგზავნა ისინი, თავისი ცხენის ფლოჭვებით იმათი გასრესა მოუხდა, ვასი სიკვდილიც არავითარ ეჭვს არ იწვევდა, იმისათვის, რომ არ გაესრესა ისინი, ვისშიც ჯერ კიდევ ბეუტავდა სიცოცხლის ნიშან-წყალი, იგი დამშვიდებით იკაფავდა ვზას ამ ჯოჯოხეთში. მან ქვემეხის გასწვრივ გაიარა და, უკანასკნელი მათქმის კვამლისაგან დაბრმავებულმა, ჯარისკაცს, ხელში სარცხი რომ ეჭირა, რაღაც მოახვედრა ლოყაში. კაცი დაეცა, — ეგონა ყუმბარა ნომხედაო. რომელიღაც ეშმაკი კვამლიდან გამოვარდა, რომ მისი ადგილი დაეჭირა, მაგრამ შეჩერდა და როგორღაც, არა ამქვეყნიური იერით, მხედარს შეხედა; მისი კბილები შავი ტუჩებთან შიგნიდან თეთრად ელავდნენ. გასისხლიანებულ შუბლს ქვემოთ ნაკვერცხლებივით ანათებდნენ ფართოდ დაწყვიტილი თვალები, პოლკოვნიკმა ნიშანი მისცა და უბრძანა უკან დაეხია. ეშმაკმა მორჩილად თავი დაუკრა. ეს იყო კაპიტანი კოლტერი.

პოლკოვნიკის ნიშანთან ერთად ზარბაზნის გრილი შესწყდა და ბრძოლია ევლზე მყუდროება გამეფდა. სიკვდილის ამ ზეობაში ყუმბარები აღარ სცივოდა; მტრამაც შესწყვიტა ზარბაზნის სროლა. მტრის მთავარი ჯარი უკვე რამდენიმე საათის წასული იყო. არიერგარდის მეთაური ამ სახიფათო პოზიციანზე ასე დიდხანს მიტომ იყო გამაგრებული, რომ იმედი ჰქონდა, ფედერალური ჯარის ცეცხლს ჩაეახშობო. ეხლა მანაც შესწყვიტა ზარბაზნის გრაღა.

— წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასეთი დიდი ძალაუფლების პატრონი ვიყავ, — ხუმრობით გაიფიქრა პოლკოვნიკმა და მწვერვალისკენ წავიდა, რომ გაეგო, რა მოხდა ნამდვილად.

ერთა საათის შემდეგ მისი ბრიგადა მტრის ტერიტორიაზე დაბნაკდა. საქმე აღარაფერი მქონდათ ჯარისკაცებს. ისინი, როგორც წმინდა რელიკვიებს, მოკრძალებით ათვალეირებდნენ დახოცილ ცხენებს და სამ დაზიანებულ ზარბაზნს.

მოკლულები წაიღეს. გამარჯვებულებს შათი დაფლეთილი, დასახიჩრებელი გვამები შეტად დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა.

ცხადია, პოლკოვნიკი და ოფიცრები პლანეტორის სახლში დაბანადნენ. მართალია, ყუმბარებისაგან ის საკმაოდ დაზიანდა, მაგრამ მის ჭერქვეშ ყოფნა მაინც უკეთესი იყო, ვიდრე ღია ცისქვეშ ლამის გათევა. ავეჯი გადაყირავებული და დამტვრეული ეყარა: კედლები და ჭერი ზოგ ადგილას სრულიად ჩამონგრეულიყო. გარშემო თოფის წაშლის სუნი იდგა. შედარებით უვნებელი აღმოჩნდნენ საწოლები, ქალის სამკაულით სავსე სკივრები და მურჭლით სავსე სასადილო განჯინა. ახალი მღვმურები კარგა კომფორტულად მოეწყვნენ ღამის გასათევად. კოლტერის ბატარეის განადგურებამ კი მათ საინტერესო თემა მისცა სამუსაიდოდ.

ეახშმის დროს სასადილო ოთახში შიკრიკი შემოვიდა და პოლკოვნიკთან დალაპარაკების ნებართვა ითხოვა.

— რაშია საქმე, ბარბურ? — გულკეთილად შეეკითხა პოლკოვნიკი.

— პოლკოვნიკო, სარდაფში რაღაც ამხავია. არ ვიცი, რაშია საქმე, მაგრამ აქ ვიღაც უნდა იყოს. ის იყო, უნდა ჩავსულიყავი რამის მოსაძებნად, რომ...

— ეხლავე ჩავალ და ვნახავ, — თქვა ერთმა შტაბ-ოფიცერთაგანმა და ზეზე წამოდგა.

— მეც წამოვალ, — სთქვა პოლკოვნიკმა, — დანარჩენები კი აქ დარჩნენ. გაგვიძებ წინ!

მაგიდიდან შეწვლილი აიღეს და კიბით სარდაფში ჩავიდნენ. წინმძღოლი შიკრიკი შიშისგან თრთოდა. სანთელი მკრთალად ბეჭუტავდა, მაგრამ სარდაფში ჩავიდნენ თუ არა, მისმა შუქმა ადამიანის ფიგურა გაანათა. ქვაზე ვიღაც იჯდა. ზურგით ჩაშავებულ კვითიერის კედელს მიყრდნობოდა. მუსულები აწეული მქონდა, თავი წინ დახრილი. სახე, რომელიც მათკენ პროფილით იყო მოქცეული, არა სჩანდა, რადგან ადამიანი იმე ძლიერ იყო წინ წამოხრილი, რომ გრძელი თმები უფარავდნენ სახეს; საოცარი ამბავი იყო: შეჭლურჯი ფერის წვერი უშველვებელ აწეწილ ტალღად ეშვებოდა ძირს და ფეხქვეშ იატაკზე ედინა.

ოფიცრები უნებურად შეჩერდნენ; პოლკოვნიკმა შიკრიკს მართოლვარე ხელიდან სანთელი გამოართვა, მივიდა ადამიანთან და ყურადღებით დააკვირდა. შავი, გრძელი წვერი მკვდარ ქალის თმა აღმოჩნდა. ქალს მკვდარ ბავშვა ჰყავდა ჩახუტებული. ორთავენი ვიღაც კაცს მკერდზე და ტუჩზე ჰყავდა მიკრული. ქალის თმები სისხლიანი იყო; სისხლიანი იყო კაცის თმებიც. მახლობლად ბავშვას თეხი ევდო. სარდაფის მიწურ იატაკში ჩაღრმავებული ადგილი მოსჩანდა — ახლად ამოთხრილი ორმო, რომელშიაც ცალ მხრიდან კოპეშაიანი ყუმბარის ნატეხი ევდო.

პოლკოვნიკმა, რაც შეეძლო, მალე ასწია სანთელი. სარდალმა კი გახერხებულ იყო. ნახერხიდან დახლეჩილი ფიცრები ეკიდებოდა.

— ეს საპყრობილე არასაიმედო საფარია კუმბარებასაგან, — სერიოზულად წარმოსთქვა პოლკოვნიკმა.

მას ფიქრადაც არ მოსელოა, რომ შემთხვევის ასეთ შემთხვევა დაუდევრობით სცოდავდა.

ერთ ხანს ისინი გაჩუმებული იდგნენ ამ ტრაგიკული ჯგუფის გვერდით. შტაბ-ოფიცერი თავის შეწყვეტილ ვახშამზე ფიქრობდა, შიკრიკი თავს იმტვრევდა და უნდოდა გამოეცნო რა უნდა ყოფალიყო იმ კასრებში, რომელნიც სარდალის მეორე ბოლოში იდგნენ. უცებ კაცმა, რომელიც მკედარი ეგონათ, თავი ასწია და მშვიდად შეხედა მათ. მისი სახე ნაზიროვით შავი იყო; თვალებიდან ქვივით, ლოყებზე, დაკლავნილი ხაზები ჩამოსდიოდა. ტუჩება ზანგივით თეთრი ჰქონდა, შუბლი — სისხლიანი.

შტაბ-ოფიცერმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, შიკრიკი განზე გადგა.

— აქ რას აკეთებთ, ჩემო კარგო? — შეეკითხა პოლკოვნიკი ადგილიდან ფეხმოუცვლელად.

— ეს სახლი მე მეკუთვინის, სერ, — იყო ზრდალობიანი პასუხი.

— თქვენ? კი, მაგრამ, ეს?

— ეს ჩემი ცოლ-შვილია. მე კაპიტანი კოლტერი ვარ.



საქართველოს
ხალხური მემკვიდრეობის
ცენტრის ბიბლიოთეკა

ნიქოლოზ ჩაჩავა

“სხეცხეცა იბაგობს

ნახვამდე გითხარი

იდრეა კიდევ, ჩვენს სატბარში
ღამე არ სტოვებს თავის ნაკვალევს.
სადღაც სინათლე ჩააქრეს ბარში,
ვარსკვლავი მაინც არ ლულავს თვალებს.

მოვედი ვნახო, ნახვამდე გათხრა,
თან წარვიტანო შენი ნუგეში,
ვინ იცის, იქნებ ვერ შევხვდეთ დიდხანს
მეოცნებენი სიკაბუკეში.

ვინ იცის, იქნებ სულ მცირე დროში,
თმას შეეპაროს კალარა ფიჭვის,
უჩინარ სუფდის სანაბიროში
გუგას მოაწყდეს ჩაუსი და ფიფარი

და დაგავიწყდე. ხანდახან სუნთქვას
ამონაკენესი ამოყვეს ჩემი,
გამიხსენებ და გულს დაგათუთქავს
ნაუცბათევი ხსენება ჩემი.

ზომ შეიძლება, გული გაჩერდეს
და სულმა იგრძნოს ტკივილი გულის,
ბრძოლიდან მოსულ ამბავს დაჯერდე,
აგმღერეს გრძნობა მივიწყებული.

თუ კი აშკარად მოგვდაო, გათხრან,
დაჯექ, მიგლოვე, მიტირე დიდხანს.
მაგრამ რაც უნდა ცრემლი დახარჯო,
მაინც ამოვა მინდვრად ყაყაჩო.

ჩემი სახელი უწოდე ყვავილს,
რომ გაზაფხულის ცქრილა ყვავი,
ყვაველის ფოთოლს დაეცეს იმ დროს
და ისევ მიწედეს ჯეჯილს და მინდორს.

გიორგი სააკაძე¹⁾

დრამა 5 მოქმედებად

მოქმედება მეთხუთსი

სააკაძის შერიწივი რაზმის სადგომი, მთიანი ადგილი. დიდი ტყე. მარჯვნივ აენსცენისაკენ, მუხის კუნძო გვლი. მარცხნივ—სააკაძის კარავი, რომლის წინ დიდი ტყის ლოდი დევს. რაზმელები გაფანტულან ტყეში. ერთ ჯგუფს წრე შეუტრიავს. ერთ კუთხეში საჭიდაო ტანსამოსს აკმევენ ტუხას, მეორე კუთხეში—დედას ბიჭს. ისმის ურამული, ხმება

მ გ ე ლ ი კ ა — (დედას ბიჭს აგდებს შუა წრისკენ)

გამოდი, ბიჭო, შე ტიალო, გამოდი-მეთქი!

უკან რას იწეე დასაქედავ ოჩან ხარივით.

მ ი ხ ო — (დედას ბიჭს ტანზე აკვირდება)

ერთი შეხედეთ დედას ბიჭსა, შეხედეთ, ხალხო!

ი, ურჯულოებს, სპარსელებსა რა უცემნიათ.

გ ი გ ო ლ ა — არა თუ მართლა?

და თუ ნა — მართლა დაგვეყვას, დედას ბიჭი? (სიცილი)

დე დ ე ა ს ბ ი ჭ ი — (გოლიათური მოყვანილობის ვაჭყაცი საჭიდაოდ მორთული ღვას წრეში)

სპარსელებმა მე კი არა და...

მგონი, მეფეც კი დაგვიყვებს (სიცილი).

ბ ე ტ რ ე — (შივა ახლოს დედას ბიჭთან).

ბიჭოს, შეხედეთ, მთელი ტანი დაღურჯებია!

დე დ. ბ ი ჭ ი — ხუთი კაცი ერთად მცემდა და... (სიცილი).

გ ი გ ო ლ ა — ხუთ კაცს, ბიჭო, როგორ გაუძელ? (სიცილი).

დე დ. ბ ი ჭ ი — ჯავშანი მეცვა მაგარი და ველარ გაგლიჯვს.

შუბის ჯივლაგით ოხრად მცემეს, რაც მართალია!

(სიცილი).

მ ი ხ ო — როგორ არ მოკვდი, შე ოხერო, ამდენი ცემით? (სიცილი)

დე დ. ბ ი ჭ ი — თუ კი ვერ დამჭრეს, მარტო ცემა ხომ არ მომკლავდა?

(სიცილი).

მ გ ე ლ ი კ ა — ოჰ, შე კამეჩო!

დე დ. ბ ი ჭ ი — (იღიმება) ეჭვი, გენახათ ერთი, ხალხო,

როგორ უტირა ყველას დედა ჩვენმა სარდალმა.

ბ ე ტ რ ე — სარდალმა, ბიჭო?

დე დ. ბ ი ჭ ი — რომ შემომხედა, ხუთი კაცი ერთადა მცემდა,

შემოუტია სპარსელ მხედრებს ლახტის ცემითა.

¹⁾ იბ. „მნათობი“, № 4—5.



- ისეთი რისხვა დატეხა, ისეთი, რომა...
როგორც რომ პანტა, ცხენებიდან ისე სცვივოდნენ.
- მ გ ე ლ ი კ ა — შე გლახა, შენა, ჩვენს სარდალს რომ არ დაეწინაურებოდა ხომ ჩასტოვებდი მარაბდაში მკვ ხარის ტყავსა.
- დ ე დ. ბ ი ჭ ი — რომ ჩამოცვივდნენ ცხენებიდან, მაშინ მოვდექი, ისე ვავხადე ორი კაცი ლახტის ცემითა, ისე ეყვირე, ვი დედას გაიძახოდნენ.
- მ ი ხ ო — აბა, რად სტყუი, დედას ბიჭო, არა ვრცხვენია! როგორ ვაიგე, ის სპარსელნი რას იძახოდნენ, შენა, შეილოსა, მათი ენა ხომ არ გესმოდა?
(სიცოლი).
- გ ი გ ო ლ ა — ერთი უყურეთ ამ ხბოს თავსა, კიდევ გვატყუებს!
და თ უ ნ ა — ჭკუაზე მოდი, დედას ბიჭო, რაებს მიჰქარავ!
- დ ე დ. ბ ი ჭ ი — აბა, რა ვიცი, ყვიროდნენ და...
განა სხვას რას დაიძახებდნენ?
არა, ჩემმა მზემ, ვი დედას გაიძახოდნენ...
ძლიერ კი ვცემე, მაგრამ აღარ დამიხოცინია.
ეპ, შემეცოდნენ, ზეზე მაინც ველარ დგებოდნენ.
- მ გ ე ლ ი კ ა — შე დოცლაპია, განა იმათ ჩვენ შეგვიცოდეს?
ვერა ხედავდი, მარაბდიდან რომ დაგვიფრინეს,
როგორის ამბით, ცემა-ტყუებით უკან მოგვდევენ?
- მ ი ხ ო — ოპ, შე ტუტუცო, ვირის თავო, კამეჩის ზაქო!
(საერთო ყვირია, ხმაური).
- გ ი გ ი ა — კარგია, ხალხო, დაეხსენით, რას აუხირდით!
ჰა, რასა შერები, ტუხა ბიჭო, გამოდი ჩქარა!
- ლ ე ვ ა ნ ა — აბა, ეხლავე, მორჩა უკვე.
- გ ი გ ო ლ ა — (წეპლას სცემს ფეხებში ხალხს და უკან ერეკება)
აბა, ბიჭებო, გალავანი, უკან მიდექით.
- პ ე ტ რ ე — ჰა, ტუხა ბიჭო, მორჩი ჩქარა, ხომ არ შეშინდი?
- ლ ე ვ ა ნ ა — შეშინდება, მა რა იქნება,
ერთი შეხედეთ დედას ბიჭსა, აბა რასა ჰგავს,
ნახე, დასიცხულ კამეჩივით რომ იბღვირება.
- ტ უ ხ ა — (გადმოხტება წრეში) აბა, მზადა ვარ.
დედას გიტბრებ, დედას ბიჭო!
(უბაღ შეჩერდება, დედას ბიჭს დააშტრდება და წასვლელად გაიწეეს).
არა, გამიშვით, უარს ვამბობ ტილობაზე.
ეს რომ დამეცეს, ხომ გამსრესავს, არა გამიშვით!
(წასვლას დაპირებს).
- მ ი ხ ო — სად მიხვალ, ტუხა?
- ბ მ ე ბ ი — როგორ ვაგიშვებო!
ეგ არ იქნება!
მიდი, ტუხა, ნუ გეშინია!
აი, შე გლახა, შე ლაჩარო!
(გამოაფლებენ ისევ წრეში).
- ტ უ ხ ა — ეპ, დაუკარი ეგ ტიალი, მიზო, დაჰქარის
ვაიმე დედა, რა ვაუკაცი შეილი ვიკედები!

პეტრე — მაინც და მაინც არაფერი, ბერს ნუ იღარდებ.

(სიცილი, მიხი და ლევანა საჭიდაოს უკრავინ სალამურსა და დოღუქ-ტუქის-
დედას ბიჭი ისევ ვიი ადგილას დგას, ტუხა გაუთამამებს. მივარდებენ ჩაქვამს-ტუქს,
შეაწვრივს და საომას გამოსდებს).

პეტრე — ყოჩაღ, შე გლახავ!

გიგოლა — რაო, შევილოსა:

ზომ შავარია დედას ბიჭი, ზომ ვერ დასძარი!

(ხალხი იცინის. ეხლა დედას ბიჭმა მოიგდო ხელში, წელში მოსწურა და ზევით ასწია).

მგელიკა — ვაი ჩემს ტუხას!

ეჰ, დაიღუპა ჩვენი ტუხა.

გიგია — დააცათ, ხალხო, ხელს ნუ უშლით!

(ტუხამ იმდენი იწვალა, გაუსტატა ბოლოს ხელიდან და დედას ბიჭს შიგ ფეხებში
გაუძვრა. სიცილი და ხმაური).

პეტრე — ჰაი და ტუხას!

(ტუხა განზე გადაგბნ და თავისუფლად ამოიხრთქავს).

გიგია — ეი, რა გიყო, დედას ბიჭო!

(ტუხა დაუვლის, ისევ მივარდებიან ერთმანეთს. უცბად ტუხა ხელს ჩააქლებს ჩო-
ხაში, მოიგდებს მხარზე, გადმოიღებს და დედას ბიჭს ძირს ტასკემს. ატყულება ყიფი-
ხმაური, სიცილი).

მგელიკა — ეს რა ყოფილა, ყოჩაღ ტუხას!

ხმები — ერთი უყურეთ ტუხას ბიჭსა!

დათუნა — თურმე ყოფილა ფალავანი გამორჩეული.

ტუხა — ვაი, მიშველეთ, ამიყვანეთ, ვაიშე, ხალხო!

ვაი, არ მიშვეებს დედას ბიჭი, რა ვქნა, მიშველეთ!

(შეშობგევიან და ტუხას ააყენებენ).

მიხი — ბიჭო, რა ჰქენი შე ოხერო, ეს როგორ დასცი?

გიგია — (მოარბენინებს ტიკტორასა და ყანწს)

შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ბიჭი ყოფილხარ,

მოდე; გადაჰქარ ჯანზე მოხვალ, აჰა, დალიე!

ტუხა — (სევამს) იფ, რა კარგია, ვენაცვალე ამის გამჩენსა!

დედ. ბიჭი — ტუხა, ჰა, ტუხა!

ტუხა — რაო, რა გინდა? თუ დმერთი გწამს, იქით დადები!

დედ. ბიჭი — კიდევ მეჭიდე.

ტუხა — გიყი ზომ არ ხარ!

რას ამბობ, ერთხელ ძლივს გადავირჩი.

არა, თუ ძმა ხარ მომეცალე, ახლოს ნუ მოხვალ.

პეტრე — აბა, გამოდი, ტუხა ბიჭო, ჩამოუარე.

გიგია — აბა, ბიჭებო, გენაცვალეთ, ბანი მითხარით,

ერთი დავძახოთ ჩვენებურად გარე კახური.

დათუნა — გამოდი, ტუხა, დაუარე ნუ გეშინია.

(ტუხას გამოავლიბენ წრეში).

ტუხა — გამიშვით, ხალხო, დამეხსენით, არ შემიძლია!

მგელიკა — ზომ იცი კარგად, არ გაგიშვებთ, არ მოგეშვებთ.

(ტუხა ცეკვავს, რის შემდეგაც წრე თანდათან იშლება. გამოჩნდებიან ბაბუტა, ელია
დასამიძე და ელიას რამდენიმე რაზმელი).

ელია — გამარჯვება თქვენი, ბიჭებო!

ხმები — (შემოებგევიან) ოო, ჩვენს ელიას 'გაუმარჯოს! სადა ხარ,
კაცო? სად დაიქარგე?

გიგია — როდის მოსულხარ? როგორა ხარ, ჩემო ელია?

ელია — ეხლა მოველი, თან ბიჭებიც ჩამოგიყვანეთ.

გიგია — არა თუ მართლა?

ელია — თუ კი არ გჯერა, თვითონ ნახე, ქვევით იცდიან.

გიგია — წავიდეთ, ხალხსო, ვნახოთ ერთი, რა ბიჭებია.

ხმები — აბა, წავიდეთ, დედას ბიჭო, მიხო, წამოდიო.

(მიდიან. ბახუტა, ელია და მისი რაზმელები წინ წავლენ).

ელია — მერე, ბახუტავ.

ბახუტა — რა წამს მობრძანდა თეიმურაზ ტაბახმელაზე, შეიქნა ბჭობა. მოფარდაულის გარეთ ვიდექ.

რადგანაც ვახლდი მოურავსა, და რაც იქ იტყვა,

საკუთარ ყურით გაეიგონე ყოველი სიტყვა. (ჯღებთან)

დიღხანს იმსჯელეს, მოურავი ძლიერ ცხარობდა,

ამბობდა: მთები გავამაგროთ, აქვე დავხვდეთო,

მტერი დიდ ლაშქარს მარაბდაში გამოაყენებს

და იქ კი, მთებში, ვერსად გაშლის, ვერ მოიხმარსო.

მაგრამ არ იქნა თავადები წინააღმდეგენ.

სიტყვს: ჩვენ არ ძალგვიძა მტრის შემოსვლას აქ ველოდოთო

და თუ არა გსურთ, რომ ეხლავე მტერს თავს დავესხათ,

მაშინ სახლისკენ გავუძახებთ ისევ ჩვენს ჯარსო.

შემდეგ ფარსადან ციციშვილმა მიმართა კრებას:

რადგან ჩვენ შორის იმყოფება მეფე ბატონა,

მართებულია, იყოს იგი ჯარის სარდლათო.

ვინ რას იტყოდა წინააღმდეგს?

ისე წაართვეს მოურავსა ჯარის სარდლობაც.

ელია — აი დედასა, უკეთესად ვინ ისარდლებდა.

ბახუტა — შემდეგ დავეციოთ მტერს მარაბდას, იღვეთის პირას.

ენახეთ, მტრის ჯარი ჩამსხდარიყო მაგარ ხანგრებში.

თხრილების პირას ზარბაზნები შემოემწყვრიეთ,

ზარბაზნებს უკან მეთოფურნი ჩასაფრულიყვენ

და სულ უკან კი იდგა მათი ცხენოსანი ჯარი.

რა წამს ჩავედით, ჩვენმა ჯარმა მყის შეუტია.

წინ ერისთავი მიუძლოდა მოწინავე რაზმს.

როგორც ვეფხვები, მთიელები ისე ეკვეთნენ.

გაბშირდა ომი ხელჩართული, მეტად ფიცხელი,

ბევრჯერ იერიში მიეიტანეთ დაღამებამდის

და ვერ დავძარით აღვილიდან მაინც სპარსელნი.

როგორც ინათლა მეორე დღეს, განახლთა ბრძოლა.

თანაც ისეთი სიცხე დადგა, ისეთი ბული,

რომ გაქცეულნი ჯარისკაცი სულს ვერ ითქვამდნენ

და ეცემოდნენ რეტ-დასსმულნი, გაბრუებულნი.

ამითი მტერი გათამამდა, გამოსცდა სანგრებს,

იწყო ყოველ მხრივ ჩვენი ჯარის შევიწროვება.

მაგრამ იმავ დროს შეუტია მტერს მოურავმა,

დასკეჭა შედგარად:

აბა, მომყევით, არწივებო, ვაყვაცებო.

აძგრა შეუბი სპარსელ სარდალს, განთქმულ დაუთ-ხანს,
შავლოჯა ცხენსა, იტაცა მალღა ჰაერში
და გადასტყორცნა, როგორც რომ ბურთი.

პირ. რაზმელი — ვენაცვალე ვაყვაცობაში!

ბახუტა — შემდეგ ლომივით ვაერია მტრის ურდოებში.

მას უკან მოჰყვენენ ქავთარაძე, ხოსრო ქარსიძე,
ორივ პაპუნა, სხვებიც კიდე გამორჩეულნი.
გამხნედა ჯარიც, შეუტიეს, დასცეს ყიენა.
გატყდნენ სპარსელნი, უკუიქცნენ შეშინებულნი
და აირია ერთმანეთში ურიცხვი ჯარი.

უკან ფეხ-და-ფეხ მიჰყვებოდნენ ჩვენი მებრძოლნი
და გაქცეულ მტერს უმოწყალოდ ანადგურებდნენ.
დაგვრჩა ბანაკი, მტრის სიმიდრე აურაცხელი.

მეორე რაზმ. — თქვენი ჭირიმე, ვაყვაცებო!

ბახუტა — მაგრამ როდესაც ყორჩიბაში თავის ლაშქართ

დამარცხებული მარაბდიდან უკან გარბოდა,
გამოჩნდა სერზე, უთვალავი, ახალი ჯარი,
დაეშვა დაბლა, ვით მომსკდარი შთის ნიაღვარი,
და განახლდა ზელახლა ომი.

დაღლილნი იყვენენ ბრძოლისაგან ჩვენი რაზმები,
უსმელ-უჭმელნი, უძილარნი.

მაგრამ მტერს მაინც არ უთმობდნენ არც ერთსა ნაბიჯს.

მოჰკლეს ბაადურ ციციშვილი, ზერხეულიძე,
კახთა სარდალი ჯანდიერი. დაჰსჭრეს ზურაბი,
თუმცა ომიდან არ გასულა, მაინც იბრძოდა.

აიგსო მკვდრებით მთლად მარაბდა, ოხვრით, ვეგბით.

დაჭრილთა კენესა გულსაკლავი ისმოდა ყველგან.
სისხლში სცურავდა ჩვენი ჯარი, მაინც იბრძოდა.

ამ დროს მოგვესმა შემოტრევის მძლავრი ყიენა,
საყვირის ხმები, არეული ზურნის ჭყვირილში
და, როგორც სეტყვა, წამოვიდა ზურგიდან ტყვია.

ეს იყო სპარსთა გაქცეული, ძლეული ჯარი.

იგი ზელახლა მოეკრიბა სარდალ ყორჩიბაშს

და ამ ლაშქართ მოგვიძრა, შემოგვიტია.

მესამე რაზმ. — ვერ უყურებთ იმ ურჯულოსა!

პირ. რაზმელი — მერე, ბახუტა?

ბახუტა — ჩაეარდით ყველა განსაცდელში, გარს შემოტყმულნი.

გზა არსად იყო დასახევი, გავსწირეთ თავი,
როგორც ლომები, ჩვენი ხალხი ისე იბრძოდა,
ერთი ათს ჰკლავდა, ათის ადგილს ოცი იჭერდა,
ახალ-ახალი ჭაშში რაზმზე გადმოდიოდა.

ამ დროს გაეარდა ხმა შეცრივ, მოჰკლეს მეფეო.
ყველგან იძახდნენ, მოჰკლეს მეფე თეიმურაზი,
და მართლაც მოჰკლეს იმ დღეს ომში თეიმურაზი,
მხოლოდ ის იყო თეიმურაზ, მუხრან-ბატონი.



მარაბდის ბრძოლას ამ ამბავმა ბოლო მოუღო,
ჯარი შეშინდა, აირია, გატყდა სიმტკიცე,
თან ყოველ მხრიდან გვაწყდებოდნენ სპარსთა მხედრები,
ტყვედ დარჩებოდა ჩვენი ჯარი ან და გაგვეწყდებდნენ,
მაგრამ დაგვიხსნა მოურავმა, გააპო მტერი
და გზა გაუხსნა გასაღელელო მომწყვდეულ ლაშქარს.

მესამე რაზმ. — ვენაცვალე მაგის მარჯვენას!

მეხ. რაზმელი — აი შეილოსა, ყველა მაგას გადურჩენიხართ!

ბახუტა — როცა იხილა ქართველები უკუშეცვლნი,
დაღლილ-დაქრილნი, დაქანცულნი, შესაბრაღისნი,
დაარკო ხმალი მან მიწაში, და დაამტვრია
და თან საზარლად დაიქუხა, ამოიგმინა:
ასე დაამხე მისი მოღგმა, მისი ხსენება,
ვისი ხელითაც საქართველო იღუპებო.

ელია — (სიჩუმის შემდეგ) ვაი დედასა, თან არ ვახლდი გვერდში,

სარდალო!

ბახუტა — ვიდრე თვით ომი არ დაიწყო, სულ მოველოდა.

ელია — სანამ მე ხალხი მოვაგროვე, გამოვეშურე,
ის იყო მცხეთას მოვალწიეთ, კიდევაც მითხრეს:
ტყვილად იჩქარი, ჩვენი ჯარი დაგვიმარცხდაო.

მეხუთე რაზმ. — მართალი უთქვამთ,
დიდძალი ხალხი ამოსწყვიტეს მარაბდაშიო.

ბახუტა — დიდძალი ხალხი, ჩემო ძმაო.

ოცი ათასი კაცი მოკვდა სპარსელებისო.

ათი ათასი ქართველებმა, შგონი, დაეკარგეთ.

მეორე რაზმ. — რამდენი ხალხი წამხდარა!

მესამე რაზმ. — რას ამბობ, კაცო?

მეოთხე რაზმ. — ვაი დედასა!

ბახუტა — ბევრი სარღლებიც დაიხოცნენ, გამოჩენილნი.

ცხრა ძმა ამოწყდა ერთად, ერთ ღღეს, ხერხეულიტე.

ერთ ღღეს დაეცნენ ცხრა ძმა კიდევ მაჩაბელები.

მეხუთე რაზმ. — ცხრა ძმა ერთადა?

მეორე რაზმ. — რაო, ცხრა ძმაო?

ელია — ვენაცვალე იმათ დედასა!

აი იმან სთქვას, ვაჟკაცები გამოეზარდო.

ბახუტა — შემდეგ, რა ნახა მოურავმა ქვეყნის წახდენა,

ნახა, რომ მეფე იმერეთში გარდაიხვეწა,

დიდებულები მტერს ეახლნენ, თავი დაუკრეს, —

შემოიკრიბა გლეხის შვილნი, გამოჩრეხულნი,

იწყო თარეში, მტრის რაზმების განადგურება,

და ღღეს სპარსელნი მცირე ჯარით ვეღარ ბედავენ

გაცდნენ ციხეებს და სოფლები დააწიოკონ.

(გამონდება გიორგი რაზმელებიც აჯულ-აჯულუბად ბრუნდებიან).

გიორგი — გაიქცე, თედო, პაპუნასთან, ასე ვადაეცე:

არავგს ამოპყვეს და ხვალ დილით შემოგვიერთდეს.

(მახუტა, ელია და მისი რაზმელები წამოიშლებიან).

ო, ჩემს ელიას გაუმარჯოს!

ელია — ნუ მოგიშალოს გამარჯვება ღმერთმა, სარდალმა
გიორგი — სად დიკარგე, არსად ხანადი, ელიავე ჩემო

ელია — ეჰ, ვერ მოგისწარ, მოურაეო, მარაბდის ომში,
შემდეგ კი სპარსთა დიკავეს ჩვენი ქვეყანა.

მოსვლაც გაჭირდა, ვერც მოგნახე...
ეხლა შევიტყე, კეთილ საქმეს ემსახურები,
აი, გიახელ, ასი ბიჭიც თან მოგიყვანე,
სულ დარჩეულ ვაჟებია, სამცხის გლეხები.

გიორგი — (ხელს მოჰხვევს, კარვისკენ წაიყვანს).

ჩემო ელია, ძმად-ნათიციო, ჩემო ძვირფასო.
შენი ნათქვამით დაკოდილი გული გამთელდა,
ვაჟკაცს ყოველთვის ვაჟკაცური საქმე იზიდავს,
მაგრამ მაგ ხალხით ისევე უნდა უკან გაბრუნდე.
(დაჯდება).

ელია — რადა, სარდალო?

გიორგი — შენი აქ ყოფნა, ჩემო ძმაო, დიდი სარტაა,
დიდი განძია ჩემთვის შენი ასი მეტრძოლი,
მაგრამ, ღვთაის მადლით, მტერს როგორმე აქ ჩვენც ვაფუძვლებით,
თან-და-თან უკვე ჩემს გარშემო იკრიბებიან.

გამრავლდნენ ქართლში მოთარეშე ჩემი რაზმები.
მტერიც შეშინდა, ვეღარ ბედავს ხალხის დარბევას.
ერთ დღეს, ვინ იცის, იქნებ ქართლიც და მთელი ერიც...
მაგრამ წინასწარ ლაშარაკი როდი ვარგია.

და ჩვენი ხალხიც ამ დღისათვის უნდა ვამზადოთ.
მიტომ მინდა, რომ გაბრუნდე იქ, შენს მხარეში,
სადაც მკვიდრთ იცნობ, გზას, ციხეებს, მდებარეობას.

ეგ ასი კაცი, ვიდრე სხვებიც მოგემატება,
დაჰყავ გუნდებოდ და მტრის რაზმებს ნუ მოასვენებ.

ერთი ერთმანეთს ციხეები სცადე მოსწყვიტო
და თუ კი შესძლებ თავს დაესხა

აწყვეტს, ოლთისს, ან ახალციხეს, —
ეს იქნება ძალიან კარგი.

მაშ, როგორც ხედავ, შენს წინაშე დიდი საქმეა.

დიდი სიღინჯე-დაჭირდება, გამკრიახობა,
მაგრამ ნაყოფიც, მე მგონია, დიდი იქნება.

ელია — მე ვამაყობ, ჩემო გიორგი,

ასეთი შიძიე, დიდი საქმე რომ ღამეაღელ.

სჩანს, რომ მადასებ, და გჯეროდეს, არც მე შეგარცხვენ.

სხვას არას გეტყვი, მოურაეო! აბა, ზაქარიაე,

აპყარე ხალხი, გადაეცი, უკან მიედიფარო (მოუხევეა გიორგის).

მშვიდობით, ჩემო ძმადნათიციო, და ეს იცოდე,

ან შეეასრულებ მე შენს სიტყვას, ან და მოეკვლები.

გიორგი — იყავ მშვიდობით! კვლავაც გვენახოს ერთმანეთი, ჩემო ელია!
ბახუტაე ჩემო!



ბახუტა — რას მიბრძანებთ, დიღო სარდალო?

გიორგი — ხომ არ დაბრუნდნენ დღეშეთიდან ჩვენი კაცები? *სარდალო*

ბახუტა — გიხსენებ უკვე. ერთი კვირაა, რაც რომ ხოსრეს *სარდალო*
უთვალთვალებენ.

გიორგი — აბა ერთი, აქ დამიძახე.

ბახუტა — ეი, დათუნა!

დათუნა — (რომელიც მოშორებით ზის რაზმელებთან) ჰა, ვინ, მეძახის?

ბახუტა — სარდალა გიხმობს, გამოიქვეც! (დათუნა ძუნძულით მორბის)

გიორგი — გამარჯობა, ჩემო დათუნა!

დათუნა — ნუ მოგეშალოს გამარჯვება, დიღო სარდალო.

გიორგი — აბა რას იტყვი, რა შეიტყუეთ, ჩემო დათუნა?

დათუნა — დიდი ჯარი ჰყავს ხოსრო მირზას,

მოგახსენებენ, ათი ათასს აღემატება.

წურაბში მისცა უკვე ნება არაგვზე ავლის.

მხოლოდ კი უკან გამოშვებას აღარ დაჰპირდა;

დაბრუნებისას ჯარი შამულს ამოხრებსო.

ამიტომ სპარსთა ჭინის ერისთავს კაცნი აახლეს,

იმის საყმობზე აპირებენ უკან წამოსვლას.

გიორგი — ძალიან კარგი, ეს მითხარი, როგორ შეიტყუეთ,

ამ ჯარს სწადიან, რომ დაიხსნან ამილახვარი,

თუ სხვა რამ აზრი დაფარული მას ამოძრავებს?

დათუნა — არა, სარდალო! მხოლოდ სწადიან გამოიხსნან არშის

ციხიდან

ამილახვარი, დაწყვედულთ თავის ცოლშვილით.

მოგახსენებათ, სიძეა იგი სპარსთა სარდალ ყოჩინბაშისა.

ამიტომ არის, რომ ცდილობენ იმის გამოხსნას.

გიორგი — (ჩაფიქრდება) ძალიან კარგი, წადი, დათუნა, დაისვენე (გადის)
ხალხი რომ მომცა ცოტა მეტი...

შენ რას იტყობდი, ხეობაში დაუხედებოდით?

ბახუტა — მუხრან-ბატონს სთხოვეთ, გიშველოს,

ან თქვენს ცოლის ძმებს შეუთვალეთ, რომ დაგვეხმარონ.

გიორგი — ზურაბი, ძმაო, სპარსელებთან ეხლა მეგობრობს,

დათუნას კი რა მოგახსენო. მაინცა ეცადეთ.

ფშავ-ხევსურეთიც, მე მგონია, დაგვეხმარება.

მოლი, ბახუტაე, ამ საღამოს ფშავში გადადი.

გიგია კიდეც ვაეუგზაენოთ მუხრან-ბატონისა.

ბახუტა — კარგი, სარდალო.

(ამ დროს ტუნა გამოჩნდება. გაჩქარებული მოძის.)

მგელიკა — საით გარბიხარ, ტუნა ბიჭო?

პეტრე — ჰა, დედას ბიჭი ხომ არ მოგდევს? (სიცილი)

მიხო — ეი, ტუნაე, ტუნაე! (ხმები: ტუნა, ტუნა).

ტუნა — რა გაღრიალებთ, თქვე ვირებო!

დიღო სარდალო, დიდებულნი გეახლნენ თქვენთან.

გიორგი — ვინ დიდებულნი?

- ტუხა — თქვენ მზესა ვფიცავ, მოურავო;
 ნებას ითხოვენ აქ მოსელისას, ქვეით იცდიან.
- გიორგი — ვერ გამოიციან, ვინ არიან?
- ტუხა — ყველა ვიცანი, როგორ არა, დიდო სარდალო.
 მიტროპოლიტი დიონისე, მამა ტრიფილე.
 მათ დანახვაზე ჩემი თავი სიონს შეგონა.
 ის იყ.ა მსურდა, რომ კურთხევა გამომეთხოვა,
 მაგრამ შევხუდე, რომ თან აზღდნენ ჩვენს წმინდა მამებს
 ავი სულელები ეშმაკური ცბიერი სახით.
 აღარ ვისურვე მათი ლოცვა, მათი კურთხევა...
- გიორგი — აბა, რა დროს ხუმრობა არის!
 სწორედ მითხარი, ვინ არიან ან და რა უნდათ?
- ტუხა — თუ ვინც არიან, მოგახსენეთ, დიდო სარდალო,
 და თუ რა უნდათ, წმინდა მამებს ჩემთვის არ უთქვამთ.
 ექნებ სწადიან მიტროპოლიტს რაზმში შემოსვლა.
- გიორგი — კარგი, გეყოფა, გასწი ეხლავ, სთხოვე მობრძანდნენ.
 (ტუხა გაიქცევა).
- მიხო — რას დარბიხარ, შე ვირისთავო?
- ტუხა — აბა, ბიჭებო, მოეშადათ საზიარებლად.
 ეხლა მოგიყვანთ წმინდა მამებს, არსად გაიბნეთ.
- გიორგი — (ჩაფიქრდება) კარგი საქმისათვის მოციქულნი არ
 მოვიდოდნენ.
- წავიდა თედო პაპუნასთან?
- ბახუტა — დიად, სარდალო.
- გიორგი — სამი დღე არის მათ შესახებ არა ვიცი-რა
 დროა ადგილი შევიცვალეთ, სხვაგან წავიდეთ.
 (გამოწმდებიან მიტროპოლიტი დიონისე, მამა ტრიფილე, ჭიბოს ჯიჯიბიშვილი,
 ფარსადან ციციშვილი, ბარათაშვილი და სხვები).
- დიონისე — სალაში შენდა, მოურავო!
- გიორგი — მადლობას გწირავთ, უძღაბლესად, დირსო მამაო.
- დიონისე — მე წარმომგზავნეს შენს წინაშე მეფე სვიმონმა,
 უძლეველმა შაჰის მხედრობამ, დიდებულებმა,
 ხალხმა, ერმა, მთლად საქართველომ.
- გიორგი — მე მორჩილებით, მოკრძალებით ვისმენთ, მამაო.
 რით შემძლია მონა თქვენი, რომ გემსახუროთ?
- დიონისე — მოველ მე შენთან, რათა გული შენი მოვალბო,
 რათა გაუწყო ჩვენი ხალხის ტანჯვა, ვაება
 და შეგასმინო, ვითარ ჰგოდებს ერი ბედკრული.
- გიორგი — ერის გოდება, მე, მამაო, ყოველდღე მესმის.
- დიონისე — ერთი მიზეზი ამ გოდების შენ ხარ, იცოდე.
- გიორგი — ასეთი მძიმე ბოროტება რა ჩავიდინე?
- დიონისე — რად ამდგრევე ქართველთ, რად ამფოთებ, რისთვის
 აჯანყებ,
- რად ეურჩები შაჰ-აბასს და იმის მხედრობას?
- გიორგი — საკვირველია, ღვთის მსახური, ქრისტეს მოძღვარი,
 იცავს მტრებისგან, ესარჩლება მაჰმადიანებს.



დიონისე — მბრძანებელია დღეს შაჰ-აბას ჩვენი ქვეყნისა,
ჩვენც მოვალე ვართ, თაყვანი ვსცეთ, დავეზარჩილოთ. *ერეკუნული*
გიორგი — ვის ვსცეთ თაყვანი, რომელ ღმერთსა, ქრისტესს? *საქმისა*
ერთად ეგენი, მეუფეო, ვით მოთავსდება?

ერთი მათგანი უნდა დავემთო, უნდა გავწიროთ.
ფარს. ციციშვილი — ჩვენ სააკაქროთ, მოურავო, როდი
მოვსულვართ.

მეფე გიბრძანებს, რომ ბრძოლაზე ხელი აიღო.
გიორგი — მე მაგ ბრძანებას, სამწუხაროდ, ვერ შევასრულებ.
ქაიხ. ჯავახიშვილი — მეფე გპირდება შეგარიგოს სპარსელ
მხედრობას.

მათ წინააღმდეგ ჩვენიც ვიბრძოდით, შენც კარგათ უწყვი,
მაგრამ ამისთვის დიდებული, ბრძენი შაჰ-აბას
თვის მოწყალებას როდი გვაკლებს, როდი-ღა გვედენის.
გიორგი — მე და შაჰ-აბასს სვიმონ-მეფე ვერ მოგვარიგებს,
მისდამი ჩემი შეცოდება მეტად დიდია.
მუზრანის ველზე დამარცხებას, ჯარის გაწყვეტას
აგრე ადვილად შაჰ-აბასი არ დაიფიწყებს.

ქაიხ. ჯავახიშვილი — მაშინ აჯანყდა მთელი ერი, არა მარტო შენ.
გიორგი — მაგრამ ის ერი, როგორც მახსოვს, მე ავაჯანყე
და, მე მგონია, შაჰ-აბასიც ამასვე ფიქრობს.

ფარ. ციციშვილი — მაშინ გვერდს გიდგნენ ჩვენი ქვეყნის
დიდებულები,
დღეს კი ყაჩაღთ ბრბო შენს გარშემო შემოგიკრებავს.

გიორგი — ეს ბრბო რომ იყოს ყაჩაღების და მტაცებლების,
მაშინ მათ შორის, — მაპატიეთ, რომ ამას გკადრებთ, —
დიდებულებიც, ალბათ, ბევრი აღმოჩნდებოდნენ.

ბარათაშვილი — შენ ამღვრევ ყველას, გარეშე მტერს, გლუნსა
თუ თავადს,

არა სცნობ მეფეს, გვირგვინოსანს, არა სცნობ ღმერთსა,
თვით გინდა გახდე მბრძანებელიც, მეფეც,
ბატონიც, და ითარეშო შენს ნებაზე საქართველოში.
მაგრამ იცოდე, სააკაძე, ვერ იბატონებ.

გიორგი — არც მაქვს სურვილი.

ბარათაშვილი — ვერას ვახდები, ხმალი მალე დაგიჩლუნგდება.

გიორგი — ჩემი მახვილი ბასრი არის, არ დაჩლუნგდება.

დიონისე — მახვილი შენი ბასრი არის, კეჟა-კი ჩლუნგი.

ნუ თუ ვერ ხედავ, მაგ ურჩობით ქვეყანას ღუპავ?
როგორც შეიღს გირჩევ, უკუაგლო ეგ სიჯიუტე.
უბედურება მოგვდგომია დღეს ყველას კარზე
და გვემტკრება ქვეყნის წარღვნით, განადგურებით.
უნდა შევთხოვოთ მოწყალე ღმერთს, რომ დაგვიღაროს,
ხმალი ვერ გვიხსნის კარზე მომდგარ განსაცდელისგან,
არამედ მხოლოდ მორჩილება, ლოცვა, ვედრება.
ასე დალაღებს ზეციერი: «კაცთა ყოველთა,

ვინც აღიღოს მხოლოდ მახვილი, მახვილით წაწყმდეს“.

ამო არის შენი ბრძოლა შეუბოვარი.

სად შეუძლია ჩვენს ქვეყანას, განადგურებულს,
რომ შეებრძოლოს დაუძღველ შაჰის მხედრობას?

ამო არის მენაფისგან ყოველივე ცდა,

ოდეს გრივადი, ქარიშხალი ზღვაზე მძვინვარებს,

ლეწავს ხომალდებს, ნაფოტებად აქცევს გემებსაც,
მაშინ ებრძოლოს ცად აზიდულ მრისხანე ტალღებს!

უნდა მიანდოს თავის ბედი ზეციურ მამას,

მხოლოდ უფალო დაღუპვისგან თუ დაიფარავს.

გიორგი — ლოცვა-ვედრება, როგორც ეიცო, თქვენი საქმეა
და მე, მამაო, მაგისათვის არ გამოვდგები.

დიონისე — ბანზე ნუ აგდებ, მოტარაო, შენ ჩემსა სიტყვებს,
არა სამასხროდ წამოვსულვართ, თავშესაქცევად.

არამედ დიდი მწუხარება გვალაპარაკებს.

მიეც ქვეყანას მყუდროება და მოსვენება.

ჩაღვე მახვილი ამოწედილი ქარქაშსა შინა
და დაიცხრე ზეიადი გული. გონს მოდი, გირჩევთ.

განუტყვევ ეგ შენი ხალხი. დაემორჩილე მეფე ბატონს და მის
ბრძანებას.

გიორგი — მე ვებრძვი მხოლოდ მოძალადეს, სახლში შემოსულს.
არ მსურს მონობა და მახვილსაც მაშინ ჩავაგებ,

როს ვერ ვიხილავ სპარსთა ლაშქარს ჩვენს მიწა-წყალზე.

დიონისე — ზეიადი გული არ გასვენებს, პატივმოყვარე,
თორემ სპარსელებს ჩვენზე აღრე შენ მეგობრობდი.

გიორგი — საქვენ მაიძულეთ, თქვენ განმდევნეთ ჩემი ქვეყნიდან.

დიონისე — შენ ვადაგვიღე შაჰ-აბასი, შემოგვსიეთ.
ენლა თვით ებრძვი, აღარ სცხრები, აღარ შშვიდდები.

გიორგი — თუ ვინ წაჰკიდა შაჰ-აბასი ქართლსა და კახეთს,
თქვენც კარგად უწყით, — ჩვენს შეფეებს წადით, მოჰკითხეთ.

დიონისე — შენ შეასმინე შაჰ-აბასთან მეფე ლუარსაბ
და მან წამებით უცხო მხარეს სული დალია.

შენ აამხედრე შაჰ-აბასი საქართველოზე,

შენს პირად წყენას ანაცვალე მთელი ქვეყანა,

შენ მოაგონე ჩვენი ქვეყნის შური და მტრობა

და იმის შემდეგ ქართლ-კახეთს არ გაუხარია.

მიმოხედლე შენს გარშემო, შენ, ბრმა მთესველო,

ვითარ ნაყოფი გამოიღო შენმა საქმემან.

გახედლე კახეთს, ამ ღვთის მიერ კურთხეულ მხარეს

ოდესღაც სავსეს სილამაზით, ხალხით, დოვლათით

და დღეს კი მტრისგან აობრებულს, გავერანებულს!

გადამწვარ სოფლებს ძაღლებიც კი მორიღებიან

და ციხე-ტაძრებს, ჩამონგრეულთ, დღეს ხავსი ფარავს.

კახეთის მკვიდრნი, მამაცობით სახელგანთქმულნი,

ქვეყნის სიუხვით და დოვლათით გალაღებულნი,



დაძრწნიან სადღაც, უთვისტომსო, მშვიერ-მწყურვალნი,
 მონად ქცეულნი, დაჯარგულნი უცხო მხარეში.
 ნუ თუ არ აღწევს შენს ყურამდე ხალხისა გლოვა?
 ნუ თუ არ გესმის ყოველ ქოხში როგორ სტირიან
 დაღუპულ შვილებს, თავიანთ ქმრებს, ძმებსა და მამებს?
 ნუ თუ ვერ ხედავ, რომ ქვეყანა, სისხლით დაცლილი,
 პატივყრილი, დამშეული, ძირს განრთხმულია
 და მის მაგივრად, რომ დააცხრო ქვეყნის წყულები,
 შეგიკრებია ეს უვიცი გლეხის შვილები,
 (ხალხში მოძროხაა, მღელვარება).

თავს ესხმი სპარსელთ, ჩვენს თავადებს იკლებ, ახრებ.
 შფოთის მოთესველად გაჩენილხარ შენი ქვეყნისთვის,
 რადგან იმხობა შენის ხელით საქრისტიანო.

ნუ თუ ვერ გაძებ, ავო კაცო, ამდენი სისხლით? |
 ბოროტი სული მაგ სხეულში ჩაგთესლებია
 და ვიმღვრევნ გულ-გვაშს, მოუდრეკელ, უხამს გონებას.
 განვედი ჩვენგან! ჩემი პირით ერი დალადებს.

გოთრგი — სიძარბოებს ბრძანებთ, მეუფეთ, გეშმარიტებას:
 კახეთი სრულად განადგურდა, გადამწყვრიო.

ჭართლიც აოხრდა, მტრების მიერ დარბეულია.
 ყველგან გაისმის ქვრავ-ობოლთა კენესა-ტირილი
 და მოსთქვამს ერიც დაფლეთილი, აოხრებული.
 ვთქვათ, მე მტერი ვარ ჩემი ხალხის.

თქვენ რით-ღა შეველით ამ თქვენს სამწყსოს, რით ესმარებით?

იმით, რომ ურჩევთ ემორჩილოს უცხო ბატონებს,
 როდესაც თქვენი ბატონობაც მათთვის მძიმეა?

თქვენ მე მამტყუნებთ, მე, რომელმაც
 არ დავიშურე ჩემი ძალა, ჩემი სიცოცხლე.

რომ გამომეხსნა ეს ქვეყანა განსაცდელისგან.

რაც-კი შევიძელ ხმლის მოქნევა, შუბის დაჭერა,

მას აქეთ ვიბრძვი, ერთი დღეც არ მომისვენია.

მაგრამ ვერ შევძელ თქვენი გულის მონადირება,

ვერ გავხდი ღირსი თქვენთან ყოფნის უჯიშოს შვილი.

მე დაგიხსენით თათარხანის ტყვეობისაგან,

როცა შემართალნი გზებს ეძებდით, მოებში გასაქცევს.

და რა მივიღე თქვენგან ჯილდო, სამაგიერო?

ქურდულად გასურდათ ჩემი მოკვლა, ვით ავაზაკის.

სახლი დამიწვით, დამარბიეთ, გამანადგურეთ,

და მეც, ღტოლვილი, განდევნილი, მტერს შევეფარე.

თქვენ გაახელეთ შამ-აბასი, თქვენ აამხედრეთ,

რომ აბეზღებდით წერილებით რუსთ ხელმწიფესთან

და რუს მხედრობას აქ იწვევდით დასახმარებლად.

თეიმურაზზე იყო შამი განარისხებული,

და როცა სპარსნი, მთელ კახეთში დათარეშობდნენ,

როცა დედები თავის ბავშვებს თვითონ აღრჩობდნენ,



საქართველოს
საბჭოთაო მწიგნობრობა

რომ არ ეხილათ მათი ტინჯვა, მათა წამება,
როცა ხალხის წინ ხდიდნენ ნამუსს მათ ღებს და დედებს,
მეფე ბატონი იმერეთში შაირებს სთბზავდა
და ნადირობას ეწეოდა თავ-შესაქცევად.
იგივე ხვედრი მოელოდა ქართლის სამეფოს,
რადგან შაპს სურდა მისი აყრა-გადასახლება.
მე დაგისხენით ისევ მტრისგან, მე გავსწყვიტე სპარსთა მხედრობა.
თორემ ვინ იცის, თქვენს მაგივრად, თქვენს მიწა-წყალზე
დღეს ყიზილბაშნი იქნებოდნენ დასახლებულნი
და თქვენ კი სადღაც მონობაში თქვენს ღდეს დალევდით.
სამაგიეროდ მომიზღვეით ისევე მტრობა,
ცილისწამება, დაბეზლება თეიმურაზთან,
თითქოს ვართმევედი სამეფო ტახტს, სამეფო გვირგვინს.
ჩემი დანახვა, ჩემი საქმე გაბოროტებდათ,
რადგან ვებრძოდი აღვირახსნილ თქვენს ზვიადობას.
როგორც დავმარცხდი მარაბდაში, გეზი იცვალეთ,
ეახლეთ თქვენს მტერს, ეხმარებით ქვეყნის რბევაში.
მე კი უარყვავ სახლი, კარი, პატივისცემა, გავიპერ მთებში.
და ამ ერთ მუქა თავგანწირულ გლეხებთან ერთად
თავს ვესხმი სპარსელთ, ვანადგურებ, საღაც მოვასწრებ,
რომ ველარ შესძლონ ხალხის რბევა, აწიოკება.
მშიერ-მწყურვალნი, უთვისტომო დაძრწვიართ ტყეში
და თან გვდევეს მუღამ ჩვენ სიკვდილს, ვით თანამგზავრი.
ღღეს აქ მოსულხართ, მე მამტყუნებთ, სად გაქვთ სინდისი
თქვენ, დიდებულნო, თავადებო, ქვეყნის პყრობელნო,
თქვენ ზრუნავთ ქართლზე? თქვენ, რომელნიც
ასობით გზავნით თქვენი მტრების არამზანებში
თქვენივე ქვეყნის უღამაზეს ჯანსაღ ასულთა.
რატომ იმათი მოთქმა, ცრემლი არ შეგაწუხებთ?!
ჰყიდით ჭაბუკებს ოსმალეთში, ჰყიდით სპარსეთში,
ართმევეთ ქვეყანას მომუშავეს, დამცველს, მეომარს,
რათა იმათგან მტრის მხედრობა გააძლიეროთ,
რომ შემდეგ ისევ თქვენვე უკან შემოგისიონ.
იკლებთ ერთმანეთს, ციხეებს აქცევთ,
აღვირახსნილნი, აწვებულნი, დაძრწვით მგლებივით,
სწეწვით ქვეყანას და თქვენივე მტრის გულს ახარებთ.
თქვენ, მეუფეო, დავიჯერო, არა გსმენიათ,
რომ სამეგრელოს და გურიის ეპისკოპოსნი,
გემგზს ტვირთავენ გასასყიდელ ნორჩი ბალღებით
და მათი მოთქმა, სტამბოლიდან ჩვენამდე აღწევს?
ნუ თუ შეჰფერის ქრისტეს ზოძღვარს, სულიერ მამას,
რომ ჩარჩად იქცეს და ივაჰროს უმანკო მსხვერპლით?
აი როგორი მწყემსველი ხართ თქვენი სამწყსოსი.
ვით უპატრონებთ თქვენ ქვეყანას, თქვენ, მტაცებელნო?
ვით დავიჯერო, წარმოგზავნათ თქვენ ჩვენმა ერმა?
ქართლის ერი და ქართლის ხალხიც აი აქ არის.

- თქვენ ხართ ჯაშუსნი, მოგზავნილი ჩვენი შტრებისგან.
 გზა, გაგვეცალეთ მოგვეშორდით გზიდან,
 ხალხი უთქვენოდ დაასრულებს დაწყებულ საქმეს!
 დ ი ო ნ ი ს ე — ხედავთ ამ უგანურს, ვით ქედმაღლობს და კანდიერობს
 იმის მაგივრად, რომ მიიღოს შეფის წყალობა,
 დასდოს პატივი ჩვენს აქ მოსვლას, მოციქულობას,
 რათა დაიცვას თავის თავი განსაცდელისგან
 და შეინანოს შეცოდება, დანაშაული,
 იგი უტიფრად თვითონ ჩვენვე გვაბრალდებულებს
 და ბედავს გვლანძლოს ღირსეულნი უშვერის ენით.
 მე დაეასრულე, ბატონებო, მონდობილება.
 ამოი არის, უაზრობა და დროს დაკარგვა,
 რომ მგლისა თავზე სახარება კაცმა იკითხოს.
 რომ მხოლოდ კარგი გესურდა შენთვის, გვიან შეიტყობ.
 გესურდა ჩვენ შენი გადარჩენა დაღუპვისაგან,
 მაგრამ ყრუ იქმენ და სიკეთე ვერ შეგასმინეთ.
 ჩვენ შეგიცოდეთ, არ გაუწყეთ მძიმე ამბავი,
 რისი დანახვით, გაგონებით, ოპ, უბედურო,
 ბოროტი სისხლი მაგ ჩარღვებში გაგეყინება.
 ჩვენ შეგიცოდეთ, შეგიბრალეთ, რადგან არ უწყი,
 შენმა სიბეცემ, სიჯიუტემ საღ მიგიყვანა.
 მაგრამ, მე უხედავ, ყველაფერი ამოი არის.
 გთხოვთ, რომ გადასცეთ, ბატონებო, რაც დაგვაფაღეს,
 რაიც შაპისგან. არის მისთვის წარმოგზავნილი.
 (შღებულები გადასცემენ გუდას, რომელსაც ბაბუტა ჩამოართმევს და მიუტანს გიორ-
 გის. გიორგი ხნის გუდას, მოციქულები წაძვლას დაპირებენ).
 გ ი ო რ გ ი — ნუ თუ არსებობს იმისთანა უბედურება,
 რომლის გამხვლავ და წარმოთქმაც თქვენ გეძნელებათ?
 დ ი ო ნ ი ს ე — როდესაც ნახავ, იმის შემდეგ ილაპარაკე.
 გ ი ო რ გ ი — (ამოიღებს გუდიდან თავის შეილის პაატას მოკვეთილ თავს. როდესაც
 იცნობს, თავზარდაცემული, ენაჩავარდნილი დიდხანს დააჩერდება. რაზემელები წამო-
 იწყვენ და ერთ ადგილას გაჭავდებიან. მოციქულები, უკვე წასასვლელად გამზად-
 ბულნი, შედგებიან).
 გ ი ო რ გ ი — ღმერთო ჩემო, ოპ, ღმერთო ჩემო!
 (უნებლიედ დიიოქებს და შეილის თავს წინ დაიდებს, დასაჯდომ ქვებზე. დააკვირ-
 დება თითქოს არა სჯერა).
 ნუ თუ პაატაა?.. ჩემი შეილი?..
 ოპ, საცოდაო, უბედურო, შეილო პაატავ,
 შენ ჩემი ხელით განწირული, უმანკო მსხვერპლი!
 და მერე ვისთვის დავდვარე შენი სისხლი მშობელმა მამამ?
 ამ სეავებისათვის, რომ დასევთან და სჯიჯგნიან
 სისხლიდან დაცვილ, ლეშად ქცეულ მთელ საქართველოს.
 აჰა, ხომ სტკებებით ჩემზე დამტყლადარ უბედურებით!
 თითქოს ეგ სახე ჩამოგტირით, დამწუხრებულხარო,
 მაგრამ გული კი, თქვენი გული ხარობს, ნეტარებს.
 დ ი ო ნ ი ს ე — თვითონ არ გესმის, რასაც ამბობ, შე უბედურო,
 რადგან მოიცვა მწუხარებამ შენი გონება.



გიორგი — ვაიმე შეილო, საყვარელო, ჩემო იმედო
ვინ იცის, შაჰმა, სიბრაზისგან დაბრმავებულმა,
როგორ გაწამა, როგორ გტანჯა, ჩემო ვაჟკაცო.

ვით შეურიგდეს ჩემი ქკუა, ჩემი გონება,
რომ ძალით მოგკალ, შეილო ჩემო, მსობელმა მამამ?
ვით მოვისვენო ამის შემდეგ, როგორ ვიცოცხლო?

დიონისე — ეხლა ხომ ხედავ, უგზურებამ სად მიგიყვანა.
შე მაინც გირჩევ, შეურიგდე, თუნდაც დროებით,
თორემ იცოდე, შაჰ-აბაზი არ მოგასვენებს,
სხვებსაც დალუბავ შენს შეილებსა, ვით ეს დალუბე.

გიორგი — ეს შე დავდუბე, უმადურო, ურცხვო მოძღვარო.
და მერე ვისთვის? განა ჩემთვის, განა ჩემი განდიდებისთვის?
თქვენთვის დაეღუბე, ხალხისათვის, ჩვენი ქვეყნისთვის.
განა იყავით ამის დირსნი თქვენ, მტაცებელნი,
რომ ამის თავი შემეწიდა თქვენთვის ზვარაყად?
და ამის შემდეგ მირჩევთ კიდევ მტერს შევურიგდე.
როგორ მიბედავთ თქვენ ამის თქმას, ფარისეველნი!
სჩანს, რომ ვერ იცნობთ კარგად კიდევ ვერ საყვარეს.
ათასი თავი გაგორდება ამის სანაცვლოდ

და გირჩევთ თქვენცა, ზოგიერთებს, თავს გაუფრთხილდეთ!

ციციშვილი — როგორ? საკვდილით გვემუქრები, ჩვენ, მოციქულებს?

ჯაფარიშვილი — ისე გვიწყრები, აითქოს შეილა ჩვენ მოგიკალით.
ჩვენ შევასრულეთ დავლება, შაჰის ბრძანება.

დიონისე — ზეცის განგებას ვერ, აიცდენ, გარდუვალია,
ქვეყნის საქმესაც უხილავი თვალი განაგებს.

გიორგი — ისე განაგებს ზეციერი ქვეყნისა საქმეს,
როგორც თქვენ, მისი მოციქულნი, მისი ნაცვალნი.
თუ არის ღმერთი, სამართალი, ცოდვა და მადლი,
რად დაიღვარა ჩემი შეილის უმანკო სისხლი?

დიონისე — უფალს ნუ სცოდავ, შე უგზურო,
თორემ უარესად დაგსჯის კიდევ ღმერთის მგმობელსა.

გიორგი — დაე, დამსაჯოს! სჩანს სიმართლე არც ზეცაშიც.

თუ კი ყოველი სიბოროტე, რაც ქვეყნად ხდება,
გაჟკაცთა სისხლი დანთხვული, დაჭრილთა გმინვა,
მომავლადთა კვნესა საზარი,

ქვრივთა, რბოლთა გაჭირება, მოთქმა-ტირილი,
ტყვედ გაყიდულთა მწარე ღღენი, გაუხარელი,
პატივ-ახლილი, ნაწამები ჩვენი დედება,

ცხენის ფეხებით გასრესილი ჩვილი ბალები, —

თუ კი ეს ყველა ზეციით არის წარმოგზავნილი,
თუ კი ყოველი ცაში სწყდება, იქ ინასკვება,
მაშინ ის ღმერთი კაცთა მოდგმის მტერი ყოფილა,
სისხლისა მსმელი, ბოროტება გაუმაძღარი

და არა სათნო, სულგრძელი რამ კეთილი მამა.

თუ მის სამართალს, იმის საქმეს, იმის განგებას!

დიონისე — ავის მთესველი ბოროტებას მხოლოდ მოიმკის.



კიდევ უარესად გამწარლები, შენ, ღვთის მგმობელი,
და შეინანებ მაგ შენს სიტყვებს, წყუღულო კაცო.
(ხალხში გმინვა ღვისმის, დაძაბული მდგომარეობა).

გიორგი — წადით, გამწორდით, გამეტალეთ, თავს ნუ დამხზავით!
ღამის დავეკარგო მოთმინება, თავის დაქვარა.

მაშინ მიფრთხილდით:

როდღია დავდებ პატივს მაგ თქვენს მოციქულებას,
მაგ თქვენს ჭადარას, თავადობას, დიდებულებას
და ხმლით აგვეწავთ საკეთარი ჩემი მარჯვენით.

ბახუტა — ხალხო, სიკვდილი მაგათ!

ხალხი — სიკვდილი მტარავალ!

(ჩაშვლები გარს შემოერთყმინ ამოწვდილი იარაოთ).

გიორგი — ფეხი არ დასძრათ! არ გაბედოთ ხელის შეხება!
ნუ თუ შებიღწავთ თქვენს იარაღს მაგათი სისხლით?

დიონისე — რაღას უყურებ, მოუწოდე, უნმე შენს ყაჩაღთ.
მოდიოთ, ჩაგველოეთ! უმადურო, ტყვიდან შესილოთ,
კაცისა სისხლი თუ დააცხრებს შენს აგვაცობას!

ჩვენ წავალთ, მაგრამ მაგ შენს სიტყვებს ბევრჯერ ინანებ.

ასე იქნება შენბ ღღენი მოხეტიალე,

ავაზაკთ შორის, და ჩაკვდები სადღაც ტყე-ღრეში,

და მხოლოდ მხეცნი, ტყის ნადირნი დაგიტირებენ.

(საჩქაროდ გადიან).

გიორგი — სჯობს აქ დალიოს კაცმა ღღენი, ტყეში, მხეცებთან,
ვიღრე იტხოვროს თქვენთან ერთად, მართლა მხეცებო!
(შვილის თათან იხოტბს).

ვაი თუ, შვილო, უშედეგოდ, ტყუილად მოგკალ!

ვაი თუ ფუჭად მთელი ძალა, მთელი სიცოცხლე

შევსწირე ამათ, ქართლის ტახტს და იმის სამტკიცეს?!
ვაგლას, ეს აზრი ყველაფერზე საშინელბა,

გონებბს მიმღვრეეს, ანადგურებს ჩემს ვაჟკაცობას!

(ძლივს შემოდის შიშველ დაჭრილი პაპუნას ჩაშველი).

რა ზმელი — დიდო სარდალო, დავიღუპეთ!

(შეხედავს მოკვთილ თავს).

გიორგი — რათ, რა მოხდა?

რა ზმელი — გამთენიისას, მოურავო, მტერი დაგვესხა.
გარს შემოგვერტყნენ სპარსელები დიდძალი ჯარით.

გამოსავალი ვეღარ ვპოვეთ, ვერც თქვენ გაცნობეთ.

მთლად ამოსწყვიტეს ჩვენი რაზმი, პაპუნაც მოჰკლეს, მე ძლივს გა...

(დაუცემა, ხელს შვაშველებენ).

გიორგი — წაჩყვანეთ და მოასვენეთ!

ოჰ, შაჰ-აბასო. ჩვენი სისხლით როდის გაძლები!

მაგრამ იცოდე, არ შეგარჩენ, მეც გაგამწარებ.

ვით გაგამწარე ერთხელ უკვე მუხრანის ველზე.

(შემორბის შავრიკი).

ნიკრიკი — სად არის დღერი მოურავი, თქვენი სარდალი?

გიორგი — აქ ვარ, რა ვაწდა?

შ ი კ რ ი ც ი — ქსნის ერისთავმა, მოურავო, შემოგვითვალათ,
ხვალ ბრუნდებო სპარსთა ჯარი არშის ციხიდან. ერაყისუმი
ხანისპირისა
გთხოვთ, ეხლავე მიეშველოთ გზის შესაკრავად.
თუ არ აჩქარდით, მოურავო, დაგვიანდება.

გ ი ო რ გ ი — ყოჩაღ, იასეკ!
გასწი ეხლავე და იცოდე, ჩვენც უკან მოგდევთ.
მოლით აქ, ძმებო, აქ შეეფიცოთ ამის წინაშე,
რომ მტრებს მიუზღავთ ათას წილად სამაგიეროს.
ამის სისხლისთვის, პაპუნასთვის, მთელი ხალხისთვის.
(ხალხი იროჭებს),

ხ ა ლ ხ ი — ვფიცავთ, სარდალო!

გ ი ო რ გ ი — დედა შეერთოს იმას ცოლად, ვინც მტრის მახვილსა
შეუშინდეს, ზურგი უჩვენოს!

ხ ა ლ ხ ი — ამინ!

ხ მ ე ბ რ — სადაც გენებოს, წაგვყუანე, შენთვის მოგვედებით!
ასი სიცოცხლეც გექონდეს, ყველას შენ განაცვალვებთ.

გ ი ო რ გ ი — წელან შემოპყრო ერთის წუთით სისუსტემ, გრძობამ,
ეხლა ისევე გაფლოლადდი, ისევე გაგაკადი.
ეხლა ვამაყობ, — ჩემი შეილი, ჩემი პაატა
ხალხს შეეწირა, მის გამოხსნას, საქვეყნო საქმეს.
წავიდეთ, შეილო, და ამ ომში ერთად ვებრძოლოთ!
(მოკვეთილ თავს გულთ ზურგზე მოიციდებს).

ხ ა ლ ხ ი — სიკვდილი მტერს! გაუმარჯოს დიდ სარდალს!

(გაერთევა ხალხში, მოხვევს ხელს რაზმელებს და მუხხარე ხმით დისძახებს: „ეი, მუმ-
ლი და მუხასაო“. მას აყვება მთელი რაზმი და ასე მალაგრი სიმღერით მიდიან სა-
ბრძოლველად).

(ღ ა რ დ ა)

მოკვამიბა მუხთი

სურათი პირველი

საფურცლ. დარბაზი მეფე თეიმურაზის სასახლეში. სცენაზე არიან მეფე თეიმურაზ და
ზურაბ ერისთავი.

ზ უ რ ა ბ — ნულარ მერყეობთ, მბრძანებელო.

საჭირო არი ომი მეფეც,

ყველა მისი მომხრეები გავანადგურეთ.

ნალე ვანდეღენით ტფილიციდან ყაზილბაშებსა.

მაგრამ იცოდე, ვიდრე არსებობს სააკაძე, ვერ მოისვენებთ,

მუდამ იქნება ამბოხება, ომიანობა.

შემ ქვეშ იქნებით მუდამ თქვენც და თქვენი სამეფოც.

თ ე ი მ უ რ ა ზ ი — კო, მაგრამ ღვაწლი, მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე?

რამდენჯერ იხსნა მან სამშობლო და ბოლოს განა

მან არ გასწმინდა საქართველო სპარსელებისგან?

ზ უ რ ა ბ — რომ გაეწმინდა, მბრძანებელო, ხომ სიმონ მეფეც
ვერ იმეფებდა დღეს თბილისში

და თქვენი ტახტიც, ქართლ-კახეთის ნამდვილი მეფის, საღვთისმშობლის, საფურცლებში, არ იქნებოდა?

თეიმურაზ — ჩვენ ვაძულებთ იმერეთში გაქცეულიყო, მისი ზრახვები იყო, ზურაბ, კეთილშობილი.

ზურაბ — დღეს კი, მეფეო, სხვაგვარია მისი ზრახვები, — მტრობა აქვს გულში.

ან რად მერყეობთ, მე არ მესმის, სხვა გზა განა გაქვთ?

თვითონ გვიბირებს თავზე დასხმას, ნამდვილად ვიცი,

რა დაგვრჩენია, იმის მეტი, რომ შევებრძოლოთ?

იქნებ დაუთმობთ თქვენ ტახტს, მეფეც, მას უბრძოლველად,

რომ იმერეთის უფლისწული გაგვიბატონოს?

თეიმურაზ — ვით დავიჯერო, სააკაძე მაგას ჩაიდნს?

ზურაბ — რაზედაც გნებავთ, შემოგფიცავთ,

იმერეთიდან ვადმოსულ კაცს დღესვე გაახლებ.

როგორ სტყუებდებით, მბრძანებელო, სააკაძეში!

თეიმურაზ — ქართლ-კახეთისთვის იმან ბევრი გადაიტანა, მიტომ არ მჯერა,

ომ, ერისთავო!

მეფე ჩემსავით უბედური, მოუსვენარი,

დამეთანხმები, საქართველოს ჯერ არ ჰყოლია.

„სოფელმან თვითი სიმუხთლე ჩემზედა არა დალია,

მაკვდინებელი წამალი მე მასეა, მან არ დალია“.

ცუდ დროს მარჯუნა ქართლ-კახეთში ბედმა მეფობა

და სააკაძეს ჩემი ქვეყნის მოურაობა.

ზურაბ — მაშ უარს ამბობ, როგორც ვხედავ.

მაგ უარის თქმას, მბრძანებელო...

ნახვამდის, მეფეც! (წასვლას დააპირებს)

თეიმურაზ — ნუ დაიფიქვებ, ერისთავო, რომ ის ხალხს უყვარს.

გარდა ამისა, შესაძლო არის,

რომ სვიმონ მეფე და სპარსელნი მას დაეხმარონ.

ზურაბ — ეგ არ მოხდება არასოდეს.

მუხრანის რეალზე დამარცხებას, ქსანზე გაწყვეტას

განა სპარსელნი სააკაძეს აპატიებენ?

სპარსელთ მეფეს თქვენცა სძულხართ და სააკაძეც,

მისთვის ერთია, თუ რომელი დაილუპებთ.

თეიმურაზ — ეგ მართალია, ჩვენ სპარსელებს ორნივე ვძულვართ.

მათი მეოსანი საადი ამბობს:

„ეცადე, ეგებ შენი მტრის ხელით

შემთხვევის დროზე დაახრჩო გველი.

მით სარგებელი იგი იქნება:

ერთ-ერთი მაინც დაილუპება“.

ისეა სწორედ, ერისთავო, ეს ჩვენი საქმე.

მე მაინც ვფიქრობ, რომ შერიგება აჯობებდა სააკაძესთან.

ზურაბ — ეხლა მაგაზე საუბარით, მეფეც, მერწმუნეთ,

მთელ თავადობას გადაჰყიდებთ, გაგეცლებიან

და ომის წინ მარტო დარჩებით.



ომს, ეს იცოდეთ, ვერ აიცილებთ,
იმერეთში მზადება მიდის.
გარდა ამისა, თავადობამ გაიგო, ალბათ,
სააკაძის ჩუმი განზრახვა.

მათთან იქ იცდის ქაიხოსრო ჯავახიშვილი,
რომელმაც, მეფეც, ეს ამბავი კარგად იცოდა.
ისინი ეხლა მოელიან შენთან შეხოსვლას.
დაფიქრდი, მეფეც, სააკაძე თქვენი მტერია
და ვინდათ კიდევ თავადობაც გადაიმტეროთ.

როგორ იმეფებთ, ვინ დაგიცავთ, ვის მიენდობით?

თ ე ი მ უ რ ა ზ — ბორცოტი გულის პატრონი ხარ, ძვირფასო სიძე.
ჯიუტი, ავი, მოყვარული კაცის სისხლისა.
ღმერთი მოგკითხავს, ერისთავო, როცა იქნება,
მაგრამ იცოდეთ, რომ დაემარცხდეთ, პასუხს შენ მოგვსოვთ.
უნამე თავადებს, თანახმა ვარ.

ზ უ რ ა ბ — ჩემი სიცოცხლით ვაგებ პასუხს, როდესაც გნებავთ.
მე ვიცნობ კარგად სააკაძის საომარ ზერხებს.
მენდეთ, მეფეც, რომ წინასწარ ზომებს მივიღებ
და უზრუნველყოფ გამოარჯევბას შენი ტახტისთვის. პეი, დარაჯელ
(შემოდის კარისკაცი).

ზ უ რ ა ბ — სთხოვეთ თავადებს, აქ მობრძანდნენ.

კ ა რ ი ს კ ა ც ი — ეხლავ, ბატონო (გადის).

ზ უ რ ა ბ — მტკიცედ იყავით, მერყეობა არ შეგამჩნიათ.
(შემოდან თავადები, უძველესი მღვდლები).

ზ მ ე ბ ი — სალამი შეფეს!

თ ე ი მ უ რ ა ზ — სალამს მოგიძღვნით თქვენც ძვირფასო მამულისშვილნი!

ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი — ნუ თუ სწორია ეს ამბავი, ბატონო მეფეც,
რომ მართლა ფიქრობს მოურავი ჩვენზე თავდასხმას?
იქნებ ქორია უსაფუძვლო, ვინმეს შეთხზული?
რად უნდა მისცეს იმერეთმა მას დახმარება,
ან ამ ომიდან იმერეთ მეფე რას გამოელის?

თ ე ი მ უ რ ა ზ — ხელშესახები საბუთი რამ რომ არა გეჭონდეს,
არც მოგიწვევდით დაფარულად.

იკვებს, თავადო, მიმოთქმანზე როდი ვამყარებთ.

სარწმუნოდ ვიცით, რომ მზადდება ჩვენზე თავდასხმა.

განა არ იცით, სააკაძე არ მოსიყვინებს?

გიორგი მეფეც მის ნებაზე ეხლა მოჭმედებს,

რადგან ომიდან სარგებლობას დიდს გამოელის.

ეხლავ გაუწყებთ ყოველივეს თქვენ ჩემი სიძე.

მაგრამ იცოდეთ, რაც აქ იტყვის და გარდაწყდება,

ეს ყოველივე უნდა დარჩეს დიდ საიდუმლოდ.

დრომდე ყუღია, ეს ამბავი რომ გახმაურდეს.

ჯთხოვეთ ერისთავო მოგვახსენო, რაც შენ შეიტყვე.

ზ უ რ ა ბ — უნდა გაუწყოთ, დიდებულნი, ჩვენი ქვეყნისა
ფრიად მძიმე და სამწუხარო ესე ამბავი.
ღამეთანხმებით, მტერი მეტად საშიში არის,

რადგან მიიმხრო შეგონებით იმერთა მეფე
 და აქაც ჩვენში საიდუმლო ქსელი გააბა.
 მას დახმარებას ჰპირდებოან: ქსნის ერისთავი,
 მუხრან-ბატონი ჭაიხოსრო, თავადი ჭავთარ
 და სამცხეს მკვიდრნი, ათაბაგის მეთაურობით.
 ყველა ამ ხალხის შემწეობით მოურავს უნდა
 დაიპყრას უცბალ, ერთის დაკვრით, ჩვენი სამეფო.
 წაართვას ტახტი ჩვენს დიდ ბატონს, მეფეს კურთხეულს
 და იმერეთის უფლისწული გააბატონოს.
 სურს შეაერთოს იმერეთი, ქართლი, კახეთი
 და ითარეშოს ძველებურად თავის ნებაზე.
 უნდა ვფიქროთ, დიდ წყალობას არც ჩვენ დაგვაყრის:
 ყველას დაგვარბევს, აგვაოხრებს, დაგვაწიოკებს.
 ცოლ-შვილს გაგვიწყვეტს ან და სადმე ტყვედ გავგიყიდის.
 ასეთ სიცოცხლეს, ბატონებო, ის გვირჩევნია,
 ყველა ამოეწყდეთ ღირსეულად,
 ვიდრე შევიქმნეთ სააკაძის ყურმოკრილ ყმებად.

ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი — რაც რომ თქვენ ბრძანეთ, ერისთავო, თუ მართალია...
ზ უ რ ა ბ — (გააწყვეტინებს, წყენით) მეტად მოიცებს, ჩემი სიტყვა რომ
 არა გჯერათ!

ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი — არა, თავადო, თქვენი სიტყვა როგორ არ მჯერა,
 მაგრამ ვინც ვითხრათ ეგ ამბავი,
 იქნებ ის სცდება ან მოქმედებს სულ სხვა განზრახვით.

ზ უ რ ა ბ — რაც აქ გაუწყათ ჩვენმა მეფემ ან მე ვითხარით,
 მრავალ გზის არის გასინჯული, შემოწმებული
 და ვინც გვაცნობა, იგი კაცი ისე სანდოა,
 როგორც უოველი ჩვენთაგანი, აქ შეკრებილი.

ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი — მაშინ, მეფეო, იმერეთში კაცნი გავგზავნოთ,
 ვთხოვოთ, ე დმოგვეცნ სააკაძე დატყვევებული.
 თუ იუარეს, დავემუქროთ ომით, წახდენით.

ჭ ა ი ხ. **ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი** — მე კი მგონია, ბატონებო, ჯერ საჭიროა,
 ქართლში მომხრენი სააკაძის გავანადგუროთ.

ყველას ცალ-ცალკე თავს დავესხათ, დავატუსალოთ,
 არ დავცადოთ შეერთება, ძალის მოკრება.

ითო მათგანის დამარცხება ძნელი არ არის,
 ერთად კი ყველა ჩვენი მტრისთვის დიდი ძალაა.

მაშინ მე ვფიქრობ, სააკაძე ველარ გაბედავს
 შემოგვებრძოლოს მარტოოდენ იმერთა ჯარით.

ფ ა რ. **ც ი ც ი შ ე ი ლ ი** — ყველას აჯობებს მიუუგზავნოთ ჩუმაღ
 მკვლელები.

თუ ნებას მომცემთ, მე ვიშოვი შესაფერ კაცებს.

კიდევაცა მყავს მე ასეთნი შეგულბულნი.
 ისინი წაელენ იმერეთში, როგორც დევნილნი,
 ვითომც მომხრენი სააკაძის, ჩვენი ორგულნი,
 და თუ კი შესძლეს მოურავთან დაახლოება,



მაშინ, მერწმუნეთ, მოწამელსაც მოახერხებენ.
 რაც შეეხება იმის მომხრეთ, დიღო მეფერ,
 თქვენ შეგიძლიანთ საღარბაზოდ იხმოთ ყველანი
 ან სანადიროდ, მოსალხენად, თავშესაბჭევად
 და შემდეგ, შეფეგ მბრძანებლო, რასაც ისურვებთ...
 ან და საჭიროდ რასაცა სცნობთ, ის გაკეთდება.
 თუ დაილუპა მოურავი, ჩვენ ვინ მოგვკითხავს?
 ხმა გაავარცხლოთ, იმერლებმა ვითომც მოწამლეს.
 მისი მომხრენაც, ბატონებო, ნადირობის დროს...
 ან და ნადიმში... უცაბედად... რა არ მოხდება!
 თუ ყველა არა, ზოგი მაინც ჩამოვიშოროთ,
 ვინც უფრო მეტად ძლიერია, მეტად საშიში.

ამილახვარი — ერთი რამ მინდა მოგახსენოთ, დიდებულებო:

ვცალოთ, გავგზავნოთ მოციქულნი სააკაძესთან,
 ვთხოვოთ, შეფესთან დაზავება, შემორიგება.
 გადმოვიყვანოთ აქ ბატივით, დავასაჩუქროთ
 და შემდეგ, შეფეგ, როცა იგი ჩვენს ხელთ იქნება,
 როგორ ვერ შექძლებთ, ერთი კაცი რომ მოვინელოთ.

ზურაბ — ნება მიბოძეთ, ბატონებო, ზოგი რამ მეც ვთქვა.

დამეთანხმებით, სააკაძეს მე კარგად ვიცნობ,
 ვიცნობ მის ზრახვებს, მის ხასიათს.

თქვენ რომ გგონიათ, დიდებულნო, ისე იდვილად
 ხელთ ვერ მოიგდებთ სააკაძეს, ვერ მოიტყუებთ.
 ბრძანებთ, გავგზავნოთ მოციქულნი იმერთ მეფესთან,
 რათა გადმოგვცეს სააკაძე დატყვევებული.

ამაო არის, ბატონებო, ჩვენგან ამის ცდა.

მეფე გიორგი დღეს მოუტრავს არ უღალატებს,
 რადგან მოელის მისგან ჯილდოდ ქართლ-კახეთის ტახტს.

თუ დაემუქრეთ, დამერწმუნეთ, რომ გადამალავს
 ან მოიგონებს გარდისხეწა ოსმალეთშით.

მკვლელთა მიგზავნაც, მე მგონია, არ გამოდგება:

კაცი, რომელიც ჯილდოსათვის მკვლელობას სწადის,

დამეთანხმებით, იგი კაცი ზედმეტ ჯილდოსთვის

იმავე მახვილს წამქეზებელს შემოუბრუნებს.

ვით დამარწმუნებთ, რომ მკვლელები ჩვენ არ გავცემენ.

და თუ ვამჟღავნდა ჩვენი საქმე,

ამითი მხოლოდ, ბატონებო, მტერს გავაფრთხილებთ.

ვერ მოიტყუებთ სააკაძის ერთგულ მომხრეთაც.

ვფიქრობ, განზრახვას შეგვიტყობენ, განგვიდგებიან,

რაც გამოიწვევს ქართლ-კახეთის არეუ-ღარეუვას.

მტრის ყურადღება საჭიროა რომ მივაძინოთ

და თავი ისე დავიჭიროთ, თითქოს არც ვიცით,

თუ რამ მზადდება საიდუმლოთ ჩვენს წინააღმდეგ.

რათა ჩვენ თვითონ შევემზადოთ ამ დროს ომისთვის.

ხუთი ათას კაცს მე შევკრიბავ, მარტო, მეფეო.

და თქვენც, მგონია, ბატონებო, თავს არ დაზოგავთ.



ათი ათას კაცს სულ ადვილად კახეთი მოგვეცემს.
ჩვენ შეგვიძლია, რომ შევქაროთ დიდი ლაშქარი.
დიდ ჯარს, მეფეო, სააკაძე ვერ მოაგროვებს.
თანაც ვეცადოთ ისეთ ადვილს შემოვიტყოთ,
სადაც ადვილად იმის ლაშქარს გაეანადგურებთ.
როს დავამარცხებთ სააკაძეს, რაც შე ღრმად მჯერა,
შემდეგ ჯარები მიუსიოთ იმის მომხრეებს,
რომ არსად ჰქონდეს ომის შემდეგ თავშესაფარი.
და შეიქნება გზა-მოჭრილი, გარს-შემორტყმული,
და მჯერა მტკიცედ, საბოლოოდ დაიღუბება.

პირველი ხმა — მართალსა ბრძანებს ერისთავი, ომი სჯობია!

მეორე ხმა — ომს ვითხოვთ, მეფევი!

ცოცოშვილი — შე თქვენ გირჩიეთ, დიდებულნო, ადვილი საქმე,
ომი კი მეტად საშიშია, თანაც საეჭვო.

ზურაბ — ადვილი საქმე განცხრომა და მოსვენება.

ომი, თავადო, ან ჩვენ მოგვსპობს, ან სააკაძეს.

ერთად კი ჩვენი არსებობა არ შეიძლება.

ჯაგახიშვილი — შესაძლო არის, ომი სჯობდეს მართლაც, მეფეო,
მხოლოდ ვეცადოთ, მოვახერხოთ რომ ამ ომიდან

ცოცხალი თავით სააკაძე ვეღარ გავიდეს.

პირველი ხმა — აშკარა არის ყველაფერი, ომს ვერ ავიციდნით.

მეორე ხმა — კმარა, მეფეო, ხააკაძემ რაც იბატონა.

მესამე ხმა — მეფევი, ომს ვითხოვთ, ველით თქვენს სიტყვას.

თეიმურაზ — მეც ვეთანხმები, დიდებულნო, ზურაბ ერისთავს.

უნდა ვემზადოთ ომისათვის, ეს ნათელია.

კმარა, რაც ჩვენში სააკაძემ სისხლი დაღვარა,

ათასი ჭირი დაგვატეხა, უბედურება

და დროა უკვე იმის თარეშს ბოლო მოეღოს.

ვრაც ბოგანო, უსახელო, უჯიშო გლეხი,

დღეს ისე რიგად გათავზედდა, გაკადნიერდა,

რომ შემუჭრება ტახტის წართმევას მეფეს კურობედელს.

რალა ფასი აქვს ამის შემდეგ ჩემს ხტლმწიფობას!

ან და, თავადნო, დიდებულნო, თქვენს ბატონობას!

სჯობს რომ ამოვწყდეთ ღირსეულად ჩვენ ბრძოლის ველზე,

ვიდრე ვერ-კი მოლაღატე გავაბატონოთ.

პირველი ხმა — სიკვდილი გამცემს!

მეორე ხმა — მეფის ორგულს!

მესამე ხმა — ქუეყნის გამყიდველს!

თეიმურაზ — დარბაისელნო, ვთხოვთ, დაწყნარდეთ, სიფრთხილე

გემართებს,

რათა შევუდგეთ ომისათვის ფარულ სამზადისს.

მე იმედი მაქვს, ერისთავი უარს არ გვეტყვის,

მას ძალაც შესწევს და იკისრებს ჯარის საზღვლობას.

ჩვენ გვეჯერა მისი ძლიერების, სამხედრო ნიჭის

და გვეჯერა, ომსაც გამარჯვებით დაგვირგვინებს.

ჯავახიშვილი — სრული სიმართლე ბრძანა მეფემ, ქვეშაირტყნა,
 ზურაბზე უკეთ რომელს ძალუმს ჯარის სარდლობა?
 პირველი ხმა — უკეთეს სარდალს ან მეომარს სხვას, ^{მეცხრეული}
 მეორე ხმა — უნდა დათანხმდე, ერისთავო, უარს ვერ გვეტყვი!
 ზურაბ — მეფეთა მეფე, ღირსეულო გვირგვინოსანო,
 და ოქვენც თავადნო, ჩვენი ქვეყნის დარბაზელნო!
 ჩივილებთ პატივს და სამსახურს მძიმეს მაკისრებთ.
 მე თანახმა ვარ გავუწიო ჩვენ ჯარის სარდლობა.
 მხოლოდ, ყოველი ჩემი სიტყვა უნდა აღსრულდეს
 გაუზზარადად, უყოყმანოდ, გაუმრუდებლად
 და გაძლეეთ სიტყვას, სააკაძეს კისერს. მოვეუბრებ,
 და ეს იქნება მისი ომიც უკანასკნელი.

(გარდა)

სურათი მეორე

ზაზღლეთი¹ ომის იდგალი. სურათა დაფარული ძველი ციხის ნანგრევები. მარჯვნივ სა-
 აკაძის კარავი. მარცხნივ ამოდის გზა-ბილიკი. პირდაპირ — კლდის ჰარი უფსკრულით. შო-
 რიდან ყრუდ მოსმის ომის ზმურთი, სრაოლა, ყიფინა. სიენაზე მხოლოდ ტუბაა, რომელიც
 მიმჭრალ ცეცხლს მისჯდომია და დაჭრილ შუბლს იხვევს. შემოდგომის წვიმიანი დღეა.
 ჰარი, დრო გამოშვებით ელვა-ქუხილი.

ტუხა — აი დალაზეროს მისი თავი ჩემმა გამჩენმა,
 კინალამ გოგრა არ გამიბო იმ ძაღლის შვალამ!
 ღმერთმა უშველოს ღედას ბიჭსა, გადამარჩინა,
 თორემ, ვინ იცის, ეშმაკები ჩემს ცოდვილს სულსა
 აქამდის უკვე ჯოჯოხეთში შიპარძანებდნენ.

ხმა შორიდან — ეეეეი, ვინა ხართ, მომეშველეთ!

ტუხა — ეს ვინ იძახის? გავიხედო, დაჭრილი თუა-
 (გზისკენ იხედება) ოპო ოოუ!

ხმა შორიდან — ეპეეეი, მიშველეთ!

(ტუბა ცოტა ხანს დააკვირდება, მერე უცბად მოსწყდება და გაიქცევა. შემოაქვს
 დაჭრილი იმერელი მეომარი).

ტუხა — აი აქეთ, ნუ გეშინია,
 ეხლაე შეგიჩვევ შენს ჭრილობას.

აი, აქ დაჯექ.

(შედის კარავში, გამოაქვს შესახვევი და ჭრილობას უხვევს).

იმერ. შეომარი — ოპ, შენ გაცოცხლა, ძმაო, ღმერთმა!
 ძლიერ დავსუსტდი, ლამის სისხლიდან დავიცალე.

ტუხა — ერთი მათხარი, მეგობარო, როცა დავიჭერ,
 ვას მხარეს იყო გადაბრალო ბრძოლის სასწორი?

იმერ. შეომარი — ჯერეთ მაგის თქმა, ჩემო ძმაო, მეტად ძნელია
 (მიიმედ ლაპარაკობს).

თავგამოდებით იბრძვის ერთიც, მეორე მხარეც,
 თუმც უნდა ითქვას, იმერეთით მოსული ჯარი
 უამინდობით, უგზოობით მოქანცულია.

როცა მოვედით, დასვენება ვერ მოვასწარი.

მტერმა სასწრაფოდ, ამ წუთშივე შემოგვიტია.

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო

(შეისვენებს) ერთხანს კიდევაც გაგვიჰყირდა, კინალამ გაეტყდიო.

მაგრამ გამოჩნდა ბრძოლის ველზე თვით სააკაძე და ეთ არწივმა კილყუაგების გუნდი გაფანტოს, ისე დაჰქროლა მტრისა რაზმებს.

შეშინდა მტერი. ის-ის ეყო ზურგი გვიჩვენა, მაგრამ იმავე დროს წამოვიდა ელვის სისწრაფით, როგორც გრივალა, ქარიშხალი, მტრის ერთი რაზმი, მანამდის ზევსა შეუმჩნეველად ჩასაფრებული.

თვითონ სარდალი, ერისთავი, წინ მოუძლოდა.

გაანადგურეს ჩვენი ჯარის მარცხენა მხარე,

იქიდან შემდეგ შუა გულსაც შემოუტაეს.

შეიქნა ომი უზოგველი, შეტად სასტიკი.

მეც იქ ვიბრძოდი, მაგრამ ამ დროს დავიჰქერ კიდევ.

მერე რა მოხდა, ვინ დამარცხდა, მე აღარ ვიცი.

რა გონს მოვედი, ჩემს გარშემო არავინ სჩანდა,

გარდა მკედრებისა.

ომის ხმაური შორს იმოდო, სადღაც ზევსკენ.

აედექ, წამოველ, არც ვიცოდი, სად მივდიოდი.

ტუხა — მამ ჯერ ძნელია იმისი თქმა, ვინ გაიმარჯვებს?

იმერ. მეომარი — იქნებ წყალი გაქვს, ერთი წვეთი დამალევიწე.

ტუხა — (მრავლად წყალი) აი დალიე, წამოწეკი და დასვენე.

იმერ. მეომარი — (დაღვეს წყალს) ეჰ, ბარემ სჯობდა, ბრძოლის ველზე რომ მომკვდარიყავ.

ტუხა — რაღა, ძმობილო, საიქიოს რა გეჩქარება?

იმერ. მეომარი — სულ ერთი არის, უპატრონოდ სადღაც ჩავეკვდები.

ტუხა — აი მოვლიან ომის შემდეგ შენებურები,

თან წაგაყვანენ, მოგივლიან, გიპატრონებენ.

იმერ. მეომარი — ეჰ მეგობარო! საწყალი კაცი მანამდეა გამოსადეგი, სანამ ხმაღს იქნეს,

ან ოფლსა ღვრის სხვის სასარგებლოდ.

ეხლა დაჭრილი, წაქცეული ვის რად უნდივარ?

ეჰ, დედაჩემი, ალბათ, კარზე ბევრჯერ მოდგება...

ტუხა — ძლიერ შორეა ამ ჩვენიდან შენი სოფელი?

იმერ. მეომარი — პო, შორს არის, ძლიერ შორს არის.

ჩვენი სოფელი შთის ძირშია, საწერეთლოში.

არგვეთი ქვია. რომ იცოდე, რა ლამაზია!

ეჰ, ერთხელ კიდევ დამანახვა...

თუ კიდევა გაქვს ცოტა წყალი, დამალევიწე.

(ტუხა ასმევს წყალს. იმის ძლიერი ხმაური).

ტუხა — თითქოს ამაური ძლიერდება, აჭეთკენ მოდინ.

ერთი გაგხედო (იციქრება) ვერაფერი ვერ გაეარჩიე!

ღმერთო ძლიერო, მგონი, სარდალა დაუჭრიათ.

ვიგიახ ხმა — ეი, ვინ დგას მანდ?

ტუხა — ტუხა ვარ, ტუხა, ვერ მიცანი?

ვიგია — (შემოდის) რა ვიცი, თავი მოლასავათ შეგიხვევია.

სარდალი დასჭრეს, დავიღუბეთ. ეს ვილა არის?



ტ უ ხ ა — იმერელი მეომარია.

(დაჭრილი სააკაძე შემოჰყავთ დათუნას და გიგოლას).

მარტოვსული

გი გ ი ა — (იმერელ მეომარს) ანა აქედან აიბარვე, ჩქარაპსმპსპსსსსსსსსს

ტ უ ხ ა — შე ვაი კაცო, ევ სად წაეა, ღუზზე ვერ დგება?

გი ო რ გ ი — დაეხსენ, იყოს!

გი გ ი ა — აქეთ მობრძანდით თქვენს კარავში, დიღო სარდალო!

გი ო რ გ ი — აქ მირჩევნია, აქვე, ცეცხლთან. გთხოვთ გააჩადოთ.

გი გ ი ა — ეხლავე, ბატონო (შეშა-მოაქვს).

გი ო რ გ ი — (ცეცხლთან) როგორ მცევა. ასე მგონია, თითქოს მაციებს.

დათუნა — ეხლავე მოუხმობ თურმანიძეს, თუ კი მიბრძანებთ.

გი ო რ გ ი — არა, არ მიწინაა, დაეხსენი, რა საქირია,

ქრალობა უკვე შეახვია, გაასუფთავა.

სჯობს სხევებს მიხედოს, დაჭრილები მეტად ბევრია.

გი გ ო ლ ა — თითქოს ყიფინამ მოიმატა მტრების ბანაკში.

იმერ. მე ო მ ა რ ა — ოოპ, ოოპ! (ყვინისს).

გი ო რ გ ი — რაო, ძმობილო, ევ ქრალობა ძლიერ გაწუხებს?

ტ უ ხ ა — მიძიმედ არის ევ დაკოდილი, დიღო სარდალო.

გი ო რ გ ი — მაშ შეიყვანეთ ჩემს კარავში, იქ მოასვენეთ.

(იმერული მეომარი სააკაძის კარავში შეჰყავთ გიგოას, დათუნას, ტუხას და გიგოლას. გამოვლენ თუ არა, შემოდის მზეინარ და მათია. მზეინარს ნაბაღი აქვს წამოსტმულა. წაწყდება დათუნას).

მ ზ ე ე ი ნ ა რ — სად არის, ძმაო, მოურავი, გთხოვთ, რომ მიჩვენოთ.

დათუნა — არ შეიძლება, დაჭრილია, ვერ შევაწუხებთ.

მ ზ ე ე ი ნ ა რ — (ეძახის სააკაძეს) დიღო სარდალო, მოიხედე, მე ვარ, მზეინარ.

გი ო რ გ ი — რაო, მზეინარ?

შენ აქ რა ვინდა, რისთვის მოხველ, საიდან გაჩნდი?

მ ზ ე ე ი ნ ა რ — (მეტად აღელლებული) თავზე დაჯვატყდა საშინელი უბედურება.

ენას არ ძალუძს, რომ გადმოგცეს იგი სიტყვებით.

როგორ არიან მამა-ჩემი, ჩემი ძმა თენგო?

გი ო რ გ ი — კარგად არიან ორივენი, მათთვის ნუ შეშობ.

მითხარ, მზეინარ, რა შეგემთხვა, აქ როგორ მოხველ?

მ ზ ე ე ი ნ ა რ — შეფის ბრძანებით თავს დაგვეხსნენ შულამისას

ზაალ ერისთვის თაოსნობით, ზურაბის ძმისა.

მთლად დაიტაცეს, დაარბიეს მთელი ქონება,

სულ ამოსწყვიტეს ერთიანად ჩვენი მსახურნი,

მხოლოდ შემთხვევით ეს მათია კიდევ გადარჩა

და ამან ჩემად მე და დედა გამოგვაპარა.

მყისვე მონასტერს მივაშურეთ თავშესაფრად.

აქვე დაეტოვე დედა-ჩემი, ჩვენ კი ცხენებით

თქვენეცნ სასწრაფოდ, იმ წუთშივე გამოვეშურეთ.

როცა სერიდან ვადანებდე ჩვენს კარ-მიდამოს,

ენახე სახლ-კარი, ცეცხლის აღში ვახვეულოყო.

ოპ, ღმერთო ჩემო, ამ ერთ ღამეს, რა არ ვადამწყუდა!

აღარ დავეძებ აღარაფერს, ოღონდ ცოცხლები

ენახო კიდევ მამა და თენგო.



გიორგი — დაჯექ, დამყნარდი, გუბნები, კარგად არაან.

მზევინარ — (ძალიან აღვზნებული ლაპარაკობს)

როცა აქ მოველ, — ოჰ, ღმერთო ჩემო! —

სულ დამავიწყდა ჩემი სახლის უბედურება.

ოჰ, რა საზარი, საშინელი სანახავია!

როგორი არის, აი თურმე, საქმე, რისთვისაც

ხოტბას ასხამენ ჩჩულ ვაყვაცო და თაყვანს სცემენ.

როგორც ველურნი ან და მხეცნი, ბრახ-მორეულნი,

ერთი ერთმანეთს მისეოდნენ, ჰგლეჯდნენ, ჩეხადნენ.

დახანჯულულ გულ-გვამს ცხენის ფეხით სრჯდნენ, თელადნენ.

ტალანში იყო ახელილი ღისხლი და ტვინი,

თან ქარს მოქონდა საშინელი, გულშემზარავი

კენესა, ვაება; არეული ცხენის ქახინში.

ღმერთო, დაგვიხსენ, გვედრები, განსაცდელისგან!

დედაო ლეთსავ, შეგვიბრალე, შენ დაგვიფარე!

პეტრე — (შემორბის) თქვენთან ქავთარმა გამომგზავნა, დიდო სარდალო,

შიშვედ დაჭრილი ის ბრძოლიდან გამოვიყვანეთ,

თავის შვილის მკვლელს გამოუდგა შესამღსრადად.

და როცა ხმალი...

მზევინარ — (თაზარდაცემული შეჰკვივლებს)

ააჰ, ეგ რა სოჭივი!

გიორგი — რაო, რას ამბობ?

პეტრე — (შემკრთალა) ჯარის სარდლობა მუხრან-ბატონს უკვე გადასცა.

მზევინარ — (სასოწარკვეთილი, დაბნეული, გონზე ვერ მოსულა)

ოჰ, ღმერთო ჩემო!.. თენგო... მამა...

ეს... სიზმარია საშინელი თუ... ცხადად ხდება.

იქნებ მომესმა ყოველივე. ვანიშორე.

გიორგი — იქნებ შენ სცდები, შენი თვალთ ხომ არ გინახავს?

მე თვითონ წაველ ეხლავ, მზევინარ.

მზევინარ — იქნებ არ არის... ჩემი ძმა მკვდარი.

მითხარი რამე სანუგეშო, გემუდარები,

სად არის მამა, მიმიყვანეთ. ვაიმე, რა ვენა!

გიორგი — როგორ იქნება იქ წახვიდე!

ეხლავ ვუბრძანებ მოიყვანონ აქ მამა-შენი.

თენგოსაც ვნახავთ, ტყუილად შიშობ, ალბათ ეგ სცდება.

პეტრე — მე არ ვიციოდი... ქალბატონო...

მზევინარ — ვაიმე, ღმერთო!

გიორგი — (პეტრეს) გასწი, გადაეც მუხრან-ბატონს, ეხლავ მოვდივარ.

მზევინარ — დიდო სარდალო, მოურავო, მიშველე რამე

(მუხლბეზე ეხვევა), შენ ყველაფერი შეგიძლია, გემუდარები,

ახსენ ჩემი ძმა, მამა-ჩემი, ჩვენი ოჯახი...

გიორგი — (პეტრეს) როგორმე პეტრე მთის ძირისკენ შემოიტყუოს,

სადაც ჯარია დამალული, სათადარიგო

(პეტრე ვარბის. მზევინარ წამოიჭრება არეული სახით).

მზევინარ — ვაიმე, რა ვენა, ვით გიშველოთ (პეტრეს)

ძმარ, მოიცა, მიმიყვანე დაჭრილ მამასთან.

(ვატბის).

- გ ი ო რ გ ა — შენსდუქ, მზეინარ, სად მიდინარ? იქ ნუ გაუშვებთა
(წამოდგება) გიგია, ცხენი მომიყვანე, ჩქარა, სასწრაფოდ!
(შეტორტმანდება, ჩიჩიკებს).
ვია დედასა, ჩემო თავო, რა დროს მღალატობ!
(შემობრბის მგელით).
- მ გ ე ლ ი კ ა — დიდო სარდალო!
მუხრან-ბატონას მთელი ჯარი გაანადგურეს,
მტრისა მხედრობით ათბავიცი მომწყვდეულაა
და საეჭვოა, მტრების რკალი რომ გააღღვიონ.
- გ ი ო რ გ ი — გასწი საჩქაროთ იმერლებთან,
უთხარ, ეხლავე მიაშველონ ჯარი ათბავს.
და გზა გაუხსნან გარშემორტყმულ იმას მხედრობას!
(მგელია გარბას).
და: უნა, სად ხარ?
- და თ უ ნ ა — (რომელიც მის უკან იდგა) აქ გახლავარ, დიდო სარდალო.
- გ ი ო რ გ ი — გავარდა ჩქარა! დამენახე, სად ხარ, ვერ ვხედავ!
(დათუნა წინ წამოდგება).
გაიქეცი მუხრან-ბატონთან,
იქნებ შეკრიბოს გაფანტული თავის ხალხი,
ზურგში მოექცეს ჩვენს მებრძოლ ჯარს. ხომ ვაიგონე?
არ მისცეს ნება გამოქცევის, უკან დახევას,
არვიან დაზოგოს. ვაიგონე, არვიან დაზოგოს.
ასე გადაეც ჩემს მაგიერ მუხრან-ბატონსა
(დათუნა გარბის ტუხას, ვიგოლას და ვიგას).
თქვენ რას უღგებხართ? არვიან დარჩეთ, ყველა წამოდით!
თუ გეშინიანთ სიკვდილისა?
(წაოიწვეს, ადგომა გაუპორდება, მიეშველებიან, აყენებენ).
გიგია, ცხენი, ხომ უყურებ, ფეხზე ვერ ვდგები!
- გ ი გ ი ა — დიდო სარდალო, არ იქნება, ეგრე სად წახვალთ.
- გ ი ო რ გ ი — რასაც გიბრძანებ, ძაღლის შეილო, ის ასრულე!
- მ ი ხ ო — (შემობრბის) დიდო სარდალო, დავადებეთ, წავაგეთ ომი:
პირი იბრუნა ერთიანად ჩვენმა ლაშქარმა,
მთლად აირია, ისე გარბის ბრძოლის ველიდან.
- გ ი ო რ გ ა — როგორ? რა მოხდა ასე უცბად, ვერ გავიგია,
თითქოს ელოდით ჩემს წამოსვლას, ჩემს მოშორებას?!
მ ი ხ ო — ჯარმა შეიტყო შენი დაქრა, დიდო სარდალო.
უცბად შეშინდა, აირია, იბრუნა პირი
და ვიღარ გასჭრა ვეღარც ხეუწყამ, ვეღარც შექარამ.
(დიღბან არის გაღმებული).
- გ ი ო რ გ ი — მამ გამარჯვება დღეს შენ დაგრა, მეფეე ბატონო,
დღეს კვლავ დამარცხდა საქართველოს შეერთების ცდა!
(დაჯდება, ბნელდება, მხოლოდ ცეცხლის შტეი ანათებს).
- მ ი ხ ო — დიდო სარდალო,
ჩვენს გაქცეულს ჯარს, მტრის ლაშქარმა თუ კი მისდია,
ეჭვი არ არის, მთლად აჩეხავა, გაანადგურებს.
- გ ი ო რ გ ი — (ჩაფაქრებული) უკვე ღამდება, ბინდი გაპყრის მებრძოლ
მხარეებს.



მტერსაც არ ძალუძს, გაქცეულ ჯარს უკან მისდიოს,
მაგისტვის ძალა თეიმურაზს როდილა შესწევს.

(თანდათან ემატებიან გიორგის ძველი რაზმელები. უმეტესობა დაჭრილებს გვიან შემოდის შემოდული, დასისხლიანებული ბახუტა. საერთო დღეშია, ყველა იმედდაკარგული სდგას. მხოლოდ გიგოლა გააყურებს კლდის პირიდან).

გიგოლა — მტერი შეიმოსს, მათ ბანაკში ყიფინა ასმის.

მართალი ბრძანეთ, მოურავო,
ბუქს აყვირებენ შესაკრებელს, ჯარს მოუხმობენ.
(შემოდან პეტრე, მელიკა და კიდევ რამდენიმე რაზმელი).

გიორგი — საით მიდიან გაქცეული ჩვენი ჯარები?

მელიკა — ხეე-ხეე წაყიდნენ მცხეთისაკენ, დიდო სარდალო.

ჩვენთვისაც მეტად საშიშია აქ გაჩერება.
შესაძლო არის დაგვიარონ, ვნა გადაგვიჭრან
ან და ჯარები ჩააყენონ გასაველ ვზებში.

(შორიდან ისმის გულშეშარავი კივილი).

გიორგი — ეს ვინა ჰკივის?

პეტრე — ქავთარ ორბელის ქალი გახლავთ, დიდო სარდალო.

მამას დასტირის (ბახუტა შეკრთება. კარგად ვერ გაიგებს, რა სთქვამს)

გიორგი — გარდაიცვალა?

პეტრე — დიად, ბატონო.

გიორგი — (თავისთვის) მხოლოდ მე ერთი დავაფიწყდი, დაწყველილი
სიკვდილს!

(ბახუტა წამოიწევს, თითქოს რაღაც უნდა ჰკითხოს გიორგის, მაგრამ თავს შეიკავებს, შეტრდება გამაზვილებული სმენით, ყურს დაუგდებს, სიწუმე, კვლავ კივილი).

გიორგი — მაშ, გაამზადეთ წასასვლელად, რაც საქაროა.

მხოლოდ ვიდრემდე წავიდოდეთ, ჩადით იქ დაბლა,
ერთად დამარხეთ დახოცილნი მამა და შვილი,
ის კი საბრალო მშვეინარი აქ მოიყვანეთ.

ბახუტა — როგორ? მშვეინარს აქ რა უნდა, დიდო სარდალო?

გიორგი — შენ ხარ, ბახუტა?

რაც მას შეეშთხვა, იმ უბედურს, შემდეგ შეიტყობ.

ეწლა კი წადით, ცოდვა არის, აქ ნუ დავტოვებთ.

(რამდენიმე რაზმელი და ბახუტა საჩქაროდ მიდიან. სცენაზე ილაგებენ ბარგს. ტუბა კარავს ხსნის, როდესაც კარავს აიღებს, მხოლოდ მამინ დაინახავს იმერელ ჯარისკაცს).

ტუბა — სულ დამაფიწყდა, აქ რომ იყო ეს იმერელი.

გიორგი — რა სთქვი, ტუბა, ვინ დავაფიწყდა?

ტუბა — აქ თქვენს კარავში იმერელი რომ დავაფიწინეთ.

გიორგი — ჰო, წაყიყვანოთ, ცოდვა არის, სომ ვერ დავაგდებთ.

ტუბა — ჰეი, ძმობილო, გაიღვიძე, უნდა წავიდეთ!

(ანდრეეს დაჭრილ ჯარისკაცს).

როგორა სძინავს ამ საცოდავს.

ჰეი, არ გესმის, მეგობარო?

(ხელს მოკიდებს, შემდეგ დააშტერდება).

დიდო სარდალო, ეგონებ... იგი... ეი, ძმობილო!

გიორგი — (ჩაფიქრებული) რაო, რას ამბობ?

ტუბა — აქი მომკვლარა, ეს საწყალი, დიდო სარდალო.



გიორგი — (ფიქრებში წასული) პოო. მომკვდარა.

ტუხა — დიდი, ბატონო.

(ტუხა დასწერება მკვდარ მომარს).

როგორ უნდოდა ამ საცოდავს, რომ ერთხელ კიდევ დაენახა თავისი მხარე.

(მუბოდიან მზევინარის მასაყენად გაგზავნილი რაზმელები).

გიგია — ბატონო ჩემო, არც ქაეთარი, არც თავისი ძმა

არ დაგვანება დასამარხად ქაეთარის ქალმა.

როგორ არ ვთხოვეთ, რა არ ვცადეთ, რა არ ვიღონეთ, მაგრამ არ იქნა, მიცვალებულთ ვერ შოვაშორეთ.

იგი უაზროდ ლაპარაკობს, თითქოს თავისთვის და მიცვალებულთ გამუდმებით დასჩერებია.

გიორგი — როგორ ამოწყდა, დაიღუპა მთელი ოჯახი!

გიგია — ბახუტა დარჩა მხოლოდ მასთან და კიდევ ცდილობს,

იგი როგორმე დაამშვიდოს, გამოიტყუოს.

გიორგი — ასე ყოფილა ომის წესი, ასეც იქნება:

ერთი იმხობა, მით მეორე ბედნიერდება.

(დათუნა შემოდის).

დათუნა — უკვე მზად გახლავთ ყველაფერი ჩვენს წასასვლელად.

გთხოვთ წამობრძანდეთ. დროა უკვე, ნულარ აყვინებთ.

(გიორგი ხმაზე დაყრდნობილი წამოდგება. მას გიგია და პეტრე მიეშველებიან, ამ დროს გამოჩნდება შესული მზევინარი, რომელსაც უკან ბახუტა მოჰყვება).

პეტრე — აი შეხედეთ იქ, საჩრდალო, აი ის ქალი.

(ყველანი შედგებიან და მზევინარს მიაჩერდებიან. მზევინარი თითქოს ვერც კი ხედავს იქ მყოფთ, ცეცხლისაკენ მიდის).

მზევინარ — (ცეცხლთან) ოპ, როგორ ცივა, მთლად

გავიყინე, ცივი ქარი ძვალ-რბილში აღწევს.

გიორგი — ჩემო მზევინარ...

მზევინარ — სსს, ჩუმადი! ეს ვინ ხმაურობს?

(ყურს დაუდგებს. მხოლოდ ქარი უბერავს. მზევინარი ჩუმადი იცინის).

ზი, ზი, ზი, ქარი ყოფილა, ზი, ზი, ზი, სულელი ქარის რისთვის დაძრწის ამ სიცივეში და არ იძინებს?

ზი, ზი, ზი სულელი ქარი!

ჩუ! იყურეთ, იყურეთ-მეთქი, დაიძინეთ! მხოლოდ იყურეთ, დაიძინეთ,

სუ, შუშ, ჩუმადი!

(შეხედავს დაგდებულ ფანდურს, დააშტერდება, ხელს წააქვებს გაიღიმებს).

პო, ეს ფანდური... ოო რამდენი სისხლი აცხია!

„ქალაუ, მითხარ შენი ვარ,
გულს რაღად დამებურება,
მთას თუ მზის შუქი ათბუნებს,
ნისლი არ მოებურება.
გონება გონებასა ჰგავ,
სიტყვა ზო ორივე ერთია,
ჩემი და შენი გამყრელი
ნუშცა ზეითი ღმერთია“.

(თოფის ხმა. უცხად შესწყვეტა, გადაადგებს ფანდურს და აცხებდება).

ოპ, ოპ, ვაიმე! ოპ, ოპ! მიშველეთ, მიშველეთ!

აი, მოდიან,

ღმერთო ჩემო, კარებს ამტვრევენ! ჩუ თუ არ



გესმათ, რომ კვიან? ყველას დაგვხოცენ. ააპ,
შემოვიდნენ, ღედა, მიშველე!
(სცენაზე უაზროდ დაძრწის). სადა ხარ, ღედა!
ჩქარა გაექცეთ, წამოდით ყველა, ჩქარა, ცხენები!
(გარბის კლდისაკენ. ელეა, ჭეხილი).

ბ ა ხ უ ტ ა — მშვეინარ, შესდექ, არ წახვიდე, გადინჩხები.

გიორგი — დაიჭით ჩქარა, არ გაუშვათ, დაილუგება.

(რაზმელები დადევნიებიან. მშვეინარი უკან დაიხვის, კლდისაკენ).

მ შ ე ვ ი ნ ა რ — იქით, წყეულნო, არ მოხვიდე, არ მოშეკაროთ!

ბ ა ხ უ ტ ა — მშვეინარ, შესდექ!

მ შ ე ვ ი ნ ა რ — ღედა, სადა ხარ? არ მოხვიდე! ღედა, მიშველე!

(მშვეინარ უღსკრულში გადავარდება. რაზმელებს გმინვა აღმოხდებათ და ერთ ადგილას გაქევადებიან. დაიჭუხებს, ელეა გაანათებს იტაქრობას, შერე ძლიერი ჭარი დაუბერავს. ბახტა მოსწყდება ადგილს და დაბლობისაკენ გიქცევა).

(ღ ა რ დ ა)

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ი

საკაბის კარმიდამო კრწანისში. ეზო ცარიელია ისმის ცხენების თქაბა-თქური. ხმები შემდეგ ძლიერი დარტყმა ალყაფის კარზე. დარტყმა რამდენჯერმე განმეორდება.

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ — ეი, გააღეთ კარი!

(კლდე დარტყმა. ეზოში გამოჩნდება ალყაფის კარისაკენ მიმავალი მოხუცი ბერუა).
ეა, არ გესმით, გააღეთ კარი!

ბ ე რ უ ა — ჰო, ჰო, მოვიდვიარ ((დარტყმა მეორდება)

მოვიდვიარ-მეთქი, დალოცვილო, რა ვქნა, ვინა ხარ?

(ბერუა აღებს კარს. შედის ჭიხოსრო ჯავახიშვილი შეიარაღებული რაზმით. შენობებიდან გამოიხედავენ მსახურნი).

ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი — (გადაძქრავს მათრახს ბერუას)

ჩქარა ვერ მოხველ, ძაღლის შეილო!

ბ ე რ უ ა — რადა, ბატონო, რაზედა მცემთ, რას მემართლებით?

ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ა — ხმა! გაათრიეთ, მომამორეთ, ჩაავდეთ სადმე!

(ბერუას მისციელებიან).

ბ ე რ უ ა — ღმერთი არა გწამთ, რა დავაშავე?

პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ზ მ ე ლ ი — (მუჯღულგუნს წაძქრავს)

აბა, ნუ ყბედობ, ბერო კაცო, გამოიარე!

ბ ე რ უ ა — აი შევირცხეა ჯეელობა, მოხუცს მცემ, უძლურს.

ქ ა ი მ ო ს რ ო — აბა ბეჭებო, გაიგონეთ:

რასაც იშოვით, თქვენი იყოს, მიჩუქებია,

აღარ დასტოვოთ არაფერ, გაანადგურეთ.

(რაზმელები შეესვიან სახლ-კარს).

მსახურნი ყველა შეიპყარით, არვინ გაუშვათ.

ჯანფიტ, სადა ხარ?

ჯ ა ნ ფ ი ტ — აქ გახლავარ, ბატონო ჩემო.

ქ ა ი მ ო ს რ ო — შედი იქ, სახლში, თუ ვინმეა, გამოათრიე.

ჯ ა ნ ფ ი ტ — ეხლავე, ბატონო.

(გარბის სახლისაკენ. ისმის ქალების კივილი. რაზმელები ეზოში ჰყრიან ნიძარცვ ნივთებს. აივანზე გამოვარდება მე-2 რაზმელი, ხელში მოვერცხლილი ხმალი უჭირავს, უკან მე-3 რაზმელი მოსდევს).

- მე-3 რაზმელი — მომეცი-მეთქი, მე ვიშოვნე, შე არამზადავ!
 მე-2 რაზმელი — ჩქავ, გამშორდი, გამეცალე, არ დაგასტეხს!
 მე-3 რაზმელი — დადექი, გირჩევ!
 მე-2 რაზმელი — (გადახტება ეზოსი) აბა, მობრძანდი, თუ ბიჭი ხარ!
 მე-3 რაზმელი — (გაიძრობს ხანჯალს) მაშინ მოგცედე, თუ ეგ ხმალი შენ გაგატანა.

ქაიხოსრო — რა ამბავია?

მე-2 რაზმელი — აი, ბატონო, ხმალი ვნახე,
 ეს კიდევ მომდევს, მე მომეციო.

მე-3 რაზმელი — სტყუის, ბატონო, მე შეეხტე, ვფიცავ თქვენს მზესა.

ქაიხოს — (მე-2 რაზმელს) მოდი აქ, მომეცი.

ზადგანაც დაობთ, ვერ მორიგდით, ეს ჩემი იყოს.

(ჩამოართმევს ხმალს).

მე-3 რაზმელი — (მე-2 რაზმელს) აი ეგეც შენ, შე ყაჩაღო!

მე-2 რაზმელი — დედას გიტირებ, დამაცანდი!

(ყაჩაღს და ერთ რაზმელს მოჰყავთ სააკიმის დედა თამარ).

ჯანდიტ — აი ეს ვნახეთ, ამის მეტი არავინ არის.

ქაიხოსრო — (დაცინებით), ბოდიშს მოვიხდით, ქალბატონო, რომ შეგაწუხეთ.

თამარ — შენგან წყალობას არასოდეს არ მოველოდი.

რა ამბავია, რაზედ მძარცვავთ, რაზედ მათხრებთ?

ქაიხოსრო — მამა-პაპიდან ეგ სიმდიდრე არ მივიღია,

ნაძარცვი არის, შენი შეილის ნაყაჩაღარი.

ქარის მიტანილს უკან ისევე ქარი წაიღებს.

თამარ — ჩემი შეილები ყაჩაღებად არ დამაზრდია

და რომ გისმენდნენ, მაგ ყბედობას შეგანანებდნენ.

ქაიხოსრო — უკვე დასრულდა შენი შეილის მოურავობა.

ბოლო მოელო მის მეფობას, მის ბატონობას.

ესლა დაქრილი, ალბათ, სადმე ტყეში აგდია

და ფიქრობს, კიდევ სად გაიქცეს, ვის შეეხიზნოს,

ვის შემოუბღვეს ისევე ქართლში და მოგვინიოს.

მაჯრამ სად წაეა, აღარავინ აღარ ენდობა,

ყოველი მხრიდან უძღურია, ვზა მოჭრილი აქვს.

სიკვდილი იხსნის მხოლოდ ერთი შერცხვენისაგან.

თამარ — არა მგონია, ჩემი შეილი ასე დაეცეს.

რომ ეელარ შესძლოს წამოღვომა, მტრის შებრძოლება.

მაშინ რას ფიქრობ, ქაიხოსრო, სად გაიქცევი.

ვით გადურჩები იმის რისხვის, შე უმედურო?

ქაიხოსრო — ჰა, ჰა, ჰა!

ამას ჰგონია ის უკვდავი, დაუძლეველი.

მას ისიც ეყო, რაც აქამდის დაგვაწიოკა.

მის სიბოროტეს ქართლი დიდხანს ვერ დაიფიყებს,

დიდხანს დარჩება ხალხს სახსოვრად სისხლის წვიმები,

რომლითაც მორწყო შენმა შეილმა ქართლის ველები.

იმის გაჩენეს ის გერჩია, ძალი გეშობა,

ჩვენი ქვეყანა ამოვდებას გადარჩებოდა.



ბოროტი სული წარმოშობე, ღმერთის მგმობელა,
ქვეყნის დამქცევი, მოღალატე, შეჩვენებულო.

უნდა მოისხოს თქვენი თესლი, თქვენი ხსენება!

თამარ — შხამად და ვესლად მაგ პირიდან ამოანთხიეთ,
რაც ჩემ შვილს თქვენთვის ან მეფისთვის კარგი უქნია.
თქვენ შემოგწირათ ვაჟკაცობა, შვილის სიცოცხლე
და ასე უხდათ ღვაწლისათვის სამაგიეროს?

გაუნადგურეთ, აფოხრეთ შთელი ქონება,
ჰა, მეც მომგალით, გადამთელეთ, სისხლის მსმელებო!
თქვენთან სიცოცხლეს, მკვდარი ვიქნის მერჩვენია.

ასე შიშამებთ, ასე მტანჯავთ შთელი სიცოცხლე
და მერე რისთვის? რა ცოდვა ვქმენ, რა დავაშავე?
რომ გამოვზარდე გმირი შვილი, ქვეყნის პატრონი,
სულით ძლიერი, მოამაგე, ხალხის დაძხნელი?

ამას ვერ იტანთ, ვერ ინელებთ, ამისთვის გტანჯავთ
და გვანადგურებთ უმოწყალოდ შვილსაც, ღედსაც.
ოჰ, თქვე ძაღლებო, ავაზაკნო, კაცის მკვლელებო!

ქაიხოსრო — ხმა, შე ქოფაკო!

თამარ — ვერ დამაჩუქებ, მაგ ყვირილის არ მეშინია.
სამაგიეროს ჩემი შვილი ასწილ მოგიზღავს.

შე გველო, გველო, შხამით, გესლით გამოტენილო!

ქაიხოსრო — მიაკარით მაგ ალვის ხეზე, მაგრა ვაკოქეთ!
შემდეგ რამუნსაც მოისურვებს დადგეს, იყბდუნს.
(თამარს ხეზე მიაკრავენ).

თამარ — ფუ, შენს კაცობას!

(ორი რაზმელი მოათრევს ახალგაზრდა მახურ ქალს თოთას, უკან მოსდევს გზით-
რებულა მშა გელა).

თუთა — ვაი, ნაშველეთ!

გამცხო, მხეცო, შე ნადირო! ღმერთი არა გწამთ?

მე-4 რაზმელი — ნუ გეშინია, რა გაყვირებს, მალე დაცხრები.

თუთა — ძმავ, გაშიშვი. გუეიდრები, კაცი არა ხარ?

შენ ძმა და მე და, ნუ ჯამამეტებთ.

ნუ თუ არა გყავს და, ან ღედა, ოჰ, შემობრალეთ!

მე-5 რაზმელი — რის ძმა, რას ამბობ?

მე-4 რაზმელი — (მიათრევს დაცინვით) ეხლა და-ძმობა მოინდობა,
დაძმობილება.

თუთა — ვაიმე, რა ექნა, ქრისტიანი ხალხი არა ხართ?

(თამარს) ოჰ, ქალბატონო, შემეწიეთ, რამე მიშველეთ!

თამარ — რა ვიშველო, შვილო, ხომ ხედავ,

ამათთან თხოვნა ან მუდარა განა ვაგივა?

თუთა — ძმავ, სადა ხარ, გელა, ბიჭო. გამომიხსენი!

გელა — (შემობრბას. მე-4 რაზმელს) ნუ შეგვირცხვენ ოჯახს, ძმობილო.

ჩემი და არის, მე მახუქეთ, მე მაბატეთ.

მე-4 რაზმელი — შენ გაბატო? (დაცინვით) ვითომც შენი დიდი ხათრო
მაქვს.

გელა — (ხელს მოკიდებს) ვერა, ჩემმა შუემ, ვერ ვაგიშვებ.

- მე-4 რაზმელი — (მე-5 რაზმელს) აბა, გაპოვებ ეს, ქიტესო, წამოიყვანე.
(სიცოცხლე) უნდა დაესწროს თავისი დის დაქორწინებას. *მარტინეშვილი*
თუთა — ვაიმე, ძმოსო *მეგლონიძე*
- მე-5 რაზმელი — (მე-4 გელასთან) აი, დადგე, ვირის თავო!
გელა — კაცი არა ხარ, დალოცვილო, აღამიანი.
- მე-5 რაზმელი — (უნდა შეიპყრას) დადგე-მეთქი!
გელა — (გაეშვებინება) როგორ თუ დადგე, პირუტყვი ვარ განა, რომ მიჭერ.
- მე-5 რაზმელი — ერთი შეხედვით ამ ცინგლიანს, ძაღლის გაგდებულს
(შეუტყვს) უპ, შენი დედა!
თუთა — გელა, მოგკლავენ, გაეცალე!
- მე-5 რაზმელი — (ხელეში სწვდება გელას. გელა მოიქნევს და ხელეში
გაინთავისუფლებს).
- გელა — გირჩევ, მოშორდე, შენს ცოდვაში ნუ ჩამაყენებ.
- მე-5 რაზმელი — (შეუტყვს დასაქერად) ეი, ბიჭებო, მომეშველეთ!
გელა — (აძრობს ხანჯალს) ოპ, თქვე ძაღლებო, მოკვდე ბარემ, ის მიჩვენია!
- (ამ დროს მე-4 რაზმელი დამბახს გაისერის გელა დაეცმა).
- თუთა — (მირბის გელასაკენ) ვაიმე, ძმოსო, ნემო გელა!
გელა — ასეთ სიცოცხლეს... ძაღლურ ყოფნას... ეს მიჩვენია...
(კვდება).
- თუთა — ვაიმე, ძმოსო, ვაი, მე მოკვალ!
- ქაიხოსრო — აქ ნუ აყვირებთ, გაათრიეთ!
(რაზმელებს გელას ვეამი მიჰქვს).
- მე-4 რაზმელი — (მივარდება თუთას) შენი ბრალია ყველაფერი. რა
გაყვირებდა?
- თუთა — (იბრძვის, ძალით მიჰყავთ) ოპ, თქვე მხეცებო,
ფუ თქვენს სინდისს, ფუ მაგ კაცობას!
ვაიმე, ძმოსო.. (უკვე მიეფარებინა).
- თამარ — ვეღარ გაძეხი სიბოროტით, ამღენი სისხლით!
- ქაიხოსრო — ძირ-ფესვიანად უნდა მოგსპოთ, უნდა მოგთხაროთ,
რომ აღარ დარჩეს თქვენი მოღვაწე, ჩამომავლობა.
- თამარ — ღმერთი მოგკითხავს, ქაიხოსრო, სამეტიეროს.
- ქაიხოსრო — ეი, ჯანფიტ, ცეცხლი ყველაფერს.
(ჯანფიტ ვარბის).
- არ ვაუშვიათ არცინ ცოცხალი
ნამოსახლარი ამ მიდამოს უნდა დაერქვას
და ხალხიც ისე გაურბოდეს, ვით ნაძრახ ადგილს.
(ცეცხლი აფარდება).
- აბა, შეხედე, როგორ იწვის შენი დოვლათი!
(სამას საშინელი წივილ-კივილი).
- ვეღარ გიშველის შენი შვილი, ვეღარ დაგიხსნის.
- თამარ — ოღონდ მეყოლოს მისი თავი კიდევ ცოცხალი
და ყველაფერი მისთვის თავზე შემომივლია.
- ქაიხოსრო — შეხედე, დასტკბი, რა ლამაზი სანახავია!
მეშ რა გეგონათ,



სამაგიეროს ქაიხოსრო ვერ მოგიზღადავ?

აგრე იტანჯა თქვენგან ერთ დროს ჩემი ცოლშვილი,
 შეგინებული, დარბეული და ფეხშიშველი,
 ღამით ტყე-ღრეში, უგზო-უკვლოდ როცა გარბოდა.

თამარ — წყველი იყავ, ავო სულ, შეჩვენებულ!
 დედად გეკუთვნი, ასე მტანჯავ, ასე მაწამებ.

შხამად შეგერგოს დედის ძეძუ, ბოროტო კაცო,
 ქვეყნის ორგულო, მტაცებელო, მხეცო, აფთარო!

ქაიხოსრო — დაკარით ბუკი, გამოვიდნენ, დროა წავიდეთ,
 ჩენი აქ ყოფნა აღარ არის უკვე საჭირო.

(მეუბნება უკრავს, რაზმელები გამორბიან ნაძარცვით. ბუკის ხმა სცენის დასასრულ-
 ღამედ არა სწყდება. ქაიხოსრო მიდის).

თამარ — ასე იტანჯე შენი დღე და წუთისოფელი!

დრო მოეა, ნახავ, რომ განგება როგორ მოგკითხავს.

იყავ წყველი უკუნითი-უკუნისამდე!

(სურათის დასასრული)

სურათი მეოთხე

საკაძის გადამწვარი კარ-მიღამო. ყველაფერი განადგურებულია. მხოლოდ ჩანჩხებივით
 აღმართულან გარუჯული კედლები. საღამო ხანია. ქვის ლოდზე წევს განზომა-დაკარგული
 თამარ, მის წინ დარქალია გიორგი, მთელი რაზმით გაქს შემორტყმულა.

გიგია — ხედავთ, თვალები გაახილა, დიდო სარდალო.

გიორგი — მომეციო წყალი, წყალი ჩქარა!

(ტუტა მათარით მაწოდებს წყალს).

აბა, დალიე დედა-ჩემო, სულ ცოტა მოსვი!

(ასმევს თამარს).

თამარ — (ცოტას წამოიწევს) ოჰ, ვინა ხარ შენ?

გიორგი — ველარა მცნობ, დედა, გიორგის?

თამარ — (დააკვირდება, ხელს შეახებს თავზე)

შენ... გიორგი ხარ, ჩემი შვილი.

დიდება შენდა... მეუფეო... დიდება შენდა,

კიდევ მაღირსე სიკვდილის წინ შევლის დანახვა!

გიორგი — დედა, მითხარი,

ვინ მოგაყენა შენ ასეთი ტანჯვა-წამება?

ვინ იყო კერბი, არ დაინდო შენო ქალარა?

თამარ — განა თუ მტრები, ჩემო შვილო, ცოტანი გეყენან!

გიორგი — მე არ ვინაღელი არც სახლ-კარსა, არც სხვა ქონებას,

დე, ყველაფერი გაიტაცონ, განადგურონ,

მაგრამ ამ გულმა, ამ ტიალმა როგორ გაუძლოს

მშობელი დედის ასეთ ყოფას, ასეთ წამებას?

ვერ მოვისვენებ, დედა-ჩემო, ვიდრე არ მეტყვი.

თამარ — ვერ მოგინელეს, ჩემო შვილო, ვერ აგიტანეს.

შენით უხარობდი, ეამყობდი, შენით ვცოცხლობდი.

ოღონდ შენ იყავ ბედნიერი, ლხენით მოგვედები,

მე ნუ მინაღელი... დროა, შვილო, ჩემი სიკვდილის.

მაგრამ, ვაი, რომ შენც ვერ გტოვებ ქვეყნად დაღბენილს.



გარს გახვევია, შვილო, მტრები, ვით მუშაი მუხას,
მაგრამ, რა ვუყოთ, ვაჟკაცი ხარ, უნდა გაუძლო.

გიორგი — დედა, ვინ იყო, რომ გაწამა, მითხარი დედა!
თამარ — გეტყვი, შვილო, რატომ არ გეტყვი.

ის ძალა იყო, ქაიხოსრო ჯაყახიშვილი,
თეიმურაზმა, აღბათ, შვილო, შემოგვისია,
თორემ თვითონ ის ასეთ საქმეს ვერ გაბედავდა.

გიორგი — ოჰ, თეიმურაზ, თეიმურაზ, მე გაგამეფე,
სამაგიეროდ დამაქციე, გამანადგურე.

იმ ძალს, იმ აფთარს ქაიხოსროს
ისე გადევნდი, რომ სიკვდილი ენატრებოდეს.
დრო მიხელთეთ არა, სვავებო!

რა შეგიძლიათ, თუ არ დაწვია, კაცის წახდენა,
უიარაღო დედაკაცის დაწიოკება?

თამარ — იყუნე, შვილო, იყუნე დრომდე...

(მომედ ლაპარაკობს, შესვენებით).

ვაჟკაცს მოთმენა, სულგრძელობა უნდა ჰყოფინდეს.

ოჰ, შვილო ჩემო, შენი ნახვა რადგან შეღირსა,
აღარ ვინადგული ეხლა სიკვდილს, ბედნიერი ვარ.

თურმე ცხოვრება წუთიერი სიზმარა არის.

სადა ხარ, შვილო? დამენახვე... ვეღარ ვხედავ,
თვალთ მიღამდება, როგორ მცივია... თითქოს ბინდდება...

შშვილობით, შვილო... სათაყვანო, ჩემო... გი...
(კვდება).

გიორგი — დედა, დედა! (წამოსწევს, დააჩერდება. შემდეგ ნელა
დაუშვებს ძირს.)

გიგია — სული დაღია საცოდავმა, უკვე გათავდა...

(ყველა ჰქუდს მოხდის. გიორგი მოღუშული, გამებებული სახით დაჰყურებს დედის
ცხედარს).

გიორგი — შენ რას გერჩოდნენ ჩემს მაგივრად, საბრალო მოხუცს?

ბედი გქონია, ქაიხოსრო, რად ვერ მოგისწარა!

ზედ წავაკლავდი ამ შენ საქმეს, შენს აჯაკობას.

ყველას მოგიზღავთ, თუ ვიცოცხლე, სამაგიეროს,

მე როდი ვიცი პატიება, ჯაერის შერჩენა.

მაგრამ ვაი, რომ დედა-ჩემი ვეღარას იგრძნობს!

გიგია — (სიჩუმას შემდეგ) დადო სარდალო, საშიშია ჩენი აქ ყოფნა.

გიგოლა — თუ არ აფჩქარდით, არ ივარგებს, დიდო სარდალო.

გიორგი — კარგი, კარგი, ეხლავე მოვდივარ.

მხოლოდ ეიდრემდე წავიდოდეთ, ნახეთ ენოშა,

აი იქ, მარცხნივ მარტოკა დგას ძველი ცაცხვის ხე.

გათხარეთ მიწა იმ ცაცხვის ქვეშ

და იქ საბრალო დედა-ჩემი დაეასაფლაოთ.

გიგია — ეხლავე, სარდალო.

აბა, ბაქებო დატრიალდით, გაისარჯენით.

(ყველანი გადიან).

გიორგი — (მარტო დარჩება. დააქერდება დედის ცხედარს. მხოლოდ
ეხლა მისცემს თავისუფლებას თავის გრძნობებს).

დედა, ტანჯულო, საყვარელო, ძვირფასო დედო!

(დაეშობა ცხედარს და ქვითინი აღმოხდება. შემდეგ იღებს თავს, დაიწყებს სიტყვების წაკითხვას დაიწყებს სიტყვების წაკითხვას.)

რას იფიქრებდი, სათაყვანო შენი გიორგო

გაგიშვარებდა უკანასკნელ სიცოცხლას დღეებს?

რას მოელოდი და რა გარჯუნა ამ მუხთანა წუთისრაფელმა?

მაგრამ შენ ჩემზე მაინც ბევრად ბედნიერი ხარ,

შენს მიწა-წყალზე ჩემის ხელით დაიშარხები.

მე კი, ვინ იცის, ჩემს სიცოცხლეს სად დავსარტლებ?

მშვიდობით, ჩემგნზე წაშებულო, ძვირფასო დედო!

(გამბორება და ნაბაღს დაიჭრებს.)

გათავდა ომიც, ყველაფერი უკვე დასრულდა,

საქართველოში ისევ აღარ დამედგომება.

დარჩა ერთი გზა, ერთად-ერთი, ოსმალეთისკენ.

ასე იღვება ეს სიცოცხლე, მუდამ მღელვარე,

თითქოს ამ ქვეყნად ერთი დღეც არ გაიხარია.

როგორც ტყის ნადირს, სათოფე მხეცს, მუდამ მღვენიან

ხან ჰპარსელები, ხან ოსმალნი და უფრო მეტად

საკუთარი ჩემივე ძმები. და შერე რისთვის?

ვანა რომ მსურდა საქართველო გვლავ აღმედგინა

და მის კისერზე ამეხადა მონის უღელი?

ამისათვის იყო გაგიზადე მტრად შაჰ-აბასი,

ამისათვის იყო თეიმურაზ გაგაძლიერე,

ურჩინი თავადნი და ორგულნი დაუმორჩილე.

ვფიქრობდი ასე, ეს ქვეყანა გაიხარებდა,

მაგრამ სამედო რა ხელთ იგდო თეიმურაზმა,

ჩემკენ მომართა მან პირველად თავის მახვილი,

შევე დამამხო და თან მტრებიც შემომისია.

ასე მომიზლო დეაწლისათვის სამაგიერო.

ოჰ, თეიმურაზ, თეიმურაზ, დღეს ვინანიებ,

ქართლ-კახეთი ხელთ რომ ჩაგიგდე,

დღეს ვინანიებ, რომ არ მოვსპე შენნი თავიანი,

რომელნიც მუდამ საქართველოს ბედათ ვაჭრობდნენ,

ვაჭრობდნენ ხალხით, მიწა-წყლით, ქვეყნის სიწმინდით.

დღეს ვინანიებ ჩემს შეცდომას, მაგრამ რაღა დროს:

დღეს უკვე ყველა, გით ფურცელნი, შემომეფანტა;

დავკარგე შეილი, დედა-ჩემი, მთელი სამშობლო

და დაერჩი მარტოდ, ყველასაგან დევნილ-ლტოლვილი.

და, როგორც ქურდმა, მოღალატემ, ქვეყნის ორგულმა

უნდა ბნელ წყვედიადს შევაფარო წყვეული თავი

და კვლავ ვეძიო უცხო მხარეს თავშესაფარი.

მაგრამ ვიქნები ვანა სხვაგან მოსვენებული?

ხომ თან წამყვება მშობელ ხალხის მოთქმა, ვაება,

ძვირფას სახეთა მოგონება დაუფიწყარი.

უთქმელი დამრჩა ჯერ ბევრი რამ, რომელიც დრომდე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა ფარულად შევინახო, გულში ჩავიკლა.
 კარგი მინდობა, ღმერთმა უწყის, ჩემი ხალხისთვის.
 მაგრამ არ იქნა, მძიმე ხედვრი ვერ შეუძცალე,
 ვერ შემოვხსენი საქართველოს შონის ბორკალს
 და განვლილ გზაზე დარჩა მხოლოდ სისხლი, ცრემლები,
 ჩემთა საქმეთა, აენაქნართა მოსაგონებლად.
 ნუ თუ წარვიდა სამუდამოდ ჩემი ოცნება?
 ნუ თუ დაუვარგე, აღარა მაგვს რწმენის სიმტკიცე?
 ო, არა, არა! ეს ზომ იქნება საშინელი სულით დაცემა,
 უარიყოფა იმ მიზნისა, რომელც მუდამ
 ჩემს მოუსვენარ და მღვღვარე ცხოვრებას გზაზე,
 ვათ მოკიდაფე ცის ვარსკვლავი, გზას შინათებდი.
 ვიდრე ძველს კიდევ ამ მკერდის ქვეშ ტანჯული გული,
 ვიდრე ძარღვებში ბორბავს სისხლი მოუსვენარა,
 უნდა ვიბრძოლო.

უიშისოდ მე სიცოცხლის მკვანარი დღეები
 ზედმეტ ტვირთად და წამებად გადმეკცეოდნენ.

გიგია — (შემოდის რამდენიმე რაზმელის თანხლებით)
 გათხარეთ უკვე საფლავი, დიდო სარდალო!

გიორგი — მაშ წამოიღეთ, დედაჩემი, ჩემო გიგია,
 და იქ დაემარხოთ, სადაც მას ზშირად ჯდომა უყვარდა.

(მოაქვთ თამარის გვაში, ნაბაღში შეხვეული, თვითონ გიორგი, ბუნტაზე დაყრდნობილი, შამედ მიდის, ერთხანს სცნა ცარიელა, შემდეგ შემოდიან გიგია, ტუხა და დათუნა).

გიგია — შამოიხედეთ ირგვლივ ყველგან, კარგად დახვედრეთ!

დათუნა — სულ ტყვილად შიშობ, ვინ გაბედავს, ვინ დაგვიხილებს?

გიგია — სიფრთხილეს თავი როდი სტკივა, ჩემო დათუნა.

ტუხა — წამო, დათუნა, ბევრს ნუ ყბედობ, გამოიარე!
 (ტუხა და დათუნა გადიან).

მგელიკა — (მიმავალი პეტრეს მიმართავს)

ზომ გაიგონე, აი ეხლა რა სთქვა სარდალმა:

ახალციხეში შეეჩერდებით,

იქ უნდა შეხვდეს თავას ცოლშვილი, ისინც მოკვავს.

პეტრე — ეჰ, მეც მანახვა ნეტავ ერთხელ ჩემი ბალები!

ვინ იცის, ძმაო, ოსმალეთში რა შეგვემთხვევა?

გიგია — რა შეგვემთხვევა? სარდალს ჯარი სურს რომ შეავროვოს
 და ისევ მალე დავბრუნდებით საქართველოში.

პეტრე — ღმერთმა კარგა ქნას, ჩემო ძმაო!

(შემოდის გიორგი რაზმელებთან ერთად, ეზოს ანათებენ ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები).

გიგია — უკვე მზად გახლავთ ყველგან, დიდო სარდალო.

გიორგი — მაშ შეგვიძლია, რომ წავიდეთ.

(წავლას დაპირებს).

ბახუტა — დიდო სარდალო!

მე ვერ წამოვალ შენთან ერთად, მე აქ დავრჩება.

არა იმიტომ, სიყვარულა შენი აღარ მაქვს

ან ვერცდები გაპირებას უცხო მხარეში.



არა, სარდალო.

შენ თუ მიღიბარ, შენი საქმე სულ სხვაგვარია: შენი ზრახვები, შენი ფაქრი, იქაც იცოცხლებს. მე კი რას ვაქნევ სხვა მხარეში, რას გავაქვთვებ? უცნობ ხალხთ შორის უქმად დღენი უნდა ვატარო.

არა, სარდალო, სჯობს რომ აქ დავჩრჩე.

მე წავალ მთაში, ფშავ-ხევსურებს-მივეშველეში.

მთა სულ სხვა არის, მისი ხალხი უფრო ლაღია,

მათი გატეხა ზურაბ ბატონს გაუქცირდება.

ეხედავ, საწყალ კაცს უბედობა თან დაჰყრლია,

ყველა მას ერჩის, თვითონ დამერთაც, მეფეც, თავადიც,

თუმცა კი დაცვას, პატრონობას ყველა ჰპირდება.

მაგრამ მის წყლულებს ვერ განკურნავს,

ვისაც იმის მწარე ხვედრი არ განუცდია.

ამა ქვეყნისა განდიდებულ, შალაერთა პირთათვის

რა არის ხალხი? მხოლოდ მათი იარაღა.

დღეს თქვენ დამარცხდით, თქვენი ყმები დაწიოკდება,

ხვალ ერისთავი დამარცხდება — იმისი ყმები.

მუდამ გამოდის წაგებული საწყალი ხალხი.

ხალხს სულ სხვა უნდა.

და ვინ განკურნავს იმის წყლულებს, მე თვით არ ვიცი.

მე წავალ მათთან, — ნუ გამეციხავთ, — ვინც მისთვის იბრძვია,

რომ თვითონ იყოს თავის თავის ბატონ-პატრონი.

მე მარჩენია თავისუფალ მთაში სიკვდილი,

ვიდრე განცხრომით მონობაში სხვაგან ვიცხოვრო.

იყავ, მშვიდობით, გამარჯვებით, ჩემო სარდალო!

კვლავაც შენახოს შენი თავი ჩვენს ქვეყანაში.

თუ კი ცოცხალი გეყოლები და დაგპირდება,

მინშე, სარდალო, მყისვე მთიდან გადმოფერინდება,

რომ განაცვალო ჩემი თავი, ჩემი სიცოცხლე.

გ ა ო რ გ ი — (დუმილის შემდეგ)

წაღო, ბხხუტავ. მართალია, მწყინს, რომ მშორდები,

მაგრამ არ გეციხავ, მეგობარო, როდი გამტყუნებ.

მე შესშის შენი პატიოსანი გულის წადილი,

კეთილშობილა შენი ზრახვა კიდევაც მომწონს.

მე თუ გმორღებთ და მივდივარ,

არა იმისთვის მხოლოდ, თავი გადავიჩინო.

ამას, ბერწმუნეთ, აქაც კარგად მოვახერხებდი.

მრავალი კარი ჩემს წინაშე გააღებოდა

და თავშესაფარს შეიძლება მტრებიც მომცემდნენ.

მაგრამ დიდი ხნის ჩემს ოცნებას ფრთა რომ შეეახა,

რომ მოუპოო ჩვენში ხალხის რბევა, დაწიოკება,

შეეკრა ქვეყანა დაღლეთილი მთლიან სამეფოდ,

დაეცვა მტრისგან, შემოვზღუდო სინაგრეებით

და გზა გავუხსნა შრომას, ნიჭს და აღმშენებლობას,

საჭირო არის ძალა, ჯარი,



რაიც საკმაოდ ჩვენ სამეამად არ გავგაჩინია.
 ამიტომ მინდა დამამარცხა ვთხოვო ოსმალეთს,
 თან ჩვენი მოძმე მესხთა მკვიდრნიც მოვაშველიო.
 ძალა-უფლებას კელავ დავიბყრობთ,
 მაგრამ სამეფოს თეიმურაზს ვეღარ მივანდობ.
 ასეთი კაცი მძიმე დროში არ გამოდგება.
 მე მას მივენდე, განვიზრახე იმისი ხელით
 კეთილდღეობა დამენერგა ჩვენი ხალხისთვის,
 მაგრამ მოვტყუვდი.

დამამარცხა მე კადევაც ჩემმა შეცდომამ.
 ვინც ხალხს მოსწყდება, მოსცილდება, თუნდაც დროებით,
 იმას ყოველთვის ჩაჰმისთანა ბედი ეწვევა:
 ხალხშია ძალა, გამძლეობა ერის, ქვეყნისა
 და არა ტახტის მპყრობელებში, ზვიად მთავრებში.
 ხალხი — ეს მუდამ უკვდავია,
 ჩვენ კი დღესა ვართ და ხვალ უკვე აღარ ვიქნებით.
 როს დაებრუნდები,
 ერთად შევუდგეთ ჩვენ ახალი ქვეყნის შენებას.
 გიყვარდეთ, ძმებო, საქართველო და იმას მტრებს ნუ გაახარებთ.
 უჩემობა ნუ შეგაშინებთ!
 სააკაძეებს საქართველო კიდევ გამოზრდის
 და სხვები უკვე ჩემს შეცდომებს არ ჩაიდენენ.
 (დაჯდება).

წადი, გაპყვე მაგ გულის თქმას, წადი, მახუტავ,
 შენთან ვისაც სურს თან წამოსვლა, მე არ ვაკავებ.

ბ ა ხ უ ტ ა — დიდო სარდალო!

ერთ რამეს ვითხოვ კიდევ თქვენგან უკანასკნელად,
 მომეცით ნება, რომ თქვეთს მაგივრად,
 გადავუხადო ქაიხოსროს სამაგიერო.

გ ი ო რ გ რ — არა, მახუტავ,

სამაგიეროს ქაიხოსროს მე თვით გადაუხადი.
 თუ ვერ დაებრუნდი მე ცოცხალი, საქართველოში,
 მაშინ გაფალებ, ჩემს წახდენას ნუ აბატებ.
 წადი, მახუტავ, გამარჯვებით, იყავ მშვიდობით!
 (მახუტა მიდის. მას მიჰყვება რაზმის დიდი ნაწილი).

რ ა ზ მ ე ლ ე ბ ი — (მომავალნი) მშვიდობით იყავ, გამარჯვებით, დიდო
 სარდალო!

გ ი ო რ გ ი — მშვიდობით, ძმებო, გამარჯვებით!

(მათი წასვლის შემდეგ დიდბანს სდგას გაჩუმებული).
 ვისაც სურს კიდევ აქ დარჩენა, მისი ნებაა,
 იცოდეთ ყველამ, მე არავის ძალას არ ვატან.

გ ი გ ი ა — ჩვენ, შენი ყმები, მოურავო, ვერ გავცლებით.
 რამდენი ბრძოლა, გაჭირვება ერთად გვიანახავს,
 სიკვდილი ბევრჯერ შეგვგხედდრია ჩვენს მიწა-წყალზე,
 ერთი ერთმანეთს შევეჩვიეთ, ვიცნობთ, ე-ნდობით.
 მოდი, სხვაგანაც ერთად ვიყოფ, ნუ დაგშობილებით.



სულ ერთი არის, აქ არაეინ არ მოგვასვენებს.

თუ ბედმა კიდევ მოგვიყვანა ამ ქვეყანაში,

ამას, აბა რაღა აჯობებს!

და თუ არა და ეპ, რა გუყვრთ...

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი,

ისე არ ამოწყდებიან, ჯგერე არ სჭამონ შტრისანი“.

ხმები — მართალა, ვერ დაგშორდებით, როგორ იქნება!

გიორგი — თქვენი ნებაა, ჩემო ძმებო, თქვენი საქმეა.

(ამ დროს გარედან მოისმის ბახუტას შიშველი რაზმის სიმღერა. ს. ვლერა ჯერ აბლოდან მოისმის, შემდეგ თანდათან შორდება. აქტის დასასრულს ოდნავ ისმის, თითქმის ხმები სადღაც სივრცეში იკარგებოდნენ. სცენაზე დარჩენილი ჯგუფი მოჯადოვებულვით დგას და გარინდებული უსმენს. ყოველი მათგანი თავისმა ფიჭვმა და ნალეველმა წაიღო. უშალ ისევ სააკაძე გამოერკვევა: იგი წამოდგება, გასწორდება, მისი გამოხედვა უკვე შტიციბა აა უწყვეტი).

გიორგი — დროა უკვე ჩვენც გზას გავუღვეთ.

ჩველ სადამომდის ქართლის საზღვარს უნდა გავცილდეთ.

(ყველანი მიდიან, მხოლოდ ტუბა ჩამორჩება, მიმოიხედვს, იღებს მიწას, შეახვევს ჩარში და უბეში ჩაიდებს. გარედან ისმის ხმები, სახელები. ეილაც ტუბას ეძახის).

ჩმა გარედან — ეი, ტუხავ, ტუხავ, სალა ხარ, ბიჭო!

ტუბა — ოპოო, მოფდივარ, ეხლავ მოფდივარ (ჩქარი ნაბიჯით გადის).

(ფარდა)

დასასრული

მანს მანს

ათასნი ღაუცებიან¹

თავი მერვე

მე მოკის პაკიუს მიწოდებდნენ

პირველმა გამოვლილმა გერმანულმა საბარგო მანქანამ, დაგვიანაბა თუ არა მე და სენკევიჩი, ჩაგვსვია და წაგვიყვანა. გერმანულმა ფრანგთა მიერ გადაყრილ აირწინაღობს აგროვებდნენ. და ამ სწორედ ამ არწინაღობის გროვანზე ვისხედით მე და სენკევიჩი.

ხუთ საათზე სოფელ ბოიონს მივედით. „ორი ძმის სასტუმროს“ წინ ტყვეების დაუსრულებელი კოლონა იდგა. თვალში მეცა ერთი უმნიშვნელო დეტალი, რომელიც მეტად უხალატუვად ხდიდა ყრანგ ტყვეებს. თითქმის ყველა ტყვეს გადაეგდო ფოლადის მუზარადი. თითქმის არც ერთ მათგანს არ ეხურა ქული. ხოლო მზის სხივებისაგან დასაცავად ყველას თავზე მუზარადს აძობილი ტყავის ან ფეტრის სარჩული წაეფარებინა. შავი ფეტრის ზოლები, რითაც სარჩული იყო ოდესღაც ქულზე მიმაგრებული, კისერზე ეფინათ ტყვეებს. და ეს შავი ჩერები მკვდრის ფერს ადებდნენ ჯარისკაცის მთელ სახეს.

მე და აღფრედი უკანასკნელ რიგში ჩავდექით. გარს გვეხვივნენ ჩვენსავით გაუბედურებული ადამიანები. მხოლოდ ახლა შევიგნეთ იმის მნიშვნელობა, რაც მოხდა. ყველა სახლზე სვასტიკიანი ბაიარალი ფრიალებდა. ეს სიმბოლო თვალსა გეჭრინდა. ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავ. ისე შეგონა, თითქოს ცუდ სიზმარს ვხედავდი. წინ ჩაგვიარა გერმანულ ჯარისკაცთა კოლონა. ასითდე კაცი იქნებოდა. დიდის ამბით და ზეიმით დააბოტებდნენ ქუჩაში. საწამ იქ ვიდექით, ოცჯერ მაინც აგვიარეს და ჩაგვიარეს. შემოგვეყურებდნენ და ურცხვად იცინოდნენ. არასოდეს არ დამაეწყვდებოდა მათი სახეები, თუმცა ჰიტლერის ჯარისკაცები საოცრად გვანან ერთმანეთს. ყველა სახეზე გამარჯვება და ზიზღი იყო აღბეჭდილი. თოფები არ ეჭირათ, არც მუზარადის ქულები ეხურათ. მაშასადამე, ადვილად შეეძლოთ სიარული და ფეხის აყოლება. როდესაც ჩაგვივლიდნენ, თავებს ხან მარჯვნივ დატრიალებდნენ, ხან მარცხნივ. გვათვალაერებდნენ. მკვეთრად განსმონდა ბრძანება, რომლიც შემდეგაც იწყებდნენ სიმღერას: „მივდივართ საფრანგეთის ასაღებად“ ან „ებრუნდებით სამშობლოში, შეაბთა წარმტაც ქვეყანაში“. გრილით ჩაგვივლიდნენ ხოლმე საბარგო მანქანები, რომელთაც ტყვეები მიჰყავდათ უცნობი მიმართულებით. ერთ მანქანაზე ფრანგი კაპიტანი იდგა და ზელაშვერილი სამხედრო სალამს აძლევდა სვასტიკიან გერმანულ ბაიარალს.

¹) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

ჩემს უკან გერმანელ უნტერ-ოფიცერთა ჯგუფი იდგა. ერთი მათგანი ცა-
მომელაპარაკა და როცა გერმანულად გავეცი პასუხი, სხვებიც პარკულად
ლაპარაკში. ძალზე მტკიოდა ფეხები, ამიტომ ვიკითხე, მალე გავსდეს
დით ვზას თუ არა.

— ჯერ უნდა შევიპყროთ ორღობის ყველა მსროლელი, — სთქვა ერთმა
მათგანმა, რომელსაც გერმანელი მეცნიერის ტიპური სახე ჰქონდა.

— როგორ თუ ორღობის? ვინ არიან ეგ მსროლელები?

— თქვენ ჩვენზე უკეთ იცით, ვინც არიან, — სთქვა სხვა უნტერ-ოფიცერ-
მა და თვითონვე გაიცინა საკუთარ ობუნჯობაზე.

— ორღობის მსროლელები, — დაიწყო მეცნიერმა, — ის არამზადები
არიან, რომელნიც სასურავეებიდან და ფანჯრებიდან გუესვრიან, როცა ჩვენ
მშვიდობიანად შევდივართ სოფელში. ეს თქვენი ფრანგული საქცილობაა.
მეტადრე აი ამ შაერ ბატონებისა, სწორეთ ამათი! — და ხელი გაიშვირა ზან-
გებობა და მაროკოელებისაყენ, რომელნიც ჩვენ შორის იდგნენ. — ესენი
არიან საფრანგეთის კულტურის ბურჯები. აჰ, ბოიონში, სნაიპერებმა ჩვენი
ბოლკის ორი ჯარისკაცი მოჰკლეს. შესთხოვეთ უფალს, რომ მალე აღმოვა-
ჩინოთ მკვლელები. თუ ვერ აღმოვაჩენთ...

კოლონამ სიმღერით ჩაგვიარა კვლავ გულდასმით დაგვეკვირდი კარგად
გადავარცხნილ და კარგად ბირდაბანილ ყმაწვილ კაცებს. და მათი სიმღერა
კვლავ დამებლაუჭა, ისე დამებლაუჭა, როგორც სოფლური ძალი მათხოვრის
ძონძებს დაებლაუჭება ხოლმე.

— თუ ვერ აღმოვაჩენთ, — დაამთავრა აზრი მეცნიერმა, — ყველას დაგზ-
ვრებთ.

ქუჩის მეორე მხარეს ოფიცრები სასაუზმოდან გამოდნოდნენ. მათთან ჩერ-
დებოდნენ შიკრიკები. ისინი ველოსიპედებიდან ვიდმოდიოდნენ, სამხედრო
სალამს აძლეოდნენ მათ და წერილებს აწვდიოდნენ.

გავბედვითა შევეკითხე გერმანელებს:

— რა ისმის ახალი ომზე?

— ომზე? — გაიმეორა ჩემი კითხვა ერთმა უნტერ-ოფიცერმა. — ომი გა-
თავდა. საფრანგეთი დროებით ზაეს მოითხოვს, ხოლო ინგლისს ორ კვირაში
გაუფსწორდებით. ფიქრერი ამჟამად კომპიენშია.

ერთ გერმანელს ღია ბარათი მიედო წინ-მდგომის ზურგზე და წერილს
წერდა.

— ახლა-კი მართლა შემიძლიან მივწერო ცოლს, მალე განახავ-ნეთქი.
ვილაცამ ამის გამო უწყმაწურად იხუმრა. ყველამ გადახარხარა.

მეცნიერი მომიბრუნდა:

— გაქვთ რაიმე ცნობა ოჯახის შესახებ?

მისი შეკითხვით გაკვირვებულმა გულახდლად ვუპასუხე:

— არა მაქვს, უკვე თვე-ნახევარია, წერილი არ მიმიღია.

უნტერ-ოფიცერმა პენსნე, გაისწორა და პროფესორული კილოთი მიმართა
თავის კოლეგებს:

— გესმით, ბატონებო, თვე-ნახევარია წერილი არ მიუღია აქა, ჩვენ მად-
ლობა უნდა შევწიროთ ბედს. ჩვენ უოველდღე ვღებულობთ წერილებს მთ-
წინავე ბაზზედაც-კი.

ყველამ კვერი დაუტრა. ჩვენს ჯგუფთან გაჩერდა ფუნჩულა-ლოყებიანი
დაბალ-დაბალი, ჩასუქებული უნტერ-ოფიცერი, რომლის მკერდსაც რკინის

ჯვარი ამშვენებდა. მან დაბალო ხმით მიმართა ამხანაგებს, მაგრამ მე შაინც
გავიგონე:

— ვერ აღმოვაჩინე ერთი მსროლელი. იძულებული ვაგებდნენ: სწამს, მათ
თითაოდ დაეხვრიტო ეს არამზადები.

სული გავიტრუნე. ისე ვიდექი, ვითომ არს გამეგონოს-რა.

— რა საზიზღრობაა. დარულად, ესროლო კაცს! — სთქვა მეცნიერმა. —
გერმანელი არასოდეს არ მოიტყუვა მაგარე.

ჩასუქებულმა წითელ-ჯვარიანმა უნტერ-ოფიცრემ სული მოითქვა და გ-
ნავროძო:

— ის შაინც გაეგეთ, რომ საზიზღრობას ზანგები სჩადიოდნენ. მერე რო-
გორ გააჩვენეთ მათ ურთიერთისაგან? ყველანი შეგები არიან.

— მით უკეთესი, — სთქვა სათვალეზიანმა.

— სულ ერთი არ არის, ადრე თუ გვიან დაეხვრეტათ მაგ შეე არამზა-
დებს!

ჩემს გვერდით დე წინ ზანგები იდგნენ. თავზე მუზარადების სარჩულ-წა-
ფარებულნი, ისინი სხვებზე უფრო უბაღრუჟად გამოიყურებოდნენ. ზორბა
ლამაზი ახალგაზრდა ზანგი, რომ-ლიც ჩემს გვერდით იდგა, მიხვდა, რომ
მასზე ლაპარაკობდნენ. მან გერმანელებს შეხედა და გულუბრყვილოდ გაი-
ღიმა.

— გაიღიმა, გაიღიმა, — მიმართა ზანგს მეცნიერმა გერმანელმა: — უნ-
ხავთ, როგორ გაიღიმა, როცა კედელს მივაყუდებთ.

ეს ვითომდა ხუმრობა მოეწონათ. ყველამ გაიცინა, ზანგმაც-კი.

ჩვენი კოლონა უფრო და უფრო გრძელდებოდა. ყოველი მხრიდან მოდი-
ოდნენ საბარგო მანქანები ახალ-ახალი ტყვიებით. ყველა ჯგუფში რამდენი-
მე ზანგი ერია. კოლონიური ჯარი იცავდა ფრანგთა არმიის უკანასკნელ უკან
დახვეას.

— აი ამ შეე არამზადებს და ებრაელებს უნდა შემოეტანათ კულტურა
გერმანიისი, — სთქვა ახალგაზრდა მეცნიერმა.

და კვლავ სიცილით შეხედნენ ამ ხუმრობას.

— მაიორმა საათის მეოთხედი მისცა მათ მსროლელის მოსაძებნათ, —
სთქვა ჩასუქებულმა გერმანელმა.

მე და აღფრდმა ხმის ამოდებლად გადავხედეთ ერთმანეთს.

— დიდი, საათის მეოთხედი, — გაიმეორა ჩასუქებულმა.

გერმანელთა ასეულმა კვლავ ჩაგვიარა. ჩვენსკენ პირ-მობრუნებულებმა
ყურები გამოგვაჭედეს თავიანთი სიმღერით.

და უეცრად ჩვენი კოლონა დაიშრა. ჩასუქებულმა, მეცნიერმა და სხვა
გერმანელებმა თვალი გამოგვაყოლეს. რიგში სამ-სამნი ვიდექით. გერმანე-
ლი ჯარისკაცები ზისტებით ვგერყებოდნენ.

ერთი საათის სიაჩულის შემდეგ დავინახეთ ბანაკი. იგი ბალახით შემოსილ
გორაკის ფერდობზე მდებარეობდა. სოფელ ვილიაჟურის მეორე მხარეს.
ერთად-ერთ მსჯავებსას ბანაკთან ჰქონიდა სპირიტულ შემოვლახული ეკლი-
ანი მავთული. მავთულის დობის ოთხნივე კუთხეში ტყვიამფრქვევები დაედ-
გათ. ყოველ ტყვიამფრქვევთან ორი გერმანელი ჯარისკაცი იყო წამოწოლი-
ლი ბალახში. თვით-თვითოდ შეგურეკეს ვიწრო შესავლით ბანაკში. მეტად
დიდი აღგილი ცქირა ბანაკს. მიუხედავად ამისა, თრმოცი ათისი კაცი ძლიერ
ეტეოდა. თითოეულ ჩვენგანს იმდენი აღგილი გვრჩებოდა, რომ გვერდი-



გვერდს ვმდგარვიყავით ან ერთმანეთს მივრულნი წამოეწოლიყავით. არაფერ შიშად არ შეიძლებაოდა თავის შეფარება წვიმისა და სიცივისაგან. **უკრძალვეს**
 ვიწრო შესავალში გავლისას ვილაკებ დამიძახა — გაბეო. **უკრძალვეს**
 ხმა უცნობი იყო. არ მივბრუნებულვარ. მაშინვე გამოიღევა თავში ჩემი
 პოლიკია-მეთქი. აღბათ, ტყვედ ჩავარდნია გერმანულეს სადღაც მახლობლად.
 ვილაკებ მიცნო. ახლა ყველაფერი გათავდა. მაგრამ დამდენი არ ვაფხალი-
 ვრე, ვერც ერთი ნაცნობი სახე ვერ დავინახე. დღესაც არ ვიცი, ვინ წამოი-
 ძახა ჩემი გვარი.

ყოველი მხრიდან გერმანულ ჯარისკაცთა ყვირილი ისმოდა. გვიბრძანეს,
 ერთი და იმავე პოლკის ჯარისკაცებს ერთად მოგვეყარა თავი. ზოგიერთს
 პოლკი მთლიანად მოჰყვა ტყვედ. მხოლოდ მე და ალფრედი ვიყავით მარ-
 ტონ-მარტონი. გადავწყვიტეთ, მივკედლებოდით რომელიმე პოლკს. ავირ-
 ჩიეთ ოთხმოცდამეფურათქმე პოლკი და ამ პოლკის ჯარისკაცებთან დავდე-
 ქით.

ვანშმად არაფერი არ მოგვეცა. გავინაწილეთ ეგრეთწოდებულ ხელუხლე-
 ბელი მარაგი. მეტად უზადრუკი იყო ეს მარაგი, მაგრამ ამ მცირე ულუფამაც
 უზომო წყურვილი აღგვიძრა. მათარა ყველას გამოცლილი გვექონდა. გერმა-
 ნულეებმა მხოლოდ ერთად-ერთი კახრი წყალი გამოჰყვეს ჩვენთვის. რამდენ-
 ნიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი კასრთან. რიგში ჩავდექით. გერმანულე-
 ბი არ ერეოდნენ ამ საქმეში. ისინი მხოლოდ უყურებდნენ, როგორ აწე-
 ბოდნენ ერთმანეთს წყურვილით გაწამებულნი, როგორ ილანძვებო-
 დნენ, როგორ ცდილობდნენ გზის გაკვლევას. კასრისკენ. ზოგჯერ შემ-
 ხარავად შეჰკავებლდა „კასრზე მიჰყვლებილი რომელიმე ტყვე გერმანე-
 ლები დაგვეცინოდნენ, მასხარად იგდებდნენ ჩვენს „თვინთმშართველობას“.
 მე და ალფრედი რამდენიმე საათს ვიდექით, როგორც ჩვენ გვეჩვენა, და ბო-
 ლოს იხრიოდე ყლუბი წყალი მივიღეთ. მაგრამ ამ მცირედმაც-კი გაგვაგრო-
 ლა და გამოგვატოცხლა. პაერა ძალზე შეხუთული იყო. ზაფხულის ცხელი
 ღრუ უკვე იწურებოდა.

მე და ალფრედმა გავიხსენეთ გერმანულ უნტერ-ოფიცრების ლაპარაკი
 ტყვეების, კერძოდ, ზანგი ტყვეების დასჯის შესახებ. „ეს, რასაკვირველია,
 უარალო სიტყვები იყო, მაგრამ გამოიგონებ მოხერხებულად, — დავასკვე-
 ნათ ჩვენ: — დამაჯერებლადაც-კი ისმოდა მათი სიტყვები“. მაგრამ მალე გა-
 ვიგეთ, რომ ზანგები ჭანაძალკეებს და შეუდგნენ მათ შორის ბოიონელი
 მსროლელის ძებნას. ვერც-კი მოეასწარიხ ამ ხმის შემოწმება, რომ გერმანე-
 ლები მთელ ბანაკს მოედგნენ ზანგებისა და მაროკოელების ერთ ადგილას
 შესაგრთველად. ყვირილით და ხელისკვრით ერეკებოდნენ მათ.

ცა „შავი ღრუბლებით იყო შევრული. ქვეა-ქუხილისთვის ეშხადგნოდა იგი.
 ზანგებს ბანაკს ერთ კუთხეში უყრიდნენ თავს. ძლივს მიათრევდნენ ისინი
 ფეხებს. რაღაც არაბუნებრივი იყო მათ ნაბიჯში, თუმცა ზანგები საერ-
 თოდ ფენ-მარდნი არიან და მაშინაც-კი, როცა, კოკლობენ, მათი სიარული
 უფრო ხტუნებს აგონებს კაცს. გერმანულეები ხელისკვრით ერეკებოდნენ და
 თუ ვინმე შეინულეებმა ნაბიჯს, ზისტით აიძულებდნენ ფეხის აჩქარებას. რო-
 ცა „შავებს“ ერთ ადგილას მოუყარეს თავი, გერმანულმა ოფიცრმა სიტყ-
 ვით მიმართა მათ. იგი ძალიან შორს იდგა ჩემგან, ამიტომ შეუძლებელი იყო
 მისი სიტყვების გაგონება. მაგრამ იგი, საკმაოდ დიდხანს უყვიროდა ზანგებს
 გერმანულად, და ვხედავდი, როგორ გაუწითლდა კისერი პამიდორივით. რა

თქმა უნდა, ზანგებმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგეს. როგორც მანუჩილად შეშლილს, ისე შეპყრებდნენ ისინი წაცურისფერ ფორმასე კვამისკლავით თუთა ოფიცერს. მყვარალამ აღბათ, იცოდა, რომ სენეგალისა და სსუქანის შვილებს არა გაეგებოდათ—რა მისი სიტყვებისა. მაგრამ როგორც ყველა გერმანელი, რომელსაც ტყვეობაში შევხვდრივარ, ესეც უფრო მეტ მნიშინელობას აძლევდა სიტყვების კილოს, ვიდრე მათ აზრს.

მე და სენეკევიჩი ეკლებიან მავთულთან ვიდევით. მავთულის ღობის მეორე მხარეს ბანაკს ირგვლივ გერმანელთა პატრულები უვლიდნენ. ერთი გერმანელი ჯარისკაცი მომიხსლოვდა და მკითხა—რას გაგიღია პირიო. გერმანულად ვუპასუხე და ამან ოღნავ მოიღბო. კვითხე, ახალი ხომ არა ისმის რამეთუ.

— ღროებით ზავს ხელი მოაწერეს, — მომიგო მან.

— ეტალიასთანაც?

— არა, ჯერ კიდევ არა. უნდა ცოტა კიდევ მოითმინოთ, სანამ ომი ვათავდება.

— დიდხანს დაგვტოვებენ აქ? — ვკითხე.

რასაკვირველია, კარვად მესმოდა, რომ ჯარისკაცმა იმდენივე იცოდა, რამდენიც მე. მაგრამ მაინც ვკითხე, იქნებ სანუგეშო გამეგონა რამე.

— ომის დამთავრებამდე დარჩებით აქ.

— შერე, როდის დამთავრდება იგი?

მან მხრები აიჩეჩა და შემოვლა განაგრძო.

ამასობაში ოფიცერმა ყვირილი გაათავა. ზანგები გაამწკრივეს, რიგში ათ-ათი კაცი ჩააყენეს. წელზე ხელებ-შემოწყობილი ოფიცერი ერთხანს მათ წინ მიმოდიოდა.

ღრამა ინტერესს ჰკარგავდა, ამიტომ მაყურებელნი თანდათან დაიშალნენ. ყველა მოსასვენებელ და დასაძინებელ ადგილის ძებნას შეუდგა. ვისაც წამოსასხამი ჰქონდა, წვიმის მოლოდინში პატარა კარავი გაიწყო. ჰაერი უფრო და უფრო იხუთებოდა. უკვე ჩამოწვა ბინდი, სოფელი და ეკლესია ჩისლში გაუხვია. შავ ღრუბლებს ამოფარებული მზე შეუჩინველად მიიშალა.

ზანგები გადათვალეს. მათმა რიცხვმა ოთხი ათასს მიაღწია, უბრძანეს ასეულებად დაყოფილიყენენ. გერმანელებმა ეკრატრით ვერ მოახერხეს, რომ მათი ენა გასაგები გამხდარიყო ზანგებისათვის. ამიტომ უფრო და უფრო უმატეს ყვირილს. მე და აღფრედმა წამოსასხამი წავიფარეთ თავებზე, რომ არაფერი გაგვეგონა. მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაგვიარა.

— რას იტყვი, რას ფიქრობ? — შემეკითხა აღფრედი.

— რაზე?

— მართლა დახვრეტენ?

— შეუძლებელია!

გონებმა-ადორიაქებულს არ შემეძლო რაიმე აზრს დაედგომოდინ.

ზანგების ყოველი ასეულიდან თითო კაცი გამოჰყვეს. ამრიგად, თაუ მოუყარეს ორმოც კაცს. უჩინარეები უკანვე გააბრუნეს. ამ ორმოც კაცს ვერ ვაგვო, რა უნდოდათ და რას მოცხოვდნენ მათგან...

შევეცადეთ დაგვეძინა, მაგრამ სიცხე სულს გვიხუთავდა. უძრავად ვიწყით. ღროგამოშვებით სიბნელეს ეღვა აბობდა. მოისმოდა ქუხილის გუგუნო. ზემოთ, გორაკის ფერდობზე, ეკლიან მავთულებთან ორმოცი ზანგი იდგა.

უცერად ჩვენს თავზე პროექტორის სხივმა გაიელვა. გვერდით ათმა თუ

თორმეტმა გერმანელმა ჯარისკაცმა აკვიარა. პროექტორის სხივის შუქში სათითაოდ გამოჩნდნენ ეს ჯარისკაცები.

სწორედ ამ დროს აქვარუნდნენ ეკლესიის ზარები. ზარებიც კარგად
სადღესასწაულო ხმა შორეული ეკლესიებიდანაც მოისმა. ყველა სოფელში რეკდნენ ზარებს. გზაზე, ბანაკს გარეთ, მოტოციკლი არახრახდა. ზაფხ, ზავი, ხელი მოაწერეს ზავსაო, — უყვიროდა მოტოციკლისტი ჩვენს გუშაგებს.

მთელმა ბანაკმა ყურები სცქვიტა. ყველა ფეხზე წამოიჭრა. ვორაკის მახლობლად, ბანაკს გარეთ, სამარგო მანქანა გაჩერდა. გავიგონე რამდენიმე სიტყვა:

— სად არის კაპიტანი?

— მერის სახლშია, ეკლესიის გვერდით? რა მოიტანეთ?

— შამპანიური. გამარჯვების ზეიმისთვის.

სამარგო მანქანა თავის გზას ვაუდგა. ეკლესიის ზარებიც კი განაგრძობდნენ რეკვას.

გზაზე წინ-და-უკან მოტოციკლები მიმოქროდნენ. აქა-იქ გუშაგებმა ჩუმად სიმღერა გააბეს. სიმღერა წამოიწყო ვიღაც ფრანგმაც ჩემს მახლობლად.

უძრავად ვიწვი. ლოყა თბილ მიწაზე მჭონდა დადებული.

და შეერად სროლა გაისმა. ოთხჯერ ვანშეთრდა ბათქი. მერე ყველაფერი მიყუჩდა. სამარისებურმა სიჩუმემ მოიკეცა მთელი ბანაკი. გაქვავდა იგი. დავინახე, რთვორ გამოჰგლიჯა პროექტორის სხივმა წყვილიანს გამეშვებულ ფიგურები ეკლიან მავთულებთან. მერე სხივი ჩაქრა და მხოლოდ ზარებმა განაგრძობდნენ რეკვას.

არ ვიცი, რით ვათავდებოდა ჩვენი გაოგნება, რომ ერთბაშად წვინა არ წამოსულიყო. მთელ დღეს ცა შეგრაგნილი იყო, მთელ დღეს იშუქრებოდა იგი და ბოლოს ისეთ ღვართქათად დაგვატყდა თავს, რომ გვრძნობდათ—ცამაც-კი ვეღარ აიტანა ესოდენ ძლიერი დამაბულება.

ორმოცი ათასი კაცი ამაოდ ცდილობდა წამოსასაზამებისა და მუშაშების საცოდავი ნაფლეთების მეოხებით თავას დაცვას საშინელი ღვართქათისაგან.

მთელ მეორე დღეს მოჰყავდათ ახალ-ახალი ტყეები. ზოგი იმ ოლქის მკვიდრი იყო, სადაც ბანაკი მდებარეობდა. ერთი მთვანი, თავის ბატალიონთან ერთად, საკუთარი სახლიდან ასს ნაბიჯზე იბრძოდა. მან ბანაკიდან დაგვიანხვა თავისი სახლი. იგი სოფლის ბატარა ეკლესიის გვერდით მდებარეობდა. მწუხარედ გაჰყურებდა იგი თავის სახლს ეკლიან მავთულებს იქით. გაჰყურებდა იმ ჯარისკაცთა თავებს ზემოდან, რომელნიც ტყვიამფრქვევების გვერდით იყვნენ წამოწოდილნი. ეს ჯარისკაცები მთელ დღეს ბალახში იწვნენ და ტყვიამფრქვევებს გვიმიზნებდნენ. ვხედავდით მხოლოდ რუხი ფერის მათ ფოლადის მუზარადებს. მაგრამ სახეებიც რომ დაგვენახა, ვერაფერს ამოვიკითხავდით მათზე. პირველ დღეებშივე მეცა თვალეში საოცარი მსგავსება სახეებისა ფოლადის რუხ მუზარადებს ქვეშ. კარგად ვიცნობდი გერმანიას და გერმანელებს, მაგრამ ბევრი რამ გამოიცვალა, ალბათ, უკანასკნელი წლების მანძალზე: ვერ გაარჩევდით ერთ ჯარისკაცს მეორისაგან. მათი სახეები თითქმის ბრძანებას ასრულებდნენ. ყველა სახე ერთნაირი გახდა: მკაცრი, პირქუში, უმეტყველო.

მე და სენკევიჩი მთელ დღეს დავეხეტებოდით ბანაკში: დავეძებდით პირადობის მოწმობებს. ხომ ვერ დავრჩებოდით სამუდამოდ მარტოოდენ დიამლისა და პოლონეს გვარების აშარა. უნდა გამოგვენახა რაიმე ქალღმერთი.

დიდ იმედს ვამყარებდი იმაზე, რომ ბევრი ჯარისკაცი ჰკარგავს ქეტონს და საბუთებს. მაგრამ მე სათანადოდ ვერ შევებახე ფრანგთა ერთგულებას ული სული. ისინი ყველაფერს ჰკარგავენ, ქაღალდებს გარდა. საბუთებზე ნადირობა მანიად გადაშეშვა. მთელი საათობით დავდიოდი წინ და უკან ბანაკში. მაგრამ აღამიანებს ვერა ვხედავდი: ვხედავდი მხოლოდ ქეტონებს. ვხედავდი შავ და თეთრ სამაჯურებს, უხეშ და კოხტა სამაჯურებს, ქვის სამაჯურებს, სქელ და თხელ სამაჯურებს. ყველა სამაჯურზე ოქალური ქეტონი ეკიდა, რომელზედაც ეწერა გვარი, ნომერი, თანრიგი და მობილიზაციის ადგილი. ჩემთვის უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ დაშტამპული ლითონის ეს პატარა ფირფიტა სიცოცხლესა და სვედილს ნიშნავდა.

ბუთჯერ გადავლახე თავიდან ბოლომდე ბანაკი. ვეძებდი ქეტონს მიწაზე, საბარგო პარკებს შორის. სწრაფად ვიხრებოდი, როცა რაიმე პრიალას მოვკრავდი თვალს. რამდენჯერმე ქეტონად მივიღე მიწის ნატეხი. პირველად ვიგრძენი ჩემს საცოცხლესი, რომ ურევისტრაციო და უშტამპო აღამიანი ვემიანად არ ჩაითვლება.

ხმა დაეარდა, რომ ჩვენგან პოლკებს შეადგენენ და სადღაც გაგზავნიანთ. მალე მართლაც გვიბრძანეს, თავი ზოგვეყანა პოლკების მიხედვით. მე და აღფრედი გამოვჯაცალევეს, ოთხმოცდა მეთექვსმეტე ქვეითი პოლკიდან. მარტოხელებს, იმათ, ვინც შეიბყრეს ცალკეულად, არა პოლკებთან ერთად, ყველაზე ცუდი ადგილი მიუჩინეს. ფეხისადგილები ამოთხრილი იყო ბანაკის ერთ-ერთ ბოლოში. ამოთხრევიწეს ისინი, რაღა თქმა უნდა, თვით ტყვეებს. მთელ დღეს ხალხი განუწყვეტლავ მიედინებოდა ამ ადგილებსაკენ და ბრუნდებოდა იქიდან. ჰო-და, ჩვენ, მარტოხელებს, აი ამ ადგილებს იქით გვიბრძანეს შევეკრებილიყავით. სულ რამდენიმე ნაბიჯზე, მავთულხლართის მეორე მხარეს, ვხედავდით მწვანედ აშიშინებულ კეფილსურნელოვან მინდვრებს. აჯერ იმ კართოფლის მინდორს, აღმათ, წვიმიან გაღარეცხილი მიწის სუნი ასდის. მაგრამ იქ, ფოლადის მუშარაღებს გვერდით, მრისხანე ტყვიამფრქვევები მოსჩინდნენ. აჟ-კი, სადაც ჩვენ ვიდევით ისეთი სუნი იდგა, თითქოს საკუთარ საფლავებში ვლპებოდით.

დაღლილი და სასოწარკვეთილი ბალახში ჩავედექი და უეცრად იქვე, ჩემს წინ, წითელი ჩექმები დავინახე, კარვად შეგერილი, თითქმის აკურისფერი ჩექმები. იმდენად უენაურად მეჩვენა ეს, რომ თავი ვერ შევიკავე და ჩექმების პატრონს შევხედე. ჩემს გვერდით იწვა და ამოქნარებდა ტყვე. ძალიან ახალგაზრდა იყო, ოცი-ოცდაორი წლისა იქნებოდა, გრძელი თმა შუბლზე ჰქონდა გადმოფენილი. გულკეთილმა ნაცრისფერმა თვალებმა ისევე ვამაყვირებს, როგორც ჩექმებმა. უკვე რამდენსამე დღეს და იქნებ კვირებსაც ვხედავდი მხოლოდ გახელებულ, ჩამქრალ ან მრისხანე თვალებს. ეს ახალგაზრდა-კი მხიარულად და ვულუბრყვილოდ შემომყურებდა, თითქოს ყველაფერი ართობს და ახარებდა.

ერთმანეთს შევხედეთ.

— სად გიშოვნიათ ეს წითელი ჩექმები? — შევეკითხე.

— ერთ სახლში წავაწყდი, — მომიგო მან ნელი ხმით და უღარდელად სიმღერა გააბა.

— მარტო ხართ?

— ორნი ვართ. მე და ბედო. მთელი პოლკიდან თითქმის ჩვენ გადავირჩინეთ მხოლოდ.

მოგადროებელივით ეშვეყურებდი მის მაჯაზე ჩანოკიდებულ ექტონს.

— რომელ პოლკს ეკუთვნით?

— სამას ოცდამეთერთმეტე ქვეითა პოლკს. დიდი იერიში გადავიტანეთ სედანთან, ესე იგზ, მართალს თუ გნებავთ, ვერ გადავიტანეთ. პოლკისაგან აღარაფერი აღარ გადარჩენილა. თითქოს ცოცხით მოგავესო.

ხელები თავქვეშ ამოედო და მზის აბაზანის მისაღებად მოეშზადა.

— მეც დავჯარგე ჩემი პოლკი — ვსთქვი მე.

— თქვენ რომელ პოლკს ეკუთვნით?

დაეუსახელე ჩემი პოლკი.

— უმჯობესი იქნება ხმა-კრინტი არ დასძრათ თქვენს პოლკზე. ლაონში გერმანელებმა ყველა მრხალისე დახერიტეს.

— ვიცი, — მივუგე მე. — სწორედ მაგიტომ მოვსპე ჩემი საბჭუთები.

— რა უნდა პქნათ, როცა ბანაიდან ტყვეების განთავისუფლებას შეუდგებიან? — მკითხა მან. — არ გაგიშვებენ.

არ ვიცოდი, რა მეპასუხნა.

უცნობი მკლავს დაებჯინა და შემომაცქერდა. ლაბარაქს შევეყვით. საბარგო მანქანის შოფერი ყოფილა. მისი დედა, ქერივი, მცლოში ცხოვრობდა, ბელთაშინიბის ძველ ქალაქში, თავათ ქერივი დედაკაციც ამ ხელობას მისდევდა თურმე. უფროსი ძმაც ჰყოლია, მაგრამ ღმერთმა უწყის, სად არისო.

— შეგეძლოთ უფროსი ძმობა გაგეწიათ ჩემთვის, — დაუმატა მან.

— პო... შემეძლო.

ჯაყვა ამოიღო და თავისი ექტონის ძეწყვის მოხსნას შეუდგა.

— რას სჩადიხართ? — შევეკითხე სულგანაბული.

— მინდა გადმოგცეთ ექტონი. ხომ შეიძლება არსებობდეს ორი ნაპიე? მე სამხედრო ბილეთი დამჩჩება.

— გზადლობთ, — მივუგე მე, — მაგრამ შეუძლებელია ერთ ბანაკში ორი ნაპიეს არსებობა ერთისა და იმავე სახელითა და ნომრით.

ამან შეაჩერა.

— მართალი ხართ, შეუძლებელია, — მომიგო. ნაპიეს შებლზე, წარბებს შორის, ოფლის წვრილ წვეფებს მოვკარი თვალი. — წავალ, — სთქვა მან დუმლის შემდეგ. — გავიგებ, რა ამბავია ბანაკში.

წამოდგა და გაემართა.

ათი წუთის შემდეგ დაბრუნდა.

— საქმე კარგად მიდის, — მომმართა სიცხლით. ექტონი ხელის გულზე ედო. — აქედან ათ სხვადასხვა ბანაკში გაგვგზავნიან. უნდა სხვადასხვა პარტიში მოვეყვით მხოლოდ. ეს არის და ეს.

გვერდით მომიჯდა და „ბაღლის პასპორტი“ გადმომცა, როგორც მან ექტონს უწოდა. მაგრა ჩამოვართვი ხელი.

— მადლობად არა ღირს, — მომიგო უბრალოდ.

მერე საფულე ამოიღო, ძველი, დაფლეთილი ყავისფერი საფულე, წერილები ამოალაგა, გადაათვალიერა, სამი-ოთხი წერილი გადაარჩინა და გადმომცა.

— ესენი დედი-ჩემისგან არის, — მითხრა ბოლოს, — ესე იგი ჩვენი დედა-

იაგან. საბუნდუროდ, კონფერტიც შემჩენია. თუ ვინმეს ეჭვი შეებაარა თქვენს ვინაობაში, ფრანტზე მიღებული ეს წერილები აჩვენეთ. *უკრძინესული*

არ მინდოდა წერილების გამოართმევა, მაგრამ არ მომეშენა *უკრძინესული* მხოლოდ ერთი წერილი, სულანის დაცემის წინ მიღებული.

— ბედო მწყალობდა იქ, — სთქვა მან: ეს-კი მაჯალებს სიკეთის ჩაღწევა. გადავთავალიერე წერილებსა, რომლებსაც უკვე ჩემად ვიგულებდი. გული ამჩიუყეს მოხუცი დედაკაცის აქანკალებული ხელით გამოყვანილმა ასობმა. აიღბათ, უბრალო, გულკეთილი სოფლელი დედაკაცი იყრ ნაოჭებისაგან დაღარული შუბლით, თავზე შალწამოსხმული. „ფროხილად იყავი, შეილო, არ ვაცივდე, შარფი შემოიხვიე ზოლმე კისერზე და უფალი დაგთხარავა“. ყველა დედა ასე სწერს საყვარელ შვილს.

გაიფიავით პუროს უკანასკნელი ნაქერი. აღფრედმა პატარა ქვაბით წვენი მოიტანა, რომელიც მისთვის მეორე მხრიდან ვილაც დედაკაცს გამოეწოდებინა, დიდი ამბით აღენიშნუა ჩემი ძმადნაფიცობა მორის ნაპიესთან.

აღფრედმა საბულები ვერ იშოვნა, მაგრამ თავს მაინც არ იწუხებდა. მან როგორღაც შეაგროვა ცნობები რომელიღაც დაშლილი პოლკის შესახებ და გადასწყვიტა ამ პოლკის ჯარისკაცად გაესაღებინა თავი.

— პო, ართლა, — სთქვა მორისმა: — ჩვენ მხოლოდ ორნი გადაერჩით სამას ოცდამეოთქვესმეტე პოლკიდან, მე და ბედო. ბედო წყალზეა წასული და საცაა დაბრუნდება. ნურაფერს ნუ ეტყვი ბედოს. ის ფოსტაში მსახურებდა და მასთან ძნელია საქმის დაქერა.

მივხვდი ყველაფერს. ერთი წუთის შემდეგ ბედო დაბრუნდა. პატარა კაცი იყო. უსუფთაო კანი მუწუჯებით ჰქონდა დაფარული. ყურთ ნაკლებად ესმოდა: ყუმბარის აფეთქების აქვი დაუხიანებინა მის ვის. წყალი ვერ მოიტანა. მე და აღფრედი ჩავდექით რიგში წყლის კასრთან. მაგრამ როცა კასრთან მივედით, შიგ ერთი წვეთიც აღარ აღმოჩნდა. მრავალნი დაბრუნდნენ უკან უწყლოდ. პირი მიშრებოდა, უნა სასახე მეკეროდა. პერში ისეთი გემო მქონდა, თითქოს ქალაღს ვღეჭავდი. მაინც თავი ბედნიერად და გადარჩენილად მიმაჩნდა. სამაჯურები აღარ მიჭმელებდნენ თვალსებს. ქვეყანა აღარ შესდგებოდა მარტოოდენ ეტონებისაგან. აღარ ვიყავ გულივერით ათასი ჯავით და ძეწყვით შემოტოლი.

უკვე მქონდა სახელი და გვარი: მორის ნაპიე მეწოდებოდა.

ვილიაკურიდან გასვლისას ჩვენი პარტია ათასი კაცისაგან შეადგებოდა. მორის ნაპიე პირველი და მორის ნაპიე მეორე ერთმანეთს დაშორდნენ. მე პირველ პარტიას შევუერთდა, მორის — უკანასკნელს. ამრიგად, ეჭვი აღარ იყო, რომ ჩვენ სხვადასხვა ბანაკში გაგვგზავნიდნენ.

ის სოფლები და ქალაქები, რომლებზედაც ჩვენ გავიარეთ, გერმანელებს ეკავათ. ზაფხულის ძალზე ცხელი დღე იდვა. მივდიოდით გრძელ, მიძიმე მანარებში. რა თქმა უნდა, ოფლში ვიწურებოდით. გერმანელებს-კი მოკლე სამანაო ტრუსები ეცვათ, ზოლო ძირში გადააარსულ თავზე მსუბუქი ქუდებია ეხურათ. შიშვლები ამოვებდნენ ისინი ცხენებს, შიშვლები სვამდნენ ლუდს კაფეების წინ, შიშვლები თამაშობდნენ კეგლს შუა ქუჩაში, შიშვლები თამაშობდნენ ქალაღს გლებთა საზღების წინ. მაგრამ ამ შიშველთა არმიის მთავარ გასართობს მაინც ჩვენი სურათების გადაღება შეადგენდა. ყველა სოფელში ათჯერ, ოცჯერ, ორმოცდაათჯერ იღებდნენ ჩვენს სურათებს. და თუ

ზანგები და მაროკოელები განცალკევებულნი იყვნენ, მათაც ჩვენთან მოკვებოდნენ, რომ „მაგებისა და თეთრების“ ეფექტური სურათები მიიღოთ. უყვარდათ განსაკუთრებით იმ ტყვეების გადაღება, რომელთაც ვინაობა ზარადის გადაბრუნებულ სარჩული ჰქონდათ წაფარებული და რომლებიც დაშვებულთა ლაშქრობის მონაწილეებს ჰგავდნენ.

ფრანგული სოფლები გარეგნულად ელვის სისწრაფით გერმანულ სოფლებად გადაიქცნენ. ერთხმ შეხედვით ყველგან სრული წესრიგია იყო ლამყარებულა (მემდეგ შევნიშნე მხოლოდ დიდი ხარკეზები ამ წესრიგში). ყველა ჯდელზე დაბეჭდილი გერმანული განცხადება ეკიდა. ისრები უჩვენებდნენ გზას წყალსალუვისაკენ. ყველგან გარკვევით იყო აღნიშნული, სად იმყოფებოდა კომუნდატურა, ბრძანება ყველა საჯინბოზე იყო გაკრული.

ჩვენს გვერდით განუწყვეტლივ მიჰქროდნენ მსბუქი მანქანები, საბარგო მანქანები, სატრანსპორტო მანქანები ჯარითურთ. სამუშაოდ მიშავალ ჯარისკაცებს კარგად შეეკრილი სუფთა მუშური ტანსაცმელი ეცვათ. რა თქმა უნდა, ყველა უმუხარადოდ იყო. ჩვენი მცველი ჯარისკაცების მზარები საბარგო მანქანას მოჰქონდა ჩვენს უკან.

ეს ნაწარმოები გვიხატავს ჩვენი ისტორიის იმ ხანას, როდესაც მოღვაწეობდა მეფე აფხაზთა და სრულიად საქართველოსა, მეფეთ-მეფე გიორგი, „მესიის მახვილი“. ეს ის გიორგი პირველია, რომლის დახასიათებამ „ქართლის ცხოვრება“ ასე გვიამცნობს: „არეინ გამოჩინებულ იყო მსგავსა მისი მამათა შორის მისთა, ახოვანებითა, კაბუკობითა და სიქველითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და ყოვლითურთ სრული განგებითა სახელმწიფოთა“.

კ. გამსახურდიას რომანის მიხედვით, მეფე გიორგი პირველს გადაუდგებთან მოხვედები კოლონკელიძისა და მამაშუე ერისთავის მეთაურობით. მიზეზი ამ განდგომისა გახლავთ ის, რომ თურმე მთიელები, მოხვედები „ბომონს“ ანუ კერპს სცემენ თავყანს, ხოლო გიორგის და მის კათალიკოსს, მელქისედეკს, მსურთ ქრისტიანებად მოაქციონ ისინი. ეს ხდება მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისს, რასაც მოჰყვა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქები.

ამრიგად, რომანის პირველ ფურცლებზევე ვხვდებით ისტორიის ისეთ გაყალბებას, თითქოს ფეოდალების განდგომის მთავარი მიზეზი ყოფილიყოს ბრძოლა კერპთაყვანისმცემლობისა ქრისტიანობასთან, — სხვა მიზეზი კონსტ. გამსახურდიას რომანში არ მოიპოვება. ბრძოლა ფეოდალებისა მეფის წინააღმდეგ შეიძლება შენიღბული იყოს სარწმუნოებრივი მოტივებით, მაგრამ სინამდვილეში ამ ბრძოლის მთავარ მიზეზს წარმოადგენს უფლებრივი ან ეკონომიური ურთიერთობა. მაგრამ დავუშვათ, რომ მოხვედები ბომონების გულისათვის ვადუდგნენ მეფეს.

მრავალი ვერაგული საშუალებით მეფე დაიმორჩილებს განდგომილ თემებს. ერთ-ერთ საშუალებად განდგომილთა დასაჯელად მეფემ ასიც კი გამოიყენა, რომ თვითონ ჯვარისთვის მებრძოლმა ჟონგლიორს ფარსმან სპარსს ჯვარი მოაწამლინა, შემდეგ იმ მოშხამული-ჯვრით მოაკლევინა ჰიბერი, როდესაც მას ეამბორა, ხოლო მასი მამა გადაარჩია, რადგან ჯვარს ოღნავ შეეხო და მხოლოდ გულისრევა აუტყდა. დაიპყდნენ მოხვედნი. მიიყვანეს ძაღლი, ჯვარი აალოკინეს, და ძაღლი მოკვდა. (გვ. 55). ამით 8. „მნათობი“, № 6.

ცხადი ვახდა, რომ ქრისტიანობის სიმბოლომ შხამი შეიტანა მოხვედრებში. „სკვიანი“ მეფის და კათალიკოსის მახინჯიამ მოხვედრები მართლაც დააჩქარა, რომ ქრისტიანობა მართლაც და საწამებელი არ ყოფილა, როგორც სკვიანის და საკვილიის შემომტანი.

ქრისტიანობა განსაზღვრულ ეტაპზე პროგრესიული მოვლენა იყო კაცობრიობისათვის. მოსაწონია ის გარემოება, რომ გიორგი ქრისტიანობის განსამტკიცებლად ებრძვის მოხვედრებს, მაგრამ განა ვინაიერი მეფე ისეთს ხერხს მიმართავდა, რომ ქრისტიანობის სიმბოლო მოეწამელებინა? ამით ხომ მეფე ერთს მტერს გააჩქარებდა და ათას თვითონ მოიტრყამდა, თანაც ხალხს აიჯანყებდა. რატომ ამოქმედებს ავტორი ასე რიგად მეფეს?

ასეთი დაპირისპირება, რასაკვირველია, ხელოვნური ამბავია. ისტორიაში მსგავსი რამ არა სწერია, მაგრამ რაღა იატორიკოსები ხმას არ აღებენ, ჩვენც დროებით შევეურიგდეთ ამას.

მოხვედრები კვლავ აჯანყდნენ — აქ უკვე მიზნები არა ბოძონები იყვნენ, არამედ თვით მეფის პრეტორია — მოწინააღმდეგეები. რა ჰქნან მოხვედრებმა ასეთი „გონიერი“ მეფის ხელში?

თითქოს მეფემ ეს წინასწარ განზრახვითაც ჩაიდინა, რადგან მას განდგომილი ერისთავის კოლონკლიძის ქალიშვილი შორენა მოეწონა. მოეწონა აგრეთვე მისი ირმის ჯოჯი, მისი მეძებარი ძაღლები და მოასურვა შათი ხელში ჩაგდება. — სხვა მიზანი მეფისა არა სჩანს, არც ცენტრალისტური მართებლობისათვის ბრძოლა, არც ის, რომ ფეოდალები მას ხელს უშლიან გარეშე მტრებთან ბრძოლაში. პირიქით, ერთხელ დაემორჩილნენ და, ვფიქრობ, ძალიან ერთგულებასაც გაუწევდნენ, მაგრამ მეფემ თავისი უტაქტობით ხელახლად აშალა. რატომ? ნუთუ იმიტომ, რომ რომანი გაგრძელდეს და ქალწული შორენაც გეჩვენოს?

„ომი და ჩხუბი არაფერზე“ მართლაც კარგა საღებავებით აქვს ჩვენს ავტორს გადმოცემული.

მხატვრულად აქვს ავტორს აგრეთვე აღწერილი ახალგაზრდა ერისთავის სიკვილი, დატირება და შარი, თუმცა უნდა გამოვტყდეთ, არა ღირდა ძველი ადათების, თავბრის ხოცვის, ქალების მიერ თმების წეწვის და სხვათა ასე გაიდუალება.

კ. გამსახურდიას უყვარს ბუნების პეიზაჟებისა და ნადირობის სურათების აღწერა. აქ მისი ოსტატობა შეუღარებელია. ბუნებას იგი აცოცხლებს. თვალწინ გიღვას მისი მრავალფეროვანება. ყვავილები თითქოს სუნთქავენ და ლაპარაკობენ. კარგია შორენას და დიდოსტატის გაქცევა მცხეთიდან, როდესაც ისინი გამოეკიდებიან ორ ირემს. მაგრამ აქაც უნდა შევნიშნოთ მეტი რამ, როცა თავთუხი დამწიფებელია, მაშინ ყაყაჩო აღარ არსებობს. ზოლო როცა კუნელი მწიფდება, მაშინ აღარც თავთუხია და, მით უმეტეს, აღარც ყაყაჩო. ავტორი კი სწერს (გვ. 166):

„მუხლისთავებზე სცემდა მწიფე თავთავები (თავთუხისა), ყაყაჩოები ჰყვოდნენ ირგვლივ, წითელი ჯახველი (?) და კუნელი ელაედნენ აქა-იქ“.

კუნელი შავი ნაყოფია, საფანტის ოდენა, და ის არა ელაეს. აქ ავტორი, აღბათ, სხვა მცენარეში ურევს კუნელს. ეს ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც, მაგალითად, შუალამისას ტყეში შეყვარებულს ამოაღებინო წერილი და წააქოთხო შექვის მიუნათებლად, ერთ-ერთ რომანში ავტორს ასეთი სცენა მოეპოება.

ხედავთ, დაკვირვებელი მკითხველი როგორ ყველაფერს ადევნებს თვალყურს და ავტორის მცირე შეცდომაც კი არ ჩივბა შეუმჩნეველად მისი გავყევით მთავარ ამბებს.

მეფემ სურვილი შეისრულა: ტყვედ წამოიყვანა შორენა თავისი ფერ-იკმით და ირმის ჯოგით. წამოაყვანა აგრეთვე ლაზი კონსტანტინე არსაკიძე, რომელიც ავტორის ჰსურს გვიჩვენოს მრავალში დიდ ოსტატად. როგორ გაჩნდა ეს ლაზი მეფე გიორგისთან? ძალიან საარაკო ამბავია. ამასე ნუ შევჩერდებო, ხოლო, როგორც ავტორი გვინატნებს, მისი წარსული ასეთია: მან ნახა „ზინანტაონის სამეფაო სიბინძურე, ბერძნების კახაბები, თურქების დიაცები, ბალღობიდანევე გაკახებულნი, უპატრონო დედაკაციები“. ხოლო საქართველოში მას მაჭანკლობას უწევდა ვარდისახარი, შორენას აღმზრდელი.

„ვარდისახარი ასრულებდა ამ სიძვას დიაცების მრავალფეროვან „კრიკოსანს“, ყველას მიჰქონდა მასთან სოლიდი (ოქრო), სიჭაბუკის ცეცხლი, მაგრამ „არც ერთის ამ მეძავეებისა (I) მას მოგონება არ დარჩენია“.

ესლა უყვარს შორენა, ხოლო წინად მას იგი არ უყვარდა, რადგან „ძუძუმტედ“ მიიჩნდა, ხოლო როცა გაიგო, რომ ძუძუმტე არ ყოფილა — შეუყვარდა. რაკი ასე არ არის, დაე ასე იყოსო, და შეუყვარდა უთუოდ ავტორის შეგვეთით, თორემ განა ავტორმა კი არ იცის, რომ არც ხელოვნებაში და არც სანამდილეში შეყვარება ასე იოლად და თვალის დახამამებამზე არა ხდება?

რომ არ შეაყვაროს ასე უცბათ, მაშინ მისი რომანის აღნაგობა დაინგრევა და მეფე მას, არაკიძეს ამ შორენას გამო მარჯვენას ვერც მოსჭრის.

არის მეფესა და ოსტატს შორის ბრძოლა ქალისთვის. ამით ფიქრობს ავტორი. ამაღლოს „მეფეთ-მეფე გაორავი მესიას მახვილი“ და „დიდა ოსტატი“ კულტურტრეგერი. რა ვუყოთ, რომ მას წარსული დიდად საეკვო აქვს და გარყვნილების წუძმეში ცურაობდა. კაცი ხომ შეიძლება ასეთი იყოს და ისეთიც, როგორც ავტორს ჰსურს...

ძველი ოსტატია ფარსმან სპარსი. მას ბნელი წარსული აქვს და გიორგისთან სამსახურის დროსაც მონასტერს შეეჩვია, მცირეწლოვან გოგონებს ბნელს ქუჩებში ხარწნის—(გვ. 33) რის გამოც კათალიკოსი ვითომ უწყრება კიდევ, მაგრამ მაინც მეფე თავისთან სტოვებს, რადგან მეფეს ჰსურს ვარდისახარი მას ცოლად შერთოს, რომ შორენასთან დაახლოვებას ხელი არ შეუშალოს. ასეც ხდება: როგორც განიზრახა მეფემ, ისე ასრულდა.

ამ ფარსმან სპარსს დადოსტატობინებს სვეტიცხოვლის მონასტრის გეგმა, და კონსტანტინეც აშენებს. ნამდილად კი ის მხატვარს „იაკობის შებრძოლებას“ ღმერთთან. ერთხელ ცრუმორწმუნე დედაკაცი ეტყვის დიდ ოსტატს: „ნუ გახვალ ხარაჩოზე, რადგან დღეს „აფაზას“ დღეა, უბედურება შეგემთხვევაო“. დადოსტატი მაინც ავიდა ხარაჩოზე და მართლა ჩამოვარდა, წელი მოიწყვიტა.

ბოლოს ამ ოსტატის მოღვაწეობა იმაში იხატება, რომ იგი დასდევს შორენას, როგორც ხარ-იერში ფურს „ირმის ყვირილობის (დაგრილების) დროს“.

ფარსმან სპარსსაც ეს უნდა: იგი ვარდისახარს მოაპარინებს მეფის მიერ ძალად შერთული ცოლის შორენას პერანგის ამხანაგს, შემდეგ ამ უკანასკნელს ავადმყოფ ოსტატს ბალიშებზე ამოუღებენ და მეფეს შეატყობინებენ:

შორენა მიტომ არ განებდება, რომ დიდოსტატს უყვარსო. ოსტატს თავს დაესხმიან და თან მისი საწოლიდან გამოაძრობენ შორენას მსკერძულანის გამო, მეფის ბრძანებით დიდოსტატს მარჯვენას მოსჭრიან. *მეფე: შორენას*
 კ. გამსახურდია ამბობს:

„დიდი საქართველოს ჩვენება განვიცხადე თანადროული რომანის ხერხებით... (გვ. 319) საქმოდ მომწოდებულ მსოფლიო მოქალაქედ წარმომიდგენია თავი და ეგვიპტეში, არაფერი ნაციონალური საყურადღებო არაა, რასაც უნაფერსალური მნიშვნელობა არ მიერწყვებათ“.

ვნახოთ, რას გვპირდება კიდევ ავტორი.

განვიხილოთ რომანის ის მთავარი ადგილები, სადაც უნდა გაიშალოს ნამდვილი შემოქმედების იდეა. ასეთია ის პოლიტიკური არე, სადაც გიორგის უხდება შეხლა არა მარტო რუჯულის გამო განდგომილ ფეოდალებთან, არამედ უცხოელ მტრებთან და მოკეთებულთან, რომლებიც მის სამშობლოს ან ზიანს აყენებენ, ან სიკეთე მოაქვთ მასთვის.

რომანში ეს პოლიტიკური მომენტი უნდა ყოფილიყო პირველ პლანზე წამოწეული, მთავარი ყურადღება მას უნდა მიჰქცეოდა. სამწუხაროდ, ამ მომენტს 300 გვერდიან წიგნში მხოლოდ ორიოდე გვერდი აქვს დამომხილვით ქრონიკის სახით და გადმოცემულია იგი ისე ბუნდოვანად, რომ ვერ მიხვდები, რაში იყო საქმე: რატომ იქნევიდა მეფე გიორგი ხმაღს ან სარკინოზების, ან ბიზანტიის წინააღმდეგ? თვითონ დამარცხდა თუ მტერი დაამარცხა? მაშინ, როდესაც გიორგის შვილი მძევლად ჰყავს ბიზანტიის კეისარს ბასილს, თითონ გიორგის ავიწყდება „რუჯულის ერთიანობა“ და ალბაქიმთან გამართავს მიწერა-მოწერას, იმ მოსაზრებით, რომ წართმეული ადგილები დაიბრუნოს. იმავე დროს კათალიკოსი მეღქმისეღვი კეისართან დაიარება. შეითხველისათვის გაუგებარია, რანაირ დამლომატის აწარმოებს ან შეფე, ან კათალიკოსი? მით უმეტეს, ეს ხდება მაშინ, როდესაც ალბაქიმა რელიგიური ომი გამოაცხადა ქრისტიანთა წინააღმდეგ (გვ. 79).

მეფის საქციელი არ მოსწონს მეღქმისეღვს, მაგრამ რა ნაყოფი გამოიღო მათმა აქეთ-იქით გაწევამ, გამოურკვეველია. გიორგი მეფე ბიზანტიას თითქმის გადაუდგა, ხოლო მისი შვილი იქ მძევლად არის ბიზანტიელები თითქმის ვერაფერი უნდა იყვნენ, აქ კი ვერაფერს მიხვდნენ. გიორგის შვილი, ბაგრატო, უფნებლად დაბრუნდა საქართველოში და ბიზანტიის ახალი მეფე მხოლოდ მაშინ გამოედევნა უკან. აი ეს ადგილი ყველაზე საინტერესოა და ავტორი, სამწუხაროდ, სწორედ აქ ტუნწობს ამბების გადმოცემას.

თუ რამდენად სწორია ისტორიული მხარე ამ ამბებისა, დეე განსაჯონ ჩემზე მცოდნე ისტორიკოსებმა. მე მაინტერესებს არა ისტორიული სინამდვილე, არამედ ამ ამბის გაშლა და ამ გაშლიდან გამომდინარე ხასიათები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით გამოაჩენენ ნაწარმოების დედა არსს, იდეას. ეს არა ხდება, მაგრამ სამაგიეროდ ხდება აი რა: „გიორგის მეღანქოლია შეეყარა და ზოგიერთ წუთებში მეფედ არყოფნას ნატრობდა“. ეს ის მეფე, რომელზედაც ისტორია ამბობს, რომ მასზე უკეთესი მის წინაპრებში არავინ ყოფილაო. ასეთი გამოჩინებული მეფე თურმე „ინთწყვერს იღებავდა, სელის სამოსელს ჩაიცვამდა, აიყოლიებდა მღაბიორებს: მეზამღეს, დროიძეს, ქატიასს, მეჯინიბეს, ბაზიერს. თვითონ მეფე სახელად გლაზუნას დაიკმევედა და მთელი კვირა დაიკარგებოდნენ“. თუ რატომ იკარგებოდნენ ისინი მთელი კვირით, ქვემოთ მოგახსენებთ.

ამის შემდეგ ავტორს გადაეყვებით წერილმანებში და ამ წერილმანებში-სათვის არ ჰყოფნის სამასი გვერდი!

გიორგი მეფე გარეშე ძალებთან დამოკიდებულებაში ამკლავებს სისხლს ნიერებას ან საგნის ცოდნას, არამედ მხოლოდ ჩოლოლოგიურ ზიზლს ბიზანტიისადმი.

„გიორგიმ ბერძნულიც იცოდა და არაბულიც, — გვამცნობს ავტორი, — მაგრამ არასდროს კრანტი არ დაუძრავს უცხო ენებზე სასახლეშიო“. რატომ? იმიტომ, რომ ეზიზღებოდა ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე ბიზანტია, ბიზანტიაში იგი კულტურის ნატამალსაც ვერ ჰხედავდა. უცხო ელჩების — კასაილას და სხვების მადების და ნადიმობის დროს აშკარა სიძულვილს იჩენს მათადმი, სამაგიეროდ იმავე სტუმრებთან ხალისიანად ლაპარაკობს „ძროხა დიაცებზე“ და ხალისიანად ათვალერებანებს მათ ძალების სამყოფელს, ასე რომ:

„ძალებას სამყოფელსთან თუთს ამბავს წააწყდნენ, თავით გიორგიმ უხერხულობა იგრძნო, შორენა, გურანდუხტი და ნათია გაწითლდნენ“.

ბიზანტიის მეფემ კათალიკოსს მეღქმისედეგს საჩუქრად ეტლი გამოუგზავნა. მეღქმისედეგის იქ არყოფნის დროს მის ეტლში გიორგი თავის მეძებრებს ჩასხამს და კათალიკოსის მაგიერ ასეირნებს და ჩასეირნებს, არც ავტორს ესმის და არც მისგან ბორცმესხმულ გიორგის, რომ ამით შეურაცყოფას აყენებს არა ბიზანტიას ან მის მბრძანებელ მეფეს, არამედ თავის თავს და მით უმეტეს საკუთარ კათალიკოსს, რომლის ადგილსაც ეტლში ძალები იკავებენ.

ზემოთაც მოვიხსენიე, რომ მეფე გადაიკვამდა ხოლმე გლეხურად და გლეხებთან ერთად დაეხეტებოდა ბნელ ღამეებში, იმიტომ კი არა, რომ უშუალოდ ენახა ხალხის გაჭირვება, არამედ იმისთვის, რომ მთვრალს უზნეობა ჩაედინა.

გალეშილ გლეხებისაგან ისმენდა სადღეგრძელოებს: „ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ მამალ ორაგულს, აღმა რომ მიჰყვება ამადამ არაგვს, უფსკრულებში დაუძებს თავის დედალს, რათა ვაჟკაცურად წამოეწიოს და მასწავლეს თავის საწადელს“ (გვ. 144).

„გიორგის გულზე ეცა ეს სადღეგრძელო“ და იმ ღამეს მიეჭრა ვრისთავის ასულს შორენას. იგი სახლში არ დახვდა, მაგრამ მის მაგიერ დახვდა ვარდისახარი. მისთვის სულ ერთი იყო, — ნახა სხეული „სქელთეძობიანი“ და „მკვრივქუთუბიანი“.

— მეფე გიორგი რომ იყო, რას იზამდი, ნეტა? — ეკითხება ქალი.

— მეფე გიორგი რომ ვიყვე, ხარაქათ ავიყვანიდი ფსათუოდ“.

ეს უთხრა მეფემ, ახლოს მიეჭრა, დიაცს ამღვრეულ თვალებში ჩააკეჭრდა, მარჯვენა ძუძუზე წაუცაცუნა ხელი. ასეთი მშვენიერი ძუძუები არასოდეს ენახა ქალის სხეულზე გიორგის“.

დიაცი არ ნებდებდა.

„მცირე ხანს იბრძოდნენ დიაცი და მამაკაცი. მერე ხმალიც იზიშველა მეფემ, ეგრეა შევაშინე დიაცი და დავეუფლეო. გაიბრძოლა ქალმა, ისევ ატირდა, საკინძი გაუფხრჩოა გიორგიმ და ძუძუზე უკბინა გახელებულმა“ (გვ. 154).

ეს ნაკბენი ძუძუ ხან სად ამოჰყოფს თავს და ხან სად.

ქ. გამსახურდია ამავე წიგნის ბოლოსიტყვაობაში შეაქებს მეფე გიორგის

„კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა გიორგი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა დიდი მხეცი ბასილი მეორე, ხოლმე მისი მტერი, რომელსაც მათიანე უწოდებს „შიშარს, ვითარცა უხორცის“... მტერი მტერისაა, რომელიცში ორიოდ გვერდი აქვს მიძღვნილი. მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გვირის ამოლოგის ვუძღვენი დიდი მღვდლარება ჩემი გულისაო!“ (გვ. 320). ალბათ, ავტორმა დიდად თანაუგრძნო გიორგი მეფეს და ერთი საგმირო საქმეც ჩაადგინა—ვარდისახარს ძუძუზე აკბენინა. სულ რომ არ შეგებოდა ასე რიგად კ. გამსახურდია გიორგის და იგი მიჩქმალული ყოფილიყო, ის ერაჩივნა.

უაღია, როგორც ყველა ცხოველი, ისე ადამიანი, ხორციელი არსებაა და ყველას, მეფეს თუ მღაბიოს, ბუნებით თანდაყოლილი აქვს მოდგმის განგრძობის ინსტინქტი, რომელსაც ვეძაბით ვნებას ან, უფრო გაღამაზებულად, სიყვარულს. ეს სიყვარული განათლებულმა კაცობრიობამ გაყო სამ კატეგორიად: სიყვარული იდეალური, სიყვარული მგრძნობიერობითი და სიყვარული, რომლის არსიც აზრთან არის პარაონიულად შეწყობილი. ამის შესახებ მოვესმინით ბ. ბელინსკის:

„არა გვწამს ჩვენ არც იდეალური და არც მგრძნობიერობითი სიყვარული. ერთიც და მეორეც არსებობენ, მაგრამ ორივენი ყალბნი არიან, როგორც ერთი მეორის უკიდურესობანი. ეგრეთწოდებული იდეალური სიყვარული არის ჯოხი, რომელზედაც გადაშვდარა მოწაფე და კონია, რაშს მიეაქროლებო—ეს არის ერთგვარი დონ-კიხოტოზა. ეგრეთწოდებულ მგრძნობიერობითი სიყვარული ხვედრია სახისმქონე პირუტყვთა ადამიანებისა. მაგრამ ყოველგვარი გრძნობა, რაც არ უნდა იყოს იგი—გინდ სიყვარული, გინდ გატაცება, გინდ წუთიერი უინი, თუ კი იგი გამოწვეულა აბსოლუტურ სიღამაზეთა იდეის მკვრეტათ ცოცხალ გამოსახულებაში, —ეს არის სიყვარული და არა გრძნობიერება“.

და განა კ. გამსახურდიას ტიპები, თუ კი მათ მართლა ტიპები ეთქმით, ყველანი მხოლოდ პირუტყული ან ავადმყოფური გრძნობით არ არიან ილტყინებულნი? ხელოვნებაში უინისა და ალერაბსნილობის ჩვენება ძალიან ძველი, გაეცეთილი საქმეა და ამეამად უკვე ყველა წესიერ და განათლებულ წრეში დაგმობილი.

ხელოვნებას ამოცანაა, გვიჩვენოს ისეთი სიყვარული, რომ ვნების ცეცხლთან ერთად იყოს ზულის სიდიადე, მაღალი იდეალი. ასეთი სიყვარულის დახატვის დროა მწერალი არც კი უნდა მამართავდეს ვნებას, სქესს, ან კონსას, რადგან იმ მაღალ გრძნობას აღარა სჭირდება ასეთი სამოსელი.

კ. გამსახურდიას რომანი სავსეა ისეთი ადგილებით, რომლებიც ხელს უწყობენ ვადაპარბებული ვნებიანობის აშლას. აი მაგალითი: „ნახევრად გაშიწვლებული ძუძუები“, „შიშველ ტანზე უქმიტა ცოლს“, „სიყრმის პირველ ცოდვასაგით (грех молодости) ტკბილი იყო მისი ტუჩება“, „მკერდ გათქვირული“, „მაღალთქოიანი“, „თქოები დამრგვალებოდა“, „თეიურიანი და მშობიარე დიაცები“, „ტოკავდნენ მაღალი ძუძუები“, „მაჰადიანი დიაცებიც კარგი ბოზებია“ და კიდევ მრავალი სხვ. (გვ. 236, 237, 214, 211, 210, 206, 203).

არა თუ ადამიანები, უინაშლილები არიან ირმები, ძაღლები, ცხენები, კურდღლები (გვ. 263) და თვით უსულო მინდვრის ყვავილებიც კი (გვ. 264) ავტორი ამბობს „გამოქეცა მგლისფერი ავიღლა ორ ვაჯაცს, აყიროსაგით

გადაადგო ერთი მათგანი მტვერში, უკანა ფეხებზე ზეალიმართა, ტორები შემოახვია ჩაღისფერ ფაშატს, ფაშატი შეტოკდა, მოხუცს შექნასაღის სუქნიერი ულაყი, გააკავა ქაკი და აცალა დაგრილება გამიჯნურებულს, აღმათ სიკაბუყე ვაახსენდა თავისი“ (გვ. 188, 189).

ვიღაც ვიყებს ბადე ამოქონდათ წყლიდან. გიორგი მეფე ახლო იღვა. იქვე იღგნენ ქალიშვილები და გოგონები.

მებადურმა ორაგულები და კალმახები გადმოყრა რიყეზე. „თეგზი გვიზიარეთ, — გადასძახეს გოკონებმა ყმაწვილს. აიღო მებადურმა წყრთის სიგრაძე კალმახი, ლაჯებში ამოიღო და უჩვენა დიაცებს“ (გვ. 139). ამ სურათს უუქმრის „მახელი მესიისა“ და იცინის. ავტორს ჰგონია, რომ აამაღლა მეფე გიორგი, ხოლო განათლებულ მკითხველს დიდი ესტეტიური სიამოვნება აგრძნობინა.

ფილოსოფოს ესტეტიკოსების განმარტებით, ხელოვნება არის მშვენიერებას გამოხატვა, რომელი მშვენიერებას სუბიექტური ვაგებით გვხნიკებს ჩვენ რაიმე სიამოვნებას, ხოლო ობიექტური ვაგებით მშვენიერებას ვუწოდებთ აბსოლუტურ სრულყოფილს და ამ აბსოლუტური სრულყოფილის გამოვლინებით ან ჩვენებით, მაინც ვღებულობთ ბოლოს რაიმე სიამოვნებას. სხეანაირად რომ ვათქვათ, მშვენიერებად მიგვაჩნია ის, რაც ჩვენ მოგვწონსო.

ლ. ტოლსტოა ამ განმარტებასაც კი არ ეთანხმებოდა და ამბობდა: „ხელოვნებას არ ახასიათებს არც სიამოვნება, არც მოწონება, არც მშვენიერება, არც სიკეთე, არც ქვეშაირტება, არამედ ხელოვნება არის ის, რაც გამოხატავს ახალ გრძნობას, ახალ აზრს, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს ხალხებსაო“.

რა სიამოვნებას იწვევს თვით რომანის ავტორში ის ვარჯიშობა, რომ თეგზი გაიჩხირო ლაჯებში და ქალებს უჩვენო, ისიც მეფეს თანდაწირებით? ამით ვითომ კაცობრაობა ვააერთიანა? ნუთუ აღარ არსებობს სირცხვილი? ეს და ამისთანა სცენები, რომელნიც მრავლად მოიბოგებიან კ. გამსახურდიას ნაწარმოებში, პირდაპირ შეუძლებლად ჰხდის ეს რომანი ოჯახში ხმამაღლა წააკითხო.

შეიძლება ავტორმა შემომიბრუნოს სიტყვა და, პირიქით, მე მისაყვედუროს: რა ნახე აქ ისეთი, რაც ეწინააღმდეგება სინამდვილესო.

რაც ხდება სინამდვილეში, ან რაც შეიძლება მოხდეს, ყველაფერის დახატვა ნამდვილ ხელოვანის მიზანს და ამოცანას არ შეადგენს. ვულგარული ნატურალიზმი დიდი ხანია თვით ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც უარყოფალია და ჩვენ ხომ სულ სხვა ნპოქაში ვცხოვრობთ. ჩვენ უმთავრესად ადამიანის შინაგანი ბუნება უნდა გვიანტარესებდეს რაგანი იღებებით და არა ცხოვრების წუმბე.

კიდევ ერთი მაგალითი გიორგის დასახასიათებლად. გიორგი მეფემ მოხევეებთან შებრძოლებას თავისი დედის ძმისწული ვირშელი ვერაგულად შეაქლა, რადგან შესაძლო იყო ვირშელს მეფის სატრფო შორენა ცოლად შეერთო.

ამრიგად, ეს მეფე ასეთია ხასიათით: ვითომ მეომარი და გულადი, რაც მოქმედებით არა სჩანს. ამას ავტორი გვამცნობს, ხოლო სინამდვილეში, მოქმედებით იგი არის ლოთი, ფუქაგატი, უაზროდ შებრძოლი თავის ქვეშევრდომებთან. გვირგვინოსანს არაფრად მიიჩნია ოჯახური სიწმინდე. ის

პოლიტიკურადაც ბევრია წარმართობას ვითომ ებრძვის, მაგრამ თავის უგუნურობით აძლევს ხალხს ქრისტიანობას და ისეთი შთაბეჭდილებები, თითქოს ქრისტიანობა ვერაგობა იყოს. რომანში მეფე გიორგიმ დახატულია როგორც ზნედაცემული პიროვნება, ის მართავს ორგებს და „ძროხა დედაკაცებთან“, თუ სიძვის დიაცებთან. ეძლევა მრეშობას. დიბლომატიკაში ის უსუსურია, ვერც ბიზანტიასთან გაარიგა რამე და ვერც სარკინოზებთან. ორავეს კი ახუნაღ ივღებს სიტყვიერად.

ბოლოს თვით ავტორიც ათქმევინებს:

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მტარებია.“ (გვ. 302).

თუ ხალხად სთვლის დიდოსტატს, ფარსმან-სპარს, მღვდლებსა და კათალიკოსს, მართლაც, მათი ნაკლი მეფის ნაკლიც იყო, მაგრამ თუ ხალხად ქართველობას გულისხმობს, მაშინ ავტორს ქართველობა რომანში არ უჩვენებია, გარდა ორიოდღე ლაზღანდარა გლეხისა, და ასეთი დიდი ნაკლი რომ ქართველობას მიაწეროს, ეს არ იქნება მართებული.

მეფის აღსარებაში არც ის არის სწორი და უფრო ცალსწამების შთაბეჭდილებას სტოვებს, როდესაც ამბობს:

„ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს. ჩვენში ყოველ ნაბიჯკარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქვეშის კი — სარდლობა. სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვაყვარს, მშვენიერს „უცხოს“ უწოდებდნენ, ქართულ ვარჯ თხილს და ლობიოს „ბერძნულს“ უძახიან“ (გვ. 302).

ავტორის თუ ასეთი დაკვირვებული მეფე ჰყავდა, რა გააკეთებინა ამის საწინააღმდეგო? მაგრამ ეს ავტორის სიტყვებია, თორემ მეფეს ეს რომ თავიდან შეგნებული ჰქონოდა, კადეც იმოქმედებდა ამ ბოროტებათა საწინააღმდეგოდ და მაშინ სულ სხვა რომანა გვექნებოდა. უნდა კი რა გამოჯიდა?

„ქართლის ცხოვრებაში“ დახასიათებული გიორგი მეფე „მიხვლილი მესიასა“ და „მისებრ არავინ გამოჩინებული სრული განგებითა სახელმწიფოთა“. კ. გამსახურდიას რომანში თრიაქით გაბრუებულია და ავბორცი, დარღმანდი და დებოშიორი. (სცენა ვარდისაზართან, გვ. 145, 146).

ლესინგი ამას უსაყვედურებს ყველა მწერალს, — ნუ დაარქმევენ თავის გმირს ალექსანდრე მაკედონელის სახელს, როცა იგი უბრალო კაცუნაც არ არის, ალექსანდრე დიდი კი ვიცით, ვინც იყო.

რამდენიც არ უნდა გვარწმუნოს ავტორმა, რომ მე რაინდულა ქვეყანა დაგიბატეთო, ამ აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მღუღარება ჩემი ზულისა და, გარდა ამისა, დიდი საქართველოს მშვენება განეაცხადე თანამედროვე რომანის ხერხებითო, — მაინც მე ვეტყვი, რომ მომავალში მან შეიძლება მართლაც მოგვეცეს ჩვენთვის საამაყო რომანი, ამ ნაწარმოებში კი „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“.

ბ. ბელისკი ამბობს:

„ისტორიკოსის ამოცანაა, გვათხრას, რაც იყო; პოეტის ამოცანაა, როგორ იყო. ისტორიკოსმა იცის, რაც კი იყო, მაგრამ არ იცის, როგორ იყო. პოეტისთვის საჭიროა იცოდეს, რაც იყო და ის უკვე თვით ხედავს და შეუძლიან აჩვენოს სხვებს, თუ როგორ იყო. თუ მეცნიერება პოეზიას დახმარებას უწყევს და მიუთითებს მასზე, რაც იყო, ამის შემდეგ პოეზია აფართოებს მეცნიერების საზღვრებს და აჩვენებს, თუ როგორ იყო. ყველას გაგებულ

ქონდა სალიერის ამბავი, რომ მან მოწიშლა მოცარტი შურიანობი ნიბ-
დავზე, მხოლოდ პუშკინმა განსტყვიტა ამ ამბავში ფსიქოლოგურად მსმელქ-
ნა... მან გვჩვენა არა ის, თუ ნამდვილად როგორ მოხდა ეს ~~მსტრუქის~~ ~~მსმელქ~~
მედ ის, თუ როგორ შეიძლება მომხდარიყო წარსულსა, აწმყოსა და მო-
მავალში.

პუშკინს რომ მოცარტისთვის დაეპირისპირებინა ისეთი ტიპი, როგორაც
არის ჭორიკანა ბობჩინსკი, ხოლო მას რქმეოდა სახელად სალიერი, ცხადია,
იგი სალიერი პუშკინის მიერ ყურათ მითრეული იქნებოდა და თავიდან-
მხოლოდმდე მისი მოქმედებაც ყალბი“.

კ. გამსახურდიას ხელთ აქვს ფაქტი: ის, რომ მცხეთის სვეტიცხოველი
აშენდა, რომ მის კედელზე ვილაც ოსტატის მარჯვენა არის ქვაზე ამოჭრი-
ლი. ვინ იყო ამ ქვგლის ამშენებელი? ან მისი მარჯვენას მოშურნე სა-
ლიერი?

გავარკვეით ეს საკითხი ავტორის მიერ მოცემული ფაქტებით და შემ-
დევ თვით ავტორმაც განააჯოს, თუ რამდენად შეესაბამება ან მხატვრულ,
ან ისტორიულ სინამდვილეს მის მიერ დახატული ამბავი, რამდენად შეს-
ლო მან ისტორიული ფაქტისათვის ზორცის შესხმა და ჩვენთვის თვალსა-
ჩინოდ და დამაჯერებლად წარმოსახვა.

რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“ ეწოდება. აქედან ცხადია, რომ ავტორი
რომანში მთავარ ყურადღებას აქცევს სვეტიცხოველის ოსტატობის საქმეს
და მისი ამშენებლის მარჯვენას, რომელმაც ეს ქვგლი ააგო.

არსებობს ხალხური თქმა:
„დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგია“.

შეც მეგონა რომანში ქართული მოცარტას და სალიერის ამბავი გაიშ-
ლებოდა. რომანში არის შურის ელენენტები, მაგრამ როგორ არის და ვის-
გან? ამაზე დაწერილებით შემდეგ.

ჩემი წერილი ისე არაეინ ვაიგოს, თითქოს მე ავტორს იმიტომ ვეკამათე-
ბი, რომ მას ამ ნაწარმოებში, ჩემი შეხედულებით, არა ჰყავს არც ერთი
დადებითი ტიპი და მოეითხოვ მისგან უთუოდ დადებით ტიპებს. არა, ეს
ავტორის ნებაა: თუნდაც სულ უარყოფითი სახეები მოგვტეს, მაგრამ რო-
დესაც ავტორი რომელსამე გმირს გამოჰყოფს, მას თანაუგრძნობს, როდეს-
საც მას არა ხატავს ობიექტურად და იგი თითქმის იდებლამდე აყავს; რო-
დესაც ავტორი ამ გმირის მოქმედებათ და პირით გვაშცნობს რაიმე ფილო-
სოფიას, ან შორალს, მაშინ ჩემ სიმართლესაც წინ დავახედრებ ამ ავტორს,
რადგან ვიმეორებ:

„სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

კ. გამსახურდია თავის რომანში ცოცხლად გვიხატავს ფარსმან სპარსს.
ტომით ის ალაჰმა უწყის სადაურია: იგი განსწავლულია, ნამყოფი ინდოეთ-
ში, სპარსეთში, ბიზანტიასა, იცის ყველა ენა, იცის ღვთისმეტყველება,
ასტრონომია, საწამლავების კეთებაც. უარყოფითი თვისებებითაც სავსეა
იგი, მაგრამ გიორგი მეფე მაინც მისი მფარველია, ვითომც იმიტომ, რომ მან
იცის ფოლადის წრთობის საიდუმლოება, ნამდვილად კი იმ მიზნით, რათა
შორენას მოაშოროს აღმზრდელი ვარდისაბარი და ფარსმანს შერთოს ცო-
ლად. მაშინ მეფე შორენასთან თავისუფლად ინაეარდებს. გიორგიმ ეს სასა-
ხლო მაჰანჯლობა შეასრულა და ჰგონია დიდი პოლიტიკური და სოციალუ-

რი საკითხი გადაჭრა. და, მართლაც, მაკანკლობის საქმე „მეისიის მახვილმა“ უმსხვერპლოდ და უმტკივნეულოდ დაავიჯინა.

ავტორს ფარსმან სპარსი თითქოს უარყოფათად მყავს *ბმბმბმმმმმმმმ*, მაგრამ თუ ჩაუტყვირდებით დავინახავთ, რომ მის ცრუმორწმუნეობას, მკითხაობას, „მეტყლით-მეზღაბრუობას“, ავტორი სტოვებს დიურდვევლად და მულამ მოქმედების ძალაში. საზოგადოდ, ცრუმორწმუნეობა, წინასწარმეტყველება ამ რომანში თითქმის გაიდევალეშულია და ავტორი „შეგონების“ აქსიომად ასაღებს. ამბობს, „ეროსი (სიყვარულის დერტი) მამაც მუფეებს დაალაჩრებს, ურიაქის (ობიუშის) სმასა და ლოთობას შეაჩვევს, ბოლო დიდ ოსტატებს მეჯღანე ოსტატებს დაამსგავსებს“ (გვ. 242).

თურმე ასეთი გრძნეული ვინმე ყოფილა ეროსი. ეს რომელი საუკუნის რწმენა გახლავს, რომ დღეს მისი განმტკიცება იყოს საჭირო?

ეს კიდევ არაფერი. ავტორის საყვარელ გმირს კონსტანტანე არსაკიძეს ეუბნება „ტყუარბიანი დედაკაცი“: „დღეს ნუ გაზვალ გარეთ, თორემ „ავაზას“ დღეა და უბედურება შეგემთხვევაო“. კონსტანტინე დიდოსტატი გავიდა გარეთ და მართლაც წელი მოიწყვიტა. იგი საკაცოთ მისავენეს ტყუარბიან დედაკაცთან.

ესეც არაფერი. მთავარია ფარსმან სპარსის წინასწარმეტყველებანი. ცანუ კომეტის გამოჩენა თურმე მიწისძვრის ნიშანი ყოფილა (გვ. 256). გეოლოგიური მიზეზები სრულიად მიჩქმალულია. სთქვა ფარსმან სპარსმა კომეტის გამოჩენის გამო: ხვალ მძწა იძვრისო და მართლაც ამრა. ასე მსურს კ. გამსახურდიას, და კომეტაც სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა ეს ავტორს დასქარდა: დაიზგრა მცხეთაში შენობები და დაბა-სოფლები.

ავტორი განგებ ეძებს ხერხებს, რათა ცრუმორწმუნეობას, ძველის-ძველადამიანთა გონების სიბნელეს ხორცი შეასხას და დღესაც სარწმუნო გახადოს, ასევე, როგორც ძალა შემატა ეროსს და გენეზისიც გამოენახა.

ავტორის რწმენით (გვ. 241), ვისაც ეროსი შეუღეს გულში ან, დღევანდელის გაგებით, ვისაც სიყვარული ჩაესახება, იმან უნდა დაჰკარგოს ოსტატობის უნარი, როგორც დაჰკარგა უნარა არსაკიძემ (გვ. 240) და ქვა ველარ დამორჩილა გამოსაკვეთად. ის უნდა გახდეს შარმაცი, ლოთი. მერე რატომ? იმიტომ თურმე, რომ „სიმთვრალეში მიუღდა ეროსის მამა თავის ცოლს, ნაქურდალ ნექტარით გაღემილს, ამიტომ ეროსიც სხვის საცოლეებს უთვალთვლებს ნაქურდალი ღვინისა და სიყვარულისაგან გალოთებული. ეროსი შარმაციების ღვთაებაა“, — დიდის პათოსით დაასკვნის ავტორი.

ნუთუ ასევე სწამს დღეს ავტორს, როგორც სწამდათ ეს ცრუმორწმუნეობა მრავალი საუკუნის წინად ჩვენს წელთაღრიცხვამდე? ნუთუ არ ესმის ავტორს, რომ მწერლობა გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე? ნუთუ დაავიწყდა, რომ ავტორი „სულის ინკინერიაჲ“? ნუთუ ამაში იგი რაიმე სიღამაზეს ხედავს ან რაიმე სიბრძნეს?

ბერძნებს სიყვარულზე ორთეოსისა და ევრიდიკეს ლეგენდაც აქვთ, რომლის იდეაც გრძნობას ამაღლებს და გვასწავლის სიყვარულისათვის თავდადებას. ავტორმა თავისი წიგნისთვის რაღა პირველი ლეგენდა გამოიხატა და ათა მეორე? მეტყვიან: ორთეოსის ამბავი გამსახურდიას თემას არ მიერგებოდაო. მეც მაგას ვწუხვარ, რომ მწერალი მარგალიტებს თვალს არადიბს და მდბაბლი ამბებოთ ერთობა. ასეთი შეხედულება სიყვარულზე, თითქოს

ის ხდებდეს ადამიანს ზარმაცად, მუქთახორად, ან თითქოს ია ითრეველს ლოთობა-გახრწინებებში, ან თითქოს უთვალთვალელებში, ვის, მაღალი გარდაცემის პაროს და ქურდულად ვის მოკპაროს ქალწულობა, ეს არც ბერძენების და არც სხვა კულტურული ერის ფილოსოფიაა. ეს არის მხოლოდ ნალექი გრძნობა-დაწრეტილ ადამიანებისა. პლატონი სიყვარულს მიიჩნევს აბსოლუტური სილამაზის ჰერეტიად, ხოლო შემდეგმა საუკუნეებმა პლატონის სიყვარული მიიღეს, როგორც უანგარო სიყვარული, როგორც სხვისთვის თავია განწირვა. ქრისტიანობამ სიყვარულს მაღალი შინაარსი მისცა და წარმოაშვა დანტეს ბეატრიჩე, ბრწყინვალე და თითქმის არახორციელი, პეროვანა:

შოთა რუსთაველი გვასწავლის: „სიყვარული აგვამადლებსო“. ჩვენი თანამედროვე შორალით, სიყვარული არის ქალ-ვაჟის აზრისა და გრძნობას პარამონიული შეთანხმება. კ. გამსახურდიას კი პკონია თითქოს სიყვარული კაცს ალოთებდეს, აზარმაცებდეს და ქურდულად სხვის ბაღში ამრუტებდეს.

ასეთი ცრუ რწმენა, ასეთი მარჩიელებსა და მკათხაეების, მოვევებისა და წინასწარმეტყველების ცრუმორწმუნოება, როგორსაც რომანში შემდეგ განამტკიცებს ფარსმან სპარსი, არ იყო თვით საშუალო საუკუნეებშიაე.

თქმის ასორმოცდაათი წლის წინად ლესანგი უსაყვედურებდა მწერლებს:

„მწერალი არა სწერს გადასულ ეპოქებისთვის, სადაც ბატონობდა ცრუმორწმუნოება. მწერალმა უნდა სწეროს თავის ეპოქის განათლებულ ადამიანებისათვის და ღირსად უნდა ცნოს სწეროს მხოლოდ ის, რაც ამ განათლებულ ხალხს მოეწონება და არა ის, რომ აღადგინოს ცრუმორწმუნოება, გადასული და ველური ადამი, ზნე და ჩვეულება“.

კ. გამსახურდიას კი თავის რომანში იმდენი გადასული ადამი აღუდგენია და ისეთი წარმტაცი ფერებით აღუწერია ცრუმორწმუნოებანა, რომ პირდაპირ გიკვირს.

ამის შემდეგ რა „უნივერსალური მნიშვნელობა მიერწყება“ „დიდოსტატის მარჯვენას“, როცა მსოფლიოში მისგვარი ამბები უკვე დიდხანია დაუგმიათ?

სულით და გულით მონატრული ხარ ამ რომანში შეხვედ შენაგანი ბუნებით ნათელ პიროვნებას. ეძებ იმ მთავარ გმირს, რომლის სახელწოდებასაც ატარებს წიგნი და იმ გამოჩნდება დიდოსტატი კონსტანტინე არსაკიძე, რომლის მარჯვენაც ჩვენა დროში ავტორის ამოჩუქურთმებული უნახავს სვეტიცხოვლის კედელზე. პირველიდანვე ენ ამოჩუქურთმება საუკეთო შთაბეჭდილებას სტოვებს. მეფემ დასაჯა არსაკიძე მრუშობისათვის, მოკვეთა მას მკლავი, ხოლო მეფისგან დასჯილის მარჯვენას ტაძრის კედელზე ამოჩუქურთმებას ეინდა გაბედავდა? თვით მისი მეტოქე ფარსმან სპარსი ამოფხედა ფრჩხილებით. მაშასადამე, ამ ტაძარზე გამოკვეთილი მარჯვენის ისტორია უთუოდ სხვაგვარია და სხვა საუკუნეში მომხდარი. მარჯვენის პატრონიც სულ სხვა ხასიათისა და ბუნების იქნებოდა, რაკი ასეთი ძეგლი დაუდგას.

* უთუოდ ამ ყალბი და ულოგიკო მდგომარეობაა. მაგრამ ერთა წუთით მივიღოთ ავტორის მოსაზრებანი და გავაზრჩიოთ, ვინ არის ეს დიდი ოსტატი? იგია ვინმე ლაზი, რომელმაც საბერძნეთში „სიძვის დიაცებს დაურჩია სიყვარული და ვაძარცული დაბრუნდა უცხო ქვეყნიდან“. მაშასადამე, ავტო-

რისავე განმარტებით, დიდი ოსტატი ყოფილა პიროვნება მორალურად და-
ცემული.

ავტორმა ხელოვნურად შეაფუარებინა მას შორენა. ხელოვნურად და-
გან სანამ მას ეგონა, რომ შორენას „დედამძე“ იყო, ეს სიყვარული მასში
არა სჩანდა სრულიად, ხოლო როცა ვაივო, რომ შორენა მისთვის შორეუ-
ლი ყოფილა, მაშინ წაეტიანა. მას რომ შორენა არ შეჰყვარებოდა ავტორის
კარნახათ, არც რომანი იიგებოდა და არც მეფე მოჰყვეთდა მარჯვენას
არსაკიძეს.

ბიბლიაში ასახულმა ეპიზოდმა — ღმერთთან იაკობის შეჭიდებამ მსოფ-
ლიოს მხატვრებსა და პოეტებში დიდი გამოძახილი ჰქოვა.

სასიამოვნოა, რომ ამ თემას კ. გამსახურდია ეკუთვნის. ვიფიქრე, ეგებ
ამ სიმბოლოთი მაინც მოგვითხროს ადამიანის სულის სიძლიერზე მეთქი. მი-
სი ხეროთმოძღვარიც ხატავს ადამიანის შებრძოლებას ღმერთთან. კ. გამ-
სახურდიას მსურს რაღაც სიმბოლიური მნიშვნელობა მისცეს ამ ნახატს,
მაგრამ ეს არ გამოდის. იაკობი თითქოს არსაკიძეა, ხოლო ღმერთი — კა-
თალიკოსის იერის მქონე. თუ ასეა, მაშინ უნდა სჩანდეს რომანში, რომ არ-
საკიძე თავის გარშემო არსებულ დიდ დაბრკოლებებს ებრძვის: ან რული-
ვიურს, ან პოლიტიკურს, ან ეკონომიურს. უნდა ვიფიქროთ, რომ ის იე-
ფორმატორია და თავის ეპოქაში მოწინააღმდეგე ძალასთან ისეთ ურთიერ-
ობაში იმყოფება, როგორც იაკობი ღმერთთან.

ასეთი ბრძოლა არსაკიძეს სიზმრადაც არ მოლანდებია. პირიქით, იგი
სტრეფებს ნაცარქექიას შთაბეჭდილებას, რომელიც მსუნგაია ყოველგვარ
ქალთან და არ უვადრისობს ვარდისაზარსაც შორენას აღმზარდელს. ავტო-
რი გვამცნობს: მან, არსაკიძემ, „ქედზე ხელი გადახვია, აყოცა ყვრიმალში.
ნებას დაჰყვა დიაცი, წელზე ხელი მოაქლა, მიიზიდა, თავი გადაუწია, დიდ-
ხანს, დიდხანს უწოწნიდა გოლეულივით ტკბილსა და ვნებიან ტუჩებს“. და
არსაკიძემ აისრულა წადილი. ეს ამორალური დიდოსტატი არავის იწუნებს
და თანაც გულწაკლულია, რომ ოდესღაც ვარდისაზარი ოსთა მეფის ხარკა
ყოფილა.

რამდენიმე დიალოგის შემდეგ დიდოსტატი კვლავ ეძგერება დიაცს:
„შიშველ ძუძუებზე დაუწყო ლაცინი“. დიაცი ეუბნება სხვა დროს იყოსო
და ოსტატიც უპასუხებს: „სხვა დროს მეც სხვა მომინდებო“. (გვ. 161) და
ბოლოს უზნეო ქცევით ზეიმობს დიდოსტატი. ამას სჩადის ის ოსტატი, რო-
მელიც თავის თავს ადარებს (უფრო კი ავტორი ადარებს მას) ბიბლიის ია-
კობს. ასეთ სცენას რა აქვს საერთო ხელოვნებასთან? ნუ თუ ამის შემდეგ
ავტორს თავი უნდა მოჰქონდეს, მე მსოფლიოს გაეცანი სჭარათველოს სა-
ხეო?

უმთავრესად ამგვარი უზნეო მოქმედებით ვეცნობით დიდოსტატს და ისე
გამოდის, თითქოს დიდი ოსტატი უთუოდ უზნეო უნდა იყოს და ლოთი.
ძალიან საეჭვოა, რომ ამისთანა ლოთმა, ზარმაცმა და უზნეო ადამიანმა
შექმნას რაიმე სასახლო და მოხიბველოს სახელი დიდოსტატისა. ავტორი
გვამცნობს: „რომანის ფორმებში გაეამელავე ნემი „L'art poétique“-ო.
მის მიერ გაამელავენებული შრწამსი ხელოვნებისა; კი არის ქება ზნედაცემუ-
ლობისა. ნუთუ ასეთ ტიპს შეუძლიან უკედავებასთან შერკინება ისე, რო-
გორც იაკობი შვერკინა ღმერთს?

ნუთუ მე-11 საუკუნის საქართველოში ასე წყალწაღებულნი იყვნენ მეფე

და მისი დიდებულები? *) ერთი კაცი მაინც როგორ არ მოიძებნებოდა, რომ აზრით და ყოფაქცევით ჯანსაღი ყოფილიყო?

ერთ რამეში ვეთანხმები ავტორს: „ნამდვილ ოსტატს ევალებოდა მხედრი წარმავლობის ნისლთან“, და სვეტიცხოველი მართლაც უკვდავი ძეგლია ოსტატისთვის, მაგრამ მისი ამშენებელი ყოვლად შეუძლებელია ყოფილიყო ისეთი ჭონდრის კაცი, როგორსაც გვიხატავს ავტორი. რა ვუყოთ, რომ ავტორი გვარწმუნებს: „се лев, а не собака“-ო. არსაკიძის ხასიათი და მოქმედება, მისი ზნე და აზროვნება კალაპოტიდან ამოვარდნილი კაცის შესაფერია მხოლოდ.

მას, როგორც ხუროთმოძღვარს, მიანდეს ტაძრის აგება, მაგრამ მისი ინიციატივა არაფერში სჩანს, გარდა იმისა, რომ შივა, დახედავს მშენებლობას და წავა. მონასტერს აშენებს ვინმე მოდელია. ეს ვიცი მარტო, რომ როცა არსაკიძე შორენას სიყვარულმა შეიპყრო, ე. ი. როცა მას „ეროსი ჩაუძვრა“, გალოთდა, გაზარმაცდა და ისე რიგად გამოეცალა გონიერება და შემოქმედების ძალა, რომ სატეხს ველარ იმორჩილებდა. ყველაფერი ეს, ავტორის აზრით, ამაღლებს მის მიერ დახატულ ხუროთმოძღვარს. ამ „სიმაღლეს“ ემატება ისიც, რომ იგი თურმე უდიდესი მხატვარი ყოფილა, მხატვრობაში კი მას ეროსმა თითქოს ენერგია გაუასკეცა...

ძალიან კარგია, რომ დიდოსტატს მხატვრობა სცოდნია, მაგრამ ეს ფაქტი რას ეუბნება მკითხველს ან რას ჰმატებს არსაკიძის ხასიათს? ის რომ სიმბოლიურ ხილვაში არ გადავარდნილიყო ან „მთვარეულის წიგნით“ არ გამოშტერებულყო, არამედ ყოფილიყო მართლა ჩვეულებრივი ოსტატი, ბევრს რამეს დაინახავდა მაშინდელ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაში და არ იქნებოდა მარტოოდენ შორენას „კავალერი“.

დიდი ოსტატი უნდა იყოს იმავე დროს დიდი მოქალაქეც. შეიძლება მას ზოგიერთი ნაკლიც ჰქონდეს, მაგრამ ნაკლს არ უნდა მიეცეს დომინანტური ხასიათი. არსაკიძეში ჩვენ იმდენად ხუროთმოძღვარს ვერ ვხედავთ, რამდენადაც ლოთს, ცრუმორწმუნეს ჯა უზნეო პიროვნებას.

ის რომ დიდი მოქალაქე ყოფილიყო, არ მოუნდებოდა მორიყლებისა და ობობების ჰერეტა ან მარჩიელთა სამთვარეულო წიგნებზე ბედის ამოკითხვა, არამედ, მოაელებდა რა თვალს შეფის ასე რიგად დაცემას, სამშობლოს ბედის უკუღმართობას, რამე პროტესტს განაცხადებდა და შესაძლებელია მეფეს ამის გამო დაესაჯნა. რომანის მიხედვით (კი ის ისჯება იმის გამო, რომ მეფის საყვარელს ჰყვარობს. ეს დიდი უგემურობაა და სილატაკე. მეტყვიან: რას აზობ, აგერ არსაკიძე ღმერთს შეერკინაო, განა ეს ფაქტი მის დიდ ბუნებას არ ხატავსო. გომბეშოც გაეტოლა ძევსეს, მაგრამ ვაბერვისაგან გასკდა. ღმერთთან შემბრძოლებელს პრომეთეს ძალა და დიდი ბუნება უნდა ჰქონდეს.

დიდოსტატს ხალხმა თავიდანვე მშვენიერი შეფასება მისცა: „დამიპირეს, მკლავი მომპირეს, რატომ კარგი აგიგიაო“. მაშასადამე, მთავარი აქ არის „კარგის აგებას“ ირველივ ბრძოლა. კ. გამსახურდიას რომანში ეს „კარგის აგება“ იჩქმალება და პირველ პლანზე წამოწეულია ტრფიალების ამბავი, რის გამო დიდოსტატს მეფე მარჯვენას მოსჭრის.

*) მეფის სარდლებიც კი მარტოოდენ უბში ძალის, ჯალათის მოვალეობის ბღმარულბლად გვეიღინებთან.

ცხადია, ფარსმან სპარსმა დიდოსტატს პროვოკაცია მოუწყო, მაგრამ ეს არც პროვოკაციაა, რადგან დიდოსტატს მართლაც უყვარს შორენა, გიორგი მეფის მომავალი „ხარკა“.

ასეთი ამბის დატრიალებით რა გამოდის?

მეფე ხასიათდება, როგორც უგნური, რომელსაც არ ესმის თავისი ქვეყნის ღირსება და ერთის დაჯვრით სპობს მოწინააღმდეგეს პირადი მტრობის და ქვენა გრძნობის გამო.

გიორგიმ რა გამოიძია? ნახა ქალის ქვედა საცვალი, იქნებ ეს საცვალი სულ სხვა ქალისა იყო. ამაზე არც დაფიქრებულა, და ოსტატს მარჯვენა მოსპრა. ხალხი კი ამბობს: მარჯვენა მოსპრეს, „ქარგი რად ავივიათ? და არა მეფის „ხარკა“ რატომ შეგიყვარებიათ.

ფარსმანმა სთქვა, ოსტატს სვეტიცხოველი ცუდად აუგიაო და მეფეც ვითომც „ცუდად ამგებელს“ მკლავის მოკვეთას მიუსჯის. აქ გიორგი უკვე ცრუ და უგუნური გამოდის ერთ შემთხვევაშიაც და მეორეშიაც. განა თვით ვერ პხედავს: ოსტატმა ცუდად ააგო ტამარი თუ კარგად? და რატომ მიიღებდა გიორგი თავის თაქზე ასეთს ბრალდებას? სვეტიცხოველი ხომ საკმაო საბუთი გახდებოდა მისი უგუნურობის დასამტკიცებლად მომავალ თაობათა თვალში?

ასე ათამაშებს ფარსმან სპარსი მეფეს. ეს ყოველად დაუჯერებელია.

მეორეს მხრივ, როგორ ხასიათდება დიდი ოსტატი? თითქოს ეკელიპარია კატას დანაშაულზე წაასრეს და ტუნებს ილოკავსო, თითქოს დამნაშავეა და პატიებას თხოულობს. ავტორი მეტყვის: ავად იყო, აბა მაშ რა ექნაო? ავად ავტორმა გახადა და ავტორსვე შეუძლიან თავისი გმირი მოარჩინოს და „საქმენი საგმირონი“ ჩააღენინოს. თუ ის დიდი ოსტატი იყო, ასე რიგად არ მოიქცეოდა, მისი ხასიათი სულ სხვანაირად გამოძლეანდებოდა. თუ ავტორი დაუფიქრდება, თვითვე დაგვეთანხმება ამ დებულების სისწორეში.

ვნახოთ, იქნებ ერისთავის ასული შორენა, ეს „ძუ-აფაზა“, როგორც ავტორი ეძახის, მაინც გამოდგეს და ოდნავ გული ეკინათოს. ძალიან ცდილობს ავტორი შორენას „უნივერსალი მნიშვნელობა მიუზღოს“. გარეგნულად შორენა მართლაც საუცხოვოა, მაგრამ ისევე, როგორც ზოგიერთი ღამაზი სოკო, გარეგნულად წარმტაცი, შიგნით შხამიანია და მომწამლეელი, ასევეა შორენაც. იგი თანამედროვე ბურჟუაზიული ქვეყნების კაფე-შანტანის კოკეტი ქალი უფრო არის, ვიდრე ფხოველ ერისთავის, მოხვეის ასული.

ავტორი ცდილობს გმირის შარავანდელით შემოსოს იგი, მაგრამ როცა ავტორი თავის გმირს თავიდანვე ყალბ მდგომარეობაში ჩააყენებს, მისი მოქმედება ბოლომდე ყალბი და ხელოვნური რჩება.

დავუშვათ, რომ მეფე განდგომილ თავადებს სჯის სამშობლოს დილატიკისათვის. სამშობლოს ერთგულ ადამიანს, თუნდაც დასჯილის ღვიძლი შეილი იყოს, შეიძლება შეებრალოს დასჯილი: მაგრამ იმდენი გონიერება უნდა შესწევდეს, რომ ქვეყნის მოკეთის წინააღმდეგ შურისძიება არ ჩაინერგოს გულში და ყოველ წუთს არ ეძებდეს შემთხვევას, რათა სისხლი აიღოს და მოჰკლას ქვეყნის მოამბავე. აი თავიდანვე ასეთი შურისძიებით, ასეთი დაბალი გრძნობით და აზრით არის გამსჭვალული შორენა. ის სულ იმის ცდაშია, რომ მოჰკლას მეფე გიორგი. შორენა მოლაღატე შამის გზას განავრძობს. ამის შემდეგ რაგინდ წარმტაცად აგვიწეროს ავტორმა მისი გარეგნული მშვენიერება, ის მაინც სულით და ხასიათით მანკიერი იქნება.

ლესინგი ამბობს, თუ პიროვნება ხელმძღვანელობს მარტოოდენ ვიწრო შერისძიებით, ასეთი პიროვნება მხოლოდ პირუტყვივით, და, მაშინვე მარტოოდენ პირუტყვის გრძნობა ამოქმედებს, და თუ მან გაიმარჯვებინა, და მისი „მესიის მახვილი გიორგი“, უნდა დაქუცმაცდეს საქართველო და ისევ „ადმართონ ნომოები“, რასაც დასაწყისში ავტორიც ებრძვის. რატომ მოსდის ავტორს ასეთი ულოღიკობა? მოსდის იმიტომ, რომ ის ეძებს მხოლოდ გარეგნულ ფორმას და არა შინაარსს. ქვრივი დედა შორენას ემუქრება: თმით დავითრევე, თუ მეფეს საყვარლად არ გაუზღებთ (გვ. 287) და თქვენ გგონიათ, დედა იმ მოსახრებით დავითრევეს თავის ასულს თმით, რომ რაიმე მაღალი აზრი ამოქმედებს? არა. მხოლოდ პირუტყვეული გრძნობის ასათამაშებლად. სხვა მოსაზრება რომანში არა სჩანს.

ვიფიქრე, ვგებ მელქისედეკ კათალიკოსმა შინც უშველოს ამ სოდომ-გომორის ქვეყანას მეთქი, როგორსაც გვიხატავს ავტორი გიორგის მეფობის დროს. საწყალი მოხუცი დაჩერჩეტობს მთაში და თავისდა უნებურად, საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ, შეაქვს იქ შხამი და სიკვდილი. ავტორი კი გვარწმუნებს: მელქისედეკი შალიან ჰქვიანი კათალიკოსი იყო. აქაც სიტყვა სხვაა, საქმე სხვა. მას, როგორც ყოველ ფანატიკოსს, ყველგან „შევალებლები“ ელანდება და ერთხელ არ უკითხავს (თუმცა თითქოს ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის კიდევ), რატომ აღმართეს ბომონები, რატომ არის ისეთი გახრწნილება, რომ მის მონასტერში ცამეტი წლის გოგონებს აუბატურებენ. მას მხოლოდ წამოსცდება „წყვეტა“ და თუ სადმე სადილზე მოხვდა, შემწვარ თევზს ფარულად იყრის და იყრის მუცელში.

ბიზანტიაშიაც ბრძანდებოდა, შავრამ იქიდან ოქროს ხატების მეტი არაფერი მოუტანია, ყოველ შემთხვევაში მკითხველი ვერ გაიგებს, რა გარნიგა მელქისედეკმა საქართველოსთვის ან რა წამალი დასცა მას.

როდესაც ამ რომანს კითხულობთ, თვალში გეცემათ პორნოგრაფიული ეპიზოდების სიქარბე და მაშინდელ საქართველოს წარბოიდგენთ ერთ შთლიან დიდ საროსკიბოდ. მთაში, ბარში, მცხეთაში, მოწინავე საზოგადოებაში, ტყეში ნადირიც კი სქესობრივ ეინიანობას გაუგოებია.

საქართველოს დიდკაცების ცოლებმა და ქალიშვილებმა რომ გაიგეს, დედოფალი აფხაზეთში გაემგზავრაო, გამოემურნენ მცხეთისკენ „ბუძებ-აბურთულნი, თეძობდასქელებულნი, ყინით აქშინებულნი“, და იმართება მეფის ირგვლივ პეტერების ორგია. ამის შემდეგ ავტორი კიდევ გვარწმუნებს წიგნის ბოლოსიტყვაობაში: „დიდი საქართველოს ჩვენება განვაცხადეო“.

რომანი თავდება იმით, რომ შორენა მონასტერში კლდიდან გადაიჩეხება, ამის გამო მეფე სტოვებს სახელმწიფო მართველობას და ნაცნობ გლეხებთან მიდის სახეტიალოდ. „მესიის მახვილი“ ნადირობს და მწყემსებთან ლაზღანდარობს. ერთ დღეს, ნადირობისას მათ მოჰკლეს ფურირემი. რომელიც შორენას ფურირემს ჰგავდა. დევნის დროს მეფეს „ნაწლავები გამოესკენა“ და იგი კვდება. „მომაკვდავა თავი მიადო ჯერაც მსუნთქავსა და თბილ ცხოველს, იამა მისი საამური სუნი“. (გვ. 301).

სიკვდილის ავრნიის დროს მეფე მაინც ტბება ცხოველის ლეშის საამური სუნით. ტბება, რადგან იგი ცხოველი მისი საყვარელის შორენას ფურირემს წააგავდა. მეფეს, მესიის მახვილს ესლა აკლდა, რომ სიკვდილის უკა-

ნასკნელ წუთებშიაც კი პირუტყვის თბილ ლეშთან მიწოლილწვივით და ლეშის სუნით დამტკბარიყო.

ასე აგვირგვინებს ავტორი გიორგი მეფის ცხოვრებას, როდესაც ^{ქრისტიანული} ჩინებულ იყო და მსგავსი მისი მამათა შორის არავინ არსებობდა, განთქმული სწავლითა, მეცნიერებითა და ყოვლითურთ სრული განგებითა სახელმწიფოთა“. ავტორი ამის შემდეგ ჩვენს კლასიკოსებს უსაყვედურებს, თითქოს ისინი იყვნენ: „უბიჯონები და მსოფლიო პროვინციის უნიათო მოლულდუდენი“. მაშინ, როდესაც მან რომანის ხერხებით განაცხადა უნივერსალური მნიშვნელობის საქართველოს ამბებიდან ჩვენება.

ნეტარ არიან შორწმუნენი!

რომანში ბევრია ულოგიუობა. მაგალითად:

1) თუ მართლა კონსტანტინე არსაკიძე დიდი ოსტატია იგი დიდი მოქალაქეც და დიდი პატრიოტიც უნდა იყოს. ნამდვილად კი მას არ ესმის, რას მოქმედებს ხევის ერისთავი, როდესაც ბომონებს აღმართავს. თვითონ ქრისტიანია და როგორ მოხდა, რომ აჯანყებულ ერისთავის* კარზეა შორენას ძუძუმტე და ხმას არ იღებს.

ნუთუ ამ დიდოსტატს იმდენი არ ესმის, რომ, ჯერ ერთი, ბომონები და კერპთაყვანისმცემლობა აუცი საქმე იყო მეთერთმეტე საუკუნეში და, მეორეც, მეფის წინააღმდეგ ბრძოლა სამშობლოს დაქუცმაცებას ნიშნავდა? ავტორი კი გვარწმუნებს: თავისი დიდი ბუნებით არსაკიძე ღმერთს შეერკინაო.

2) დიდოსტატი არც მაშინ იღებს ხმას, როდესაც შორენა მეფის წინააღმდეგ ხევისბერებს რაზმავს ასაჯანყებლად (გვ. 190). თუ შორენამ გაიმარჯვა, მეფეს და სამშობლოს კარგი არ დაეყრება, კვლავ ბომონებს აღადგენენ და მაშინ მის სასახელო სვეტიცხოველს, ძეგლს, რომელზედაც მისი მარჯვენა ამოიკვეთება მის უკვდავსაყოფად, ხომ ვაანადგურებენ კერპთაყვანისმცემლები?

ნუთუ არ ესმის, რომ შორენას დაწყებული საქმე იმ ტოტის მოჭრაა, რომელზედაც თითონ დიდოსტატი ზის. ხოლო თუ ეს არ ესმის, განა ასეთ კაცს ღმერთთან შებრძოლების თავი აქვს? წყრი ვერ დაუძრავს, ძელს როგორ ზიდავს? სიყვარული მართო ფიზიოლოგიური რამ ხომ არ არის. სიყვარულში სულიერი ნათესაობაც არის. ისეთ ქალს, როგორიც შორენაა, განა შეიყვარებს მართლაც დიდი ოსტატი? ფაქტიურად ისინი ხომ ერთიმეორის იდეური მოწინააღმდეგენი არიან. ავტორი კი ცდილობს მრავალ ფერებში ვადაშალოს მათი სიყვარული, რაც შეგნებულ მკითხველში დაძვეებას იწვევს.

3) „მესიის მახვილი“ მეფე, ვითომ ქრისტიანობას იცავს, ნამდვილად კი ქრისტიანობას სახელს უტეხს და თავის ქვეშევრდომებს ანადგურებს. მას წარმტაც ასულად ესახება შორენა, რომელიც სამშობლოს მოღალატე მამის გზას განაგრძობს. დიდოსტატს მეფემ თავისდა სამარცხვინოდ, მარჯვენა ნოკვეთა და მისი მარჯვენა მაინც სვეტიცხოველზეა ამოჭრილი. იმავე დიდოსტატს ეროსი ზურთომომძვრობის უნარს უქარგავს და მეჯღანეს ამსგავსებს, რაღაც სასწაულითვე იგივე ეროსი მას მხატვრობაში ენერგიას უასკეცებს. კათალიკოსი ზნეობის და სიწმინდის დამცველია, იმავე დროს მის მონასტერში უსასვო ქალწულებს აუპატიურებენ.

ჯერ კიდევ ასი წლის წინათ ბელინსკი ისტორიული რომანის ერთი ავტორის დახასიათების დროს ასეთ აზრს გამოსთქვამდა:

„ისტორიული რომანების ავტორებს ჰგონიათ, მომხდარი ამბავი თავდასასვლელით თავისთავად იმდენად საინტერესოა, რომ შეითხველს შეიპყრობს და სიამოვნებას განაცდევინებს. სიყვარულს - ამბავში ისტორიას ჩააქსოვენ, გამოიყვანენ რამდენიმე ისტორიულ პირს და ალაპარაკებენ ჭარჭილზე, სიყვარულზე, ცოლქმრობაზე. და ამ შემთხვევებს ჰგონიათ, რომ ამ მიზნისთვის მოხდა ბოროდინოს ბრძოლა და პოლტავის ომი, სწორედ ჭარბოცები არიან ასეთი შუქრლები. რომანს კითხულობ, კითხულობ და თვალები გიჭრელდება, თავბრუ გეხვევა, სულში მოწყენილებაა და თავს ეკითხები: რისთვის დაიწერა ყველაფერი ეს? ადამიანები დადიან, დაჯირითობენ, ნადირობენ, ქეიფობენ, გემრიელად მიირთმევენ, ომობენ, მიჯნურობენ და ყველაფერი ეს, ღმერთმა უწყის, რისთვის ხდება. ან კი ისინი ადამიანები არიან? არაოდეს. აჩრდილები, უკეთესი იქნება ვსთქვა, მარიონეტები. საძაგლად ნახელავნი, რომელთაც ძაღი ამოძრავებს უნიკო ჯამბაზის ხელით. არავითარი სიმართლე, არავითარი ბუნებრიობა არც ხასიათებში, არც მათს მოქმედებაში“. — დაასკვნის ბელინსკი.

ასეთი რამ არ უნდა ემართებოდეთ დღევანდელ ჩვენს შუქრებს და არც ასეთს საყვედურს უნდა იღებდნენ, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ საბჭოთა ეპოქაში და აღჭურვილნი ვართ სოციალისტური რეალიზმით, მატერიალისტური მსოფლგაგებით.

ენის შესახებ მე ბევრი არაფრის სწავლება შემიძლიან და არც შემიძლიან ვერჩიო ვისმე: ასე სწერე და არა ისე შეთქი. მაგრამ, როდესაც კითხულობ კ. გამსახურდიას რომანს, უნდა გამოვტყდე, რატომღაც თავს ძალას ვატან; რატომ უნდა ხდებოდეს ეს? მე ვფიქრობ, ეს ან იმიტომ ხდება, რომ კ. გამსახურდია წინადადებაში სიტყვებს ალაგებს დღევანდელი სალაპარაკო ქართული ენის კანონის წინააღმდეგ, ან იმიტომ, რომ მისდევს ძველ არქაულ ფორმას, რაც თანამედროვე ადამიანისთვის უკვე მიუღებელია.

ჩვენი ცხოვრება შეიცვალა, ენაც ცხოვრებას მისდევს. ცხადია, ძველებურად სიტყვების დალაგებას წინადადებაში ჩვენი ახალი ცხოვრება ვედარ შეიგუებს. რომანში ყველგან ასე არ არის, მაგრამ აქა-იქ რომ გამოერევა, ეს უფრო ძალიან აბრკოლებს მკითხველს. მაგალითად:

„ერუნი შუქი შემოადგა სარკმელებს და ძიღმა გააბა პოტიკი მიღულულ წაწამებზე ძლივს“. (გვ. 166).

ჯერ ერთი, ორი სიტყვა აქ: „ერუნი და პოტიკი“ გაუგებარია. ალბათ, საბას ლექსიკონში უნდა ვეძიოთ. და, მეორეც, ბოლოში დასმული სიტყვა „ძლივს“ ეკუთვნის ზმნას „ძლივს გააბა“ და ეს „ძლივს“ სწერია სამისიტყვის შემდეგ. არა მგონია მერჩული ასე სწერდეს, რომ ზმნას საერთავეს ორი შეტრით ამორებდეს. თუ ასეა, ძალიან დაუშავებია ქართული ენის ბუნების წინაშე და ცუდი გავლენაც მოუხდენია. რატომ უნდა კ. გამსახურდიას, რომ ჩვენ ცუდ მაგალითს მივბაძოთ? ამას არ მივაქცევდი უფრადლებას, მაგრამ ავტორი ჯიუტობს: „ჩემი რომანის მკითხველს წაკითხული უნდა,

პკონდეს მერჩული და პეტრიწიო“ (გვ. 322). ეს არ არის გასამართლებელი საბუთი.

როგორც დაადგინეს ჩვენმა ენათმეცნიერებმა, როგორც ნამედროვეობისათვის ილიამ და აკაკიმ, როგორც თვით ჩვენი ხალხიც ლაპარაკობს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, სჯობია მთელს წიგნში ჩვენც ისე ვწეროთ, და ეს არ იქნება, დამერწმუნეთ, რაიმე შედეგათი ან „უკულტურო მკითხველის მდარე გემოვნების ხარისხზე ჩამოსვლა“. თუ ზოგჯერ სადად და გასაგებ ენაზე სწერთ, ნულარ ურევთ მას პეტრიწის, მერჩულის, ან ბიბლიის მიხვეულ-მოხვეულებს. ეს ისე მოქმედობს მკითხველზე, როგორც მხედარზე ცხენის წაბორძიკება.

ძალიან კარგი საქმეა, როცა მწერალს ახალი სიტყვა შემოაქვს მწერლობაში ხალხიდან ან უძველეს დროის ხელნაწერიდან, თუ კი იმ სიტყვის შინაარსის შემცველი სხვა სიტყვა არ მოგვეპოვება. ასეთი მუშაობის დროს მწერალს დიდი სიფრთხილე მართებს. თუ იმავე შინაარსის შემცველი სიტყვები მოგვეპოვება და შინაც შემოგვაქვს ახალი, ეს არის ხელოვნურობა. მაგალითად: ნუთუ საჭიროა: იოგი, ტილო, ხვატი, ცმელი, უსიერი, სამანი, იაფუხი და სხვა, როდესაც თვითთული ამ სიტყვის შესატყვისი სამი და ოთხი სიტყვა მოგვეპოვება, ამასთან ზემორე სიტყვები არ იცის არც განსწავლულმა, არც საშუალო ინტელიგენტმა და მით უმეტეს არ იცის არც ხალხმა. ხოლო თუ რომელიმე სიტყვის გაცოცხლება სურს მწერალს, ისეთ ალაგას უნდა იხმაროს, რომ მკითხველს აღარ დააფიწყდეს და მესხიერებაში ჩაქვდოს. სხვაფრთხე შრომა უნაყოფო იქნება.

ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი უკულმა შინაარსით ხმარობს სიტყვებს. მაგალითად, „გონიო“ ტაძრის მოდელიაო. ნამდვილად კი გონიო არის ღურგლებისა და კალატოზების ხელსაწყო იარაღი, რუსულად „უკოლია“. ბოროტ სიშინელი ქარიშხალია, ავტორი კი განმარტავს — ნელ ქოლვას ნიშნავსო. ქემელი მოშუშული ქერის ფქვილია, მარილწყალში აფშრუქული. ავტორი კი გვასწავლის. შაქარლამში მოზეილილი ფქვილიაო. ავტორის განმარტებით. ტაბაკი სუფრაა. ნამდვილად კი იგი ხის ლანგარია.

არც ის არის მოსაწონი, რომ თასამედროვე ენას გვარდი აუხვიოთ და ეწეროთ ძველი ხელნაწერების მიხედვით. ევროპელებს ძველის ენით დაწერილი ბოემებზე თანამედროვე, გასაგებ ენაზე გადმოაქეთ. მაგალითად, „ტრისტან და იზოლდა“, „ნბებულნგები“, „სლოვაკო პოლკუ იგორევი“ და სხვ.

ბედნიერი ვართ „ვეფხვის-ტყაოსნით“, რომ იქ თითქმის ყველაფერი გასაგებია, როგორც უბრალო, ისე განათლებული მკითხველისათვის. და დღეს რომ ჩვენ მე-12 საუკუნის უკან დავდგეთ, ეს რა სახარბიელო იქნება მწერლისთვის?

საერთოდ, კ. გამსახურდიას ენა კარგი აქვს, რომ მოიშორებდეს ხელოვნურად არქაიზმების ხმარებას. იგი, როგორც მწერალი, თვალსაჩინო და დიდი შესაძლებლობის მქონეა, მხოლოდ ურვიო არ იქნებოდა, მომავალში ნათელ აზრს უფრო ნათლად გამოხატავდეს.

3. წულუკიძე

მ. გორაკი და სამშობლო

(გარდაცვალებიდან რვა წლისთავის გამო)

მთაწვრილი ლიტერატურის ისტორიამ იშვიათად იცის სახელი მწერლისა, რომელიც ისე ორგანიულად იყოს დაკავშირებული თავის ქვეყანასთან, მშობლიურ ხალხთან, როგორც მაქსიმ გორაკია.

გორაკი თავისი ცხოვრებით, მთელი თავისი ბიოგრაფიით, ხალხის ღრმა წიაღიდან იყო ამოზრდილი. მან პირადად განიცადა ხალხის ფართო ფენებთან კირი და ლხინი, ეზიარა მის განცდებსა და გრძნობებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს.

ჯერ კიდევ სრულიად ნორჩმა კბაუკმა დასტოვა თავისი მშობლიური ქალაქი და წაეღია სამკვლავროდ, რომ თავისი თვალთ ენახა, საკუთარი გულთ განეცადა, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი რუსეთის თვალუწვდენ სივრცეებზე.

მან ფეხით შოიარა მაგრიძობი ნაწილი თავისი ბუნებრივი სამშობლოსი და კარგად გაიცნო მეშობლეებისა და მეფის მოხელეთაგან დაჩაგრული თავისი ქვეყანა.

გორაკიმ, როგორც თავისი სამშობლოს დიდმა მწერალმა, მახვილი თვალთ განსჭვრიტა, თუ რა ძაღებს იტევს მისი ხალხი, თუ ენერჯის რა დაუღვეველა შადრევანი იფეთქებს მასში, როცა ეს ხალხი შემოიხსნის ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის მძიმე ხუნდებს. სამშობლოსადმი თავისი უსაზღვრო სიყვარული გორაკიმ გამოხატა ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროს, ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ ერთ თავის პატარა ლექსში:

„მშვენიერო ჩემო მამულო, ვაჟაკ შეილების და მამა-პაპური დიდების ძვირფასო მხარვე, იყავ მუდამ ნათელი და ბედნიერი.

შენ ძვირფასი ხარ ჩვენთვის სასიქადულო სამშობლო მხარვე, შენი ველეებით და შენი მოებით!

კრიალაა შენი და და მზიანია სახე შენი შეილების! წარმტაცია შენი დამეები და ხალხისაშენი შენი გარჯა. სწრაფად მდინარებენ შენი წყლები და გულში ჩამწვდენია მხერა შენი თვალებისა.

დიდია შენი ტანჯვა, მაგრამ დიდებული არიან შენი გმირი შვალები, ძლიერია შენი ზეცის კეკა-ქუხელი და უძლეველია შენი მხარ-მკლავები.

ასეთი ხარ შენ, ჩემო სამშობლო!

აი ეს სამშობლო, მისი, სახელოვანი წარსული და ქარიშხლიანი აწმყო მაინდა გორაკის თავისი შემოქმედების წყაროდ.

ცნობილია თუ რა დიდად აფასებდა იგი ყველა ერის და მათ წილის დიდი რუსი ხალხის ფოლკლორს, ხალხურ შემოქმედებას.

— ხალხი, — სწერდა იგი, — არა მარტო ეს ძალაა, რომელმაც ტერიტორიულ ღირებულებას ჰქმნის, იგი სულელოვანი განძეულობის ერთადერთ და დაუშრეტელი წყაროა. დროისა, სილამაზისა და შემოქმედების განიალობის მიხედვით იგი პირველი ფილოსოფოსი და პოეტიც, რომელმაც შექმნა ყველა დიდებული პოემა, დედამიწის ყველა ტრაგედია და მათ შორის უდიადესი საკაცობრიო კულტურის ისტორია.

შეგნებული ცხოვრების, ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ წლებიდანვე გორკი გულდასმით სწავლობდა ხალხური ხელოვნების სხვადასხვაგვარ ფორმებს, ხალხურ ფერწერას, ძირწვას, ქანდაკებას, უკვირდებოდა ხალხური მელოდიების თავისებურებას, მას ხიბლავდა ხალხური შემოქმედების სისადავე, ძალა, ორიგინალობა.

მას ღრმად სწამდა, რომ მწიგნობრული ლიტერატურა შეინარჩუნებდა შეუჩერებელი ზრდისა და გამდიდრების უნარს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი არ მოწყდებოდა ხალხურ წყაროს. მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების და უმნიშვნელოვანესი სახეების სათავეს გორკი ეძებდა და პოულობდა ფოლკლორში.

— თუ ამ საქმით დაინტერესდებით, — წერდა იგი, — ჩვენ აღმოვაჩინდით და გავარკვევდით, თუ როგორი იყო და არის მსოფლიო ლიტერატურა უმნიშვნელოვანესი ტიპთა შექმნის ტექნიკა. უფრო მეტი: ჩვენ ვიპოვებდით მათ პროტოტიპებს ხალხურს შემოქმედებაში. ეს კი დიდად ასწევდა ლიტერატურული ახალგაზრდობის თვალში ფოლკლორის მნიშვნელობას, აღძვრავდა მასში ზებირი ხალხური სიტყვიერების შესწავლის ინტერესს.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდად აფასებდა გორკი რუსულ ლიტერატურას, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურას. პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, ტოლსტოის, შჩეღინის, ჩხოვიის შემოქმედებითი შეფასება, მოცემული გორკის მიერ კაპრის მუშათა უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებში დარჩება ლიტერატურული მოვლენების ღრმა ანალიზის, აგრეთვე მშობლიური ლიტერატურისადმი უღრმესი სიყვარულის ნიმუშად.

თავის სამშობლოს ისტორიული და კულტურული წარსულის შესანიშნავი მკოდნე და მუდამ მის მომავალზე მზრუნავი გორკი განუყრელად დაკავშირებული იყო მის აწმყოსთან, მის დღევანდელობასთან.

გორკი შეზახარდა ჩვენი ხალხის ყოველ გამარჯვებას მეურნეობასა და კულტურის სფეროში, აღლუმებისა და დემონსტრაციების საზეიმო დღეებში იგი მიდიოდა წითელ მოედანზე, რომ დამტკბარყო ჩვენი ქვეყნის ძლევა-მოსილების ხილვით. „ასეთ შემთხვევებში, — გადმოგვცემენ მისი მეგობრები, — მას სახლში ვერ აკავებდა ვერც ზეადმოფობა ვერც უამინდობა. იგი დაუყოვნებლად ეხმარებოდა ყველაფერს, რაც კი ამაღლებდა სოციალიზმის ქვეყანას საერთაშორისო პროლეტარიატის თვალში. იგი გულწრფელად შეიმობდა ჩვენი ჭფრინაების, ჩვენი პოლიარელების, ჩვენი სტახანოველების მიერ ახალ-ახალ მსოფლიო რეკორდების დამყარების გამო“. იგი გულდასმით და გადაცაცებით თვალს ადევნებდა ჩვენს მშენებლობას და მოითხოვდა, რომ მწერლებს არ დაეზოვათ დრო და შემოქმედებითი ენერჯია სა-

მეურნეთ და კულტურის ფრონტზე ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებული ყველი წარმატების საბოლოო დანიშნულებაა. გორკას თაოსნობით დაიწყო სამშენებლო-სანიშნავი კოლექტიური წიგნი თეთრი ზღვის არხის მშენებლობის თაოსნობით და რედაქტორობით გამოდიოდა ყურნალი „ჩვენი მიღწევები“; სადაც შექმნილია გრანდიოზული მშენებლობის მიმდინარეობა ყველა სფეროში. გორკის თაოსნობით შეიქმნა საოქალაქო ომების ისტორია და საფუძველი ჩაეყარა ფაბრიკა-ქარხნებს ისტორიას; ყოველივე ამას გორკი აკეთებდა იმ მიზნით, რომ ეჩვენებია მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის, თუ რა შემოქმედებითი ძალას ამჟღავნებს მისი სამშობლო, ბორკილ-აყროლი მისი ხალხი, რომელსაც წინამძღოლობს ლენინ-სტალინის უძლეველი პარტია.

გორკის მხატვრული შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა არის სწორუბოვარი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვიყავარ, როგორ უნდა იღვწოდე და იბრძოდე სამშობლოს კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

სამწერლო სარბიელზე გამოსვლის პარველ დღიდანვე მაქსიმ გორკიმ მთელი თავისი შემოქმედება მუშათა კლასს და მისი განთავისუფლების საქმეს დაუკავშირა. მაქსიმ გორკიმ ლატერატურული მოღვაწეობა დაიწყო რუსეთის მუშათა მოძრაობის გარიყრაფზე, ვასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა მუშათა კლასის რევოლუციური შეგნება ყალაბდებოდა.

გორკი გამოვიდა თვით ხალხის წიაღიდან. გენიალური ნიჭის წყალობით, ვულვოდვინე გასუწყვეტელი მუშაობის მეოხებით, აგი მალე ვახდა დიდად პაბულარული მწერალი, რომელმაც ისე ღრმად და სისრულით გამოხატა მშრომელთა მილიონების განცდები, ფაქრები და მისწრაფებანი, რომ ამ მხრივ მას არ ჰყოლია და არც ჰყავს ბადალი. მთელი თავისი შემოქმედების თავისებურებით გორკა სრულიად ახალი მოვლენა იყო რუსულსა და მსოფლიო ლატერატურაში.

როცა გორკის პირველი ნაწარმოებები გამოქვეყნდა, რუსულ მწერლობაში ჯერ კიდევ ბატონობდა ერთის მხრავ, მეშინური ყოფის უფერული აღწერილობა. ვიწრო-კარჩაკეტილი ადამიანის მოსაწყენი თავდადასავალი, ტანჯვისა და პასიურობის ფილოსოფია, ხოლო მეორეს მხრივ — დეკადენტურ მისტიური ჩიჩრყედლობა. განმარტოვებული, თვითდახშული ინდივიდუალიზმის კულტი.

გორკიმ უკუაგლო მეშინური წრის უფერული კაცუნები და მათ ნაცულად მწერლობაში შემოიყვანა მოუსვენარი, დაუდგრომელი ადამიანები, ხოლო წერილებურეუზიულ ინდივიდუალიზმს დაუბირისპირა სოციალური გმირობის პათოსი. შეარყია რა ძველი წარმოდგენა ლიტერატურულ გმირზე, გორკიმ გეჩვენა გაბედული და ამაცი ადამიანი, რომელიც ვერ შეპტუებოდა ობავატელის ყოფას და მისისწრაფოდა თავისუფალი, შეუზღუდველი ცხოვრებისაკენ, ადამიანი, რომელიც ბოლომდე ატარებდა კაცური ღირსების გრძნობას — სიბტლვილს ბურჟუაზიულ-თავდახანურული წყობილებისადმი. გორკამ, მართალია გამოიყვანა ლიტერატურისათვის მანამდე უცნობი ეს ადამიანები, მაგრამ ისინი არ უცენია ახალი ცხოვრების წამყვან ძალად, მწერლის ყურადღება მათ მიიბყრეს მხოლოდ იმით, რომ ისინი მთელი თავისი არსებობით პროტესტს გამოსთქვამდნენ სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ.

იწყება ახალ პერიოდი გორკის შემოქმედებაში, პერიოდი, როცა გორკის მხატვრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს — წარმოგვის მხატვრობის დობრივი წინააღმდეგობანი ფართო მასშტაბით, დავიხატოს მხატვრობის ბრძოლის, კლასთა მოძრაობის პროცესები, დაგვანახოს საზოგადოებრივი ჩაჯერისა და ძალადობის კაპიტალისტური სისტემა მთელი თავისი სწინელებით.

განავრო რა რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის საუკეთესო ტრადიციები, გორკიმ ისე, როგორც არაერთ მანამდე, გაგვაცნო კაპიტალისტური რუსეთის პოლიარულობა: ერთის მხრივ კაპიტალიზმი, ბურჟუაზია, მეშინაობა, ექსპლოატატორული კლასების რღვევა, მეორეს მხრივ — მუშათა კლასი, მთელი მშრომელი ხალხი, მისი ძალა და აღმავლობა.

კაპიტალისტური წყობილება და ბურჟუაზია გვიჩვენა მრავალმა რუსმა მწერალმა, მაგრამ გორკის თავისებურება ის არის, რომ მან მხატვრული სიმართლის გამაღვივებელი ძალით დაგვანახა ბურჟუაზიის ისტორიულა გზა, კაპიტალისტური წყობილების ევოლუცია, მისი ადვილი და მნიშვნელობა, მხატვრული სახეებით გადაგვიშალა კაპიტალიზმის დაღუპვის ისტორიული აუცილებლობა, რევოლუციური კლასის პოზიციებიდან განსჯერება და წარმოგვიდგინა მან ბურჟუაზიული კულტურის რღვევის პროცესი.

რევოლუციურ მგზნებარებასთან და შეურთებლობასთან შეერთებული ისტორიული მიდგომა სინამდვილისადმი, — ან თავისება, რომელიც ანსხვევებს რუს და ევროპელ კლასიკოსებისაგან გორკის, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის მხატვარს.

ბურჟუაზიული საზოგადოების ასახვის დროს გორკისთვის მთავარ საკითხს წარმოადგენს საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობა და მათი მომავალი ბედიბალი. ადრინდელი პერიოდის ერთ თავის მთავარ ნაწარმოებში („თომა ვარდევეი“) გორკი გვიხატავს კაპიტალიზმის ზრდას და განვითარებას, მაგრამ ამავე დროს გვიჩვენებს ბურჟუაზიული წყობილების რღვევის პირველ ნიშნებსაც. ამ ნაწარმოებში გორკი გვაძლევს კაპიტალიტების მკვეთრ სახეებს. აქ ჩვენ ვხვდებით როგორც ძველი დროის პატრიარქალურ ვაჭრებს, ისე გვევრთებულა ბურჟუაზიის იდეოლოგებს. მაგრამ ამ ძველი და ახალი ბურჟუების წრეში გორკი ამჩნევს და გამოჰყოფს ისეთ აღამიანებსაც, რომელთაც ასე თუ ისე შეუგნით ექსპლოატატორული წყობილების უარყოფითა მხარეები და რომლებიც კარგად ხედავენ თავიანთი წრის აღამიანების მტაცებლობას, ზნეობრივ სიმდაბლეს და რომლებსაც ამავე დროს ჰყოფნით კიდევ გამბედაობა ამხილონ თავიანთი შამების დაცემლობა. ასეთია მაგალითად, რომანის მთავარი გმირი თომა.

ამავე თემაზე დაწერილსა და 1925 წელს გამოქვეყნებულ რომანში „არტამონოეების საქმე“, გორკი ბურჟუაზიული ოჯახის სამი თობის სახით წარმოგვიდგენს კაპიტალიზმის განვითარებისა და დაცემის სხვადასხვა საფეხურს, შესანიშნავად გვიხატავს ბურჟუაზიის პარაზიტობას, მის შემოქმედებითს უუნარობას. ეს ისტორიული უნაყოფობა ბურჟუაზიისა განსაკუთრებით მკვეთრად სჩანს არტამონოეების მესამე თობაში, რომელშიაც ბურჟუაზიულ ახალგაზრდობის გადაგვარება უკვე უშაბლეს წვრილს აღწევს.

თუ პირველი თაობის წარმომადგენელი, არტამონოვების ოჯახის პაპი გამადიდებელი გლეხი ზღია არტამონოვი იცნობდა ხალხს, თუ მანამდე უნდა საქმე უნდა ეკეთებინა, როგორ მისდგომოდა ადამიანებს, როგორ მოქმედებდა კებინა თავისი საქმეები, ილიას შვილი პეტრე უკვე აღარა მკავს მამას. იგი უნებისყოფო, გონება-შეზღუდული ადამიანია, მას არა აქვს მიდრეკილება შრომისა და გარჯისადმი, არა აქვს არც მოქმედების სტიმული. ხოლო ილიას შვილიშვილი იაკობი სრულიად უმწეო, უმაქნისი კაცია. იგი ინერციით სცხოვრობს, მასში რაიმე იდეის ნასახიც კი არ მოიპოვება. ასეთია რუსი ბურჟუაზიის ისტორია მხატვრულ სახეებში. ამავე პრობლემას ამუშებს გარკი დრამატულ ნაწარმოებებში — „ეგორ ბუღიჩევი“ — „დოსტიგაევი და ხხევი“, დიდ ეპოპეაში — „კლიმ სამგინის ცხოვრება“, რომელიც წარმოადგენს რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების ერთგვარ ენციკლოპედიას მე-19 ს. ოთხმოცაანი წლებიდან 1917 წლის რევოლუციამდე.

„თომა გორდეევისა“ და „არტამონოვების საქმისაგან“ განსხვავებით აქ ბურჟუაზია მოცემულია ყოველმხრივ, ყოველი კუთხიდან, მისი პოლიტიკური მისწრაფებებით. მხატვრული სისრულით წარის ასახული იდეური პროცესები, ბურჟუაზიული კულტურის სხვადასხვა მოვლენა, სრული სიღრმითა და სიღრმადით არის ნაჩვენები ბრძოლა საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა მიმდინარეობას შორის და ამ მიმდინარეობათა გარეგნულ სხვადასხვაობაში გამომდგენებულია გონებრივი სიღატაკე ბურჟუაზიისა.

ნაწარმოების ცენტრალურა ფაგურაა ბურჟუაზიული ინტელიგენტის თვისებათა განსაზოგადოებელი ტიპი კლიმ სამგინი, რომელსაც ბაგშობიდან თავი წარმოდგენსლი აქვს არაჩუქულებრივი საქმეებისათვის მოწოდებულ იშვიით ადამიანად. ამ მანაით შეპყრობილი იგი ყველგან დაქერება, ყველგან სურს გამოჩნდეს, თითქოს რევოლუციონერებსაც უახლოვდება, თითქოს მუშაობს კიდევ მათთან, მაგრამ ნამდვილად იგი მორალურად და იდეურად შორსა სდგას მათგან. რევოლუციონერობისადმი მიდრეკილება მასში წარმოუშვია შიშს მოახლოვებული რევოლუციის წინაშე. თავისთავზე შეყვარებულს, ყოყლოჩინა და გულცივ სამგინს არა აქვს არც ხალხის სიყვარული, არც გაბედული მოქმედების უნარი და სურვილი. მას თავი ახალი იდეების მოციქულად წარმოუდგენია, ნამდვილად სამგინი რეაქციის საქმეს აკეთებს სწორედ იმ დროს, როცა იგი რევოლუციონერთა წრეში ტრიალებს, „ოხრანკისაგან“ წინადადენას ღებულობს გახდეს მისი ჯამუშა. თვითმპყრობელობა სამგინში თავის კაცს ხედავს. სამგინის სახით გორკიმ დიდი მხატვრული სიმართლით გადაგვიშალა შინაგანი ბუნება ბურჟუაზიული ინტელიგენტისა, რომელიც სხეების თვალის ასახვევად ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, მაგრამ ნამდვილად შეპყრობილია წარმოუდგენელი გულგრილობათ საზოგადოებრივი ინტერესებისადმი.

იდეურად გაღატაკებულ და ზნეობრივად ვახრწინლ სამგინებს გორკიმ დაუპარისპირა მუშათა კლასის წიაღიდან წარმოშობილი ახალი ადამიანები, რომელნიც დიდი სიყვარულით და სიმკვეთრით გამოჩნდნენ გორკის შემოქმედების ისეთ მწვერვალში, როგორიც არის რომანი „დედა“.

ეს რომანი გვეჩვენებს რევოლუციური ძალების შეკრებისა და ღირსების პროცესს, დიდი მასობრივი მოძრაობის დაუძლეველ დაჯიშვას ზრდასა და აღმავლობას. რომანის მთავარი გმირი პავლე ელსკანოვი და მათი სხვა თანამებრძოლნი ზურგს უკან უკვე გრძნობენ ადამიანთა უამრავ მასას, რომელიც მხარს უჭერს და აძლევს მათ მებრძოლთა ახალ კადრებს. ამ ახალ ადამიანთა შორის ყველაზე მკვეთრ და ძლიერ სახეს წარმოადგენს პავლეს დედა ნილოვნა, შეგნებული ცხოვრებისათვის და მედგარი ბრძოლისათვის გატვიძებული მშრომელი ქალი. რამდენჯერაც არ უნდა წაეკითხოთ ეს რომანი, არ შეიძლება არ განვიცადოთ ღრმა მდელვარება ამ შესანიშნავი ქალის მორალური სიმტკიცის გამო, არ შეიძლება არ ავგაღვლოთ ამ ქალის სიყვარულმა შეიღისადმი, სიყვარულმა, რომელიც ამ დამბეჩალებულ, ტანჯულ და ცრუმორწმუნე ქალს ხდის ჰემშირიტ რევოლუციონერად, მუშათა საქმისათვის თავგანწირულ გმირად. დაუფიქარიო ნილოვნას წინასწარმეტყველური სიტყვები, თვითმპყრობელობის მისამართით წარმოთქმულა „სასხლში ვერ ჩაახშობთ გონებას“.

მხოლოდ ძველ ქვეყანასთან შებრძოლებას, მხოლოდ რევოლუციის შეუძლია გამოთყვანოს ხალხი ნამდვილი ცხოვრებისა და შემოქმედების ჰემშირიტ გზაზე. ეს იდეა ისმის ლეიტმოტივად გორკის ყველა ნაწარმოებში. სოციალური წინამდვილის რევოლუციურ გარდაქმნის იდეას, რწმენას ადამიანის გონების ძლიერებაში ქადაგებს გორკი მთელი თავისი შემოქმედებით. გორკის ღრმა რწმენად, ცხოვრება შემოქმედებაა. ნამდვილ შემოქმედეს წარმოადგენს კოლექტიური შრომა, მონობისა და ექსპლუატაციის ბორკილები-საგან განთავისუფლებული კაცობრიობა.

ამ იდეების მხატვრული განსახიერებით გორკიმ საფუძველი ჩაუყარა სოციალისტური რეალიზმის მწერლობას.

თავისი ცხოვრებით, ბრძოლითა და შემოქმედებით სამშობლოსთან და მშრომელ ხალხთან დაკავშირებულ მაქსიმ გორკის ღრმად აფასებენ და დიდად პატივს აცემენ პროლეტარიატის დიდი ბელადები — ლენინი და სტალინი.

„გორკი უდიდესი მხატვრული ნიჭია, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა და მოუტანს მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას“ —-ო სწერდა ლენინი.

ყველას ახსოვს ამხანაგ მოლოტოვის სიტყვებიც, გორკის დაბრძოლის დღეს წარმოთქმული: „თავისი გავლენის ძალით რუსულ მწერლობაზე გორკი გვერდში უდგას იმეთ გიგანტებს, როგორც არიან პუშკინი, გოგოლი, ტოლსტოი, როგორც მა-ი დიდი ტრადიციების საუკეთესო გამრძობი ჩვენს დროში. გორკის მხატვრული სიტყვის გავლენა ჩვენზე რევოლუციის ბედზე უფრო უშუალოა და ძლიერი, ვიდრე სხვა რომელიმე ჩვენი მწერლის გავლენა. სწორედ ამიტომ წარმოადგენს გორკი პროლეტარული სოციალისტური მწერლობის ფუძემდებელს“.

გორკის მგზნებარე და მდელვარე სიტყვა მუდამ ძვირფასი იქნება კაცობრიობისათვის. მის წიგნებს მუდამ ალტაცებით და ღრმა სიყვარულით წაიკითხავენ კომუნისტური საზოგადოების ადამიანები.

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი და მთელი მოწინავე კაცობრიობა გმირულ ბრძოლას ეწევა პიტლერულ-ფაშისტური გერმანიის საბოლოო მსხვერპლ-ბისტვის, — მთელი თავისი სიდიადით სდგას ჩვენ წინ ბუმბერაზი ფიგურა მაქსიმ გორკისა; უფრო მეტეორად, ვიდრე ოდესმე, მოგვესმის მისი მომწოდებელი სმა; უფრო ცხოვლად და მწვავედ ვგრძნობთ მთელი მისი ცხოვრების მიზანსწრაფვას, სამშობლოსადმი მისი უსაზღვრო სიყვარულის და მსახურების მაღალ პათოსს; ვანეცილით მის დაუცხრომელ, შეუწელებელ სიძულვილს მილიონების სისხლში ამოსვრილ, გაცოფებულ ფაშისზისადმი. ჩვენი დროის უდიდესი ჰუმანისტის მგზნებარე სიტყვით შთაგონებული საბჭოთა ხალხი, მისი მაჰაცი არმია დაუნდობლად მუსრავს კაცობრიობისა და კულტურის მოსისხლე მტერს, გაანადგურებს და საბოლოოდ მოსპობს მას.

არც ერთს დიდ მწერალს მსოფლიოში არ მოუცია ისეთი ზუსტი და ამომწურავი დახასიათება და მხილება ფაშისზის განზრახვებისა, ამორალობისა და გელურობისა, როგორც მოგვცა გორკიმ 1932—1936 წლებში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებსა და სიტყვიერ გამოსვლებში.

მაგრამ გორკის არა მარტო უკანასკნელი წლების პუბლიცისტკა, — არამედ მთელი მისი მხატვრული შემოქმედება წარმოადგენს განუწყვეტელ მხილებას იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისა, იმ უკულმართი ცხოვრებისა და იდეოლოგიისა, რომელმაც თანამედროვე ფაშისში წარმოშვა. ახალგაზრდა გორკის ადრინდელი ნაწარმოებები მაღალათეტიური, დიდი ჰუმანიური იდეებით ანთებული პოლემიკა ბურჟუაზიის, პირველ ყოვლისა გერმანული იუნკრული ბურჟუაზიის, ღვარძლიანობასა და კაცთმოძულეობასთან, ცხოდნ მკვეთრი გამოხატულება რომ ჰპოვა ნიცშეს „ფელოსოფიაში“, რაც პიტლერულებს თავიანთი „იდეოლოგიის“ სბთავედ მიაჩნიათ.

პუბლიცისტური მოღვაწეობისა და ლიტერატურული შენაგმედების პირველ წლებიდანვე მაქსიმ გორკიმ გამანადგურებელი იერიში მიიტანა ფაშისზის ამ შამამთავრის წინააღმდეგ.

გაძლიერებული მუშაობა მოძრაობას წინააღმდეგ განაღებელი ბრძოლის იდეურ შთაგონებლად ბურჟუაზიამ ნიცშე გამოიყვანა. პრუსიელი იუნკრების და ფანანსიური კაპიტალის მაგნატების დაკვეთით ნიცშემ უკუაგდო წინანდელი ბურჟუაზიული ჰუმანისტური ფრანკოლოგა და ბურჟუაზიული დემოკრატიას ყველა ტრადიცია.

იწყებოდა იმპერიალიზმის ეპოქა, საერთაშორისო ომებისა და რევოლუციების ეპოქა; ახლოვდებოდა ორი სამყაროს გადაწყვეტი შეტაკება. ორივე ბანაკი განსაკუთრებული სამწვავეით გრძნობდა ძალთა დაბირისპირების საჭიროებას. ისტორიის თავდაღმართზე დაქანებულ ბურჟუაზიის გაძლიერებული მუშაობა რევოლუციური მოძრაობისათვის არაფერი შეეძლო დაეპირისპირებია, გარღა ფიზიკური ძალისა, გარღა შიშველა ძალადობისა. ეს კარგად და ზედმიწევნით გაიგო ნიცშემ და ამ ისტორიული ფაქტიდან სათანადო დასკვნა გამოიტანა. მან იკისრა ბურჟუაზიის „ძლიერი ადამიანების“ აღმზრდელის როლი, აშკარად წინ წამოსწია „ქერათმიანი ნადირის“, ესე იგი მონათმფლობელის, კოლონიზატორის, დამპყრობელის, კონკვესტადორის იდეალი, იდეალი „ზეკაცისა“, რომელიც უარს აცხადებდა ჰუმანიზმის ყოველგვარ ნაშთზე, ყოველგვარ ადამიანობაზე.

ბურჯუაზიის მიერ ჰუმანიზმის წინააღმდეგ აშკარა ომის გამოცხადებას მშრომელმა კაცობრიობამ, რუსეთის მებრძოლმა პროლეტარატმა გრანდიოზული ფიგურით უპასუხა; გორკიმ აღმართა ადამიანთა ადამიანობის საფუძვლები, ახალ საფუძველზე აღადგინა ნამდვილი ჰუმანიზმის ტრადიციები ლატერატურაში.

ბურჯუაზიული სამყაროს მხეცურ ძალას, რომელიც შემდგომში მსოფლიოს ფაშაზმის სახით მრეეღონა, მშრომელმა კაცობრიობამ დაუბრისბინა ახალი სოციალისტური ჰუმანიზმი, განუყრელი და განუშორებელი ბრძოლისაგან, რომელიც ზრდის ახალ ადამიანებს, ძლიერ, უშაშარ, შეუბოვარ ადამიანებს, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება უბრძოლველად, ადამიანებს, რომლებმაც იციან, რა არის ძალა და რომელთაც სწადიათ კიდევ იყვნენ ძლიერნი.

ფაშაზმის მოციქული ნიცშე ეტბნებოდა „ძლიერთ“ ამა ქვეყნისას, — „ხელი ჰქარ უღონოსა და წაბორძიკებულს“. გორკი ეტბნებოდა „უღონოს“: „ხელი ჰქარ ძლიერსა და დაინახავ, რომ იგი უძლურია, შეიცნე შენი ძალა და ძლიერი იქნებიო“. თავის საუბრებში, „ხელობის შესახებ“ გორკმ სწერდა, რომ ნიცშეანურ პრინციპს „ხელი ჰქარ წაბორძიკებულს“ მე ვუპირისპირებ პრინციპს — „ხელი გაუწოდე ვესზე წამომდგარს“.

ამწერლო სარბიელზე გამოსვლის პირველ წლებიდანვე გორკი ებრძოდა ანტი-ჰუმანიტურ ტენდენციებს ლატერატურასა და ფილოსოფიაში. ჯერ კიდევ თავის ადრანდელ შესანიშნავ მოთხრობაში „მოხუცი იზერგილი“ გორკიმ ამხილა და შეაჩვენა ინდივიდუალიზმი, ბურჯუაზიული კაცთმოდულება, ნიცშეანური „ზეაკობა“, რომელსაც ამ მოთხრობაში ანსახეურებს. ბნელი ინსტინქტებით შებყრობილი ნამდვილი მტაცებელი ლარა. ლარას გორკი უბრისპირებს ჭეშმარიტი ადამიანობის განმასახიერებელ ტბუქს დანკოს. ორიგენი, ლარაც და დანკოც, ძლიერნი არიან, მაგრამ დანკოს ძალა ადამიანებისადმი სიყვარულიდან გამომდინარეობს, ლარას ძალა კი მტაცებელი ნადირის ძალაა. „ზეაკურა“ განდგომილება, უფრო სწორად, — გარყრობა, რომელსაც უმღერას ნიცშე, მოხუცი იზერგილის ზღაპარში სისტეკად ისჯება.

ურყვევი რწმენა ადამიანის მატალ-მორალურ თვისებებში და ადამიანებისადმი მხურვალე სიყვარული გამოსჭვივას გორკის მოთხრობებში, არა მარტო კვაბუი დანკო, არამედ ჩელკაში და გორკის მოთხრობების სხვა გმირებიც, ყურადღებას იპყრობენ ახალი მორალით, თავისი ჭეშმარიტი ადამიანური ბუნებით, რომელიც ვერ ეგუება კაცთმომიობას და კაცთმოდულებას, მაგრამ დანკო, ჩელკაში და სხვები მხოლოდ ცალკეული ბუნტარები და პროტესტანტები არიან, ისინი როდი გამოდგებოდნენ იმ დიდი მისიის შემნრულებელ ძალად, რომელიც შემდეგ რევოლუციურმა პროლეტარიატმა იცისრა. მაშინ გორკის არ შეეძლო წინ წამოეწია ისეთი გმირი, რომლის უკანაც მკითხველი მასების მოძრაობას იგრძნობდა.

თავისი შემოკმედების მეორე ეტაბზე გორკიმ სინამდვილეში დაიანახა და მხატვრულად განასახიერა მთელი პლეადა ადამიანებისა, რომელთაც შეეძლოთ გამკლავებოდნენ, გასძლლოდნენ და მეთაურობა გაეწიათ მშრომელთა გრანდიოზული ბრძოლისათვის ძველი სამყაროს წინააღმდეგ. ეს ძალა

შეგნებული რევოლუციური პროლეტარიატი იყო. ამ ძალის წარმომავლენელია ნილი (პიესა „მეშინები“), ნილი, რომელიც არის არა მწერლის მხედრობის ნიით შექმნილი რომანტიული იდეალი, არამედ რეალურად არსებული ერთი ადამიანი.

დიდმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ თავის მოთხრობებსა და რომანებში მოგვცა არა ერთი და ორი წარმტაც სახე რევოლუციონერი მებრძოლისა. გორკის საყოველთაოდ ცნობილი და საყვარელი გმირები პავლე ვლასოვი, ნილოვნი, კულტუზოვი ბოლშევიკურა ტიპის ადამიანთა წინამორბედნი არიან. ეს სახეები ზრდიდნენ ფაშისმის წინააღმდეგ მებრძოლ დღევანდელ თაობას; ისინი წარგავდნენ პროლეტარულ ახალგაზრდობაში მუშათა საქმიანობას, სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის ტრადიციებს, ზღბოდნენ მათთვის მისაბამ და წამახალისებელ მგაღათად. დიდ შემოქმედს გორკის ღრმად სწამდა დაუსრეტელი შესაძლებლობა დიდი რუსი ხალხისა, რომელმაც კაცობრიობის დიად განმათავისუფლებელ მოძრაობას მისცა აზრისა და საქმის გიგანტები, ადამიანები, რომელთა შორის პირველ ადგილს გორკა ვლადიმერ ილიას-ზე ღუნინს აკეთვნებდა.

გორკის თავას წარმოშობ რუს ხალხზე ნაკლებ არ უყვარდა საბჭოთა კავშირის—დიდ ოჯახში შემავალი მომე ურები. მას სწამდა ამ ოჯახში გაერთიანებულ ხალხთა უძლეველი ძალა, მიიჩნდა იგი შემოქმედებათი ენერჯის დაუსრეტელ წყაროდ.

დიდ ჰუმანისტს და კაცობრიობის მეგობარს გორკის ეზაზღებოდა ფაშისტი მანიაკების რასობრივი „თეორია“. მათი მოძღვრება „მსოფლიო ბატონობაზე“, მათი მტაცებლური მგლური განონი, რომელიც ადამიანებს ჰყოფს დაბალ და მაღალ რასებად—გერმანულ ბატონებად და არაგერმანულ მონებად.

თავისუფალი შემოქმედი ადამიანის დიდმა მომღერალმა სამარცხვინო ბოძე გააკრა ფაშისმი. რომელსაც ხალხებისათვის მოჰქონდა ჩაგვრა, შიმშილი, კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი გაჭირება და უბედურება. გორკი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ფაშისტები ამზადებდნენ საერთაშორისო ხოცვა-გლეტას, იმ მიზნით, რომ დაეპყროთ და დაემონებიათ ყველა არაგერმანული-ერი.

დიდმა მწერალმა იცოდა, რომ ფაშისტებს შეეძლოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დამძრათ თავიანთი ურდოები.

გერმანული ფაშისტების დამაშაულებრივი, ნამდვილი ყაჩაღური პრაქტიკის ცალკეული ფაქტების მიხედვით გორკიმ უკრ კიდევ 1933 წელს იწინასწარმეტყველა: „ფაშისტებს არ შეუძლიან არსებობა ისე, თუ ხალხების მასობრივ განადგურებას არ მოაწყობენ. ისინი მუშათა მასებას პროფესიული მკვლელები არიან, ცნობილია, რომ ჩვენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ადამიანები, ზელს ვუშლით მსოფლიო მძარცველებისა და მკვლელების ერთი მუტა ხროვის ცხოვრებას და ამიტომ ამ ხროვას ძალიან სწავლიან ნაწილობრივად მოგვსბონ, ნაწილობრივად მონებად გაგვახადონ“.

დიდმა მწერალმა განსჭვრიტა პიტლერელთა ეს მხეცობა, რომელიც საბჭოთა მიწა-წყალზე ჩაიდინეს ფაშისტმა კანიალებმა და რომელმაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. გორკი სწერდა: „უკვე დროა შევავნოთ, რომ ფაშისმი არის ავადმყოფი, სულთმობრძავე კლასის საღიზმი. ფაშისტები

მხეცებზე უფრო სისხლხარბია არიან, მაგრამ უფრო მსდღლნი და გმიშარნი, ვიდრე მხეცები“. არ არის დანაშაული, არ არის ბოროტება, არ არის მხეცედაც უარი სთქვენ ფაშისტებმაო, — ამბობდა გორკი.

გორკი იკვირვებოდა მტრის განადგურებისაკენ, წმინდა შურისგებისაკენ. „საქმე მართო ის კი არ არის — დავარწმუნოთ მხეცი, ლმობიერად პოეპყრას აღამიანს, რომელიც მას კლანჭებში ჩაუვარდება, — ბრამედ ის, რომ თათან ერთად წავვლიჯოთ ამ მხეცს კლანჭებიანი თათები“. მტერი განწიზულია და დაიღუპება მით უფრო მალე, რაც უფრო გიფურია და უმსგავსო იქნება მისი დაუცხრომელი სისხლისმოყვარეობა. ამასთან დიდი ჰუმანისტი გვაფრთხილებდა, რომ ფაშისტის წასვლა ისტორიას სარბიელიდან თავის თავად არ მოხდება, რომ ეს დიდი საქმე უნდა იქნას საბჭოთა ხალხმა, მისმა წითელმა არმიამ. გორკის სწუერთოდა მოსწრე და იმ დროს, როცა მოწინავე კაცობრიობა, ჩვენი ხალხის წინამძღოლობა, მტერად აქცევედა სისხლიან ფაშისტს, როცა დაპყრავდა გამარჯვების საათი და მსოფლიო ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდებოდა ჰიტლერიზმის შხამიანი კოშმარისაგან.

შორს აღარ არის ეს დროც: ჩვენი გმირული წითელი არმია, გენიალური მხედართმთავრის, ი. სტალინის ხელმძღვანელობით, უკვე საბოლოოდ ანადგურებს ფაშისტურ მხეცს მის საკუთარ ბუნავში.

აკ. ჟაღავა

ანტონ ჩეხოვი და მოსკოვის სამხატვრო თეატრი

ანტონ ჩეხოვი მოსკოვის სამხატვრო თეატრისათვის იგივე იყო, რაც „გლოზუსისათვის“ შექსპირი, მარეს თეატრისათვის — კორნელი, ბურგონთა ოტელისათვის — რასინი, რასინის თეატრისათვის — მოლიერი, მოდებავისთვის — გოლდონი, მცირე თეატრისათვის — ა. ოსტროვსკი, ქართული თეატრისათვის — გ. ერისთავა და ა. ცაგარელი.

საკუთარი დრამატურგის თანამშრომლობა თეატრთან, როდესაც მთ ერთმანეთის სულსკვეთება ესმით, დიდი ბედნიერებაა და უმჯობესი წარმატების საწინდარი.

ანტონ ჩეხოვი დრამატურგიულ ასპარეზზე უფრო ადრე გამოვიდა, ვიდრე მოსკოვის სამხატვრო თეატრი დაარსდებოდა, მაგრამ ყოველი მისი გამოსვლა მარცხით დამთავრდა.

მოსკოვის სამხატვრო თეატრამდე ჩეხოვმა სამი ჩავარდნა განიცადა. პირველი — მოსკოვში, კორნის თეატრში, 1888 წლის დამლევს, როცა ამ თეატრში მისი „ივანოვი“ დაიდგა. შემდეგ (1889) წელს „ივანოვის“ ავტორი ერთხელ კიდევ დასთანხმდა დაედგათ იმავე მოსკოვში ქ-ნ აბრამოვას თეატრში (შემდეგ იქ ნეზლომბინის თეატრი იყო, ამჟამად-კი დიდი თეატრის ფილიალია) მეორე მისი პიესა „ძია ვანო“ (პირველი რედაქცია „ტვის კაცის“ სახელწოდებით), მაგრამ ეს ცდაც მარცხით დამთავრდა. მარცხი განიცადა აგრეთვე ჩეხოვის პიესამ „თოლიამ“ მაშინდელ ავტორბურგის ალექსანდრეს სახელობის თეატრის სცენაზე. „აჰ, რატომ ვწერდი პიესებს და არა მოთხრობებს! — ამოიკენესა ჩეხოვმა რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთ წერილში. — დაიკარგა უყვეტი, დაიკარგა ტყუილუბრალოდ, სკანდალით, უშედეგოდ“.

ყველა შემოსვენებული მარცხის შემდეგ, ჩეხოვი დარცხენილი, შეშფოთებული და გულგატეხილი მილიონ შინ, მაგრამ შინაგანი რწმენა მიიწვ უკარნახვბდა, რომ ის მართალი იყო. „ჩემს გამიერებს, — სწერდა ჩეხოვი მეორე წერილში, — რაც არ უნდა იყოს, რუსულ ლიტერატურაში ახალ მოვლენად და ხელშეუხებლად ვივლი“. „პიესა ცუდია, მაგრამ ადამიანები ცოცხალნი და არა შეთხზულნი არიან“, — უმატებს ჩეხოვი იქვე.

„ველოლიავუბოდი თავხედ ოცნებას — შემეჯამებინა ყოველივე, რაც დღემდე დაწერილა მოწოდუნე და კავშით შეპყრობილ ადამიანთა შესახებ და ჩემი „ივანოვი“ დამედო ზღვარი ასეთი ნაწერებისათვის. მინდოდა მერცხენებინა, რომ ყველა რუს ბელეტრისტა და დრამატურგს სწყუ-

როლა სეველიანა აღამიანის ასახვა, შოლოდ ისინი ინსტინქტით სწავლენ, არა ჰქონდათ მათ გარკვეული სახეები და შეხედულება საქმეზე „საქმეზე-ზრახვა-ეი ნიშანში მოხელა“, — აღიარებს ჩეხოვი.

„სინიდის ძველ გულწრფელად გეუბნებით: ეს აღამიანები (ლაპარაკია ივანოვისა და ექიმ ლვოვის შესახებ) ჩემს თავში არ დაბადებულან ზღვის ქაღიდან ან წინასწარ აკვიატებული იდეებიდან, მშრალი გონებიდან, შემთხვევით. ისინი ცხოვრებაზე დაკვირვებისა და შესწავლის შედეგს წარმოადგენენ, ისინი ჩემს ტვინში დგანან და ვგონობ, რომ ერთი სანტიმეტრითაც არ მიცრუენია, ოდნავაც არ დამიტანებია ჰქუისთვის ძალა“, — გვეუბნება ჩეხოვი.

იმევე დროს ფართო საზოგადოება, რომელსაც უყვარდა ჩეხოვი-ნოველისტი, წარბად ეტანებოდა მის ბელეტრისტიკას და მისი ავტორი „თელიას“ მიაჩნდა. შოლოდ როცა ჩეხოვსა და მის მოტრფიალეთა შორის ძველი თეატრი დგებოდა, იგივე საზოგადოება უკმაყოფილო რჩებოდა ჩეხოვით, ვერ გაეგო. — რას ამბობდა იგი თავისი პიესებით, ღერა გრძნობდა ჩეხოვის პიესებში ჩაქსოვილ სილამაზეს. ამ სილამაზეს ჩეხოვის პიესების მიმწოდებელი, იმ დროინდელი რუსული თეატრი არ განიცდიდა. ამიტომ იყო, რომ იგივე საზოგადოება ზურგს აქცევდა ჩეხოვს, როგორც დრამატურგს. მისი პიესის გმირები, როგორც თვითონ ჩეხოვი აღიარებს ერთ-ერთ წერილში, „იდიოტებად“ მიაჩნდა, ბოლო პიესა (იგულისხმება „თოლიას“) „არაჰქვიანურ, გაუგებარ, უაზრო“ ნაწარმოებად, და ავტორი თეატრიდან ღრმად შეურაცხყოფილი მიდიოდა.

„თოლიას“ პრემიერაზე დამსწრე საზოგადოებამ სრულიად გულგრილად მიიღო პიესა, იცინოდა შეუფერებელ ადგილებში, მოწყენილი იჯდა და ავტორს ლანძღავდა. ჩეხოვი, რასაკვირველია, ნრვიერად სწერს მოთხრობებს, მაგრამ იგი სრულიად არ არის დრამატურგი და ტყუილად მიძვრება სცენაზე, — ამბობდნენ მისი მოტრფიალენი.

ასეთი იყო მდგომარეობა შანამდე, სანამ მოსკოვის სამხატვრო თეატრი გამოავლენდა ჩეხოვს, როგორც დრამატურგს.

მუხედავად ყოველივე ზემოსხენებულისა, მაშინდელ რუსულ საზოგადოებაში მარცხ იყვნენ ერთგულები, რომელთაც სწამდათ ჩეხოვი, როგორც დრამატურგი. მათ რიცხვს ეკუთვნოდა სამხატვრო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი ელ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, რომელიც სწერდა ა. ჩეხოვის „თოლიას“ შესახებ: „ეს არის ნამდვილი აღმასი, სიამაყე რუსული დრამატურგიისა“-ო.

თუ ნემიროვიჩ-დანჩენკო ასე აღასებდა ჩეხოვს, ჩეხოვიც არა ნაკლებ თავყანისმცემელი იყო ნემიროვიჩისა და სტანისლავსკის ინდივიტით შექმნილი თეატრისა. ჩეხოვმა სამხატვრო თეატრე გაიციო აღ. ტოლსტოის პიესის „შეფე თევდორე იოანეს-ძის“ რეპეტიციების დროს. თეატრის მუშაობით აღტაცებული ჩეხოვი იალტიდან, სადაც იგი ავადმყოფობის გამო ცბურობდა, სწერდა თეატრის ზელმძღვანელს: „სამხატვრო თეატრისათვის ფურცელია იმ წიგნისა, რომელიც ოდესმე დიწერება თანამედროვე რუსული თეატრის შესახებ. ეს თეატრი შენი სიამაყეა და იგი ერთადერთი თეატრია, რომელიც შე მიყვარს“.

ასეთი ურთიერთობის ნიადაგზე კბოვეს თეატრმა და ავტორმა ის საერთო ენა, რომელმაც როგორც ერთი, ისე მეორე დიდად ასახელა და მართ-

ლაც ბრწყინვალე ფორცელი ჩააწერინა მათ რუსული თეატრის ისტორიაში. ჩეხოვის პიესა „თოლია“ ვლ. ნემეროვიჩ-დნჩენკოს ინიციატივით დაეინებინათ იქნა შეტანილი მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეპერტუარში. სტანისლავსკი თავდაპირველად ვერ ჩასწვდა ავტორის სულსიკეთებას, მაგრამ რაც დრო გადიოდა და სწავლობდა პიესას, მით უფრო იზიბლებოდა მით. ბოლოს „თოლიასაგან“ მან, ნემეროვიჩ-დნჩენკოსთან ერთად, მომზიბლავი სპექტაკლი შექმნა.

ამ სპექტაკლით მოსკოვის სამხ. თეატრმა ერთი დაკვრით მოუღო ბოლო იმ შეხედულებას, რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი, და ჩეხოვი დაუბრუნა რუსულ თეატრს, თვით ჩეხოვსაც, როგორც დრამატურგს, აღუდგინა თავისი თავის რწმენა. ხსენებულმა თეატრმა შეიტანა ახალი სიცოცხლე მცენახუ, ისევე, როგორც დრამატურგმა ჩეხოვმა ეს სიცოცხლე ახლებურად გამოავლინა.

იმავე სპექტაკლმა საბოლოო გამარჯვება და საყოველთაო აღიარება მოუპოვა მოსკოვის სამხატვრო თეატრს. იგი თეატრის სიმბოლოდ გადაიქცა და მის ფარდასა და საბუთებზე „თოლიას“ გამოსახულება გაჩნდა. „თოლია“ მოსკოვის სამხ. თეატრში პირველად 1898 წლის 17 დეკემბერს დაიდგა 26 რეპეტიციით და მომდევნო წლებში 63-ჯერ იქნა წარმოდგენილი.

შემდეგი პიესა ჩეხოვისა, რომელიც სამხ. თეატრმა 1899 წლის 26 ოქტომბერს განასახიერა, იყო „ძია ვანო“. ეს პიესა ხსენებული თეატრის არსებობის 39 წლის მანძილზე 316-ჯერ იქნა წარმოდგენილი. დაახლოებით წელიწად-ნახევრას შემდეგ, 1901 წლის 31 იანვარს, მოსკოვის სამხ. თეატრმა საზოგადოებას უჩვენა ანტ. ჩეხოვის შესამე პიესა „სამი და“, რომელიც 37 წლის განმავლობაში 299-ჯერ იქნა წარმოდგენილი. სამი წლის შემდეგ, სახელდობრ 1904 წლის 17 იანვარს, იმავე თეატრმა წარმოადგინა ანტ. ჩეხოვის მიერ სპეციალურად ამ თეატრისთვის დაწერილი „აღუბლის ბალი“, რომელსაც ჩეხოვს სპეცებიდან ყველაზე მეტი წარმატება ხვდა წილად. 34 წლის განმავლობაში იგი 757-ჯერ იქნა წარმოდგენილი.

„აღუბლის ბალი“, გედის უკანასკნელი სიმღერა ჩეხოვისა, ახალი დრამატურგიული ხელოვნების შედევრს წარმოადგენს, როგორც ამას ცნობილი ინგლისელი დრამატურგი ჯონ პრისტლიც ადასტურებს. „აღუბლის ბალი“, ავტორის მიერ გამოქვეყნებული, უნაზესი სოციალური ლირიული დრამაა, სადაც ძველი ფეოდალური რუსეთის რღვევა იშვიათი ნიუანსებით არის ჩვენს თვალწინ გადაშლილი. იმავე დროს ჩეხოვი ხსენებულ პიესაში ახალი ცხოვრების მეზობლედ გვევლინება. თუ მის წინანდელ პიესებში მომჭმედი პირები ოცნებობდნენ მომავალ ცხოვრებაზე, სწყუროდათ ახალი ცხოვრება, „აღუბლის ბალის“ ახალი თაობა პეტია ტროფიმოვისა და ანია რანევსკაიას სახით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძველ ცხოვრებას ბოლო მოეღო და ახალი მოდის. „შშვილობით ძველო ცხოვრებაე, გაუმარჯოს ახალ ცხოვრებას“, — ამბობენ ისინი და ხელი-ხელ ჩაიკიდებულნი მიდიან ამ ახალი ცხოვრების შესახვედრად.

ჩეხოვი, თავის გმირებთან ერთად, დარწმუნებული იყო, რომ მის საყვარელ რუსეთში ახალი ცხოვრება გაიმარჯვებდა. და ეს რწმენა მათ საყვებით გაუმართლდათ.

როგორც ჩეხოვის, ისე მოსკოვის სამხ. თეატრის მნიშვნელობა და გავლენა სტილდება რუსეთის საზღვრებს, ამას აღიარებენ დასავლეთ-ევროპის

მოწინავე ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორც არჩან პრისტლი და ბერნარდ შოუ. ამასვე ცხადყოფს ყველას მიერ ყველაზე-ღირსეულად მიჩნეული ტრიუმფალური სელა მოსკოვის სამხატვრო თეატრისა და მსხვერპლთა მკვლელობისა და ამერიკაში, ჩეხოვისა და რუსული კულტურის სხვა გიგანტების (ტოლსტოი, გორკი, დოსტოევსკი, ტურგენევი) პიესებისა და ინსცენირებათაგან შედგენილი რეპერტუარით და უმაღლესი საინსახობო ოატატრით.

კ. სტანისლავსკის მიერ შექმნილი სახეები (ასტროვი, ვერშინინი, გაევი), ვ. კახლოვის ტუზენბახი და პეტია ტროფიმოვი, ი. მოსკოვის ეპიზოდოვი, არტიომის ტელეგინი და ფირსი, ლეონილოვის ლოპახინი, კნიპერ-ჩეხივას მანა და რანევსკაია, — სამსახიობო ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენენ. მოსკ. სამხ. თეატრში ჩეხოვი ხელახლა დაიბადა, როგორც დრამატურგი იგი შევდრებით აღადგინეს რუსული თეატრისათვის. რუს მაყუბელს შეუყვარდა „თოლია“, გაჩნდნენ ისეთი მაყურებელი, რომლებიც ზედი-ზედ ესწრებოდნენ „თოლიას“ წარმოდგენებს; არც ერთ სპექტაკლს არ აკლდებოდნენ. მათ „რეცინდივისტები“ უწოდეს და ასეთ „რეცინდივისტების“ გაჩენას იმით ხსნიდნენ, რომ ისინი წარმოდგენის საყურებლად ყი არ დადიოდნენ, — ისინი ცოცხლობდნენ ამ სპექტაკლით. ცნობილი რუსი მწერალი ლეონიდ ანდრეევი ჩეხოვის სპექტაკლის შესახებ სწერს: „ჩვენ მაყურებლობას თავი დავანებეთ და ჩვენი პატარა ატიშებით და ბინოკლებით დრამის მომწეოდ პირებლად გადავიყვით“. მართლაც, მოსკ. სამხ. თეატრმა ჩეხოვის პიესების საშუალებით სასწაული მოახდინა — სცენაზე დაამკვიდრა ის უბრალო, სადა, მაგრამ ნამდვილად მომხიბლავი ცხოვრება, რომელიც ჰგომობდა დუსპირ აქყოს და მოუწოდებდა ყველას გარდაქმნისაკენ და ახალი, ლამაზი, თავისუფალი სიცოცხლისაკენ. მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპული მოწინააღმდეგე თეატრის ცნობილი კრიტიკოსი ა. კუგელი იბულებული გახდა ელიარებისა: „აქედან მომდინარეობს შესრულების ჰარმონია, რომლის საშუალებით ჩვენ თვალწინ იშლება ავტორის სული თავისი უაღრესად საიდუმლო ზრახვებით და ნაკეთებით. აქედანვე ხანგრძლივი წარუშლელი შთაბეჭდილება სპექტაკლისა“.

მართლაც, სამხ. თეატრმა არა თუ მკვდრებით აღადგინა უარყოფილი დრამატურგი, არამედ გარდაქმნა მაყურებელი საზოგადოებაც. იგივე ლეონიდ ანდრეევი „სამი დის“ ერთ-ერთი წარმოდგენის შესახებ სწერს: „იგზ მალელებდა, მაწელებდა, ტანჯვითა და შეკოდებით მავსებდა და არა მრცხვენოდა ჩემი ცრემლისა“. „თეატრში გასართობად მისულ ადამიანს უცნაური რამე ემართებოდა: მის არსებაში ჰქრებოდა ყოველგვარი ნასახი პირადი წერილმანი ზრუნვისა, უგვანობისა, გაუგებრობისა“. უკეთესი და ლამაზი ცხოვრების წყურვილი, თანამედროვე წერილმანებისა და დიდი და მცირე იარებისაგან ვახთავისუფლების წყურვილი ჩაღვრილი იყო მთელს პიესაში და იგი, ღრმა სევდით და იმავე დროს ხალისიანი, ოპტიმისტური, სულისკვეთებით გამსჭვალული, აქტიურ თანაგრძობას იწვევდა მაყურებელში. ყველას გული სამა დის გულთან ერთად ჭრილობდა და იზიარებდა მათ მისწრაფებას: „მოსკოვისაკენ, მოსკოვისაკენ, მოსკოვისაკენ!“ თუ ჩეხოვის შემოქმედებას თანამედროვე მომენტს შევუფარდებთ, იგი შორსმჭვრეტლად უნდა იქნას აღიარებული. თუ მანინ ჩეხოვისა და მისი სამი დისათვის მოსკოვი იდეალს და მისწრაფების საგანს წარმოადგენდა, დღეს ეს მოსკოვი არა თუ საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიოს

გულად არის გადაქცეული. მთელი კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის გულსყრტი მოსკოვისკენ არის მიქცეული. დიდი, დღევანდელი მოსკოვი გულისფანცქალით შეჭურვებს მოსკოვს და ჩვენი დიდი სამხატვრო თეატრს — გენიოს სტალინს.

ჩეხოვი და სამხატვრო თეატრი გრძობდნენ მომავალს და გულწრფელად და ნიშართლით იბრძოდნენ ამ მომავლისათვის, იბრძოდნენ მართალი მხატვრული სიტყვისა და სახეების მართალი გამოვლინებით. ტყუილად კი არ აღნიშნულა არა ერთხელ, რომ მოსკოვის სამხ. თეატრის სცენაზე ნამდვილი სიცოცხლე მიმდინარეობსო. ამ სიცოცხლის შექმნას თანაბარი გულწრფელობით, პატიოსნებით და პრინციპულობით ემსახურებოდნენ როგორც ჩეხოვი, ისე მისი თეატრი, რომელსაც ჩეხოვივით ოდნავადაც არ უღალატნია ქემპარიტი, იდეური, მალალი და მართალი მხატვრული სასცენო ხელოვნებისათვის.

როდესაც ავადმყოფობით შებოჭილმა ანტ. ჩეხოვმა თავი ვერ დაადწია ყირიმს, მოსკოვის სამხ. თეატრი მასთან წავიდა იალტაში, და იქ უჩვენა საყვარელ ავტორს მისი პიესების წარმოდგენები. ამის გამო მოსკოვში იმ დროს ოხუნჯობდნენ: მთა წავიდა მაკშაღთანო. მოხდა ეს 1899 წელს. იმ დროისთვის მოსკოვის სამხატვრო თეატრი საყოველთაოდ აღიარებული თეატრი იყო. იმდროინდელი მოწინავე რუსი საზოგადოების აზრი ამ თეატრის შესახებ გამოხატა იმავე ლეონიდ ანდრეევმა, რომელმაც განაცხადა: „არა მრცხენიან ვაღიარო, რომ მიყვარს ამ თეატრის აწმყო და უფრო მეტად — მისი მომავალი“.

იალტაში გამგზავრების შედეგად უნდა ჩაითვალოს ჩეხოვის ორი ახალი პიესა, რომლებიც სამხატვრო თეატრის მიერ ფრიაშესხმულმა ავტორმა დაუწერა მას: „სამი და“ (1901 წლისათვის) და „ალუბლის ბაღი“ (1904 წლისათვის). იმავე დროს ეკუთვნის ერთი დიდი ფაქტი, რომელმაც უფრო მეტად განამტკიცა და გააძლიერა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მხატვრული დეურბი ბაზა. ეს იყო ანტ. ჩეხოვის თანამედროვის და მისი მეგობრის, შემდეგში რუსეთის ხალხის საამაყის მაქსიმ გორკის, როგორც დრამატურგის, მოპოება.

რევოლუციამდელ სამხატვრო თეატრში ანტ. ჩეხოვი იყო მისი წამყვანი დრამატურგი. მხოლოდ ალექსეი ტოლსტოი ეჯიბრებოდა მას თავისი „თეოდორე იოანეს ძიო“, რომლითაც გაიხსნა ხსენებული თეატრი 1898 წლის 14 ოქტომბერს. ეს პიესა სამხ. თეატრის არსებობის 40 წლის მანძილზე 666-ჯერ იქნა წარმოდგენილი. ამაზე მეტი რიცხვი წარმოდგენებისა ხგდა წილად 1903 წლის 2 ოქტომბერს დადგმულ შექსპირის „იულიოს კეისარს“, რომელიც რამდენიმე (4-5) წლის მანძილზე 769-ჯერ იქნა წარმოდგენილი. სარეჟორდო რიცხვი წარმოდგენებისა-კი ეკუთვნის 1902 წლის 26 მარტს წარმოდგენილ მ. გორკის პიესას „ფსევრზე“, რომელიც 36 წლის განმავლობაში 909-ჯერ იქნა განმეორებული. მიუხედავად ამისა, რევოლუციამდელი სამხატვრო თეატრი მაინც ჩეხოვის თეატრი იყო და მას სამართლიანად ჩეხოვის სახლს უწოდებდნენ, ისევე, როგორც მცირე თეატრს — შჩეპკინის სახლს. მოსკოვის საზოგადოება როდი ამბობდა, სამხატვრო თეატრში წავიდეთ ჩეხოვის პიტსანოვო. იგი ამბობდა, პროზოროვებთან წავიდეთო, თითქოს მეგობართა ოჯახში მიდიოდნენ. პროზოროვე-
10. „პნათობი“, № 6.

ბი არიან ა. ჩეხოვის პიესის ცნობილი პერსონაჟები — სამი და და შათი ძმა ანდრეი.

რამ შექმნა ასეთი ინტიმური კავშირი, ერთის მხრით, თეატრსა და დრამატურგს შორის, ხოლო მეორეს მხრით — სპექტაკლსა და მყურებელს შორის? იმ დიდმა ოსტატობამ, რომელსაც ჩვენმა გენიოსმა ბელადმა „სულის ინჟინერობა“ უწოდა და რომლის სწორუპოვარ წარმომადგენლებად სცენაზე კ. სტანისლავსკი და ელ. ნემიროვიჩ-დანიჩენკო იყვნენ. ერთხელ, 1910-იან წლებში, თეატრის ახალგაზრდობასთან საუბრის დროს, ელ. ნემიროვიჩ-დანიჩენკომ „სამი დის“ წარმოდგენა სიმფონიურ კონცერტს შეადარა. მართლაც, ჩეხოვის პიესების წარმოდგენა, განსაკუთრებით კი „სამი დის“ წარმოდგენა სიმფონიურ შედევრს წარმოადგენდა. დღესაც ელ. ნემიროვიჩ-დანიჩენკოს მიერ ახალი რედაქციით განახლებული „სამი და“ იშვიათი დრამატიული სიმფონიაა.

როგორც ჩეხოვის ყოველი პიესა, ისე ამ პიესების წარმოდგენა მოსკ. სამხ. თეატრის სცენაზე გამსჭვალულია ელეგიური ლირიკით და სევდით. ფრანგებს მე-18 საუკუნეში ჰყავდათ ერთი დრამატურგი, პიერ მარიკო, ადამიანის სულის ხეულებში, სულის კუნჭულში მიმალული გრძნობების ამსახველი, რომელიც დიდის ოსტატობით გამოაფლენდა ბოლმე გაუბედავ ადამიანთა ფარულ გრძნობებს სატრფიალო განხრით. ანტონ ჩეხოვიც ფარულ, მიმალულ ზრახვათა გამომჟღავნებას ემსახურება, მხოლოდ, ფრანგი დრამატურგის სატრფიალო ფონის ნაცვლად, იგი სოციალურ ფონს ეყრდნობა. მისი გმირები იმდროინდელ სოციალურ უკუღმართობას ეჭიდებიან, თითქოს პასიურად, მაგრამ ისეთი შინაგანი სიძლიერით, რომ ბრძოლის სურვილს იწყევენ. ამაშია ანტ. ჩეხოვის შემოქმედების სიძლიერე და როგორც ისტორიული, ისე სადღეისო ღირებულება.

ანტონ ჩეხოვისა და მოსკოვის სამხატვრო თეატრის სახით დიდმა რუსეთმა საკაცობრიო კულტურის საგანძურში უდიდესი მონაპოვარი შეიტანა.

ი. გრიშაშვილი — „ჩახული ლეხენი“

გამომცემლობა „საბავთა მწიბრალი“, თბილისი, 1944 წ.

სამხელა ომის დაძაბულ დღეებში ი. გრიშაშვილი საქართველოს საბჭოთა მოწინავე პოეტების რიგებში დგას, როგორც მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი და საბჭოთა პატრიოტი. ამ აზრს ადასტურებს „საბჭოთა მწერლის“ მიერ ამემაღლ გამოცემული პოეტის რჩეული ლექსების კრებული.

ი. გრიშაშვილი ამ კრებულში ღრმა პატრიოტად გვევლინება, რომელმაც დღეს „ორ შვებად“ დაისახა ორი სიტყვა: „სამშობლო და გამარჯვება“. მხურვალე მოწოდებით მიმართავს ოს შინ დარჩენილებს („ჩვენს დებს და დედებს“) — გაამაგრონ ზურგი, „მიხედონ ბედელს, შექკან ძნები“, აიფინნ მტკიცედ გარეთ თუ შინით“:

ერთად ვიფიჭოთ ბრძოლის საგანზე,
გაეხსნათ გულების წმინდა საგანე.
ვიხსნათ სამშობლო წაუბილწველი,
დასარულბდეთ შოთას დანაბარს:
დაეცხოთ, დაეარტყათ, ერთად, თანაბარს!

დღეს თავზედი მტრის განადგურების დღეა: უნდა ვიკმაროთ წარსულზე „თქმა ამაყრი“, უნდა „ახალ გმირებს მივაყრათ ყური“.

პოეტს სურს, რომ პატრიოტებმა მტერს დაუნდობლად ჭაქკან:

„... ისეთის ეშით,
ისე ანახდაც, ისე ძლიერად,
რომ სანანებლად დარჩეს შემდეგში,
ჩაც დღეიანდღამდე იკანდირა“.

(1943 წ.).

პოეტიც თოფს იღებს ზელში, მაგრამ მისი თოფი რითმაა, სათუთი რითმა („თბილისის პოეტი“).

ომის პირობებში მტრისაგან დარბეულ ოჯახებიდან ბავშვები მიმოიფანტნენ. მტერმა წაართვა მათ დედ-მამა, სახლი და კერა, თაღბით შემოსა მათი ქვეყნის ბრწყინვალე დღე-პოეტი სარგებლობს ამ სურათით, რომ ზურისგებასაკენ მოუწოდოს მეომრებს:

„ღიადი რისხვის წმინდა ვრძნობამ დროში აღმართა
უმაწკო ბავშვთა სისხლი გვიხმობს ზღვად მოკამკამე.
გადააფარეთ, შეგობრებო, ქართული კალთა,
ო, მოუარეთ, ანტეგმეთ, ღობარით ჩამე“.

(„დაობლებულ ბავშვებისათვის“).

პოეტმა ბრწყინვალე ლექსებით აღებუდა სტალინის დროშის ქვეშ გამარჯვებული წითელი არმიის მსვლელობის გზები. აქ ჩვენ გვხვდება ლექსები ლენინგრადზე, სტალინგრადზე, ხარკოვზე, ნოვოროსისკზე.

ლენინგრადის ბრძოლა და გმირობა წარუშლელად დარბება ისტორიაში. პოეტს ახარებს, რომ ლენინის ქალაქის დაცვაში ქართველებიც იღებენ მონაწილეობას: ისმის „ქართული შეძახილები მებრძოლ ლომებთან“. ჩინებულაა უკანასკნელი სტროფი:

„წიბოვ და დეილო! დღეს ისეც ბრვე ხარ,
შენი ლაშქარიც ისეც მხნედ არი,

ტყეების ცეცხლში ამაყად დგებარ,
როგორც პუშკინის თევის წაღვარა.



სტალინგრადის ეპოპეა პოეტის შემოქმედების დაუმრეტელ წყაროდ დაიჭრა ქვემოთ მოთხრობის მონათხრობის ისტორიის მანძილზე. პოეტი-პატრიოტი სიმამის გრძელმა მიმართავს სტალინგრადის გმირებს:

„როგორ იბრძოდით! იმ რას ნიშნავს
სტალინის ფრთის ქვეშ დღედაღამ,
დონსა და ვოლგას, ტრამაღს და ქვიშნარს —
ჩემი ლეჩები და აღტაცება“.

ისტორიკოსი ასწერს სტალინგრადის დაცვის ამბავს. მომავალი თაობა მოწიწებით მოიგონებს თავდადებულ გმირებს. იმ თაობას შეეხარებება სტალინგრადის თავდაცვის ნონაწილეთა ბელი.

მძვენიერ უკრაინის დედაქალაქად წაუპოტინა მტერმა ბილწი ხელი, მაგრამ სასტიკად დამარცხდა, უკუგდებულ და განადგურებულ იქნა:

„გრძელი ღამე შესცვალა განთიფმა აღვით,
თვალდათხრილმა ფანჯრებმა გაახილეს თვლები“.

მტერს საქართველოში შემოქრავ ეწადა, — მის გეგმაში ჩენი ქვეყნის დარბევაც შედოდა. მაგრამ აქ ნოვოროსისკი აღიშარათა, როგორც ყლდკარი საქართველოში შემოსასვლელად. მის ბერჯერ შეუტრავს მტრის ურდები და ჩენი სამშობლოს მცველად მდგარა. დღესაც ბასრი მახელით მომართა მან ვერაფე მტრის წინააღმდეგ და გაიმარჯვა კიდევ. პოეტი მიმართავს გმირ-ქალაქს:

„აღსავსე სრული გამარჯვებითა
ისეე ჩენი ხარ — ნორჩი, შევბული.
აღსაფე ფრფლიდან, ნანგრევებიდან
განახლებული, დამშენებული“.

მტერმა პუშკინის ქალაქი დაანგრია. ეს ცეცხლად ედებო ქართველი პოეტის გულს, რომელიც ასე დაკვეთრებულთა დიდი რუსი ხალხის კულტურასთან, მისი დიდი პოეტის შემოქმედებისთან. ი. გრიშაშვილი მტკიცე რწმენით ამთავრებს ლექსს:

„არაფერი! ვი ტერს, თორემ
კიდევ ვადმოუა აქ სიხალისე,
რაც სიძღვლილმა ვადაპტვარა
მას სიყვარული აღადგენს ისევ“.

განყოფილება „არმაღანები“ (ძღვენი) იხსნება ლექსით „შერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“.

ეს ლექსი ცნობილია უნაზესი განცდით და გულწრფელობით. ასეთივეა ლექსები: „სო ს ე ლ ი“, დაწერილი ახალგაზრდა სტალინის იმ პოეტურ ნაწარმოებებზე, რომლებიც თავის დროზე ილიამ „იერია“ ში დაბეჭდა, და „კობამ და იწყო ხასან ბეგურა“ 1901 წელს გამოსვს სტალინის მიერ ბათუმში ახალი წლის წინაღვეს მოწყობილი რევოლუციური მუშათა არაღვალღური კრების შეჯახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს სიმებ ხალხთან ჩენი ძველი მეგობრობის განმამტკიცებელი მზურველ ლექსები: „მუხამბაზი სო მხეთს“ და „აფეთიქ იხსაკიანს“. ეს ლექსები საკმაოდ ცნობილია მკითხველისათვის. მათში გამოთქმული მეგობრული გრძნობები სრულყოფილად და მისი შერელებისა ში სათანადო გამოხატვას იპოვის მკითხველში. ცარიზმის დროს ჩავრულ ერებს სტალინის ბოწყინვალე ეპოქაში ვეღარავინ დაჩავრავს. პოეტი გარკვეულად სწერს:

„შე ჩრდილოეთით აღმოსხა, არა აღმოსავლეთით,
ვეღარავინ დაჩავრავთ სატარლოდ, გველით“.

მეტად ამაღლებულია და საინტერესო როგორც შინაპრით, ისე ფორმით პოეტის ლექსები: „აღია საგურამღვი“, „შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში“, „ჯამბულს“, „პუშკინი და ილია“, „აღრემ ლებულთ თვალა“

(აკაკის ხსოვნას), „მარჯანი შვილის სურათთან“, „მეფე-მეფე შავი ლაშა“, გვრეთვე ლექსები, მოთავსებული განყოფილებაში: „ახალი და ძველი თბილისი“ ექვთიმე მჭედის კარგად იცნობს ქართული მითხველი. ი. გრიშაშვილი, როგორც ქველმოყვანილი კარგი მკვლევარი, ფერადი სიღებებით გვიხატავს ჩვენი დედაქალაქის ცხოვრების სურათებს. არა ნაკლები პოეტური ძალითა დაწერილი ლექსები ახალ თბილისზე: „სტალინის მთა“, „ბერიას მოედანი“, „ვიროვის ბაღში“, „გრიგოლ ორბელიანი კომპოზიციის ხეივანი“.

მეოთხე განყოფილება („ძველი რევუელიანი“) შეიცავს ი. გრიშაშვილის 20 ლექსს, რომლებიც 1911—1920 წლებით არიან დათარიღებული. ეს ლექსები თავის დროზე პოეტის ლექსთა კრებულაში დაიბეჭდა.

ინტიმურ განცდებს გამოხატავენ ის ლექსები, რომლებიც შემდეგ განყოფილებაშია მოთავსებული („დაბნობილი არა!“) ეს ლექსები გამსჭვალულია გულწრფელი, ღრმა განცდით.

ამ ციკლის ლექსების საერთო ღირსებას ევრაფერს მატებს ლექსი „მანოლა“, რომელიც შეიძლებადა სრულებით ამოვარდნილიყო კრებულიდან.

აღსანიშნავია ლექსები, მოთავსებული განყოფილებაში „ბავშვებს“. სამწუხაროდ, აქ თითქმის ყველა ლექსი დიდაქტიურია ხასიათისაა. ხოლო მოზარდებს მხატვრული ნაწარმოები უფრო უყვართ, ვიდრე „ღარიგების“ მოსმენა, და სწორედ მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება ჩავახსოვოთ ის მაღალი გრძნობები, რომლებიც გვინდა ჩავაგონოთ ჩვენს მომავალს, ჩვენს მოზარდ თაობას.

ი. გრიშაშვილი არ ერიდება თარგმანს და ამ დარგშიც სასახლოდ მუშაობს. გველის-ხმობთ სომეხ პოეტების თარგმანს. დიდი სტალინის ეპოქაში, ხალხთა მეგობრობის ბრწყინვალე ხანაში მხატვრულ თარგმანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გრიშაშვილისათვის ჩვეულებრივი ოსტატობით არის ნათარგმნი ოვანეს თუმანიანის ლექსები, რომელთაგან ზოგი ლიტერატურულ ქრესტომათიებშიაც შევიდა.

ასეთივე ოსტატობით არის ნათარგმნი აზერბაიჯანელი კლასიკოსის შირაზ ფატალი აბუნდოვის ნაწარმოები „პუსჟინის ვარდაცვალბაზე“.

ი. გრიშაშვილის მაღალი პოეტური ხერხები ამ წიგნშიაც ნათლად შევხვდებით. მოხდენილია მისი შედარებები („სად წავიდა ვიწრო ქუჩა, დაგრებილი, როგორც ვაზი“, გვ. 49), ალიტერაცია („იღიდებოდა დიდი დღობით“, გვ. 31), მეტაფორა („თქვამი ვერცხლი მიბრწყინავს და ლოცებზე ლაღები“, გვ. 30) და სხვ.

ი. გრიშაშვილს აქვს ლექსის თავისებური ფორმა. თუმცა ის მანვე ფორმალისტური მიზნით არასოდეს არ უაფილა შეპყრობილი, მაგრამ არც სხვისი რითმების განმეორება ახასიათებდა. აქვს მას, რასაკვირველია, სადავო რითმებიც. ასეთად შე მიზანია, მაგ., ის, თუნდაც იშვიათი, ადვილები, სადაც დატბილი და ქორე რითმებიან ერთმანეთს, მაგალითად:

„იდიდოს შენი ნორჩი საბელი.
ერთად ვიაროთ, ჩამკიდვ ხელი“...
(„სადღეგრძელო“, გვ. 31).

ან კიდევ:

„ნატრობდი შენი ქვეყნის იღვანას,
წაუღულთა მორზენას, ეარდების ფენას“.
(„ილია საფურამოში“, გვ. 31).

აქ, როგორც ხედავთ, პირველი სტრიქონის ბოლო მუბლი დატბილია, ხოლო მეორე სტრიქონის ბოლო მუბლს დატბილად ვერ ჩავთვლით, რადგან ამ შემთხვევაში სიტყვაზე ქართულიისათვის მიუღებელი ხმის ამაღლებაა საჭირო.

სარეცენზოთი კრებული ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ი. გრიშაშვილზე, როგორც ქართული მხატვრული სიტყვის დახელოვნებულ ოსტატზე, რომელსაც იმთავითვე ახასიათებდა დამოუკიდებელი ხმა და პოეტური კულტურა.

ბ. იხანაშვილი.



გ რ. ა ბ ა შ ი ძ ე — „მეცამეტე გოჭი“

საბჭოთა კავშირის მწერთა კავშირი

საბჭოთა კავშირის მწერთა კავშირი

საბლიტბაში, 1943 წ. გვ. 11. ფ. 3 მან. „ნ ა ბ ო ლ ა რ ა ვ ი ფ ი ლ ა“ — საბლიტბაში.

1943 წ. გვ. 16. ფ. 8 მან.

გ რ. ა ბ ა შ ი ძ ე ს შემოქმედება საბავშვო ლიტერატურაში თავისებურია. პოეტს ეტერხება საინტერესო ამბების მოძებნა, სოფეტის გაშლა, ხალხური ზღაპრებით უხვად სარგებლობა, ზღაპრის ფონზე რეალური ამბების ამოჭოცვა, საზოგადოებრივი გამოთქმების გაყოცხლება გამართული დაბულით.

გ რ. ა ბ ა შ ი ძ ე ს შემოქმედების ძირითადი თემა ცოცხალი ბუნებაა: ცხოველები, ფრინველები, მწერები — მათი ბუნების გამოჩენილება, მათი ყოფის გაიგებება ადამიანთა ცხოვრებასთან, მათი რაობის ლირიკულად შეგრძნება. ეს არის დამახასიათებელი თვისება გ რ. აბაშიძის საბავშვო პოეზიისა.

საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ძირითად ამოცანას, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის ვითარებაში, შეადგენს ბავშვში განვითარის კეთილშობილი და რაინდული გრძნობების. ფრიად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე ბავშვებში ბუნებისადმი სიყვარულისა და დაცვირების განვითარება.

რუსეთის გამოჩენილი მწერალი ანტონ ჩეხოვი, რომელმაც შექმნა არა ერთი თვალწარმტაცი საბავშვო მოთხრობა, ამბობდა: „ბავშვის აღზრდასა და ცხოვრებაში შინაური ფრინველები შეუძნეველ, მაგრამ უპეველად კეთილმოქმედ როლს თამაშობენ. ზოგჯერ ისიც კი მგონია, რომ მოთმინება, ერთგულება, ყველაფრის პატიება და გულწრფელობა, რაც შინაურ ცხოველ-ფრინველებს ახასიათებს, ბავშვის გონებაზე უფრო ძლიერად და დადებითად მოქმედობს, ვიდრე გავრძელებული და შშრალი ნოტაციების კითხვა...“

მდიდარია და დაუღვეელი ხალხური ზღაპრები ცხოველთა და ფრინველთა ცხოვრებიდან. მათი პოეტური გამოჩენილებისათვის მწერალს ესპეროება საგნის ღრმა ცოდნა, ფაქიზი დაცვირება ცოცხალ ბუნებაზე და მისი ლირიკულად აღქმა.

თუ არა ეს მონაცემები, გ რ. ა ბ ა შ ი ძ ე ვერ გაიცოცხლებდა „მეცამეტე გოჭის“ საზოგადოებრივი თქმის, ნაბოლარა წიწილას ვერ მოუძებნინდა კეთილშობილ გრძნობებს, კეს ჯავშანს ტანკად ვერ გახდიდა, კალას ვერ შეადარებდა თვითმფრინავს, სოკოს — პარაშუტს და ყველა ამას ერთად ვერ გაიგებებდა ადამიანთა ცხოვრებასთან.

„მეცამეტე გოჭი“ პატარა ამბავია. საბოლოს შავგანსა ჯიშინამ ღორმა, ნაცვლად თორმეტი გოჭისა, როგორც მას ყოველწელს ჩვეულებად ჰქონდა, ცამეტი გოჭი მოიგო. ღორს თორმეტი ძებუ აქვს. გაჩნდა თორმეტი გოჭი, წამსვე ცენენ ძებებს, დითითოვეს, მეცამეტე კი დარჩა ხახამშრალი. მას დედის შეკრძებ ადგილი აღარ შეხვდა, არც რძის წვეთი ერგო! ატირდა და აქყვირდა მეცამეტე გოჭი, ნაცვლად შებრალებისა, მას ყველა დამცინის, ყველა მებრძობს ედახის, თითქოს ის იყოს დამნაშავე, რომ მეცამეტე გაჩნდა! პოეტი გულთბილი თხოვნით მიმართავს პატარებს:

აბეზარს და მებრძობს
მოუძებნეთ სხვა სახელი..

იქ მეცამეტე გოჭი არაფერ შუაში არ არის!

ბავშვი უშუალოდ განიცდის ყველაფერს. მწერალს თუ უნარი აქვს პარპონია დაამყაროს ბავშვის გრძნობებსა და გონებრივ განვითარებას შორის, მაშინ ბავშვი თვითონ გამოიკვამს სათანადო დასვენებს. გ რ. ა ბ ა შ ი ძ ე ს პაწია წიწილას ამ საწყისის მიმცემია. ბავშვი შეიბრალებს და სასტიკად აღარ მოეცევა არა მარტო მეცამეტე გოჭს, არამედ სერთოდ ყველა სუსტს, უმწურო და დამაგრულ არსებს.

ასეთია კარგი საბავშვო წიგნის ზეგავლენა ბავშვზე, თუ კი ის ხშირად შეხვდება ასეთ წიგნებს.

უფრო რთულ ამბავს მოგვითხრობს „ნ ა ბ ო ლ ა რ ა ვ ი ფ ი ლ ა“.

წიწილა, ისიც მამლაცინწა, თითქმის შეუძნეველია შინაურ ფრინველებში, მაგრამ ხალხში ისიც არ დატოვა უსურადღებოდ და კოჭლ წიწილებზე, ჰორბრებზე და სხვა მათ შავგანსებზე შექმნა და გადმოგვცა სხვადასხვა ამბები. ამ ფულელორიდან არის ნასესები „ნაბოლარა წიწილა“ ამბავი.

ნაბოლარა წიწილამ დიდბანს ხეჩიტა ნისკარტით თავისი მაგრად შეკრული გაცაფერი. ტანჯვით იშვა და იხილა ქვეყანა. კრუხი პაწიას თავს დასტრიალებდა და მზრუნველობას არ აკლებდა. ვაზარდა იგი სამი მარცვალე ფეტვითა და წვეთი წყლით. — ნაგრამ ნამდვილ ყინწილად მიიწვ ვერ იქცა ნაბოლარა და წიწილას სახელი შერჩა. ადამიანებს მას — ხომ არიან დავოლილი ტანისანი, განა მათ მომწიფებული ადამიანის თვისებები არ გააჩნით?! ნაბოლარაც ასეთია.

მასაც გააჩნია გრძობები, მასაც „მოსწონს“ ერთი ქოჩორა. ჭათუმების კეთილ დაცინვას არ თაკილობს ნაბოლარა, რადგანაც მას „აბედნიერებს“ ქოჩორას შორშორა ღიმილი. მაგრამ დღეგრძელი არ აღმოჩნდა ნაბოლარას „აბედნიერება“. საჭათუმეშიც ზღვბა უბედურება: მსუნავი მელისა შეეპარათ და სწორედ ქოჩორა გაიტაცა. არაიან იდარდა ქოჩორას დაკარგვა, ვარდა ნაბოლარასი. მისთვის ძლივს გათენდა, გადამწყვიტა:

ან მოენახე ჩემს სატრფოს,
ან მოვეცდები მზეხნელი!

მისი საგზალი ორი ყლუბი წყალი და ერთი მუტა ფეტვი იყო. რა არ გადაიტანა გზაში ნაბოლარამ, ვინ არ შეხვდა, ვის წინააღმდეგ არ იწიშვლა ხმალი! მან რამდენიმე მეგობარიც შეიძინა: ასეთები იყვნენ კუ, რომლის ტანიც ბოლოს ჯაეშნიან ტანად გამოადგა, კალია, — რომელიც თვითმფრინავად გამოიყენა, სოკოები — პარაშუტად გაიშალნენ, ძაღლები — ლაშქრად გადაიტყნენ — ყველა ესენი მელისს წინააღმდეგ ამხედრდნენ და წიწილას დაეხმარნენ. ძაღლებმა გადართეს ხმელეთი, შთები, და ძლივს აღმოაჩინეს მელისს სადგომი, შთებით შემოზღუდულ ზღვის გაღმა კუნძულზე მდებარე. ნაბოლარას მეგობრებმა განშორებისას სათითაოდ დაუბარეს:

სადმე ჭირში გიშველი,
იქ სოქვი ჩემი სახელი.

წიწილას გამოძახებაზე, მართლაც ყველა გაჩნდა თავისი ლაშქრით. ნაბოლარამ და მეგობარმა ძაღლმა ზღვა გასტურეს კუს ზურგით, ბოლო ლაშქარი გადაფრინდა კალიების ფრთებით. მაგრამ თვითმფრინავმა მოედინა ვერ ნახა ძირს დასაშვებად, აქ სოკო ახსენეს, გაჩნდნენ სოკოები, პარაშუტებამ გადაიშალნენ და ამით დაეშვა ლაშქარი მელისს სადგომში. ქოჩორას სულზე მოუსწრეს:

ქოჩრით მოჰყავთ ქოჩორა,
ერთმაც არ სცა თავყანი,
მოუღერეს წაღლები,
ატყდა ერთი ყაყანი.

ამას მოჰყვა დიკხელი ომი, სისხლიც ბევრი დაიღვარა, მაგრამ ნაბოლარა წიწილა გამარჯვებული ბრუნდება თავის ქოჩორათი. გამარჯვებულს ყველა სიამაყით დახვდა, ყველმ ზეიმობდა, ყველას უბაროდა მათი ქოჩრწილი:

რწილი ბუქნას უფლიდა,
სულ ცერებზე მტომელი,
ტაში იყო ფოთლებს,
ზურნა ჭრიწინობელს!

ამ ზღაპრის მორალი მკვეთრია: კეთილშობილი გრძობები, მეგობრული ერთგულება, რაინდულად თავგანწირვა, ამტანობა — აი, რა არის საჭირო ადამიანისათვის. ამას ვარდა ბავშვი ნათლად ზედავს ბუნების მრავალფეროვნებას, რასაც ადამიანის გონება ტექნიკაში რეალური ფანტაზიითა და ცოდნის გაქანებით ჰქმნის, მისი მზავსი თითქოს უკვე არსებობს ბუნებაში. კუს ჯაეშნიანი ტანი, კალიას ფრთები ეს ბუნებრივი იარაღია თავდაცვისათვის, ბრძოლისათვის.

გრ. აბაშიძემ სარეცენზიო წიგნებით ჩვენს ბავშვებს გრძობების განვითარებისა და დიკხელების საშუალება მისცა.

მიუხედავად ამისა, არ შეგვიძლია არ შეგვიშნოთ „ნაბოლარა წიწილას“ ზოგიერთ ნაკლებ ლექსის ტექნიკისა და აზრის შეუსაბამობის თვალსაზრისით.

პოეტმა, მართალია, საინტერესოდ იცის ამბის გაშლა, მაგრამ ზოგჯერ ზომიერებას ვერ იცავს. ხშირად პოეტი რითმისათვის შეესაბამებასაც მიმართავს:

„ნაბოლარა წიწილამ
მწარეთ მოართო კაკანი“-ო

სწერს პოეტი, მაშინ როდესაც კაკანი დედალს სწევია და არა წიწილას

„ზღვის გავსურავით ტაბით,
გავალთ დაღამებამდის,
აღრე სამი საათით“-ო, ამბობს კუ.

ბავშვს დანტახით წარმოდგენილი აქვს ვრცელი, გადაულახავი ზღვა, პოეტი კა, ეტბნება, რომ ასეთი უმწველებელი ზღვის გადალახვა კეს შეუძლია ტაბით, ისიც საათის ასეთი ზუსტი გაანგარიშებით.

გეინდა სურათებზედაც შეგერდეთ.

„მეცამეტე გოჭი“ დასურათებულია სოსო გაბაშვილის, ხოლო „ნაბოლარა წიწილა“ ლადო გუდიაშვილის მიერ.

მხატვარი ს. გაბაშვილი საბავშვო წიგნის ილუსტრაციების ცნობილი ოსტატია. მან დიდად შეტყუო ხელი ჩვენი ბავშვის მხატვრული გემოვნების განვითარებას თავისი ქართული მინიატურიდან მოტანილი ფერებითა და სავანთა დინამიკით. ს. გაბაშვილზე წველია თქმა, რომ ის ტიპური ანიმალისტია, მაგრამ მას უსათუოდ გააჩნია ანიმალისტის ინტერცია, რადგან გამომეტყველად შეუძლია წარმოსახოს შინაურ და გარეულ ცხოველთა და ფრინველთა სახასიათო თვისებები.

„მეცამეტე გოჭმა“ მხატვარი დაღატობს თავის თავს ჭერებისა და ბავშვთა სახეების ცოცხლად დაწერის მხრივ. სამაგიეროდ ღორების განლაგება, ყველა მომენტში, საუცხოოდ აქვს მხატვარს მოცემული. გამსაკურებით კარგია გამძღარი თორმეტი გრჭი. ითხოველს გამოძენილი აქვს საკლთარი ვაიხოხვევა, სხეულის შოძრაობა, დიდ სიბრალურს იწვევს მეცამეტე გოჭი, რომელიც ცრემლად იღვრება.

რაც შეეხება „ნაბოლარა წიწილას“ ილუსტრაციებს, აქ ჩანს ლ. გუდიას შვილის ძარღვიანი და მოჭილი ხაზები, უნდა შევნიშნოთ, რომ მხატვარს ერთი ფაქტორი ხასიათის შეცდომა დაუშვია: ნაბოლარა წიწილა ეპირად არის წარმოდგენილი ყველა მომენტში და მამლის ნიშანდობლივობა არსად არ არის მოცემული.

საბავშვო წიგნის ილუსტრაციებში პოეტის დანტახია უნდა გააცხოველოს და ზოგიერთი დეტალის სიზუსტეც საინო უნდა ვახალოს. ორივე მომენტი მხატვარს გამოტოვებული აქვს მსუფველობიდას.

აბ. ღვინიაშვილი.

სერგი შაკალათია — „ეპიკლე მორისი

გმირონა და თავდადება“

თბილისი, 1942 წ. გამომცემა გორის მხარეთ-მცოდნეობის საზოგადოებისა

ერეკლეს ამბავს ავტორი მისი პიროვნების დახასიათებით იწყებს და მოჰყავს სხვადასხვა ავტორების აზრი. ამ დახასიათებაში მის გამოჰპირვია რუსეთის ხელშეიფის ეკატერინე ბეორეს შეხედულება: იი რას ამბობს იგი პატარა კასზე: „მეფე ერეკლე არის დიდათ გონიერი, შორს გამჭვრეტი, მამაცი და უძლიერესი კაცკასისი მფლობელთა შორის“. ამას სწერდა ეკატერინე საფრანკეთის დიდ მწერალ-ფილოსოფოსს ვოლტერს. ერეკლეს დასახასიათებლად ავტორს მოჰყავს ავრეფე ისტორიკოსის ბუტკოვის აზრი, სიმწუხაროდ ბუტკოვია დახასიათებიდან მის ამოტყრეფია სრულიად უმნიშვნელო ადგილები. ის ალულიც კი, სადაც ბუტკოვი ამბობს ერეკლეს დიდი გავლენის შესახებ ადერბეიჯანის ხანებზე, სრულიად გამოტოვებულია. „ადერბეიჯანის ხანებში, — წერს ბუტკოვი, — ნახიევენისა, ურმიისა, თაფრიზისა ერთმანეთს ეცილებიან, რომ მკიდრო კავშირი დაიჭირონ ერეკლესთან და ნიშნით პატერისტებისა ვამუღმებით დიდს საშტკრებს უგზავნიან, რომ ერეკლეს გაჭირების დროს თავისა ბრძნული რეფე-დგობებით და საჭმეში ჩარეებით ეშველნა მათთვის“. იი ეს საშართლიანი და სწორი შეფასება ერეკლესი გამოჰპარვია ს. შაკალათიას.

ერეკლეს მიერ გადახდილ ბრძოლებში ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ასპანძისა და ერეენის გამარჯვებებს, ორივე ისინი შედეგებია, თითოთ საწვენებელია სა-

ქართველოს მთელ სამხედრო ისტორიაში, ორივე ეს მკითხველად აქვს წარმოდგენილი ამა-ს, მაკალათიას აზატ-ხანთან ბრძოლა (ერეენის მიმართულებით), სადაც ერეკლემ პარტიკულარული სამხედრო ნიჭი და ზურხიანობა გამოიჩინა, და მცირერიცხოვან ქართველთა წინააღმდეგობით აზატ-ხანის დიდი ლაშქარი იფრინა და გაანადგურა, ავტორს ასე მართლაც აქვს გადმოცემული, თითქმის ეს უბრალო, ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს და წაა უბედობის გამარჯვება. აზატ-ხანის დაპირდაპირების დროს ერეკლე უბრძანებს თავის შვილებსას დაქვეითებას და თითონაც ფეხით მიუძღვება. მტერმა ეს მანევრი ჭართველებს უძღურებდა ჩასთვლია და ეგონა, ერეკლე ტყვედ გენებდებო. მტერი წაითამბდა, გამობტა ერთი სხელოვანი სარდალი, უნდოდა ერეკლე დაეჭირა და დატყვევებული მიერთებო აზატ-ხანისათვის, ერეკლესაც სწორედ ეს უნდოდა, თავზედა სარდალი ჯერ ისე ნახევარ გზაზე იყო, რომ ერეკლეს თოვმა თავზედა სარდალი ცხენიდან გადმოაგდო. ერეკლემ იმ წუთშივე თავის შვილებსას (სასწრაფოდ ცხენებზე შეეჯდომა და ელვის სისწრაფით იერიშის მიტანა უბრძანა აზატ-ხანის ლაშქარზე, გამოჩინდა სარდლის საკედელში ცუდი მოთხვეუდილება იქონია მტრის ჯარზე, ეგი შედრკა, შეშინდა, ეელირ გაუძლო ჭართველების შეტევის და უწყობილოდ მოკურცხლა. ეს იყო ტაქტიკური ზეობი ნიჭიერის სარდლისა, მაკალათიამ კი მისი გადმოცემა ვერ შესძლო.

ასევე მკითხველად გადმოგვეცეს ამა, ს. მაკალათია ასპინძის ბრძოლის ამბავს. ერეკლე მეორემო, — წერს ავტორი, — 1762 წელს სოხოვა რუსეთს შემოჭობა „დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს (ალბათ ნესტო-ჯავახეთს) გასანთავისუფლებლად ოსმალთა ბატონობისაგანო“. ამ წელს ერეკლემ კი არა იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა აღძრა შტამდგომლობა ოსმალთა ძალმომრეობისაგან განთავისუფლების შესახებ. როგორც ვიცით, სოლომონს თორმეტჯერ შეეჭრა ოსმალეთი იმერეთში და იქაურობა აიოხრა. სოლომონი დღევანდელ ავღანეთის რუსეთში ქუთაისის მიტროპოლიტის მაქსიმეს ხელმძღვანელობით და სოხოვს რუსეთს, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს ოსმალეთის წინააღმდეგ. ერეკლეს ამგანად არავითარის თხოვნით არ მიუშრატავა რუსეთისათვის, პირიქით, ის ისეთს კარგ მდგომარეობაში იყო, რომ როდესაც რუსეთის ოსმალეთის ომი გამოუცხადა და სურდა, რომ ერეკლესაც შეელო მონაწილეობა ამ ომში, პეტერბურგში ეჭვი გამოითქვა ამის შესახებ. სტატკი სოფტინკმა, ვინმე ამაღლებარმა, მთელი ზოხსენება გააკეთა, სადაც ამტკიცებდა, რომ ერეკლე მონაწილეობას არ მიიღებს ოსმალეთთან ბრძოლაში. ჩვენ მაინც გულმოდგინეთ გადავითვალაურეთ მთელი იმდროინდელი მიწერ-მოწერა, რომელიც მოთავსებულია პროფ. ცაგარლის მიერ შეკრებილ „გრაზობრებში“ და არსად ამის მკაცრი ვერა ვნახეთ.

შემდეგ ავტორი განაგრძობს, რომ ასპინძის ომის დროს ერეკლეს 2000 ჯარისკაცი ჰყავდო, ოსმალებს კი 6000. არც ერთი და არც მეორე სწორია არ არის, ჭართველებს 3000 ჯარისკაცი ჰყავდო, რომელთაგანაც 1000 კაცი ბორჩალოელი თათარი იყო, ოსმალებს კი 8000, როგორც თვით ოსმალების წყაროები მოწმობენ.

ტოტლებენმა ვერ გაბედა ოსმალებთან შეტაკებაში ასპინძაში, — ამბობს ავტორი — ოსმალებს ჯარის სიმრავლის გამოყო. ვითომ რატომ, თუ ოსმალებს 6000 კაცზე მეტი არა ჰყავდათ, რუს-ქართველთა გიჯრთიანებული ჯარი ამაზე ნაკლები არ იყო (რუსებმა 3767 + 3000 ჭართველებისა) და რიღისი უნდა შენებოდა ტოტლებენს და ვერ გაბეზდნა ბრძოლა. ყველა ისტორიის ცოტათი თუ ბევრად მკოდნებ უწყის, რაშიაც იყო საქმე, რისთვის გამოპრუნდა უკან ტოტლებენი, — რამ მისი თქმა ძალიან შორს წაგვიყვანა. ერეკლე იმ ხანში, რომელიც ასპინძის ომს შეეკება, მთელს მიწერ-მოწერას აწარმოებდა მინისტრთა თავმჯდომარე გრაფ პანინთან და არა გოლიცინთან, როგორც ეს ს. მაკალათიას ჰგონია. ჩვენ მაინც გულმოდგინეთ გადავითვალაურეთ იგივე „გრაზობრები“, რომელიც ამ მიწერ-მოწერას შეიცავს და არსად გოლიცინის ხსენება ვერა ვნახეთ, ყველგან პანინია და ისე პანინი.

ავტორის ძალიან ხშირად მოჰყავს დიდი ამონაწერები ქართულ ისტორიულ წყაროებიდან, რაც სახალხოვ გამოცემულ წიგნაკში ყოვლად დაუშვებელია, ამისთანავე ეს ამონაწერები სრულიად უმნიშვნელონი და შეუსაბამონი არიან.

სხვა წერილმან შეცდომებზე აღარ მივეუბნებო მკითხველს. ერთი რამ ამაყარა, წიგნი ზეტის-მეტად ზერეულად არის დაწერილი. ვატყვით მხოლოდ, რომ ასეთ წიგნს ვაკლებით მეტი მოთხოვნება. თუ მსარგებლოდნობის საზოგადოებას გულწრფელად სურდა, — რაშიაც ეჭვი არ გვეპარება, — სამსახური გაეწეო მკითხველისათვის ერეკლე მეფეზე საინტერესო წიგნის მოწოდებით. ნუ თუ ქართულ მწერლობაში ამაზე უკეთესი ვერაფერი გამოჩნდა? სწორედ ამავე თემზე ქართულ მწერლობაში არსებობს მშვენიერი წერილი განმეცხველის

ალ. გარსევანიშვილისა სათაურით „ერთკლე მეფე, როგორც საზღალო“, რომელიც ქუთაისში გამოსულ კრებულ „ცდამში“ დაიბეჭდა. აი თუნდაც ეს წერილი რომ დაიბეჭდა საზოგადოებას ცალკე წიგნაკად, იგი გაცილებით სასარგებლო და საინტერესო იქნებოდა მას სიერი მკითხველსათვის.

წ. იბილი.

მრ. ანტონოვიჩი — „სალტიკოვ-შჩედრინი“

საბლიტბაში, 1944 წ.

სარცენზიო წიგნი წარმოადგენს ზოგად ბიოგრაფიულ-კრიტიკულ ნარკვევს დიდ რუს სატირიკოს მწერალ სალტიკოვ-შჩედრინზე.

ავტორი სადღეღამიანად იხილავს სალტიკოვის პირველ ბელეტრისტულ ნაწარმოებებს: „წინააღმდეგობანი“ და „აწეწილა საჭე“, განსაკუთრებით უკანასკნელს, რომელშიაც მკვეთრად არის მოცემული სოციალური კონფლიქტები. ამ ნაწარმოებმა დიდი გამოხმაურება გამოა თავისი დროის პრაგრესიულ ახალგაზრდობაში, ხოლო ოფიციალურ საზოგადოებაში კი გამოიწვია აღშფოთება. ნიკოლოზ პირველის ბრძანებით სალტიკოვი იმ დროისთვის ყრფ და შორეულ ქალაქ ვიატკაში გადაასახლეს.

შჩედრინის შემდეგი დროის ნაწარმოებებიდან საინტერესოდ არიან განხილულნი: „საგუბერნიო ნირკვევები“, „პომპიდურები“, „ერთი ქალაქის ისტორია“, „ბატონი გოლოვლევი“ და „ზღაპრები“. წიგნში გაშუქებულია ლიტერატურული შეხედულებანი შჩედრინისა, რომელიც აღიარებდა ისეთსავე უტილიტარულ თეორიას, როგორსაც სამოციანი წლების დიდი მოაზროვნენი — ჩერნიშევსკი და დობროლიბოვი.

შჩედრინის ლიტერატურულ წინამორბედთა საკითხი წიგნში სათანადო ყოვნით და დეკვირებითაა განხილული. შჩედრინი, როგორც სატირიკოსი, დიდი რუსი მწერლის, კრიტიკული რეალიზმის ფემდეშებლის გოგოლის მოწაფე იყო. მაგრამ, როგორც ნარკვევის ავტორი შენიშნავს, შჩედრინმა თავისი სატირით ბევრი ისეთი ახალი რამ შექმნა, რაც არ იყო გოგოლის სატირაში, რადგან ეს ორი დიდი რუსი მწერალი ერთმანეთისაგან მსოფლმხედველობითა და ესტეტური პრინციპებით დიდად განსხვავდებოდნენ. შჩედრინმა გადაართოვა გოგოლის სატირის სოციალური შხაზე, საზოგადოებრივი როლის შეგრძობისა და გამოხატვის პორიზონტი. გოგოლი მოითხოვდა ძველის, გარდაქმნას, როგორც ლენინისტი. შჩედრინი კი სასტიკი, შერიგებელი მტერი იყო ძველისა და სლრდა მისი ბრძოლით შეცვლა.

წიგნში ყურადღებას იმყრობს ის ნაწილი, სადაც ავტორი გადმოგვცემს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იჩენდნენ შჩედრინის თანამედროვენი მწერლის შემოქმედებისადმი. რევოლუციონერთა მოგონებები ცხადყოფენ შჩედრინის მწვავე სატირის ხასიათსა და იმ მეტად მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ასრულებდა იგი თავის ეპოქაში. ერთობ დიდი იყო შჩედრინის სატირის პირდაპირი ზემოქმედების ძალა იმათზედაც, ვისაც ააწყარაგებდა და ებრძოდა იგი. ამის დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს მეტად საინტერესო მაგალითი. რევოლუციონერ პატიმართა საკანში შეგზავნეს ჯაშუსი, პატიმრებმა ჯაშუსის გამოსამხედველებლად ხეჩბს მიმართეს. ერთი მოგონების ავტორი გვიამბობს: „მოვილაპარაკეთ და შეეთანხმით, მოგვეწყო საერთო კითხვა შჩედრინის ზღაპრის: „Ночь под светом вос-кресенья“-სი, რომელიც მე შეჰონდა. ამ ზღაპარში ავტორი ამითარბებს იღდა გამცემელს ზღაპარი დიდ შთაბეჭდილებას სტრავებს მკითხველზე. კითხვა რომ დაეიწყეთ, ზოგი ჩვენ-განი ფარულად თვალს ადევნებდა ჯაშუსს, ზღაპარი ჯერ დამთავრებული არ გვერღდა, რომ ჯაშუსი კარებთან მივიდა, ზედამხედველს დაუტყუანა და სობოვა, კანტორაში გამოვიდა. ამას შემდეგ ის ჩვენს აუბრაში აღარ დაბრუნებულა“. ამ მკვეთრ იდეურ-მორალურ ზემოქმედებითი გავლენისთვის მეფის მთავრობა სდევნიდა შჩედრინის სატირას. წიგნში მწერლის ეს დიდი თავისებურება და ზემოქმედებითი ძალა ავტორს ფოცხალი მაგალითებით აქვს დადასტურებული.

სარცენზიო წიგნში საყურადღებო ცნობაა მოყვანილი მწერლის გარდაცვალებისთან დაკავშირებით. ეს არის თბილისის მუშების მეტად მნიშვნელოვანი შინაარსის მიმართე, რომელიც გაეშუენა „ვესტნიკ ვერპის“ რედაქტორს, მწერლის ქვრივისათვის გადასაცემად. ეს მიმართეა ადამსტრუბს მკვეთრი კლასობრივი შეგნებისა და მაღალი კულტურული დო-

ნის არსებობას თბილისის მუშებში. აქ მშენიერად არის გაცემული შვიდობის შემოქმედების მნიშვნელობა. თბილისის მუშებმა სწორდნენ: „...ველარ მოვისმენთ მის კეთილსა და გაბედულ სიტყვას, მაგრამ ჩვენს შორის და მის უკვდავ მოთხოვნებში ყოველდღეურ ცოცხალი იქნება მისი სული, რომელიც გვაშენებს კარგი საერთო საქმისათვის და ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისათვის და სამართლისა და სინათლის მოპოვებისათვის“.

ერ. ასტვიატტოვის ნარკვევი „საღვთაო-შედეგინი“ საყურადღებო კრიტიკული ნაშრომია. სამწუხაროდ წიგნი აკლია ენობრივად დახვეწა. არის ზოგი არამართებული გამოთქმა. მაგალითად, „ნაგებინს არ შეეძლო შეერთო ტანია, რადგან ის ღარიბი იყო, ცხოვრობდა ყოველდღიურად (?) და არ გააჩნდა ხელოვნური დღის იმედი“. ან კიდევ: „აქ სესებთ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ შედეგინმა, ნეტასთან და ჩერნიშევსკისთან ერთად, შექმნა რევოლუციონური რეალიზმის კეთილი (?) საწყისები“ და სხვ.

სარეცენზიო წიგნი ქართულ მკითხველში უთუოდ შექმნის ინტერესს დიდი რუსი სატარიკოსი მწერლის შემოქმედებისადმი.

დ. შ.

ბ. ახვლედიანი (ქირისილოლი) — „ნარკვევი აპარის ისტორიიდან (მე-XVI — XIX ს. ს.)“

აპარის სახელმწიფო ბანკში, ბათუმი. 1944 წ.

სარეცენზიო წიგნის ავტორია აპარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ხ. უსეინ ქირისილოლი, იგივე ახვლედიანი. ეს შრომა წარმოადგენს ცდას ცალკე ნარკვევების სახით იქნეს ასახული აპარის ისტორია მე-16 — 19 საუკუნეთა სიგრძეზე. ავტორს, როგორც წინასიტყვაობაშიც აღნიშნული აქვს, მიზნად დაუსახავს — აპარის ისტორიის თურქული პერიოდის შესწავლა. ამ მხრივ ახ. ქირისილოლის წიგნი არის პირველი ცდა, რომლის სათანადოდ შესრულება უძველად ბევრ სიმწელეთა გადაღებვას მოითხოვდა. სიმწელები გამოწვეულა სამსლიმანო საქართველოს ისტორიის შესახებ მასალების მეტრისმეტ სიმცირით და რაც არის იმის შეუვარგებლობით და შესწავლულობით. თავის დროზე ზაქ. ჭიჭინაძე თავის მრავალრიცხოვან მონოგრაფიებში ცდილობდა აპარის და საერთოდ სამცხეთოს ისტორიის შესახებ ზებირგადმოცემით მასალების შეგროვებას და მათს სათანადო ახსნა-განმარტებას. მაგრამ მარტოოდენ ასეთი მასალებით, რომელიც ხშირად ნდობის მხრივ ეჭვს იწვევენ, ბევრი რამის გამოკრევა არ არის შესაძლებელი.

ზემოხსენებული მიზეზით, უმთავრესად, და აგრეთვე ავტორის გამოუცდლობით უნდა იხსნას, რომ სარეცენზიო წიგნი არა აქვს სისტემატური თხრობის ხასიათი, ავტორი ცალკე თავებში ეტება ცალკეულ კითხვებს, რომელნიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული მნაარსით და ხანდახან ქონოლოგიურადაც. იწყება წიგნი თავით: — „სლაში და აპარის გამოსწავლა“. ამის მოკვება თავი: — „სულთანის თურქეთის დროის აპარა“, ხოლო ამის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ტყვეებით და ვოგო-ბიჭებით ვაჭრობის შესახებ აპარაში. ამის კი მოსდევს თავი: — „კლასთა ბრძოლა და გამანათლებლებელი მოძრაობა აპარაში თურქების დროს“, და ასე შემდეგ.

საერთოდ პრაგმატული თხრობის უჭონლობის შევსებას ავტორი ცდილობს სულთანის დროინდელი აპარის ცხოვრების მრავალმხრივად განხილვით. ასე, მაგ. ავტორს მოცემული აქვს თურქული წყაროებიდან ამოღებული ცნობები ოსმალეთის სამსახურში მე-17 — 19 საუკუნეებში მალაღ თანამდებობაზე მყოფ ქართველების შესახებ, რომელთა რიცხვი საკმაოდ ბლომად ყოფილა. შემდეგ ავტორი ცალკე თავებში ეტება ვაჭრობას და ხელოსნობას თურქეთის დროინდელ აპარაში, მიწათმფლობელობის სისტემას და მიწათმოქმედების წესს. საინტერესოდ აქვს ავტორს დამუშავებული თავი მედრესების (სასულიერო სკოლების) და ზოგების (ამ სკოლების მასწავლებლების შესახებ). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ავტორის მიერ გამოკვებებული სია ბათუმის ოლქის მედრესებისა, შედგენილი მეფის ადმინისტრაციის მიერ (1901 წელს). სიაში აღნიშნულია, თუ თურქეთის მართველობის დროს და მის შემდეგაც (ე. ი. რუსული მართველობის დამყარების დროიდან, ანუ 1878 წლიდან) რომელ სოფელში დაიარსდა მედრესე, რამდენი იყო ამ მედრესეში მოწაფე და

ენი იყო მასწავლებელი, როგორც ამ სიიდან ირკვევა, მედრესების მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო ძველად დაარსებული, რომელთა დაარსებას თარიღი 1901 წელს არ ენიჭებოდათ. დიდი რაოდენობა მედრესებისა დაარსებულია მე-1850 და მე-1860 წლებში და მასწავლებლები საერთაშორისო ნაწილი კიდევ აჭარის და მთელი ბათუმის ოლქის რუსეთის მედრესებში შემდეგ. ამით უნდა ხდება, რომ აჭარის გათავისუფლების ცდებში ჯერ ოსმალეთის მოაჯრობის მიერ მიღებული ღონისძიებებით და შემდეგ (რუსეთის დროს) ფინანსურად განწყობილ მამადიანურ საქმედგელოების წყალობით განსაკუთრებულად ენერგიულად წარმოებდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. საყურადღებოა ისიც, რომ აჭარულ ახალგაზრდობის გათავისუფლების ეს პროცესი მედრესებში ხშირად მიმდინარეობდა ქართული გვარის მატარებელ ხოჯების ხელმძღვანელობით და მათი მეშვეობით. მასწავლებელთა სიაში ბევრია წინადა ქართული გვარის პირი (მაგ. აღი ოსმალ დურსუნ ოღლი კელეშოქი, ყალი მეველუდ ეფენდი გარგაუე და სხვ.). მაგრამ იქაც, სადაც მამადიანური წესის თანახმად ქართული გვარი არ არის დასახლებული, ბევრ ადგილას ქართველიც მამადიანები არიან საფულსხმებელნი თხრობის ერთგვარი უსიტყვობით აიხსნება ის, რომ წიგნში მე-15 თავში მოთხრობილია „მედრესების სკოლებისა და კულტურის შესახებ“. შედგომ თავში მოთხრობილია ხოჯების შესახებ, ამას კი მოულოდნელად მისდევს თავები: — აჭარელი ქალი და ჩადრი“, „ქრისტიანობის შესახებ აჭარაში“, ჭობულეთლების კვლავ „გაქრისტიანების შესახებ“, ხოლო ამის შემდეგ კვლავ იწყება თავი: „ჯამე-მედრესების შესახებ“, სადაც მოცემულია ზეწოდ დასახლებული სია მედრესებისა, 1901 წელს შედგენილი.

როგორც აღინიშნეთ, ავტორი თავის წიგნში ბევრს საკითხებს ეხება. მე-21 თავად, მაგ. მოცემულია აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების (ციხეების, ნაგებობების და სხვ.) აღწერა, რომელსაც იქვე წინასწარი ცნობის ხასიათი და მოკლებულია მეცნიერულ დამუშავებას, მაგრამ როგორც წინასწარი ცდა, მაინც ყურადღებას იქცევს. მატერიალური კულტურის ძეგლების სათანადოდ შესწავლა აჭარის ისტორიისათვის, იქვე გარეშეა, ბევრ ახალს შეგვიძინებს.

შემდეგ თავებში წარმოდგენილია ოსმალეთის დროინდელი ბათუმის ისტორია. აჭარელთა ბრძოლა ოსმალური რეჟიმის წინააღმდეგ და აგრეთვე ცნობები ბათუმის ოლქის წინსვლის და ნარობლობის ხასიათის შესახებ 1877 — 1878 წლების რუს-ოსმალურ ომის შესახებ, როდესაც ეს მხარე რუსეთის იმპერიის შედგენილია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დასახლებული წიგნი, მიუხედავად მისი ბევრი ნაკლისა, მაინც წარმოადგენს საყურადღებო ძეგლს. როგორც საცხები ახალი მასალის შემცველი აჭარელი მეთიხებლისათვის ეს წიგნი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება, რადგან მაინც ერთგვარ წარმოდგენას მისცემს მას თავისი მშობლიური კუთხის იმ ხანის ისტორიის შესახებ, როდესაც აჭარა (და შესებით საერთოდ) ოსმალეთის სულთანთა მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. აჭაროლის მიერ მისი ეროვნული მდგომარეობის მტკიცედ გარქვევისათვის წიგნი უსათუოდ იქნება დადებითი ნიშნენლობა. სასურველია მხოლოდ, რომ ხ. კარისილოლის ამ ბირველ ცდას მოჰყვეს თვით ავტორის მიერვე უფრო დალაგებულად და საკითხების უფრო ღრმა დამუშავებით შესრულებული მეორე ცდა აჭარის ვრცელი ისტორიისა.

ბ. პ.

„ხანები ლეციონარნი“

(ფოტოტიპირი რეპროდუქცია გამოცემა და სიმფონია დაფრთო ა. შანიძემ. რედაქტორი აკად. ს. ჯანაშია, ძველი ქართული ენის ძეგლები 1: საქ. სსრ აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1944. 065 + 54 გვ. ფ. 30. ტირაჟი 300)

მიზანძარე 1944 წლის აგვისტოში გამოსული „ხანები ლეციონარნი“ ფოტოტიპირი რეპროდუქციით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში დაიწყო „ძველი ქართული ენის ძეგლები“ სერიის გამოქვეყნება. ამ ჩვენ გვაქვს: 1. თვით ძეგლის (ხანი-მებრ ლეციონარის) რეპროდუქციული ტექსტი (ფოტოტიპები) 1—56 გვ. 2. იგივე ტექსტი, შედარული ტრანსლიტერაციით დაბეჭდილი—058—064 გვ. 3. ძეგლის სიმფონია—032—057 გვ. 4. გამომცემლის აკად. ა. შანიძის წინასიტყვაობა, რუსული და ინგლისური რეზუმეები 07 — 030 გვ.

გამოქვეყნებულა ძველი ლემეიონას, ანუ სახარება-სამოციქულოდ სი-
განგებოთ ამოკრეფილ საკითხავენს წარმოადგენს. ხოლო ამ ტექსტის
ენის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ხანმოკლეა არის: ძველის ტექსტის
ზნის ზოგიერთ ფორმაში და შედარებით-აღმატებით ხარისხის მაწარმოებელ
პრეფიქსად (თავსაროდ) იხმარება ხაჟი. მაგ. სადაც ჩვენ დავწერთ: იყო, ესმა, ზეთბრეს,
მისცეს, მიეხლა, უადრეს—ხანმოკლე გვითხლობთ: ხიყო, ხესმა, ხეთბრეს, მის-
ცეს, მიხე-
ახლა, ხუადრეს.

როგორც ვხედავთ, ხანმოკლეა ენობრივი, კერძოდ ფონეტიკური (გვერითი) ნოვლებმა
არის. ხანმოკლეის წარმოშობის დასაწყისი პერიოდი არ არის გარკვეული, მისი გაქრობის
პროცესი კი, როგორც სჩანს, მე-7 საუკუნეში დაწყებულა.*) ამ დროიდან ხან-
თავსართი ჰაედ იქცევა და სადაც ხანმოკლე გვქონდა: ხიყო, ხესმა, ხეთბრეს და სხვ. „ხე-
მოკლეში“ გვითხლობთ: ხიყო, ხესმა, ჰეთბრეს და სხვ. გარკვეულ პერიოდში ჰაე თავსარ-
თიუ ხმოვანების წინ თანდათან იხობა და ქრება. ხანის ჰაეთ შეცვლის პროცესი მე-7 საუ-
კუნიდან იწყება და მე-9 საუკუნეში ხანის ხმარება პრეფიქსად თითქმის სავსებით უკვე
სრულია. ამისდაგარდა ხანმოკლე ტექსტები ქართული ენისა და ლიტერატურის ევოლუციის
პირველი საფეხურის ძველებს წარმოადგენენ. 1923 წლამდე ხანმოკლე ძველები ჩვენს მეც-
ნიერებას უფრადღების გარეშე იყო დარჩენილი. ამ დრომდე სავსებით ენობრივი სამწერ-
ლო ძველები შემონახული და აღნუსხული გვქონდა მხოლოდ ძველ ქართულ ფულბზე
და ხუროთმოძღვრების უძველესი ნაშთების—პოლნიის სიონისა და მცხეთის ჯვარის
5—7 ს.ს. წარწერებში.

პირველად ა. შანიძემ მიატყა ყურადღება იმ ფაქტს, რომ პოლნიის სიონის წარწერებ-
ში და მცხეთის ჯვარის დემეტრე ვპატოსის წარწერაში ხანის შესამე პირის თავსართად
ხანი არის ნახმარი: შეეწიეს მავიერ—შეხეწიე და შევაბითს მავიერ—შეხევაბით
(პოლნიის წარწერაში); მეობ იყავის მავიერ—მეობ ხეყავ—მცხეთის ჯვარის წარწერ-
აში. იმავე ა. შანიძემ პირველად ახსნა და გამოიყენა ტერმინი ხანმოკლე. ეს ტერმინი
XI საუკუნის პირველ ნახევარს ძველში არის ხმარებული. ძველი ქართული კულტურის
ერთი უძველესი მოღვაწეთაგანი, სახელგანთი მთარგმნელი (ბერძნულიდან) გიორგი მთა-
წმინდელი (1009—1065 წ.წ.) მის მიერ ბერძნულიდან ხელახლა თარგმნილი სახარების სი-
თის დართულ ანდერძში ძველად ნათარგმნი ტექსტებისათვის ამბობს: „ჩვენს ყოველნი
სახარებში პირველითგან წმიდად თარგმნელ აოს და კეთილად: ხანმოკლეცა და საბაწმინ-
დურნიცა“ (თ. როდნაძე—ქრონიკები II, 207 გვ.). ქართული კულტურის თითქმის ყო-
ველი მკვლევარი შეეცადა განმარტება მიეცა გიორგი მთაწმინდელის მიერ ნახმარი ტერ-
მინისათვის („ხანმოკლე“). მაგრამ ყოველი ასეთი ცდა ამაო იყო მინამ, სანამ არ იქნა
შემწველი თეთი ქართული ძველების ტექსტებში ხანმოკლეა ფაქტები. ამ მხრივ 1923
და შემდეგ 1927 წ.წ. მიუღის ეპოქის წარმოადგენს უძველესი ქართული ენის შესწავლის
პროცესში. ამ წლებში თბ. უნივერსიტეტის მოამბის 2 და 7 წიგნში გამოქვეყნდა „ხანმოკლე
შრავალთავის“ (ქრესტომატია) ტექსტები. სხენებულ ტექსტები იმჟონდა ეტრატის (ტყა-
ერ) ეგრეთწოდებულ პალიმფსტებში—ერთხელ დაწერალსა და შემდეგ სხვა, ახალი
ტექსტის დაწერის მიზნით გადატეხილ ტექსტებში, რომლებიც გამოშლავნდა და აღდგე-
ნილ იქნა წიგნიერი საშუალებით. ამ ტექსტების ნიმუშების გამოქვეყნებამ ერთბაშად გაი-
ღიღრა ხანმოკლე ლიტერატურა. როგორც იგ. ჯავახიშვილი აღნიშნა, ეს ტექსტები, და-
წერალი ლაშხი, მშენებრად ჩამოყალიბებულ ასობით, მრავალსაუკუნოვანი მშრომის
შედეგად წარმოდგება მკვლევარს ხანმოკლე ტექსტები საყურადღებოა არა მარტო ენობ-
რივი თვალსაზრისით, არამედ შეუძა მდენს ქართული ლიტერატურის განვითარების პირველი
საფეხურების ეპოქის ზოგად კულტურულ მდგომარეობასაც, აქ „ქართული წერითი ხე-
ლოვნების დასაწყისის საბატო სწიერება უკვე უძველეს გარემოებად ხდება“. „ხანმოკლე მრ-
ავალთავისათვის“ გამოყენებულა მსალაც: ეტრატა და მეღანი, ადასტურებს კულტურის
შალად დონეს: მდიდრულად, ფართოდ, ადგილის დაუზოგავად გაშლილი ნაწერი იმდროინ-
დელი ქართველების განათლებული წრეების სავსითი ჭრებრავი სიმდიდრეს მოწმობს. ამ
ტექსტებში ნახმარი განკვეთილობის (სასენნი) ნიშნები, იგ. ჯავახიშვილის აზრით, გრამა-
ტიკულ-სამწიგნობრო თეორიის (თუნდაც ვლემენტარული) არსებობის მამყენებელია.

*) იგ. ჯავახიშვილი: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ხელნაწერები“. თბ. უნივერსიტე-
ტის მოამბე 2, 1923.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ მიმდინარე წლის აგვისტოში გამომცემულ ზღაპრულ ლექსიონარს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღემდეც ვრცელდებულ შიგთხედულ შრომას შორის როგორც ა. შანიძე აღნიშნავს: „ეს ფორტატიული გამოცემის საშუალებას მისცემს უფრო ახლოს გაეცნოს ერთ იშვიათსა და უმსხვილესს ძეგლს ქართული ენისა და ლიტერატურისას“. მშენიერ გადაღებუ დაბეჭდილი: „ხანმეტი ლექსიონარის“ რეპროდუქცია (1—54 გვ.) სრულ წარმოდგენას გვაძლევს დედამხედველს გამოცემის „წინასიტყვაობა“ და გამოცემის მთელი დანარჩენი აპარატი დაინტერესებულ მკითხველს გაუადვილებს ჩვენი კულტურის ამ მეტად მნიშვნელოვანი ძეგლის ყოველმხრივ გაეცნობას.

„წინასიტყვაობიდან“ ვგებულობთ, რომ პირველი ცნობები ჩვენი ძეგლის შესახებ პროფ. ა. ლ. ცაგარელს ეკუთვნის, 1883 წლის თებერვალში ა. ცაგარელმა ნაბა და ასწერა ეს ხელნაწერი სინას მთაზე (ეგვიპტე). ა. ცაგარელს საკმაოდ მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა. ამის გამო მისი აწერილობა არ არის სრული და სწორი. აკად. ა. შანიძე არცეცს ა. ცაგარლის კატალოგის (№ 9) ხელნაწერისა და „ხანმეტი ლექსიონარის“ იგვეგობას და აღნიშნავს, რომ ამ ძეგლს, იმასთან შედარებით, რაც ა. ცაგარელს 1883 წ. აღწერია, დაძველებია ერთი ფურცელი თავში და ერთი ბოლოში.

შეორე პიროვნება, რომელმაც მოგვცა „ხანმეტი ლექსიონარის“ აწერილობა, იყო ქართული ენის ცნობილი მკვლევარი პ. შუბარტი—(გარდაიცვალა 1927 წ.). 1896—1899 წ. წ. შუბარტი ვინმე ვინმე მხატვრისაგან შეუძენია სინას მთიდან წამოღებული 5 ქართული ხელნაწერი, შათ შორის „ხანმეტი ლექსიონარი“. პ. შუბარტი დასწერა მთელი რიგი შენიშვნები ხსენებული ხელნაწერების, კერძოდ „ხანმეტი ლექსიონარის“ შესახებ ჯერ კიდევ 1896—99 წ. წ. ეს „შენიშვნები“ 1927 წ. შან გამოუგზავნა ა. შანიძეს, რომელმაც მთლიანად გამოაქვეყნა პ. შუბარტის მასალა „თბ. უნივერსიტეტის მოამბეში“ (ტ. III, 1927).

ამის შემდეგ ფ. შანიძის დაუცხრომელი მეცადინეობით და აკად. გ. ჩუბინაშვილის დახმარებით მოხერხდა ხელნაწერის დაწერილობითი აღწერალობის შედგენა (გ. ჩუბინაშვილის მიგვლინების დროს, ა. შანიძის თხოვნისა და მითითებითა თანახმად) და ჩანმეტის ტექსტის ფოტოგრაფიული სურათების მიღება გრაციის უნივერსიტეტიდან, რომელსაც პ. შუბარტის მიერ ნაწარმოები აქვს ხსენებული ხელნაწერები.

პ. შუბარტის შენიშვნებისა, გ. ჩუბინაშვილის აღწერილობისა და მთელი ძეგლის ფოტოგრაფიული სურათების საფუძველზე ა. შანიძე გვაძლევს „ხანმეტი ლექსიონარის“ დაწერილობით აღწერილობას („წინასიტყვაობა“ III). აქ სხვათა შორის, აღნიშნულია პ. შუბარტის დიდი დამახატრება ხანმეტობის შესწავლის საქმეში.

პ. შუბარტი „თითქმის სავსებით მისულა“ ხანის პრეფიქსად ხმარების მოვლენის გარკვევაში 1896—1899 წ. წ.; ასე რომ „ხანმეტი ძეგლების შესწავლის წამოწყება შუბარტის სახელით არის დაკავშირებული“ (ა. შანიძე: „წინასიტყვაობა“).

მთელი რიგი მოსწრებული დაკვირვების საფუძველზე ა. შანიძე დაასკვნის, რომ შუბარტისეული ხანმეტი ლექსიონარი გადაწერილი ყოფილა ორი სხვადასხვა ხელით, ორი პირის მიერ. „წინასიტყვაობაში“ გარკვეულია აგრეთვე ძეგლის დაწერის დრო (მე-6 თავი). ა. ცაგარელის დათარიღება (XI ს. 1-ლი ნახევარი) გადაჭრით უარყოფილია. აკად. ა. შანიძე ეჭვითაღიარებულად არცეცს, რომ ძეგლი VII ს. I ნახევარზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს. ჩვენ ვითვით, რომ ხანმეტი ტექსტები საბაწმინდოს ტექსტებზე აღორძედი იყო. ბოლო ორიოვრავიული მიმართულება, რომელსაც საბაწმინდო ეწოდება, VIII ს. დასაწყისში შანიძე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი. „ხანმეტი ლექსიონარი“ კი გადაწერილია ისეთ დროს, როცა ხანმეტობა მკვიდრი მოვლენა ყოფილა სალიტერატურო ენაში. იერუსალიმში, საბაწმინდის ლერაში 854 წლის თარიღით გადაწერილი მრავალთავის (ქრესტომათია) ორიოვრავიული ნორმები ძირითადად განსხვავდება ხანმეტი ტექსტების ნორმებისაგან. შეორე შრომა „ხანმეტი ლექსიონარი“ ენობრივად ბოლნისისა და შქეთის ჯგერის წარწერების (V—VII ს.) გვერდით სდგას. პალეოგრაფიულადაც, რამდენადაც სხვადასხვა მასალის (ქვა და ეტრავტი) დაწერილობის შედარება შესაძლებელია, წერის საერთო ხასიათით „ხანმეტი ლექსიონარი“ ბოლნის-შქეთის წარწერებს უახლოვდება. „ამიტომ შეუძლებელია მისი დაწერის დრო VIII ს. გადმოვაცილოთ“.

ძეგლის შინაარსს ჩვენამდე სრულად არ მოუღწევია. „ხანმეტი ლექსიონარი“ დაზიანებული და თავბოლო ნაკლებია. თავდაპირველად (გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით) ხელნაწერი ერთი ორად დიდი ყოფილა. მაგრამ შენახული ნაწილი მთლიან ნაწყვეტს წარმო-

ადგენს. დაზიანების მიუხედავად აკად. ა. შანიძეს სრულიად აღუდგენია ტექსტის პოლწიქული ნაწილი, რომელიც შინაარსით აღდგომის ღღესასწაულის საკითხავებს ქრისტოლოგურ-სახარებისა და სამოციქულოს ტექსტებიდან წარმოადგენს.

ენობრივად ლექციონარი ძირითადად ხანშეტობის ნიშნით არის აღბეჭდილი. თუმცა სპორადიულად აქ პარემეტობაც შედგენდება. ძველში ხანშეტისა და პარემეტის შედარდება 165 : 7-ს უდრის და ხანშეტობის საერთო ნორმები კლასიკური სისწორით არის დაცული.

ხანშეტობა აქ არა თუ ახალი „აღიქმის ტექსტებში, არამედ ეგრეთწოდებულს ტიპიკონურს (საწესო) ნაწილშიაც გვაქვს: „ხითჭვას ფსალმენი“... და სხვ.

გამომცემლის დასკვნით „შინართისებულ ლექციონარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყველა ცნობილ ხანშეტ ხელნაწერებს შორის. ის ერთადერთი ძველია, რომლის ტექსტს შირვანდელი სახით მოუღწევია ჩვენამდე“. „გამბული ხანშეტი ტექსტები ჯერჯერობით მხოლოდ პალიმფსესტებიდან იყო ცნობილი. გამოჩაკლის მხოლოდ ეს ძველი შეადგენს და ამ მხრივ, რასაკვირველია, მეტად დიდი ამ ძველის მნიშვნელობა, თითქმის განუზომელიც“.

1923 წ. გამოქვეყნებულ გამოკვლევაში ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ხანშეტი ტექსტების აღმოჩენა შესაშინეველ აფართოებს ქართული ენისა და კულტურის კვლევის პირიზონტს. ეს ძველები არაბთა შემოსევის წინანდელი ძეგლებია. მათი არსებობა XI საუკუნეშიაც კი (გიორგი მთაწმინდელის ანდერძი) მოწმობს, რომ VII — VIII ს.ს. ქართული მწერლობა იმდენად კატასტროფიულად არ დაღუპულა, როგორც აქამდის გვეგონა. „ხანშეტი ლექციონარი“ მოწმობს, რომ უძველესი მწერლობა მხოლოდ პალიმფსესტების სახით არ შენახულა. ქართული კულტურის განვითარების გზების შესწავლისათვის, ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უამისოდ ძნელი გასაგები იქნებოდა VIII — XI ს.ს. ქართული კულტურის მძლავრი, არაჩვეულებრივად ინტენსიური განვითარება. დღეს, როცა ჩვენ ვიცით, რომ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებზე ადრე ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებას ორი დიდი ეტაპი ჰქონდა გავლილი, შეგვიძლია გაბედულად გადავწიოთ სუკუნეთა სიღრმეში ქართული მწერლობის დასაწყისი პერიოდი.

25



შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

33

ნიკო ლორთქიფანიძე — ქედუბრეღნი (მოთხრობა) დასასრული	3
ალიო მაშაშვილი — გრიგალი (ლექსი)	15
გრ. აბაშიძე — ლექსები წიგნიდან „დროშები“	17
ალექსეი ტოლბოტი — რუსული ხასიათი (მოთხრობა) თარგმანი არ. ჭუმბაძისა	22
ხერგო კლდიაშვილი — ფანტასმაგორი (მოთხრობა)	28
კოლაუ ნადირაძე — ზღვის პირას, ჩემი ვარსკვლავი, ამირსპასალარი (ლექსები)	32
ამბროზ ბირსი — კაპიტანი კოლტერი (მოთხრობა) თარგმ. შ. აღმაშვილისა	36
ნიკოლოზ ჩაჩავა — ნახვამდე ვითარ (ლექსი)	45
უშანგი ჩხეიძე — გიორგი სააკაძე (ტრაგედია 5 მოქმ. დასასრული)	46
შანს გაბე — ათასნი დაეცემიან (მოთხრობა) თარგმ. ი. აგლაძისა	86

ქრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

ს. შანშიაშვილი — შენიშვნები კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“-ს გამო	112
ვ. წულუყიძე — მ. გორკი და სამშობლო	131
ა. ფაღავა — ა. ჩხოთვი და მოსკოვის სამხატვრო თეატრი	141

ბიბლიოგრაფია

მ. იასამანი — ი. გრიშაშვილი, „რჩეული ლექსები“	147
ან. ღვინიაშვილი — გრ. აბაშიძე — „საბაეშვო პოემები“	150
ზ. ელილი — ს. მკვალითია — „ერეკლე მეორე“	152
დ. შამათავა — ე. ასტვაცატუროვი — „სალტიკოვ-შენდრინი“	154
ს. კ. — ხ. ახელედინი (კირისილოვლი) — „ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-XVI—XIX ს. ს.)“	155
კ. შ. — „ხანშეტი ლექციონარი“	156

